

ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკევობით

ფასი 1,50 ლარი

7 დეკემბერი 2007

№25(51)



დროის გამოცანა
გიორგობისთვის მზე
ინგლისური დეტექტივი
ნაჯიბ მაჰფუზის ორი ნოველა
ვისაც კრიტიკის არსებობა გვჯერა
დომინიკ ირტენკაუფი საქართველოზე

შინაარსი

კრიტიკა	2	საბა სულხანიშვილი ვისაც მისი არსებობა გვჯერა (მინანერები „კრიტიკის“ ახალ ნომერზე)
მსარეს-ინტერვიუ	6	საქართველო – ამირანის ქვეყანა (საუბარი დომინიკ ირტენკაუფთან)
პროზა	10	ციალა არდაშელია „მოდინ-ნახს“ მეციხოვნენი
პოეზია	20	ლელა სამნიაშვილი თბილისური რივერდანსი და სხვა ლექსები
პირველი შთაბეჭდილება	23	მაკა ჯოსხაძე ყველაზე სანიმადო თავშესაფარი
ასიისტიკა	24	როსტომ ჩხეიძე სიკვდილი თოვლში, ფიფქების ცეკვაში (კარლ ზელიგის ეკერმანობა)
ლიბრეტო-პოეტური პორტრეტი	28	ემზარ კვიციანიშვილი ივრისპირელი მზაჭაბუკი (მირზა გელოვანი)
ჩვენი ყოფა, წუთისოფალი	35	ნათელა არველაძე მათი ხატი სამშობლო იყო!..
ღიალოგი	39	ნიჭი, პროფესიონალიზმი, ოსტატობა (მანანა გეგეჭკორს ესაუბრება ნინელი ჭანკვეტაძე)
დაბეჭდვითი	43	ჯეკ რიჩი ბემო გაუგო
ფიქრი და განსჯა	45	ირაკლი ბათიაშვილი ღროის გამოცანა
თეატრალური სიასლენი	52	ქეთევან დავლაძე აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად
რეპორტაჟი	53	ეკა ბუჯიაშვილი ბიორგოზისთვის მზა (გალაკტიონის დღე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში)
ქიზა	56	ირმა ყველაშვილი ბამბორება და მისი რიტმი (ზლაპრის ხერხი რევაზ ინანიშვილის მოთხრობებში)
უსხოური ნოველა	59	ნაჯიბ მაჰფუზი ორი ნოველა
მოზაიკა	63	გადნიერება პოეტისა

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62

რეკლამა – (995 93) 65-93-68

გავრცელება – (995 99) 93-18-52

ფაქსი: (995 32) 96-20-62

E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბაბაში "ომეგა ტეგი" PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
საბაბაში, თბილისი, სარაქიშვილის 17 TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
ატელფონი: +995 32 53 03 62 TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოსხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ეგვიპტე

ლელა სამნიაშვილი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 21 დეკემბერს

საბა სულხანიშვილი

ვისაც მისი არსებობა გვჯერა

*

(მინაწარები „კრიტიკის“ ახალ ნომერზე)

სამწუხარო მოვლენა იყო ჟურნალ „კრიტიკის“ გაქრობა ჩვენი სალიტერატურო ცხოვრებიდან. ერთი-ორი გაუბედავი ცდა საკმარისი არ აღმოჩნდა მის აღსადგენად და დიდი სურვილი გვაქვს მანანა კვაჭანტირაძის ხელახალი წამოწყებაც იმ ჩაშლილ მცდელობებს არ მიემატოს – უდავოდ წარმატებულია ორივე ნომერი, უმთავრესად ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მკვლევართა და კრიტიკოსთა გარჯის ნაყოფი; და, იმედია, ავტორთა წრეც საგრძნობლად გაიზრდება და აღარც ჟურნალის გამოცემა შეფერხდება.

იყო დრო, როდესაც საქართველოს ისტორიული სამხრეთ პროვინციების შემომატება განეზრახა საბჭოთა იმპერიას და ტრაპიზონის ავტონომიური ოლქის დაარსება, საოლქო კომიტეტის მდივნად კი ის **გიორგი მერკვილაძე** ივარაუდებოდა, ვინც საბჭოთა რეჟიმსა და იდეოლოგიას ერთგულ დარაჯად ედგა და ყოველმხრივ შემონმბეულ და სანდო მუშაკადაც აღიარებულიყო.

ყველანაირ თანამდებობას მოივლიდა მანამდეც და მას შემდეგაც, მაგრამ ტრაპიზონის ოლქის მდივნობას ვერ ეღირსებოდა, რაკიდა ასეთი ოლქი საბჭოთა იმპერატორის ოცნებად დარჩებოდა. და როდესაც **გიორგი მერკვილაძეს** ჩააბარებდნენ ახალგაზსნილი ალმანახის – „კრიტიკის“ – რედაქტორობას, ვის თვალში ეს ადგილი სახარბიელოდაც გამოიყურებოდა, მაგრამ თვითონ რედაქტორისათვის რა ბედენა გახლდათ – თითქოს სასჯელად რგებია დიდი დაწინაურების მომლოდინესო. რაც ხელისგანგდენაზე ეგულეობდა, სადღაც შორს დარჩენილიყო და ამჯერად იმ პარტიული დავალებისათვის უნდა მოება თავი, ამ ალმანახის დაარსება რასაც იზრახავდა 70-იანი წლების დამდეგს.

კრიტიკას თანდათანობით დაეკარგა სადამსჯელო დანიშნულება, პოლიტიკური დასმენები განსაკუთრებულ პატივიში აღარ იყო და ხელისუფლება შეშფოთდებოდა – ვინ იცის, რას წერენ ეს მწერლები, მარტო ბედოვლათი ცენზურის და მფრთხალი რედაქტორების იმედად ხომ ვერ ვიქნებითო, და კრიტიკის გამოცოცხლებასაც მოითხოვდნენ და საგანგებო დადგენილებასაც შემოუშავებდნენ ამ მიმართულებით.

ერქვა კრიტიკის აღორძინების აუცილებლობა და ამ კეთილშობილური ნიღბის ქვეშ იგულისხმებოდა პოლიტიკური დასმენის, გამჭვირვალე ქვეტექსტთა სრულყოფილად გამიფრვის მოქალაქეობრივი მოვალეობა.

არაერთი საზარლობა განმეორდებოდა იმ წლებში, მაგრამ კრიტიკა უკვე ველარ გადაიქცეოდა სადამსჯელო ექსპედიციად.

ველარც „კრიტიკა“ ჩამოყალიბდებოდა – თვით **გიორგი მერკვილაძის** ხელშიც კი – პარტიულ-ჩეკისტურ უჯრედად და ცალკეული შეცოდებანი სისტემად ვერ გადაიქცეოდა.

ბევრი რამ მოხდებოდა ამ რედაქციის ცხოვრებაშიც და ისეთი ხანაც დაუდგებოდა 80-იანი წლების მიწურულს, რომ მწერლები ღიმილით იკითხავდნენ: ხომ არ იცით, ამ კვირას ვინ არის „კრიტიკის“ რედაქტორიო.

ხოლო 80-იანი წლების დამდეგს ალმანახი საკმაოდ გამოცოცხლდებოდა **გურამ გვერდნითელის** რედაქტორობისას, **თეიმურაზ დოიაშვილის** ხელში კი შეიძენდა იმ იერსა და მიზანდასახულებას, რასაც უნდა წარმოადგენდეს ამ ყაიდისა და შინაარსის გამოცემა, და თავისებურ ქრესტომათიულ ნიმუშადაც ამიტომ დარჩენილა მისი ხელმონერით გამოქვეყნებული ნომრები.

მოსხნითაც ამიტომ მოხსნეს „კრიტიკის“ რედაქტორობიდან – თანაც ორჯერ.

ერთ-ერთი ნიშანი მისი რედაქტორობისა – „კრიტიკაშიც“ და სხვაგანაც – ისიცაა, რომ სალიტერატურო თუ სამეცნიერო გამოცემა არის არა სტატიებისა თუ ნარკვევების გარკვეული თავმოყრა, არამედ შინაგანად მკაფიოდ გააზრებული მთლიანობა. ამ მხრივაც გასათვალისწინებელია მისი გამოცდილება და, როდესაც ვეცნობით განახლებული „კრიტიკის“ ახალ ნომერს, უპირველესად მთლიანობისაკენ ეს სწრაფვა გვხიბლავს – ამჯერად **მანანა კვაჭანტირაძის** მიერ მკაფიოდ გააზრებული და შინაგანად მყარი აგებულება, გაშლილი მრავალფეროვან და საგულისხმო შინაარსში.

ნუგზარ მუზაშვილის სტატიას „**არსებობს, მაგრამ არ არსებობს**“ თითქოს ერთგვარი სარედაქციო დანიშნულებაც შეუთავსებია, რადგანაც ჩვენს სამწერლო რეალობაში კრიტიკის ფუნქციისა და როლის ირგვლივ მსჯელობს და ნათელსა და ლოგიკურ ანალიზს სკეპსისიც შერევია – ნეტა მართლა არსებობს ეს ჟანრი თუ ტყუილუბრალოდ ვჩილითფილთობთო.

კრიტიკოსთა ლაშქრის გამოჩენა ენატრება და თითო-ოროლა, თუნდ შესანიშნავი, ლიტერატორ-მკვლევარის გარჯა მაინცდამაინც სანუგეშოს ვერაფერს ამცნობს არადა, თითო-ოროლა კი არა, ერთი, ერთადერთი ჭეშმარიტი კრიტიკოსიც რომ ჰყავდეს თუნდ მრავალრიცხოვანი ერების მწერლობას, კრიტიკის არსებობა იქაც უდავო და უეჭველი იქნება. სოფელი ვინა და ერთი კაციო, – გვასწავლის გონიერი ანდაზა და გონიერება კი იმის გონიერებაა, რომ არ აჰყვე ნიჰილისტთა თუ ჩიტირეკიათა ქირქილს, მწუხარე განცდებსაც ადვილად არ გაუტყდე, და თუნდაც **ნუგზარ მუზაშვილის** გარდა კრიტიკულ წერილებს არავინ წერდეს საქართველოში, იმ შემთხვევაშიც დარწმუნებით ითქმის: კრიტიკა არსებობსო.

სხვათა შორის, ამ ლიტერატორის სტილური მანერი-სათვის ნიშანდობლივია ირონიაც, სატირაც, პარადოქსებისაკენ მიდრეკილებაც, მახვილგონიერებაც, რაც ასე გა-


მოარჩევს – და კიდევ უფრო მკვეთრადაც – ივანე ამირხანაშვილის სტილისტიკას. სათაურიც კი ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიისა – „საუბარი მძინარე ადამიანთან“ – ეფექტურია თავისი მოულოდნელობით, რადგანაც მძინარე ადამიანთან საუბარი გაიგივებულია ლექსების შესახებ წერასთან. ქვესათაურიც მწვავე სარკაზმითაა განმსჭვალული: „სნობისტური რეფლექსიები თანამედროვე ქართულ პოეზიაზე“.

ოლონდ ეგაა – ამ ლიტერატურულ ნარკვევშიც საილუსტრაციო მასალას ისეთი ხელმომჭირნეობით მოიხმობს ავტორი, რომ ციტატები თითქმის არ გვხვდება და კრიტიკოსის მსჯელობას თვალსაჩინოების გარეშეც უნდა ვენდოთ. სანდო ნამდვილად არის, მაგრამ საილუსტრაციო მასალა ყოველთვის ხელშესახები უნდა იყოს. თუმცა მიზეზი ძნელი ასახსნელი არ არის. ივანე ამირხანაშვილი მთელი ცხოვრება რედაქციებში მუშაობს და უწევს იკითხოს სტატიების ზღვა – დანუნებული თუ დასაბუქდად გამოზადებული – სადაც ციტატა დამონმებას საზღვარი არ გააჩნია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კრიტიკული წერილი ავტორებს სხვა არაფერი ჰგონიათ, თუ არა საილუსტრაციო მასალის მონტაჟი. ამ ტენდენციას დაუპირისპირდა მთელი არსებით და ამასობაში მეორე უკიდურესობაში ჩავარდა – საერთოდ გააქრო ციტატების სახსენებელი და მისი სტატიები დაემსგავსა თეზისურ მონახაზებს.

ამ ჟანრის არსებობას თავისი მოქალაქეობრივი უფლება მოპოვებული აქვს და ივანე ამირხანაშვილი საკმაოდ წარმატებითაც ერთგულობს მას, მაგრამ მაინც ვისურვებდით, რომ თეზისური მონახაზი მის კრიტიკულ-ესთეტიკურ თხზულებებში იყოს ერთი რკალი, თუნდაც ვრცელი, და არა ერთადერთი მიდრეკილება.

ნიშანდობლივია მისი სწრაფვა დეპეშური სტილისკენაც – კრიტიკული მინიატურების მომხიბლავ ნიმუშთა მთელი წყება რასაც გვიდასტურებს. მსჯელობის ეპიკური გაშლა მაინცდამაინც გულზე არ ეხატება, განსხვავებით ნუგზარ მუზაშვილისაგან, ვინც სწორედ ვრცელ ნარკვევებში გრძნობს თავს ყველაზე მტკიცედ და მცირე ფორმა, რეცენზიაც კი, მისი შთაბეჭდავი სტილის ერთგვარ გაუფერულებას იწვევს.

დავით ჩიხლაძის „დემითოლოგიზაციის ფენომენის შემოტანა ახალ ქართულ პოეზიაში“ აგრძელებს „კრიტიკის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებულ ნარკვევს და, როგორც სჩვევია, ცდილობს გარკვეული კუთხით დააღაგოს და გაიაზროს სალიტერატურო პროცესი და ცალკეული, ზოგიერთ შემთხვევაში – სანიშანსვეტო, მოვლენა. იგი მიეკუთვნება იმ ლიტერატორებს, რომელნიც ნაკლებ იხედებიან საკუთარი წრის იქით და ყველაფერს ამ ვიწრო სარკმლიდან შეჰყურებენ. ამიტომაცაა, რომ მათ მიერ შემოთავაზებული სქემებიც იმავე მიკერძოებითა და გულუბრყვილობით სცოდავს, რაც ახასიათებდა მანამდე გაბატონებულ სქემებს. და ხან ისეთ უხერხულობაშიც შეიძლება აღმოჩნდეს, როგორც, ვთქვათ, ეს ფრაზაა ამ წერილიდან.



ერთ-ერთ ქვეთავში ავტორი მსჯელობს „სამიზნადის“ კულტურაზე და აღნიშნავს, რომ:

„ლიტერატურულ სამიზნადის პირველი ჟურნალი იყო „იახსარი“, რომელიც 1989 წელს გამოვიდა“

ჟურნალი, რომელიც 1989 წელს გამოვიდა, ვერაფრისდიდებით ვერ იქნება თვითგამოცემის პირველი ნიმუში იმ უზრალო მიზეზით, რომ 1975 წელს უკვე გამოცემულიყო ამ ყაიდის ჟურნალი „ოქროს სანძისი“ ზვიად გამსახურდიას თაოსნობით და მისთვის საბედისწეროდაც ქცეული. თუ წელთაღრიცხვის ქრონოლოგიაში რაიმე ცვლილება არ მომხდარა, მაშინ 1975 უფრო ადრეულად უნდა მივიჩნიოთ, ვიდრე 1989, მითუმეტეს, ამ დროს თვითგამოცემის უფლება უკვე ნებადართულიც გახლდათ.

და მაინც, მისასალმებელია ავტორის მიზანსწრაფვა და მცდელობა – მოწესრიგებული იხილოს სალიტერატურო პროცესი და თავის მხრივ შექმნას გარკვეული ჩარჩო, თუნდაც საკამათოდ და უარსაყოფად. სამაგიეროდ, მის ირგვლივ მსჯელობა მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება სამწერლო ცხოვრებას.

ემზარ კვიციანიშვილის ლიტერატურული ნარკვევი „გაუხუნარი ნლები“ არამარტო ჟურნალის მშვენიერებაა, არამედ ქართული კრიტიკული აზროვნების უკეთეს ნიმუშთა შორის არის უკვე საგულგებელი თავისი სიღრმით, განსწავლულობით, მასშტაბურობით, ექსპრესიით. ნარკვევი ჩაფიქრებულია დავით წერეთლის კრიტიკულ-ესთეტიკური წიგნის – „ანარეკლი“ – ანალიზადაც და ჩვენი სახელოვანი მწერლის სილუეტის მონახაზადაც, და განზრახვა ისეთი ოსტატობითაა ხორცშესხმული, ქრესტომათიული ნიმუშის მნიშვნელობას იძენს.

„ანარეკლი“ ჩვენი საზოგადოებრივ-კულტურული სინამდვილის თავმოსაწონებელი ქმნილებაა, ევროპული რანგის მოვლენა და, ამდენად, საკმაოდ ძნელია მისი განსჯა-ანალიზი – როგორ გინდა ამ წიგნის შესაფერისი კრიტიკულ-ესთეტიკური ნარკვევი დაწერო და სწორედ ესაა „გაუხუნარი ნლები“ ღირსება, რომ იმავე სიმაღლეს ინარჩუნებს.

ნარკვევის კომპოზიციურ ჩარჩოს ქმნის მემუარული ჩანაწერები, რაც კიდევ ერთ ხიბლს მატებს ამ თხზულებას. გვახსოვს ემზარ კვიციანიშვილის არაერთი მშვენიერი ლიტერატურული პორტრეტი – გიორგი ლეონიძეზე, გიორგი შატერაშვილზე, აკაკი განაწერელიაზე, გურამ ასათიანზე, ნოდარ დუმბაძეზე, შოთა ჩანტლაძეზე, არლი თაყაიშვილზე – და მოხდენილი ბელეტრისტული ჩანაწერებიც მის ლიტერატურულ-სამეცნიერო ნარკვევებსა და სტატიებში; და ეს ციკლი თუ ხაზი აუცილებლად უნდა გავგრძელებდეს მის შემოქმედებაში. ის კი არა, როდესაც გავცანით მონოგრაფიულ ნაშრომს გიორგი ლეონიძეზე („ქართული სიტყვის ბაზიერი“), სხვისთვის შესაძლოა მიგველოცა კიდევ ამ წიგნის დაწერა, მაგრამ ბატონი ემზარისაგან ბიოგრაფიულ რომანს უფრო მოველით ამ დიდებულ პიროვნებაზე და ეს მონოგრაფია ამიტომაც ალვიკით არა დასრულებულ თხზულებად, არამედ ბიოგრაფიული რომან-

ნის ერთ მონაკვეთად, რომელსაც ჯერჯერობით აკლია ბელეტრისტული ნაწილი.

ლალი ავალიანის ფრაგმენტული სტატია „**ინტერტექსტუალიზაციისათვის**“ ამთავითვე მიგვახვედრებს განზრახული ვრცელი ნაშრომის ესთეტიკურ ღირებულებას აქ გაბნეული მახვილგონივრული თეზისებითა და დაკვირვებებით, და, რაც მთავარია, სიახლის დამკვიდრება-შეფასების იმ წადილით, რაც ნიშანდობლივია თვალსაჩინო კრიტიკოსისათვის, ვინც არასოდეს გაურბოდა არქივებისა თუ ძველი პერიოდიკის გულმოდგინე ჩხრეკას, და ამ „შავი სამუშაოს“ შესრულებასთან ერთად განზოგადებთაც განზოგადებდა და დახვეწილ ფორმაშიც მოაქცევდა. თუნდაც ამას წინათ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზეც **რევაზ ინანიშვილისადმი** მიძღვნილი სტატიით ისე მარჯვედ და ძალდაუტანებლად შემოიტანა ჩვენს სალიტერატურო პროცესში ეპიგრაფის საგანგებო კვლევა-გააზრების აუცილებლობა, როგორც აქამდეც სჩვეოდა ახალი თემებისა და სახელების ჩართვა კრიტიკულ აზროვნებაში.

მაია ჯალიაშვილი ჩვენს თვალწინ გამოიკვეთა თვალსაჩინო სახელად და უტყუარი გემოვნების ლიტერატურულ მკვლევარად, ვინც არამარტო გარედან აკვირდება სამწერლო პროცესებს, არამედ მის შუაგულშია მოქცეული და აქედან სულ სხვა თვალსაჩინოთ გაიაზრებს ლიტერატურულ დუდილს, რომლის არსებობასაც თვითონვე უწყობს ხელს. მისი შეფასებანი ყოველთვის ამოზრდილია მხატვრულ ქმნილებათა გულისგულიდან და არასოდეს გამორჩება ის მთავარი, რომელიც უმთავრესად შეფარულია და განსაკუთრებულ ხედვას მოითხოვს ამოსაცნობად. და ამჯერადაც მისი „**ტივილის მეტაფიზიკა**“ ზუსტად ხსნის **ლია სტურუას** პოეტურ თავისებურებასაც და მისი ლექსების ახალი კრებულის „**ღალატსაც მხოლოდ კეფით იგრძნობ**“ არსსაც, როდესაც ანალიტიკური მსჯელობა ამ დაკვირვებაში იყრის თავს: **ლია სტურუას** შექმნილი და წარმოსახული სამყარო მართალია ქაოსის ფრაგმენტებისაგან შენდება, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ჰარმონიის შესაქმნელად:

„ქაოსი რეალობაა, ჰარმონია კი სიტყვათა ფერის, მუსიკის, გემოსა და აზრისაგან შექმნილი ის ნაირფერი მოზაიკაა, რომელიც ყოველ ლექსში განსხვავებულ ვარიანტებს ქმნის და მუდმივად მკითხველის მოლოდინშია, რათა მის წარმოსახვაში უკვე შექმნილმა მხატვრულმა სახეებმა ახალი ფერისცვალება და ამ გზით ახალი სიცოცხლე შეიძინონ“.

როდესაც გადაიკითხავ **ზაზა გოგიას** სტატიას „**გიგი სულაკაურის პროზა ქართულ შიდაკულტურულ კონტექსტში**“, დახვეწილ ანალიზს იმისა, თუ როგორ ააწყეს **არჩილ და გიგი სულაკაურებმა** თბილისური ყოფის სურათებში უძველესი დროიდან არსებული თუ მოგვიანებით შემოტანილი და გაშინაურებული ენობრივი მასალით ზოგადქართული სამყაროს ულამაზესი სურათი, კიდევ ერთხელ იგრძნობ უკმარობას, რატომ უნდა წერდეს ეს ლიტერატორი ასე იშვიათად და ცოტასო. ამავეს გაგრძობობინებს მისი ლიტერატურული წერილების ბოლოდროინდელი კრებულები „**საუკუნეთა გზაგასაყარზე**“, რომლის ჩამთავრებაც გაფიქრებინებს, წესით, ასეთი ნიგნების მთელი წყება უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული, დახვეწილი გემოვნება და სალიტერატურო პროცესის შიგნიდან ხედვის უნარი შესაფერის გამჟღავნებასაც რომ პოულობდესო.

იმ რანგის პროფესიონალი ლიტერატორისაგან, **ინგა მილორავეს** როგორც ვიცნობდით აქამდე, მოულოდნელია ის არათანმიმდევრულობა და ბუნდოვანება, რაც ასე ატყვევია სტატიას „**თაობის პორტრეტი ბნელ ინტერიერში**“. ძალზე იშვიათია კრიტიკოსი ქართულ სინამდვილეში, ერთნაირი ძალით რომ შეეძლოს წერა ჩვენსა და უცხოურ სამწერლო მოვლენებზე – არა ხამუშ-ხამუშ და შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ გააზრებულად და მიზანდასახულად. ადრე ასეთი **გერონტი ქიქოძე** გახლდათ, ჩვენს გარემოში **ლევან ბრეგაძეს**, **ნაირა გელაშვილსა** და ერთი-ორ სხვასაც თუ მოსდევს საამისო უნარი და განსწავლულობა, და ინგა მილორავეც სწორედ იმ თითო-ოროლა ლიტერატორს შორის იგულისხმება. ამჯერად კი წინააღმდეგობაში ჩავარდნილა – თითქოს მაინცდამაინც არ მოსწონს სარეცენზიო ტექსტი, მაგრამ ისეთ რევერანსებად და ეპითეტებად იღვრება, შესაძლოა მკაფიოდ ვეღარც გაარკვიო, რა არის განხილული – **ლაშა ბულაძის „ბოლო ზარი“** თუ **ერნესტ ჰემინგუეის „ვისთვის რეკს ზარი“**.

სუსტ ნაწარმოებებზე, სულაც ლიტერატურულ მაკულატურაზე წერა განა არ შეიძლება გარკვეული ეპოქის სულის შესაცნობად და წარმოსახვად – ბოლოსდაბოლოს, **აკაკი ბაქრაძის** მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „**მწერლობის მოთვინიერება**“ უპირატესად ერზაცლიტერატურას, მაკულატურას ეყრდნობა – მაგრამ ეპითეტები და შეფასება შესაფერისიც უნდა იყოს და ჩვენი გულწრფელი წადილი უნებურად ბუნდოვანებაში არ იკარგებოდეს.

შესაძლოა ძნელდებოდეს **ბესიკ ხარანაულის** ნიგნის „**ეპიგრაფები დავიწყებულ სიზმრებისათვის**“ ზუსტი ჟანრობრივი განსაზღვრა – პოსტმოდერნულ რომანსა და მემუარებს შორის ისე ქანაობს, მაგრამ **მირანდა ტყემელაშვილისათვის** ის უპირობოდ რომანია და თანაც დედის ხსოვნისადმი მიძღვნილი ძეგლი: „ბესიკ ხარანაულის შემთხვევა განსაკუთრებულია. მისი პოეზია თითქოს ნელ-ნელა მიდიოდა ამ პირველი რომანისაკენ, ის თანდათან, ლოგიკურად გარდაიქმნა პროზად“.

კრიტიკოსი მიჰყვება – და კარგადაც მიჰყვება – რომანის (დაე იყოს ასე) ერთ ხაზს, მაგრამ მწერლის ავტორიტეტით მონუხულს ვერ წარმოუდგენია გასცდეს ამ ერთ მხარეს და სადღაც გაკვრით მანც მიაწინოს ნიგნის აშკარა უთანაბრობა.

ბესიკ ხარანაულის პოეტურ ქმნილებათა გამოქვეყნება იმთავითვე ინვევედა მძაფრ აზრთა ჭიდილს და ლიტერატურული ცხოვრების შუაგულშიც მოექცეოდა ხოლმე. ასევე მოხდა ბოლო ხანსაც, როდესაც მისი პოემა „**ამბავი ამბა ბესარიონისა**“ ორი საპირისპირო პოლუსიდან შეფასდა – ერთი მხრივ ალტაცებული გამოხმაურებანი, მეორე მხრივ კი ათვალწუნებული დამოკიდებულება: ეტყობა, უჯრები დაულაგებია და მონარჩენი მასალებისათვის ამ პოემაში მოუყრია თავიო.

თქვენი მონა-მორჩილი მიეკუთვნებოდა მკითხველი საზოგადოების იმ ნაწილს, ვინც „**ამბავი ამბა ბესარიონისა**“ შესანიშნავ პოეტურ ქმნილებად მიიჩნია, მაგრამ რომანმა კი ცოტა არ იყოს იმედი გაუცრუა სწორედ უთანაბრობით – ჩინებულად შესრულებულ სცენებს ჩავარდნილ პასაჟთა მთელი წყება რომ ენაცვლებოდა, გაჟღერებული საპირფარემოს სუნით. არ აკლია ეს უსიამოვნო სუნი ჩვენი გამოცე-

მების ერთ ნაკადს, მაგრამ რატომ უნდა ჩართულიყო მათ რიგში ასეთი თვალსაჩინო შემოქმედიც, და რომანის ფინალიც ამ „სულისკვეთებით“ აღებჭყდა?... არც საკუთარი ოჯახის ასეთი გადმოფარჩავება იყო აუცილებელი, ფრანგ მწერალსაც რომ დაეუხერხებოდა.

შევთანხმდეთ –

კრიტიკისათვის სრულიად მიუღებელი უნდა იყოს ავტორიტეტთა მოჯადოებული წრე.

ადა ნემსაძის „იდენტიფიკაციის პრობლემა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“ სათაურიდანვე სამეცნიერო ნარკვევს უფრო წააგავს, არადა, ავტორის უდავო გემოვნება სურვილს გიჩენს, რომ გათავისუფლდეს ზედმეტი აკადემიზმისაგან და ცოტა მეტი სიცოცხლე მიანიჭოს ფრაზასაც და სტატიის სტრუქტურასაც, მითუმეტეს, თამამად უქცევს გვერდს მოდურობის ხიზლს და საგანგებოდ უკვირდება **ზურაბ სამადაშვილის** რომანს **„ხმაურიანი დღეები“**, ჩვენი ეპოქის სახიერ მხატვრულ დოკუმენტად რომ რჩება და შესაფერისი დაფასება კი მოაკლდა (თუმც **ნუგზარ მუზაშვილს** თავის დროზევე არ გამოორჩენია მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა).

მანანა კვატიას სტატია (**„ვიზიონერი, რომლის გამგებიც ჯერჯერობით არაინაა“**) იმ მხრივაც იყო აუცილებელი, რომ კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ჩვენს მოვალეობას უცხოელ ქართველოლოგთა წინაშე.

როდესაც გერმანელი მკვლევარის **თომას ჰოიზერმანის** მონოგრაფიული თხზულება **გრიგოლ რობაქიძეზე** ქართულადაც ქვეყნდება ცნობილი მთარგმნელების **ლამარა ნაროშვილისა** და **ლამარა რამიშვილის** წყალობით, თავისთავად კი მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს წიგნი მონაწილეც უნდა შეიქნას ჩვენი სალიტერატურო პროცესისა, ჯეროვნად შეფასდეს და ჩვენც გამოგვადგეს გარეშე თვალთ დანახული ქართველი მწერლის მხატვრული სამყარო და უცხოელებმაც იგრძნონ, რომ მათი უანგარო თავგამოდება უყურადღებოდ არ გვრჩება. სტატიიდან მკითხველს სრული და მიუკერძოებელი შთაბეჭდილება ექმნება ჩვენი გერმანელი კეთილისმყოფელის გარჯაზე **გრიგოლ რობაქიძის** შემოქმედების კვლევა-გააზრებაში.

გაგა ლომიძის რეცენზიაც (**„ქრისტიანული ნარატივის აპოლოგია“**) კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ეს ჟანრი სულაც არ არის მეორეხარისხოვანი, თუკი პროფესიულად მოეკიდები და თხზულების არსს ზუსტად და ლაკონურად გააცნობ მკითხველს. კრიტიკოსს შემოფარგლული სივრცე ხელს არ უშლის მკაფიოდ წარმოგისახოს **ზაზა შათირიშვილის** ლიტერატურულ, ნაციონალურ და ავტობიოგრაფიულ ნარატივთა მოხდენილი სინთეზი – **„ნარატივის აპოლოგია“**, როგორც ჩვენი კრიტიკული და სამწერლო პროცესის მრავალმხრივ საგულისხმო მოვლენა.

მანანა შამილიშვილის „ქართული ჟურნალიზმი გლობალური საინფორმაციო-კრეატიული პროცესების სისტემაში“ იმ პრობლემის ირგვლივ ტრიალებს, რაც ასეთი პოპულარული გახდა ბოლოდროინდელ მსოფლიო კულტურულ სივრცეში – არსებობს თუ არა გამყოფი მწერლობასა და ჟურნალისტიკას შორის და, თუკი არსებობს, სად გადის ეს ზღვარი. და პოპულარული გახდა **გაბრიელ გარსია მარკესის** წყალობით, ვინც სულაც არ მიიჩნევს, რომ მისი ჟურნალისტური ნაღვანი რითიმე ჩამოუფარდებოდეს მისსავე ბელეტრისტიკას და ჩვენც გვიმტკიცებს, რომ მარკესი-ჟურნალისტი არაფრით ჩამორჩება მარკეს-„ასწლიანი სიმარტოვის“ შემოქმედს (**„მსოფლიოში საუკეთესო ხელობა“**).


მანანა შამილიშვილის თეორიული განსჯა შემაგრებულია ქართული ჟურნალისტური პროცესის სიღრმისეული ცოდნითა და განცდით, რათა ლოგიკური, ნათელი ანალიზი ძალდაუტანებლად მიადგეს **ილია ჭავჭავაძის** შეხედულებას: ჟურნალისტიკასა და მწერლობას არაფერი აქვთ გასაყოფი, პირიქით, ურთიერთს უნდა ავსებდნენ და აძლიერებდნენ.

და ამიტომაც: „ჟურნალისტიკა მწერლობასთან უნდა თანაარსებობდეს, როგორც მისი შემადგენელი, მისგან მოსაზრდოდ, განუყოფელი ნაწილი. ხოლო კრიზისი, რაზედაც არაერთგზის მივანიშნეთ, სხვა არაფერია, თუ არ დროებითი, უცილობელი დაყოვნება ახლის ძიების, ინოვაციათა გონივრული (და არა უკრიტიკო!) ათვისების ხანგრძლივ პროცესში“.

ჟურნალისტიკასა და მწერლობას შორის ხან მართლაც რომ ჭირს ზღვარის გაღება, საამისო ნიმუშები შორს რომ აღარ ვეძიოთ, ჩვენს სინამდვილეში **ლელა ოჩიაურის** სტატიებიც გამოგვადგება, იმ მძაფრი შთაბეჭდილების მომგვრელნი, თავისთავად რომ სცილდებიან ყოველდღიურობის ფარგლებს და კრიტიკულ-ესთეტიკურ მდინარეებში ექცევიან.

თანაც იგი ის იშვიათობაცაა ქართულ კულტურულ სივრცეში, ვინც ერთნაირი სიღრმით ერკვევა ლიტერატურაში, კინო და თეატრალურ ხელოვნებაში, მხატვრობაში, მუსიკაში და მისი დაკვირვებანი ყველასათვის ანგარიშგასწავიცაა და შემაგულიანებელიც – ყოველი ესთეტიკური მოვლენა ზოგადკულტურული თვალსაჩინოდან შეიგრძნო და შეიმეცნო.

„კრიტიკაში“ გამოქვეყნებული სტატია **„ქართული კინო დაკარგული დროის ძიებაში“** თითქოს მხოლოდ ბოლოდროინდელი კინონიმუშებით (**გელა ბაბლუანის „ცამეტი“**, **თემურ და გელა ბაბლუანების „მემკვიდრეობა“**, **ლევან თუთბერიძის „მოგზაურობა ყარაბაღში“** და **ლევან ზაქარეიშვილის „თბილისი-თბილისი“**) შემოსაზღვრება, მაგრამ ამ ფონზე ხელშესახებადაა გამოკვეთილი ჩვენი კინემატოგრაფის ხვედრიც და მწარე რეალობიდან თავდაღწევის შინაგანი გზებიც.



დაკარგული დროის ძიებას კი „დაკარგული სივრცის ძიება“ მოსდევს – ქეთი ჯიშიაშვილის სწორედ ამ სახელწოდების სტატია არქიტექტურაზე, როგორც სოციალურად ყველაზე „გულახდილ“ ხელოვნებაზე, და თბილის-ქალაქის მეტაფიზიკური იერის გააზრებაზე.

ავტორისათვის, ვისი სახელიც უპირველესად ესპანური ენიდან თარგმნილი ნიმუშებით ჩაგვრჩენია მეხსიერებაში, ანალიზის ერთგვარ ამოსავლად ქცეულა **პაულ შეერბარტის** თვალსაზრისი: ჩვენი კულტურა გარკვეულად ჩვენივე არქიტექტურის ნაყოფია. თუკი გვსურს, რომ ჩვენი კულტურა უფრო მაღალ საფეხურზე ავიყვანოთ, იძულებული ვიქნებით, – როგორც უნდა შევეწინააღმდეგოთ ამას, – შევცვალოთ ჩვენი არქიტექტურა. ასეთ ცვლილებას კი მხოლოდ მაშინ განვახორციელებთ, როდესაც დაუპირისპირდებით იმ ჩაკეტილ სივრცეს, რომელშიც ვცხოვრობთ.

ავტორი საგულისხმოდ მსჯელობს აივანზე, როგორც ძველი თბილისის ერთ-ერთ არსებით და კოლორიტულ ნიშანზე და დიალოგისათვის მზადყოფნაზე მთელი ქალაქისა და სამყაროს წინაშე.

და ასეთ დროს მოხდენილად ჩაემატებოდა მსჯელობას **ნიკოლოზ გაბაონის** რომანის („აივანი ქალაქი“) თუ **ნაირა გელაშვილის** ლექსის („რეკვიემი აივნებიანი ქალა-

ქისათვის“) ხსენება თუ ცალკეულ ამონარიდთა დამონმება ამ მხატვრულ ქმნილებათაგან.

საერთოდ, სამწერლო ნიმუშთა მოხმობა ყოველთვის გაამდიდრებს და გაახალისებს ამ ყაიდის ანალიზს და მოხდენილადაც გაიბნევა სტატიის თუნდ მკაცრად მეცნიერულ ქსოვილში. დაე მოსინჯოს ჩვენმა ახალგაზრდა ავტორმაც – იქნებ როგორ გაუმართლოს. ჩემი მხრივ დარწმუნებული ვარ, რომ **ქეთი ჯიშიაშვილს** არც შესაფერისი ლიტერატურული მასალის მოძიება გაუძნელდება და არც მათი მარჯვე ჩართვა მსჯელობაში.

ჟურნალს დაერთვის ახალი ნიგნების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვაც – ლაკონურად და გემოვნებით შედგენილი. მგონი ერთადერთი ინდექსი არ მისხსენებია.

სურვილი? დროდადრო დიალოგს, რეპორტაჟს, უცხოური მწერლობის ცალკეულ ნიმუშთა ანალიტიკურ შეფასებასაც თუ გამოაქვეყნებს რედაქცია, ჩინებული იქნება, ხოლო რაც შეეხება უცხოური ესეისტური ნიმუშის თარგმანს – კლასიკურისა თუ თანამედროვესი – ეს უკვე აუცილებლობაა და მისი არარსებობა ერთადერთ სერიოზულ ხარვეზად აჩნია „კრიტიკის“ ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან ნომერს.

ისე სხვა რომც არაფერი მოგვეპოვებოდეს ამ ერთადერთი ნომრის გარდა, განა შეიძლება არა ნიჰილისტურად განწყობილ ადამიანს წამოცდეს: კრიტიკა არ გაგვანჩიოა?!

საქართველო – ამირანის ქვეყანა

*

საუბარი დომინიკ ირტინკაუშთან

– თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენს შესახებ.
– დავიბადე 1979 წელს შვაბიაში, აღმოსავლეთ გერმანიაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად გადავედი ვესტფალის მიწაზე, ქალაქ მიუნსტერში. იქაურ უნივერსიტეტში დავინყე გერმანისტიკის, კომპარატივისტიკის (ზოგადი და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის) და ფილოსოფიის შესწავლა. მაგისტრის წოდება მივიღე 2006 წელს. უნივერსიტეტში სწავლის წლები დავუთმე ლიტერატურულ და ჟურნალისტურ საქმიანობასაც, მაინტერესებდა, პირველ რიგში, ხელოვნების თეორია, პოეტოლოგია და ერეტიკული რელიგიური მიმდინარეობანი. სკოლიდან მოყოლებული მიზიდავდა ისეთი მითოსური თუ ისტორიული ფიგურები, რომელთაც მსოფლიო ლიტერატურაში, ასე ვთქვათ, ცუდი სახელი აქვთ და ამა თუ იმ მიზეზის გამო სიმპათიას არ ინვევენ. ლიტერატურის სფეროში ეს გამოიხატა კლასიკურ მოტივთა დამუშავებით, სწავლის დასრულების შემდეგ კი ამას უკვე მეცნიერული შესწავლაც დაემატა. მაგალითად, კანონიზებული

ლიტერატურისა და მსოფლიოს მრავალი დიდი მწერლის კვლად მეც მალეღვებს, თუ რატომ ითვლება ეშმაკი ევროპასა და მთელ მსოფლიოში ბოროტ საწყისად. იმთავითვე „ცუდი კაცი“ იყო თუ მოგვიანებით აქციეს განტევების ვაცად?

ამ საქმიანობის პროცესში მუდამ ვაცნობიერებ, რომ ცნობილისა და ჯერაც უცნობის ზღვარზე ვდგავარ. თუკი ვეცდები და ჩავუღრმავდები, იმედი მაქვს, გამოვარკვევ, თუ რატომ ეკუთვნიან ამგვარი ძალზე მნიშვნელოვანი მიმოსურნი სახეები გაკიცხულთა ანდა მივინყებულთა რიცხვს. სწორედ ამ იდეითაა განპირობებული საქართველოსთან დაკავშირებული ჩემი პროექტიც: რატომ არ გვხვდება ამირანი არც ერთ სხვა მითოლოგიაში, გარდა ქართულისა, ანდა რატომ არც ერთ დიდ ქართველ მწერალს არ შეუქმნია რომანი ამირანის შესახებ? ამის მიზეზი თვით ამირანის ხასიათში უნდა ვეძიოთ თუ დღევანდელი გარემოებებში?

ამჟამად ვემზადები დისერტაციის დასაცავად გერმანული ფილოლოგიის დარგში და, იმავდროულად, თავისუფალი ავტორის სტატუსით ვთანამშრომლობ რამდენიმე გამოძენილ მსოფლიოსა და სამეცნიერო ჟურნალთან.

– ამჟამად თბილისში იმყოფებით, როგორც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტიპენდიატი. რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს ამას თქვენი საქმიანობისათვის? რა პირობებს ითვალისწინებს ეს სტიპენდია და ამჟამად რა ეტაპზეა თქვენი მუშაობა ამ მიმართულებით?

– ჩემთვის ეს დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია. სამინისტროს მოწვევა ჩემი ლიტერატურული საქმიანობის

ალიარებას ნიშნავს. სტიპენდია „მუზა-საქართველო“ ითვალისწინებს, რომ საქართველოდან გამგზავრების შემდეგ 6-9 თვეში რომელიმე გერმანულ გამოცემლობას ხელნაწერის სახით უნდა წარვუდგინო წიგნი, რომელშიც ასახული იქნება საქართველოზე ჩემი შთაბეჭდილებანი და აქ ცხოვრებისას მიღებული გამოცდილება. იმ სამი თვის განმავლობაში, რაც თბილისში ვცხოვრობ, უკვე შევიმუშავე ლიტერატურული კონცეფციის დიდი ნაწილი, ამაში დიდად დამეხმარა ის, რომ მჭიდროდ ვთანამშრომლობდი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან. ეს მხატვრული ნაწარმოები იქნება, მაგრამ, ამავე დროს, მასში ჩაერთვის მეცნიერული გამოკვლევაც. უკვე მოგახსენეთ, რომ კომპარატივიკას ვსწავლობდი და ამ სფეროში მიღებულ ცოდნას ახლა ქართული და გერმანული ლიტერატურული კონცეფციების ურთიერთშედარებისას ვიყენებ. მათ შორის არსებობს მრავალი განსხვავება, მაგრამ მრავალი მსგავსებაც.

ქართულ ლიტერატურაში ყოველ ნაბიჯზე ვხვდები იმ მკვეთრ მითოლოგიურ ხაზს, რომელიც მსჭვალავს როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს. თვალმისაცემია, რომ ისეთი ქართველი კლასიკოსები, როგორცაა კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ აბაშიძე თუ გრიგოლ რობაქიძე, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარი ქვეყნის მრავალათასწლოვან ტრადიციას. გერმანიაში უფრო მეტი მოთხოვნაა ისეთ ლიტერატურაზე, რომელიც დოკუმენტალურად, თითქმის ფოტოგრაფიულად ასახავს სინამდვილეს და მითოსისათვის ადგილს აღარ ტოვებს.

თემას ცოტათი გადავუხვიე და ამისათვის ბოდიშს გიხდით. სტიპენდიით გათვალისწინებული მუშაობა კარგად მიდის, ოღონდაც, – ეს, როგორც ჩანს, დღევანდელი ქართული სინამდვილის თავისებურებაა, – ყოველ ნაბიჯზე ბიუროკრატიულ შეფერხებებს ვაწყდები. ასევე გამაკვირვა იმან, რომ ქართულ ოფიციალურ პრესას „მუზა-საქართველოს“ სტიპენდიის ფარგლებში მიმდინარე ჩემი საქმიანობის მიმართ არავითარი ინტერესი არ გამოუჩენია. მხოლოდ ლიტერატურული პრესის წარმომადგენლებმა მოიცალეს იმისათვის, რომ გამსაუბრებოდნენ.

არ მსურს ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა, მაგრამ ამის მიზეზი, შესაძლოა, ის იყოს, რომ ქართული მედია დღეს ძირითადად პოლიტიკასა და სკანდალებზეა მიყურადებული, მას არ აინტერესებს მავანი გერმანელი, რომელიც ქართულ მითოლოგიას იკვლევს.

– ხომ არ გამოქვეყნებულა საქართველოს შესახებ თქვენი წიგნის ესა თუ ის ფრაგმენტი აქ ან გერმანიაში?

– ჯერ არა, წიგნი დასრულებული სახით ჯერ რომელიმე გერმანულმა გამომცემლობამ უნდა დასტამბოს (დღეისათვის სამი გამომცემლობა ჩემი პროექტით დაინტერესებული), შემდეგ კი – ეს სტიპენდიის აუცილებელი მოთხოვნაა – ქართულ ენაზეც ითარგმნოს და თქვენს ქვეყანაშიც გამოიცეს. როგორც ვთქვი, ეს სანახევროდ ევროპული და ქართული მითოლოგიის კვლევაა, სანახევროდ კი საქართველოში გატარებული 2007 წლის ზაფხულის შთაბეჭდილებები. გარდა ამისა, გამიჩნდა იდეა,

წიგნისაგან დამოუკიდებლად დავეწერო სამეცნიერო ნაშრომი ამირანის მითოსის შესახებ. გერმანიაში ჩემი წიგნი სავარაუდოდ 2008 წლის გაზაფხულზე გამოვა, ასე რომ, ქართველ მკითხველს მასთან გასაცნობად კიდევ ცოტა ხანს მოუწევს ლოდინი.

– რატომ მაინც და მაინც საქართველო? აქ რომ ჩამოდიოდით, გქონდათ თუ არა უკვე რაიმე ინფორმაცია ჩვენი ქვეყნის შესახებ, თუ მან სწორედ თავისი სიუცხოვით მოგიზიდათ?

– საქართველო მიუნსტერში შექმნილმა ორმა მეგობარმა გამაცნო. ერთ-ერთი დავით ბარბაქაძეა, რომელიც თვითონაც ბევრს აკეთებს ევროპაში ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის, მეორე კი პიანისტი ეკა ხვედელიძე გახლავთ. ბატონი ბარბაქაძე ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა მიუნსტერის უნივერსიტეტში ფილოსოფიას ვსწავლობდი და სწორედ მან შემატყობინა ამ სტიპენდიაზე გამოცხადებული კონკურსის შესახებ. გამოგიტყდებით, მანამდე ძალზე ცოტა რამ ვიცოდი თქვენი ქვეყნის შესახებ და არავითარი წარმოდგენა არ გამაჩნდა მის მდიდარ ლიტერატურულ ტრადიციებზე. მოგზაურობის წინ მოვიპოვე გარკვეული ინფორმაცია და 2006 წლის ივლისში დავამუშავე სტიპენდიის მისაღებად აუცილებელი საკონკურსო თემა, რომელიც საინტერესო უნდა იყოს როგორც ქართველი, ისე გერმანელი მკითხველისათვის: საქართველოს კავშირი ევროპასთან მითოლოგიის გზით.

ასე თანდათან გავიცანი საქართველო და ამ ახალმა გამოცდილებამ ძალიან ბევრი რამ შემიძინა.

– უშუალოდ აქ ყოფნისას რა შთაბეჭდილება შეგექმნათ საქართველოზე? პირველ რიგში რა იყო თვალმისაცემი?

– უპირველეს ყოვლისა, თვალში მეცა გადატვირთული საგზაო მოძრაობა დედაქალაქის ქუჩებში. ძველი უბნის ვიწრო შუკები, რომლებმაც აღმოსავლეთი მომავონა. მაღალი ტემპერატურა აგვისტოში. სრულიად განსხვავებული დროის შეგრძნება: ვგულისხმობ, რომ ხშირად რაღაც საქმეს აქ ბევრად უფრო მეტი დრო სჭირდება, ვიდრე



დომინიკ ირტენკაუფი

გერმანიაში. ასევე რიგითი ადამიანების კეთილგანწყობა და დახმარებისათვის მზაყოფნა, მაგალითად, მაღაზიაში: მე ხომ არც ქართული ვიცი, არც რუსული და ეს ხშირად პრობლემებს მიქმნის. ზოგი რამ, რასაც ვაწყდები, ნაკლებად მომწონს: თუნდაც ევროპული საქონლის ასეთი მოძალეა. რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე ერთი მეორის მიყოლებით იხსნება ახალი მაღაზიები: ბენეტონი, ემპორიო არმანი, ლევისი, ლაკოსტა და სხვა ცნობილი ფირმები. გერმანიაში ეს ფირმები არავითარ როლს არ თამაშობს, ისინი არაფერს გვეუბნება იმ ადამიანთა სულზე, რომლებიც ამ ტანისამოსს ატარებენ. შვეიცარიელმა მწერალმა გოტფრიდ კელერმა ერთ-ერთი თავისი ნაწარმოების სათაურში ირონიულად გამოიყენა ცნობილი გამოთქმა: ტანისამოსი ქმნის ადამიანს.

არ ვიცი, მაქვს თუ არა ამგვარი განსჯის უფლება, მაგრამ როდესაც ვხედავ, რომ ქართველ სკოლის მოწაფეებს ძვირფასი „ძონძებით“ მოაქვთ თავი, ისინი ჩემში სიბრაულეს ინვევენ. იმიტომ, რომ, თუკი მართლა სურთ ევროპას მიუახლოვნენ, ევროპული ნაწარმის ყიდვას ურჩევნიათ ინგლისური, გერმანული ან ფრანგული ისწავლონ.

თუკი საქართველო არ დაამყარებს შინაგან კავშირს ევროპის ენებსა და კულტურებთან, მაშინ ის ევროკავშირში შესვლის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ ევროპული ბაზრის უსახურ და უმნიშვნელო დანამატად იქცევა. ეს, რა თქმა უნდა, გერმანულ თუ იტალიელ ვაჭრებს გაახარებთ, რომლებსაც საშუალება მიეცემა თავიანთი პროდუქციის გასაღებისა...

ცხადია, ევროპული ტანისამოსისადმი ინტერესი არ გამორიცხავს, რომ არსებობს სხვა, ჭეშმარიტი და ღრმა ინტერესი ევროპისადმი, და მაინც, ზოგიერთი ქართველის სწრაფვა დასავლეთისაკენ ცოტა არ იყოს ზედაპირულად მეჩვენება. ეს, რა თქმა უნდა, კონკრეტულ პიროვნებაზეა დამოკიდებული. იმის თქმა მსურს, რომ ვიდრე ერთიან ევროპასა და ევროგაერთიანებაზე ვისაუბრებთ, ამ გაერთიანების ცალკეულმა ნაწილებმა ერთმანეთს უნდა გაუგონ.

გერმანიაში, მაგალითად, დღეს ასეთი ვითარებაა: უმაღლესი სასწავლებლებში ლიტერატურისა და მსგავსი დარგების კათედრები იხურება, რადგანაც სახელმწიფო ბიუჯეტის დიდ ნაწილს ტექნიკურ ინდუსტრიაში დებს. აი, ასეთ პირობებში ვის დაინტერესებს, ვთქვათ, საქართველოს ერთი პატარა რეგიონის, სვანეთის, ტრადიციები და ნეს-ჩვეულებები? ანდა ვინ დაინტერესდება ქართული ლიტერატურის გერმანულ ენაზე თარგმნით? მე კი ეს საკითხები მით უფრო მალეღვებს მას შემდეგ, რაც თქვენი თვითმყოფადი კულტურა გავიცანი.

– თუ შეიძლება, უფრო დანვრილებით გავვიზიარეთ თქვენი შთაბეჭდილება ქართულ ლიტერატურაზე: რომელი მწერლები მიგაჩნიათ საინტერესოდ არა მხოლოდ პირადად თქვენთვის, არამედ ზოგადად ევროპელი მკითხველისათვის? მხოლოდ კლასიკოსებს როდი ვგულისხმობ: რომელ თანამედროვე ავტორს თუ ლიტერატურულ მიმდინარეობას მიანიჭებდით განსაკუთრებულ მნიშვნელობას?

– როგორც უკვე აღვნიშნე, ქართულ ლიტერატურაში ძალზე ბევრ მითოლოგიურ მოტივს მივაგენი და სიამოვნე-

ბით განვაგრძობ მათთვის თვალის მიდევნებას. ქართული ლიტერატურის შესწავლა ჯერ ეს-ესაა დავიწყე. თბილისში ასე თუ ისე გავეცანი ისეთ კლასიკოსთა შემოქმედებას, როგორებიც არიან შოთა რუსთაველი, გრიგოლ აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, პაოლო იაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიცინან ტაბიძე, ოთარ ჭილაძე და სხვანი. გერმანიაში აუცილებლად განვაგრძობ ამ მიმართულებით კვლევას, რადგანაც, როგორც კომპარატისტი, დაინტერესებული ვარ უცხო ქვეყნების ლიტერატურით. ამ პროცესში მხოლოდ კითხვითა და მეცნიერული კვლევით არ ვიფარგლები, არამედ ვცდილობ, როგორც მწერალმა, სხვა ავტორთა სტილისტიკა გავითავისო და შემოქმედებითად გამოვიყენო მათი გამოცდილება. ქართველი ავტორების სტილი ძალზე ნათელი და სადაა და, იმავდროულად, მას მითოსურ განზომილებებში შეეყავართ.

ქართველი მეგობრები მიაბობენ, რომ ჩემი თაობის (30 წლამდე) მწერლებს განსაკუთრებით უჭირთ თავიანთი შემოქმედების გამოქვეყნება, რადგან მწერლურ საქმიანობას თქვენთან, როგორც ჩანს, გარკვეულ ასაკობრივ სიმწიფეს უკავშირებენ. მე ვისურვებდი, რომ თქვენმა ახალგაზრდა ნიჭიერმა მწერლებმა მეტი აღიარება მოიპოვონ სამშობლოში და შემდეგ, ადრე თუ გვიან, მის ფარგლებს გარეთაც. ახალგაზრდული ლიტერატურა ძალზე ხშირად სრულიად მოულოდნელ პერსპექტივებს ხსნის მკითხველის წინაშე.

თქვენს შეკითხვას დავუბრუნდები: უძველესი ქართული ტრადიციის (ვგულისხმობ საკუთარი ისტორიის და, უპირველეს ყოვლისა, ფოლკლორში აღბეჭდილი ეროვნული მითოსის გაცნობიერებას) კავშირს პოსტმოდერნულ კომპოზიციებთან ყველაზე მკაფიოდ გივი მარგველაშვილის შემოქმედებაში ვხედავ. მოგეხსენებათ, ეს ავტორი გერმანულ ენაზე წერს და ბერლინში ცხოვრობს. სხვათა შორის, თქვენს მკითხველს ვურჩევ, გაცნოს, – თუკი ჯერ არ იცნობს, – ავსტრიულ ლიტერატურულ ჟურნალ „შძ“-ის სპეცნომერს, რომელიც მთლიანად ქართულ ლიტერატურას ეძღვნება (2007 წლის მარტი, 115). იგი დათო ბარბაქაძისა და „შძ“-ის რედაქციის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია. ამ კრებულში წავაწყდი თანამედროვე ქართული ლიტერატურის ჩემთვის ძალზე საინტერესო ტენდენციას, რომელიც, ერთი მხრივ, ხანგრძლივ ტრადიციას ეყრდნობა, მეორე მხრივ კი, ცდილობს გაარღვიოს ტექსტის ზედაპირი. ეს ნიშნავს, რომ ამ ნაწარმოებებში თვითონ წერის პროცესია თემამატიზირებული: მკითხველი უბრალოდ კი არ კითხულობს თეთრ ფურცელზე დაბეჭილ შავ ასოებს, არამედ ყოველ ნაბიჯზე უწევს იმის გაცნობიერება, რომ ტექსტის კითხვაშია ჩართული. ეს მას სრულებით არ უშლის ხელს, მონათხრობი ამბით დატკბეს.

ეს მიმართულება ჯერ კიდევ ქართულ სიმბოლიზმში იყო შესამჩნევი, რომელსაც სრულად ჰქონდა გააზრებული თავისი კავშირი ფრანგულ პოეზიასთან. სამწუხაროდ, გერმანიაში გდრ-ს გაუქმების შემდეგ შეწყდა ქართული ლიტერატურის თარგმნის უწყვეტი პროცესი. დღეს აუცილებელია ხელახლა გავუღვივოთ გერმანულ მკითხველს ქართული ლიტერატურისადმი ინტერესი. სწორედ ამიტომ ძალზე მახარებს, რომ დღეს საქართველოში ბევრი ნიჭიერი მთარგმნელი (განსაკუთრებით ბევრი მთარ-

გმნელი ქალი გავიცანი აქ ყოფნისას) ენერგიულად და კვალიფიციურად მუშაობს ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული კავშირების გასაძლიერებლად.

– ქართველების ეროვნული სახასიათო თვისებებიდან, ანდა საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარემოებათაგან რომელზე გაამახვილებთ ყურადღებას თქვენს წიგნში?

– საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მეგობრულ თანადგომას: ხანდახან, ფულის ან სხვა საშუალებათა ნაკლებობის მიუხედავად, ხალხი მაინც ცდილობს, ერთმანეთს მხარში ამოუდგეს და საერთო ძალებით დასძლიოს ესა თუ ის პრობლემა. მეორე მხრივ, არაერთხელ შევესწარი ქუჩაში საკმაოდ ხმაურიან და უხემ სცენებს. ეს, ალბათ, ქართველ მამაკაცთა ტემპერამენტთანაა დაკავშირებული. ასევე ვერ ვიზიარებ თქვენი ხალხის განსაკუთრებულ სიყვარულს ავტომანქანით მგზავრობისადმი. გერმანიაში, იმ წრეში, რომელთანაც მე ვურთიერთობ, სამგზავროდ უფრო მეტად ველოსიპედს, ავტობუსსა და მატარებელს იყენებენ.

ჩემს წიგნში მსურს ხაზი გავუსვა ქართველების უნარს, დიდი გაჭირვების მიუხედავად, არ დაყარონ ფარ-ხმალი და განაგრძონ დანაწევრი საქმე. თქვენი მითოლოგიური გმირი ამირანი თანამედროვე ვითარების სიმბოლოდ მესახება. განსაკუთრებულად მძიმე, კრიტიკულ მომენტებში ეროვნული გმირი თავს ნამოჰყოფს ხოლმე ქართველთა გულეში და ყურში გამამხნეველ სიტყვებს ჩასჩურჩულებს. საქართველოს შფოთიანი და სისხლიანი ისტორია აქვს. მინდა ჩავუღრმავდე ამ „ტრადიციას“ და გამოვარკვიო, შესაძლებელია თუ არა დღეს ამ ქვეყნისათვის სატკივართა მშვიდობიანი გზით მოგვარება.

ამასთან, არ გამომრჩენია ისიც, რომ დღესდღეობით ქართველებისათვის მითოლოგიაზე ბევრად უფრო დიდ როლს რელიგია თამაშობს.

– უცხოელ თუ გრძნობთ თავს თბილისში? თუ მართლაც ასეა, მაშინ გთხოვთ დააკონკრეტოთ, რითი გამოიხატება ეს სიუცხოვე?

– დიახ, უცხოელ ვგრძნობ თავს. ეს ქუჩაში გასვლისთანავე იწყება, როდესაც გამეღელთა ცნობისმოყვარე მზერას ვიჭერ. იმთავითვე მატყობენ, რომ ევროპელი ვარ. ალბათ, ჩემი სახის, თვალების გამო. საყიდლებზე რომ გამოვდივარ, ცნობისმოყვარე მზერას ცნობისმოყვარე კითხვებიც ემატება, რომლებსაც სიამოვნებით ვპასუხობ. სიუცხოვეს, პირველ რიგში, რასაკვირველია, ჩემი ენობრივი ბარიერი ქმნის. არსებობს ფილმი (ბილ მარისა და სქარლეთ იოჰანსონის მონაწილეობით), რომელსაც ეწოდება „თარგმანში გზაბნეული“. მეც იგივე მდგომარეობაში ვარ: თარგმანში ვარ გზაბნეული, მაგრამ ვცდილობ ეს მდგომარეობა ნაყოფიერად გამოვიყენო ჩემს პროექტში, რადგან იმისათვის, რომ გადავცურო ეს მანძილი გერმანული ნაპირიდან ქართულ ნაპირამდე, ვარგმანია საჭირო. მხოლოდ ენობრივ თარგმანს როდღე ვაგულისხმობ: საჭიროა კულტურულ და ფსიქოლოგიურ ბარიერთა გადალახვა.

– თქვენს მხატვრულ ფრაგმენტში „ჩამოშვებული ხორთუმი“ „ნითელი ჯვრის“ საქმიანობას აღწერთ. რატომ გაინტერესებთ ეს თემა?

– თემატიკის შერჩევასა რალაც კონკრეტულ ფილოსოფიურ კონცეპციას არ მივყვები, არამედ ვირჩევ ნებისმიერ თემას, რომელიც საკმაო შემოქმედებით ასპარეზს მთავაზობს. ამ ტექსტში მე გამოვხატე ჩემი ინტერესი იმ ადამიანთა მიმართ, ვინც ბედისწერის უმძიმესი დარტყმების გამო თანდათან ქუჩის აზრსმოკლებულ და საზარელ ცხოვრებამდე დაეცნენ. ავგისტოს დასაწყისიდან მოკიდებული საქართველოში უამრავი ახალი შთაბეჭდილება შევიძინე და არავითარ შემთხვევაში არ მსურს თვალი დავხუჭო რეალობაზე: პრინციპისა და ჯადოქრების შესახებ ზღაპრების წერის მაგიერ მწერალმა მის გარშემო არსებული რეალობა უნდა ასახოს. რა თქმა უნდა, მან ეს რეალობა სტილისტურად, შემოქმედებითად უნდა დაამუშავოს. მხოლოდ ამის შედეგად იქნეს მხატვრული ტექსტი მიმზიდველობას მკითხველისათვის.


– დასასრულს გთხოვთ გვიამბოთ თქვენს სამომავლო გეგმებზე. ისურვებდით თუ არა შემდგომშიც, სტიპენდიით გათვალისწინებული ვადის გასვლისას, საქართველოში ცხოვრებისა და მუშაობის გაგრძელებას?

– მალე უნდა გავემგზავრო და, მართალი გითხრათ, მიჭირს საქართველოსთან დამშვიდობება, რადგან აქ ძალზე ბევრი მეგობარი შევიძინე, თუმცა ისევ და ისევ მიწევს ამის გამოვრება: „მე ქართული ცოტა ვიცი“ (ქართულად ამბობს). სიამოვნებით უფრო დიდი ხნითაც დავრჩებოდი, მაგრამ გერმანიაში რამდენიმე პროექტი მელოდებოდა, პირველ რიგში, ჩემი დისერტაცია, რომლის დასრულებასაც გაისად ვაპირებ.

როგორც უკვე ვთქვი, ვაპირებ ბოლომდე დავწერო საქართველოს შესახებ წიგნი. მას კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება. სხვა წიგნებსაც ვგეგმავ. მაგალითად, მინდა დავწერო რომანი ალქიმისკოსთა შესახებ. რომანის პერსონაჟები და მოვლენების განვითარება ჯერ კიდევ ზუსტად არ მაქვს წამოდგენილი.

უკვე დანამდვილებით ვიცი, რომ კვლავ ჩამოვალ საქართველოში გაზაფხულზე. მსურს განვაგრძო თქვენს ქვეყანასთან ურთიერთობა და თანამშრომლობა. ამით ჩემი ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნასაც ვგულისხმობ. სიხარულით მოველი საქართველოსთან მომავალ შეხვედრას.

ესაუბრა
თამარ კოტრიკაძე



ციალა არდაშელია

„მოდი-ნახე“ მეცისოვნანი

თავად სიმონოვიჩი მზადაა, თუნდაც ხვალვე ეახლოს ქეთევანს და პირადად მოახსენოს სათქმელი. მანამდე კი ქეთევანმა, რომ ირწმუნოს რუსთა ჯარის სარდლის სიმონოვიჩის განზრახვის სინრფელე, გიგო მზადაა ახლავე, დღესვე ხატზე დაიფიცოს ეკლესიაში და ამავე დროს შეასრულოს უძველესი, ხალხში დამკვიდრებული წეს-ჩვეულება – დედობილ-მვილობილობისა, ანუ შვილად მოკიდებისა.

დაიხ, ქეთევანმა უნდა დაიჯეროს, რომ გრიგოლ წერეთელიც მამულიშვილია, რომ ზურაბ წერეთლის ვაჟსაც არავისზე ნაკლებად არ შესტკივა გული თავის მრავალტანჯულ ქვეყანაზე, ასეთ უმძიმეს დღეში რომ ჩავარდა, რომ ყველაფერი ის, რაც ხდება, გაუგებრობისა და უნდობლობის ნაყოფია და არა რუსთა ხელმწიფის წინასწარგანზრახული ბოროტება.

– კი, მარა ქართლ-კახეთის მაგალითი ხომ წინ გვიძევს, თავადო, – შეეპასუხა ქეთევანი ფრთხილი ხმით – და ისიც, თუ რაფერ მოექცნენ ჩვენს მეფესო!

– ჩემო ძვირფასო რძალო, მოდი ყოლიფერს სხვებს ნუ დავაბრალებთ... ჩვენც ძან გვეხერხება ერთმანეთის ნახდენა!

– რუსთა ხელმწიფის ვერაგობა რომ არა, შეიძლება ასე არ დამთავრებულიყო ჩვენი საქმე! – არ შეეპუა ქეთევანი გრიგოლს. და გააგრძელა:

– განა ჩვენმა მეფემ არ მისწერა რუსთა ხელმწიფეს, თუ დამიჯერებთ, მე თვითონ შემოვალ თქვენთან და უცხო ჯარებს – ოსმალოებს აღარ დავეძებ, რომ ღვთის და თქვენი შემანუხებელი საქმე არა მოხდეს რაო.

– სოლომონ მეფე ოსმალებთან ბრძანდება ახლა!

– მანამდე? მანამდე რა მოხდა-თქვა? გლეხი ივანიკა სარალიძე რომ არა, ჩვენი მეფე ახლაც სატუსალოში იქნებოდა გამოკეტილი, ესეც არ იკმარეს – მარიამ დედოფალს დაესხნენ თავს მოულოდნელად და დაატყვევეს! ეს ეკადრება ესოდენ დიდ, ერთმორწმუნე, ქრისტიან, ძლიერ სახელმწიფოს და მის ხელმწიფეს?... განა სწორედ სოლომონ მეფე არ იყო, დაჟინებით რომ მოითხოვდა 1804 წელს დადებული ხელშეკრულების მუხლების შესრულებას?

ესე იგი შინაურ საქმეში ჩაურევლობას, ბაგრატიონთა ტახტის ხელშეუვალობას რომ გულისხმობდა?

განა ისეც რუსებმა არ დაარღვიეს იმერთა სამეფოსთან დადებული ხელშეკრულება? სოლომონ მეფეს ხომ რუსთა მფარველობაზე უარი არასდროს უთქვამს?

გრიგოლ წერეთელი მხერადახრილი ისმენდა ქეთევანის საბუთიან, აზრიან მსჯელობას იმ ცნობილ მოვლენებზე, რაც მაშინ ყველასათვის აშკარა და თვალსაჩინო იყო.

– განა მთავარმართებელმა ტორმასოვმა მოსალაპარაკებლად მისული მეფე არ დაატუსაღა? სხვა რა გზა ჰქონდა

გაქცევის და ოსმალებთან თავშესაფრის ძებნის მეტი სოლომონ მეფეს?

გრიგოლი, მცირეოდენი დუმილის შემდეგ, შემპარავი ხმით შეეპასუხა თვალაკვესებულ ქეთევანს, რომელიც ცდილობდა გრძნობები მოეთოკა და ალღელება არ გამოემულავნებინა მოციქულის წინაშე, თუმცა თავს ატყობდა, რომ მთლად კარგად ვერ ახერხებდა განზრახულის შესრულებას.

– რუსთა ხელმწიფეს ბევრ ამბავს არასწორად აწვდის ზოგი მისი ქვეშევრდომი, მარა... ახლა სხვანაირადაა საქმე, ქეთევან ბატონო! რუსთა იმპერატორი ხედავს, რომ მიუხედავად იმისა, იმერეთის ორივე სამთავრო – გურია და ოდიში მის მფარველობაშია უკვე, თუკი სოლომონ მეფე არ მოინდომებს მფარველობას, მდგომარეობა ძან აირევა ამიერკავკასიაში, ისევე იპარპაშებენ ოსმალები და ირანელები, სისხლისღვრა გაგრძელდება და ისედაც გატანჯული ჩვენი ხალხი, უარესად გაიტანჯება. მთავარმართებელს რუსთა ხელმწიფისგან ახალი განკარგულებანი მოუვიდა და სიმონოვიჩის პირით უნდა ახლა თქვენთან მოლაპარაკება.

– ჯერ... ზარბაზნების მეშვეობით, არა?

გრიგოლ წერეთელმა ისევე განაგრძო სიტყვა ისეთი სახით, თითქოს არ გაუგონია ეს გესლიანი შენიშვნა: – ჰო, ჩემო ბატონო, ახლა სხვანაირადაა საქმე-თქვა. ორივე მხარემ უწყის თქვენი გონიერება, სიღარბისლე, ერთგულება იმერთა მეფისადმი და იმერთა მეფის დიდი ნდობა და პატივისცემა თქვენს მიმართ. რუსების მხარე იმედოვნებს, რომ სწორედ თქვენ შეგიძლიათ ზეგავლენა იქონიოთ მეფეზე, თქვენს მეუღლეზეც და მოხდეს დიდი შერიგება, წყნის დაინწყება, ნდობის აღდგენა, რომ ორივე მხარეს შორის ჩამოვარდეს მშვიდობიანობა.

ჩვენც – მე და მამაჩემი ზურაბი – კვლავ, რაფერც წინათ, დღესაც მზად ვართ ერთად ვიყოთ, ერთად ვიზრუნოთ ჩვენს გაპარტახებულ, გავერანებულ სამშობლოზე. თუ იმერეთი გადარჩა, ქართლ-კახეთსაც ეშველება უთუოდ! აკი ადრეც ლიხიმერთა თაოსნობით, გაერთიანებულა სრულიად საქართველო ბაგრატიონთა სკიპტრის ქვეშ!

ჩვენ, მე და მამაჩემი და კიდევ ბევრი სხვა, ვინც ახლა, სოლომონ მეფის მოწინააღმდეგეთა ბანაკში ვართ, კვლავ დავდგებით მის გვერდით!

ჩვენ ყველას გვჯერა და გვწამს, რომ თქვენ შეგიძლიათ შეარიგოთ ორივე მხარე, რათა ჩვენი ქვეყანა კვლავ ფეხზე წამოდგეს, წელში გაიმართოს რუსთა მფარველობის ქვეშ და როგორც ოდესღაც – დავითისა და თამარის დროს – გაბრწყინდეს ნიკოფსიით დარუბანდამდის!

მაშინ ვერც ოსმალები დაგვაკლებენ რამეს და ვერც ირანელები – მიწყით-დასაბამიდან ჩვენი და ქრისტიანობის მოსისხლე მტრები რომ არიან!

დანარჩენს თავად ბატონი სიმონოვიჩი მოგახსენებთ, თუკი ისურვებთ მასთან შეხვედრასო, – დაამთავრა გიგო წერეთელმა თავისი სიტყვა.

ქეთევანი სიმონოვიჩთან შეხვედრას დათანხმდა. ოღონდ მანამდე კი გიგო შეასრულებდა ყველა იმ პირობას, რაც აღუთქვა ქალბატონ ქეთევანს, ანუ ხატზე დაფიცებას და შვილობილად მოკიდების წეს-ჩვეულებას, რაც ჯერაც წმიდა ადათად ითვლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოში.

ციხე-კოშკის ერთ-ერთ მოზრდილ დარბაზში სტუმრის ჩათვლით, ათიოდე კაცი უსხდა სუფრას, უფრო სწორად, თავ-თავისი ტაბლა ედგა ყოველ მათგანს. ვახშობამდე გრიგოლ წერეთელმა ეკლესიაში, სამების ხატზე დაიფიცა, რომ სიკვდილამდე სოლომონ II-ს, ქეთევანისა და ქაიხოსროს ერთგული იქნებოდა და მეფის ღალატს გულში არ გაივლებდა.

შემდეგ გრიგოლს უნდა შეესრულებინა თავისი მეორე პირობა: როცა შეკრებილთა წინაშე ქეთევანი მკერდს მოიშვილებდა, გიგო წერეთელს, შვილად მოკიდების ნიშნად – ძუძუებზე კბილი უნდა დაედგა და სამჯერ წარმოეთქვა: შენ – დედა და მე – შვილიო.

ეს იყო ჟრუანტელისმომგვრელი, ამაღლებული სანახაობა. თითქმის ყველას ცრემლი მორეოდა თვალებში. საგულსისხმო იყო ის ამბავიც, რომ ამ ძველებურ, ხალხურ წესს ასრულებდა თუმცა წარმოშობით ქართველი, მაგრამ მაინც რუსთა ხელმწიფის მაღალჩინოსანი – რუსთა ერთ-ერთი ბატალიონის მეთაური.

აღლევებულმა ქეთევანმა შუბლზე აკოცა თავისი შვილობილი და თვალცრემლიანი ღიმილით გვერდზე მოისვა.

დაიწყო პურობა, როგორც შეეფერებოდა მდგომარეობას – ზომიერი ჭამა-სმით, ზმებით, ხუმრობა-ოხუნჯობით და რა თქმა უნდა, სიმღერით.

გრიგოლის ყურადღება ანაზღეულად მიიპყრო მწდემი, იგი თვალგაშტერებული მისჩერებოდა ერთ ხანს ბუხუტიას, მერე ქეთევანისკენ დაიხარა და ხმადაბლა ჰკითხა – ვინ არის ეს ბიჭიო!

ქეთევანმა თვალებით გაუღიმა შვილობილს – მოგეწონა, არა?

– ასეთი სილამაზე დიდი ხანია არ მინახავს. ვინ არის, სადაურია?

– ჩემი ძიძიშვილის გუჯი ბერაძის ბიჭია. ჩემს შვილებში ვერ ვარჩევ, ისე მიყვარს.

– გლეხის შვილი და... ასეთი? – წამით გაჩუმდა და მერე დაამატა: – ნებისმიერ ევროპულ სასახლეს დაამშვენებდა ეს ყმანვილი.

ქეთევანს ეამა თავისი გაზრდილის ქება და გრიგოლს ღიმილით მიმართა:

– ჩემი გუჯი ნაკლებია? შეხედე ერთი, რა ვაჟკაცია, რა წარმოსადეგი, რა ზრდილი, ნამდვილი რაინდია!

გრიგოლმა დაკვირვებული მზერით შეათვალიერა მოშორებით მჯდარი ლურჯთვალეა გოლიათი, მეტწილად მდუმარედ რომ იჯდა და მდუმარეთვე სვამდა ღვინოს.

– მის გვერდით რომ ზის... ის ვილაა?

– ო, ეს ჩვენი მეციხოვნე ბასილიკაა, ღონდაქე, კრწანისის ომის მონაწილე... ჩემს ქაიხოსროს ახლდა მაშინ ბრძოლაში... შემთხვევით გადაურჩა სიკვდილს... დიდი ვაჟკაცი და თავისი საქმის უბადლო ოსტატი გახლავთ.

– ანუ...

– მეზარბაზნეა! მეფე ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ ერთხანად თბილისში იყო. რუსების შემოსვლის მერე დაბრუნდა ჩვენში.

ლხინი გამრავალკეცდა. უცებ, მოულოდნელად გრიგოლმა მრავალყამიერი წამოიწყო. სტუმარი კმაყოფილი ჩანდა დღევანდელი დღით, ქეთევანთან მიღწეული შეთან-

ხმებით, იგი ხომ ხვალ დილით ციხე-სიმაგრეში უნდა შემოძლოდა პოლკოვნიკ სიმონოვიჩს შემდგომი მოლაპარაკების გასამართავად.

რაკილა სტუმარი ადრიანად უნდა ამდგარიყო, ლხინი დიდხანს არ გაგრძელებულა, თუმცა ღვინო მაინც ბევრი დაილია.

გრიგოლს პირველ სართულზე, გუჯისთან უნდა მოესვენა ღამით, ამიტომაც გუჯი და ბუხუტია სტუმარს თავისი სენაკისკენ წაუძღვნენ, დანარჩენებიც, საკმაოდ შეზარბოშებულნი, თავიანთ სამყოფელს დაუბრუნდნენ.

... ქეთევანი იწვა თავის ვინრო სანოლზე და თვალს რული არ ეკარებოდა: ხვალინდელ დღეზე და სიმონოვიჩთან შეხვედრაზე ფიქრობდა, გონებაში მერამდენედ აღადგენდა დღის მოვლენებს, ყოველ წერილმანს. განსაკუთრებით ჩაკირკიტებდა გიგოს ყოველ სიტყვა-პასუხს, მის ყოველ მოძრაობას, გამოხედვას – თითქოს ვერაფერს პოულობდა საეჭვოს. პირიქით. რა გულიანად მოილხინა, რა იმღერა ყელმოდერებულმა, გუჯიც რომ აიყოლია!..

რა ლალად იცინოდა!.. გულწრფელი და ალალი ჩანდა იგი მაშინაც, როცა გულისტკივილით წარმოთქვა – ჩვენ, სამწუხაროდ, უფრო ერთმანეთის წახდენა გვეხერხება, ვიდრე ერთად დგომაო. ეტყობოდა, რომ ფრიად მოსურნე იყო მშვიდობიანად საქმის მოგვარებისა.

ძილ-ღვიძილში თავისდაუნებურად გონების დაფაზე ელვისუსწრაფესად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს წარსულის სურათები, ხსოვნის ფსკერიდან ამოტივტივებას იწყებდნენ ან თითქოს გადავიწყებული ეპიზოდები და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ცოცხლდებოდნენ მისი შინაგანი მზერის წინაშე.

წიაღვარვით მომსკდარ მოგონებებში განსაკუთრებით დაჟინებით ქაიხოსროსთან პირველი შეხვედრის სცენა წარმოუდგებოდა თვალწინ. ქაიხოსროს სტუმრობა ბიძამისთან – როსტომ აბაშიძესთან. მერე, როგორც შემდგომ გაირკვა – ეს სტუმრობა მომხდარა თურმე ბიცოლა ვალიდას თაოსნობით და გარკვეულ მიზანს ისახავდა, ანუ შეხვედრას ახალგაზრდებისა – ქაიხოსროსი და ქეთევანის...

ის პირველი ელდა... ქაიხოსროს ანთებული თვალები და ამ მაღმერთებელი მზერისგან მოგვრილი თრთოლვა! მერე ერთად ნადირობა...

რა დაავინყებს იმ წამებს ქეთევანს!.. რა საამური ჩანდა ცხოვრება 16 წლის გოგონასათვის, როგორი იმედით და რწმენით ხვდებოდა ყოველ გათენებას – როცა ეგონა, რომ მომავალი მხოლოდ წარმატებას, სიამეს და სიხარულს უქადდა. როგორ ეხალისებოდა აგრეთვე ვალიდა ბიცოლასთან ერთად ღამის ტეხვა ძველი წიგნების კითხვაში, საქართველოს მომავალზე ბჭობასა და ფიქრში რამდენჯერ შეუმჩნევლად დასთენებიათ! როგორი აღფრთოვანებული იყვნენ სახლულო და განსაკუთრებით ვალიდა ბიცოლა სოლომონ I-ის მეუღლის მარიამ დედოფლის, ოტია დადიანის ასულის – შემართებით, გონიერებით, სწორედ მარიამ დედოფლის თაოსნობით მიიღო სოლომონ I-მა ტყვეთა სყიდვის აკრძალვის კანონი... პატარა გოგონასთვის მარიამ დედოფალი და ვალიდა ბიცოლა სწორედ რომ სამაგალითოდ იყვნენ ქცეული.

ქაიხოსროს გამოჩენამ ერთგვარად სასწორი მომავალი საქმროსკენ გადახარა, თუმცა სოლომონ I-ის მეუღლე მარიამ დედოფალი და ვალიდა აფაქიდის ქალი სამუდამოდ დარჩა მის მეხსიერებაში, როგორც ბავშვობის ყველაზე ნათელი მოგონება... დღემდე რომ მოჰყვებოდა, და აგრეთვე ის ღრმა ტკივილი, გამზრდელი ბიცოლას სიკვდილმა რომ მიაყენა...

დრო გადიოდა. ყმანვილური აღმავრენაც თანდათან ქრებოდა, რადგან რეალური ცხოვრება ბევრად უფრო სასტიკი და დაუნდობელი აღმოჩნდა, ვიდრე ამას ოდესმე წარმოიდგენდა.

გამუდმებული ომიანობა, სასახლის კარის არეულობანი, გაუთავებელი უსიამოვნებანი, შიში, წუხილი, შფოთვა, ცრემლი და მწუხარება – ერთმანეთს ენაცვლებოდნენ, სიხარულთან ერთად – მოვალეობასთან, დედობასთან, ცოლობასთან გადაჯაჭვულ-გადახლართული რომ იყო.

მერე მამაკაცურმა საქმიანობამ უკანა მხარეს გადასწია ქალის პირვანდელი მონოდება-დანაშინებულება. აკი გადაუკრა კიდეც გრიგოლმა ქეთევანს, შენაირ მანდილოსნებს მამაკაცები ხელის გულზე ატარებენ უცხოეთში, სრა-სასახლეებში აცხოვრებენ და ფუფუნებასა და განცხრომაში ჰყავთო. და არა ისეთ პირობებში, შენ რომ ხარო. – ეს გულში თქვა, ცხადია – შენ კი აქ გინევს ყოფნა... – გიგომ არ დაასრულა აზრი, მაგრამ იგულისხმებოდა ის პირობები, რომელშიც იმყოფებოდა მანდილოსანი, დიდი გვარის შვილი, დიდი ოჯახიდან... ისიც შენიშნა გიგოს მახვილმა თვალმა, თავადის ქალი ასეთ გულთბილობას და სიყვარულს რომ იჩენდა გარშემომყოფთა მიმართ, დიდგვაროვანი იქნებოდა იგი თუ დაბალი წოდებისა.

ქეთევანმა ფრიად თავაზიანი, მაგრამ მტკიცე კილოთი უთხრა: იესო ქრისტეს, ჩვენი ღვთის წინაშე, ყველა ადამიანი თანაბარია, ჩემო გიგო, ხოლო რაც შეეხება ჩვენი მანდილოსნების მძიმე მდგომარეობას, საყვარელო, ჩვენ, ქართველ ქალებს სხვა, გამორჩეული ხვედრი გვარგუნა უფალმა – ჩვენ ხშირად ხმლით გვინევს დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ოჯახი და სარწმუნოებაო.

მხოლოდ გამთენიისკენ ჩაეძინა ქეთევანს ფიქრებისგან, განცდებისგან, შთაბეჭდილებათა ნაკადისგან გასავათებულს. რამდენიმეჯერ თავის ღრმად ძილში წასული მოახლეებისა შემურდა კიდეც! თუმცა, არც ამით ყოფას ეთქმოდა უზრუნველი არსებობა. დიახ, ამ პატარა გოგონებსაც, მის ფრთებს ქვეშ რომ იყვნენ შეყუჟული და მისი იმედით რომ სულდგმულობდნენ მხოლოდ – ერთობ უჭირდათ.

... უცებ ვერც გაიგო, რა ხდებოდა?

თათას და მაკუნას შემოიღმა სახეებმა და ხმამალალმა ტირილმა მყისვე მოიყვანა გონს ძილიდან ახლად გამოფხიზლებული. ზეაიჭრა:

– რა, რა იყო, ბოგშვებო?!

– ქალბატონო... ქალბატონო... დევილუპეთ... რუსის ჯარი... რუსის სალდათები...

რუსის ჯარიო?!

თოფების ხათქა-ხუთქი, ველური ყიჟინა გარკვევით შემოიჭრა ციხე-კოშკის მეორე სართულის ოთახში. წამიც და... რამდენიმე რუსის სალდათი ხმაურით, ბრაგუნით შემოცვივდა ქეთევანის სამყოფელში.

დამბლადაცემულივით გამეშვულიყო თვალბადქცეული ქეთევანი. ვერა და ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა? რა მეხი დაეცათ ასე უცბად, ასე მოულოდნელად?

ერთი ახალგაზრდა ქართველი ოფიცერი მიეჭრა ქეთევანს და უკმები კილოთი უბრძანა, ქვემოთ წამობრძანდით, ქალბატონოო.

ქეთევანი თითქოს ბურანიდან გამოერკვა.

– შიშველი?... – და თვალი თვალში გაუყარა მოძალადეს.

– ჩაიცვით, ქალბატონო, ჩაიცვით! – თვალეები დახარა მომხდურმა და ანიშნა რუსის სალდათებს – გარეთ დაიცადეთო. თავადაც ღია, ვინრო კარში ჩადგა ზურგშექცევით.

აქეთინებული მოახლეები მიცვივდნენ ქალბატონს და ხელეების ცახცახით, ცრემლების ფრქვევით ჩაცმამი ეშველებოდნენ.

ქეთევანი იცვამდა და თან გამალებული გონებით ცდილობდა გაეაზრებინა, როგორ და რანაირად დატრიალდა მათ თავზე ეს უბედურება.

ნუთუ?!

მაგრამ...

ვით შეძლო?

რანაირად მოახერხა?

ან კი...

ეგებ... ეს, რაც ხდება ახლა, სიზმარია, ან ერვენება ქეთევანს, როგორც ეზმანა ვალიდა ბიცოლა წინა საღამოს?

სროლის ხმა ისევ ისე გარკვევით მოისმოდა ეზოდან.

... გუჯი, ბუხუტია?... სად არიან?..

სად იყვნენ გუშაგები? აკი მათ ევალეობდათ კოშკის დაცვა? რა დაემართათ?... ბასილიკა? ბასილიკა სადღაა? – ელვის სისწრაფით ენაცვებოდნენ ერთმანეთს კითხვები და, პასუხგაუცემლნი, ასევე სწრაფად ქრებოდნენ.

სალდათები ისევ შემოიჭრნენ ოთახში.

– Быстро, быстро сука... Мать твою...

მერე, როცა რამდენიმე სალდათმა აზლუქუნებულ მოახლეებს ჭიდაობა დაუნყო და თან ძალით გარეთ მიათრევდნენ – მეხდაცემულმა, გონდაკარგულმა ქეთევანმა, სახეზე მიტკლისფერი რომ დასდებოდა, გოგონებისაკენ გაიწია:

– ხელი... ხელი არ ახლოთ ამათ, თქვე ოხრიშილებო!

ქართველმა ოფიცერმა ქეთევანს გასასვლელისკენ უბიძგა: – დროს ნუ ვკარგავთ, ქალბატონო! მიბრძანდით, მიბრძანდითო!

ქეთევანმა, რისხვისგან თვალანთებულმა, კვლავ სცადა მიშველებოდა აკივლებულ გოგონებს, სალდათები ხორხორციით, ჭიხვინით რომ შემორტყმოდნენ გარშემო, მაგრამ რამდენიმე ჯარისკაცმა მკლავებში ჩასჭიდა ხელები და ჯიკავ-ჯიკავით ჩაიყვანეს იგი პირველ სართულზე.

... ქეთევანმა უანგარიშოდ, თვალით ძებნა დაუნყო მამაშვილს, ქვედა სართულის სენაკში რომ ეგულებოდა. მაგრამ იქ, რუსის სალდათები დამლიგინობდნენ ახლა უწმანური გინებითა და ღრიალით.

„ვაიმე შვილო!.. ვაიმე, ძმაო გუჯი!“ – უხმოდ, გულის სიღრმეში იკივლა ერთბაშად ქეთევანმა.

მერე, მუხლმოკვეთილმა, საშინელი ძალისხმევით შეძლო არ ჩაკეცილიყო, რიკულებიან მოაჯირს ორივე ხელით დაეყრდნო და უსაშველო ტკივილისგან გაგანიერებული თვალეები ირგვლივ მიმოატარა.

ეზო სავსე იყო მოგონიას რუსის სალდათებით. აქა-იქ ქართულად ჩაცმული მოხალისეც შერეოდა მათ. უკვე აღარ ისმოდა სროლის ხმა. ჩანდა, რომ საქმე მომთავრებულყო. თუმცა ხმაური და ღრინანცელი არ წყდებოდა. ეზოში აქა-იქ დახოცილთა გვაგები ეყარა.

ქეთევანისთვის დაახლოებით ნათელი შეიქნა, რა მოხდა ამ დილაუთენია. როგორც ჩანდა, გრიგოლ წერეთელმა ვითომდა მხოლოდ სიმონოვიჩის შემოსაყვანად ქალბატონთან მოლაპარაკების მიზნით – კარი გააღებინა დარაჯებს. ამ დროს გარეთ, ციხის გარშემო ჩასაფრებული რუსის როტა შემოიჭრა და ღრმა ძილში წასულ მეციხოვნეებს მოულოდნელად თავს დაესხა, ნაწილი განყვიტეს, ნაწილი კი – ტყვედ აიყვანეს.

„გუშაგები?... სად იყვნენ გუშაგები?“

ქალი თავზარდაცემული, აზრშერყეული იდგა და უაზროდ აცეცებდა ლიბრგადაკრულ თვალებს, ტუჩებზე კი – მკვდრის ღიმილი შერჩენოდა.

ქეთევანმა უცებ... მისკენ ჩქარი ნაბიჯით მომავალი გრიგოლ წერეთელი შენიშნა.

„ცულს მოვიტან, ცუნცულასა...“

ქეთევანმა ანგარიშიუცემლად მარჯვენა ხელი ისე მაგრად მოიჭირა მკერდზე, რომ სუნთქვა შეეკრა. მუხლები კი – ისევ ისე უთახთახებდა – ამ კანკალს ვერა და ვერ მორეოდა.

გრიგოლმა კიბის რამდენიმე საფეხური სწრაფად ამოირბინა და დედობილს წინ აესვებდა. შეძრწუნებული, სახე-გამტკნარებული ქეთევანი თვალდაუხამხამებლად მიმტყერებოდა შვილობილს.

ნუთუ ეს გამხეცებული, თვალეზასისხლიანებული, ტურ-პირმონგრეული ახალგაზრდა კაცი იყო წუხანდელი დარბაისელი, თავაზიანი, სანდომიანი ვაჟკაცი, ენადათაფლული, აღტაცებული მზერით თვალ-ნარბში რომ შესციცინებდა თავის ღვთივმშენიერ დედობილს?

ღმერთო დიდებულო!

ნუთუ შესაძლოა ასეთი ფერისცვალება ძე-ხორციელი-სა? და...

ნუთუ... შესაძლოა დედის ნაშობმა ჩაიდინოს ასეთი საზარელი ღალატი? ფეხით გათელოს, შეაგინოს და ჩაწიხლოს ყოველისფერი, რაც კი წმინდათა წმინდად მიაჩნია ქართველ ადამიანს?

რატომ? რის საფასურად ესოდენი ბოროტება?

– დამთავრდა ესე ამბავი თქვენი გმირული თავდადებისა, ქალბატონო ქეთევან! ახლა თქვენ, „ჩემო ძვირფასო დედობილო“, რუსის ჯარის და პირადად ჩემი ტყვე ბრძანდებით! – ტყვიასავით მიახალა გიგომ ქალბატონ ქეთევანს ეს სიტყვები და ტუჩებზე გესლიანმა ღიმილმა გადაურბინა. შემდეგ ცოტა განზე გადაგა და ხელის მოძრაობით ანიშნა, ეზოში ჩამოსულიყო.

„ვისი ტყვე ვარ მე? შე მონავ! მონავ! მონავ!“ – გაურბინა თავში ქეთევანს და ზარატანნილმა, ნებისყოფის არაადამიანური დაძაბვით, შეძლო წელში გამართულიყო, სხეულის თახთახიც დაეოკებინა. მის მორღვეულ თვალებში კი უცებ მრისხანების კოცონი აენტო:

– მაშ, ერთმანეთის წახდენა კარგად შეგვძლება ჩვენ, გრიგოლ ბატონო, არა? – სიტყვების დამარცვლით წარმოთქვა ქეთევანმა და თვალი თვალში გაუყარა მაზლის-წულს:

– ფუი, შეგირცხვეს ულვაში, შე არაკაცო! შემაფურთხესო?

გამძვინვარებული გიგო ანაზღად ნანწავებში წვდა თავის დედობილს, მას მყისვე ორი ჯარისკაცი მიეშველა და ქალბატონი ქეთევანი თრევა-თრევით ჩაიყვანეს გვაგებით მოფენილ ეზოში. უცებ, ეკლესიიდან გამოვარდნილი მამა ზოსიმეს ხმა ჩაესმა გონებადაბინდულ ქალს:

– იუდა ისკარიოტელო, იუდა ისკარიოტელო! იუდა ისკარიოტელო! კრულ იყოს შენი სახელი უკუნიით უკუნისამდე!

ქეთევანმა ნისლჩამდგარი თვალით დაინახა, როგორ მისცვივდნენ სალდათები მღვდელს, როგორ ჩაავლეს წვერში ხელები და რა უშვერი ლანძღვა-გინებით დაუწყეს ჯაჯგური, მერე ძირს დააგდეს და ზედ შედგნენ.

„ერთმორწმუნე“ რუსის სალდათები, „ერთმორწმუნე“ ქართველ მოღალატეებთან ერთად – დაუნდობლად ანგარიშს უსწორებდნენ „ურჯულ ბასურმანს!“

... უეცრად კოკისპირულმა წვიმამ დაუშვა. ნამისწამში გაილუმნენ სუყველანი – მომხდურნიც და ტყვედქმნილნიც. ერთბაშად ჩამონოლილ ნისლში თითქმის შეუძლებელი გახდა ერთმანეთის გარჩევა.

ქალბატონი ქეთევანისთვის კი უკვე სულერთი იყო: ცა ჩამოიქცეოდა თუ... მინა გაირღვეოდა... რამეთუ მისთვის დრო-ჟამს დინება შეენყვიტა!

მოგონებათა ბურანში დანთქმული ილუმენია გამოერკვა. მის წინ დაჩოქილი მოხუცი თავადი, გულში ორივე ხელით ქუდი რომ ჩაეხუტებინა – ყრუ, ჩახრინწული ხმით ლულღულღებდა:

– ველარ მიცანი ხო, დედაო?... გიგო ვარ, შენი შვილობილი, შენი მაზლისწული, ღვთისგან და შენგან შერისხული, შენდობის მკვდრელები და მახვეწარი... – მოხუცს, შეკავებული ტირილისგან, მხრები უთახთახებდა და ილუმენიას კალთაში მალავდა სახეს.

გაოგნებული, შემცბარი ილუმენია გამოერკვა, დაიხარა და თავზე ხელი დაადო ბერიკაცს:

– ღმერთმა შეგინდოს, შვილო!.. აბრძანდი, შენი ჭირიმე... რაფერ ვერ გიცანი?... დიდი ხანია არ მინახიხარ, მარა... აბრძანდი, ბატონო, აგერ აქ, ამ სკამზე დაბრძანდი... ღმერთმა გიშველოს!.. უფალი იყოს შენი მწყალობელი, შვილო!.. დანყნარდი, გენაცვალე!

– არა, არ ვარ ღმერთის და შენი მწყალობის ღირსი, დედაო, მარა... არ მინდოდა, ჭემმარიტად არ მინდოდა ისე წავსულიყავი ამ ქვეყნიდან, რომ... შენ... შენ არ მენახე!.. ვიცი, უკვე გვიანაა ყოლიფერი, მარა... შენდობა და პატიება რო არ მეთხოვა შენთვის... არ შემეძლო! – ნანყვეტ-ნანყვეტ ამოთქვამდა სიტყვებს გიგო წერეთელი და ადგომას არ აპირებდა.

– ღმერთმა მოგიტევოს და შეგინდოს, შვილო გიგო! ახლა აბრძანდი, შენი ჭირიმე, ძალიან გთხოვ!.. ჩვენი უფალი იესო ქრისტე სულგრძელი და მიმტყვებელია... იგი ხომ მონაწულთა ღმერთია, შვილო!.. უცოდველი კი, სამწუხაროდ, არავინაა ამ წუთისოფელში!

გიგო ნელ-ნელა, გაჭირვებით ნამოიმართა, ილუმენია მიეშველა და იგი მაგიდასთან, მითითებულ ადგილზე მძი-

მედ დაეშვა. ილუმენიამ კი მაგიდას შემოუარა, დოქიდან წყალი დაუსხა ჭიქაში და მიანოდა, თავად მოპირდაპირე მხარეს, საკარცხულში ჩაჯდა.

გიგომ ჭიქიდან წყალი მოსვა აცახცახებული ხელით, მერე მაგიდას დააშტერდა. მცირე ხნის შემდეგ ყრუდ წარმოთქვა: – ცოდვა ცოდვას გააჩნია, დედაო, ცოდვა ცოდვას გააჩნია! – გაიმეორა და ისევ გაჩუმდა, თითქოს ცოდვათა სიმძიმეს წონისო. მერე ჩუმი, ძლივს გასაგონი ხმით გააგრძელა:

– მე... ღვთისაგან და კაცისაგან მიუტყვევებელი ღალატი ჩავიღინე მაშინ, დედაო... შენც... წარმოუდგენელი, გაუგონარი შეურაცხყოფა მოგაყენე, მარა... საუბედუროდ ჩემდა, შემდგომშიც მთელი ჩემი ცხოვრება ცოდვებში გავატარე, დედაო!.. ჰოდა, მინია კიდევ ღვთის რისხვამ... – გიგო ისევ დადუმდა, ილუმენიაც მდუმარებდა ერთ ხანს, მერე წყნარი ხმით და ნალვლიანი, მკრთალი ღიმღიმით წარმოთქვა:

– ისე... შენც დაბერებულხარ, გიგო შვილო... თმა მთლად გაგათეთრებია!

– ეჰ, დრო უღმობელია, დედაო!.. ნკ წლისა გავხდი უკვე, მარა... მხოლოდ წლებმა როდი გამტეხა ასთე... – წამით შეყოვნდა: – დიდი ხანია მინდოდა მენახე, შენმა სიცოცხლემ! მარა... ვეღარ ვბედავდი-თქვა შენთან მოსვლას, რაფერ უნდა შევხედო-თქვა... რა პირით!.. ახლა კი, ახლა უკვე სიკვდილის პირზე მისულმა ბერიკაცმა, გადავწყვიტე, რაც იქნება იქნება, უნდა შევხვდე აუცილებლად-თქვა! ჰოდა, გამოვსწიე აგერ, აქეთკენ... ამ მხარეში!

– ჰოო, სულეკურთხეული ბიცოლა ვალიდას სამშობლოში, ამ წმინდა სამყოფელში, ვარჩიე გამეტარებინა დარჩენილი სიცოცხლის დღეები. აქანა მიმებარებინა უფლისთვის ჩემი ცოდვილი სული!

– ცოდვილიო?! დედაო, შენ და... ცოდვა?! მაშინ მე რა უნდა ვთქვა, მე ღვთის გარეგანმა და შეჩვენებულმა? მართლა იუდა ისკარიოტელმა, რაფერადაც მიძახოდა მაშინ მამა ზოსიმე?

– ყველას თავ-თავისი ცოდვა ამძიმებს, გიგო შვილო! – ილუმენიამ ისევ იყუჩა წამით, მერე ჩუმი ხმით გააგრძელა: – ამ ხელემა იმდენი ცოდვა აქეთ ჩადენილი!.. რამდენი სისხლი სცხია არა მარტო ფრინველ-ნადირისა, ადამიანებისაც – თუნდაც მტრების იყოს ის!.. რაც მთავარია – რამდენი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა მაშინ ჩემმა უგუნურებამ და წინდაუხედაობამ... რამდენი საყვარელი ადამიანი დაიღუპა ჩემი გამოსობით, ჩემ გამო. რაც მთავარია, ხო ლახვარი ჩაეცა მაშინ გადარჩენის თუნდაც მცირეოდენ იმედს!

– არა... არა... მაგი არ თქვა, დედაო ქეთევან! უგუნურობით არ მოგსვლია მაგი შენ! უგუნურება არ ეთქმის ნლობას... პირიანი ადამიანი ვერ წარმოიდგენს სხვის პირშაობას, ო, არა, მაგას ნუ იტყვი, დედაო!..

– შეიძლება ასეც იყოს, მარა... მე ჩემს თავს არ ვპატიობდი იმ დანაშაულს... სიკვდილს ვნატრობდი... მარა... ვერ მოვიკალი თავი!.. უარესი ცოდვის ჩადენის შემეშინდა უფლის წინაშე!.. ჩემი ქაიხოსროს და ოჯახის წინაშე მოვალეობამაც შემეპარკოლა... ალბათ! – კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა, მძიმე, დამუხტული სიჩუმე. პირველი გიგო ალაპარაკდა:

– შენ არაფერ შუაში იყავი, დედაო... შენ კი არა – მე მადევს ის უმძიმესი ცოდვა... ჩემდა საუბედუროდ, ამას გვიან

მივხვდი ოლონდ, ძან გვიან! სანამ ჭერი არ ჩამომენგრა თავზე, სანამ არ დავიქეცი და არ გავნადგურდი, მანამ გონს ვერ მოვეგე!.. ეშმაკმა მძლია და წარწყმიდა ჩემი სული და ხორცი და... იმიტომ!..

ანი რალა დროსია თითზე კბენანი? რამდენიც არ უნდა ვივიშვიშო და რამდენიც არ უნდა წავიშინო თავში ხელები, რამდენჯერაც არ უნდა ამოვიფერთხო გული ჩემს მოძღვართან – ნუგეშს და საშველს ვერა და ვერ ვპოულობ! – წამით დადუმდა – შენი არ იყოს, დედაო, მეც სიკვდილს ვნატრობდი დღემუდამ, მარა... გლახაკი აღმოვჩნდი. ვერ მოვისწრაფე სიცოცხლე, თუმცა... რა აზრი აქვს ჩემს არსებობას? ანდა, რა აზრი აქვს სინანულს უზნეო, სულწაწყმედილი კაცისა?

– მონანიება არასდროს არაა გვიან, შვილო გიგო...

– ახლა რომ ვფიქრობ და ვიგონებ, რამ ჩავკვადენინამეთქი მაშინ მე და მამაჩემს – ღმერთმა უშველოს მის სულს – ის საშინელი ღალატი და გაუგონარი უზნეობა? რამ და სიძულვილმა, სიხარბემ და შურმა, ჩემო ბატონო! თქვენი გამარჯვება ხომ ჩემი და მამაჩემის დამარცხება იქნებოდა, ე.ი. ჩვენი კეთილდღეობის დასასრულს ნიშნავდა მაგი!

თქვენი გამარჯვება მე და მამაჩემს, ჩვენს ოჯახს საერთოდ, გარიყავდა იმ სიკეთისგან, იმ... საშოვარისგან, რუსთ ხელმწიფე რომ გვპირდებოდა: ისე, რუსთ ხელმწიფე იქნებოდა მწყალობელი, ხონთქარი თუ შაჰი – ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა ჩვენთვის!.. მთავარი იყო – წყალობა არ მოგვკლებოდა, არ მოგვკლებოდა... სიმონოვიჩის სკივრში ჩალაგებული ოქროს მონეტები!..

მერე... თქვენი სახელიანობაც გვშურდა! კი, კი, მასთე იყო! მამაჩემი და მე ვერ ვპატიობდით, რომ ზნემაღალი იყავით და... ხალხს რო უყვარდით – მდაბიოს თუ წარჩინებულს – ეგ სულერთი იყო!..

ცხოვნებულმა მამაჩემმა ვერაფრით ვერ მოინელა ის, ბოლოს ლიონიძე რომ გაავ ზავნა ელჩად სოლომონმა რუსთ ხელმწიფესთან.

რაფერ?.. თვითონ ხომ სახლთუხუცესი იყო, რუსთ ხელმწიფის კარზე, ორჯერ ნამყოფი ელჩად... ლიონიძე ვინლა იყო? მერე რა, რომ ერეკლე II-ის მრჩეველი გახლდათ? იმერ-ამერის გაერთიანების ერთ-ერთ მთავარ მოთავედ ხომ თავის თავს თვლიდა ზურაბ წერეთელი?

ჰოდა, მედიდურობამ, ამპარტავნობამ – სოლომონ მეფის მტრად აქცია ადრე მის სამსახურში ჩამდგარი სახლთუხუცესი! ოქროს წყალობით, უშურველად რომ აგ ზავნიდა რუსთ ხელმწიფე, ზურაბმა ბევრი თავადი და აზნაური გადაიბირა თავის მხარეზე... ეს შენც კარგად მოგეხსენება, დედაო. ბევრი გაუორგულდა საკუთარ მეფეს... ჩვენებურები ხომ ოქროს გულისთვის სულს მიჰყიდნიან ეშმაკს!.. ოქროსა ის საცთური, რის გამოც არ ერიდებიან-თქვა სულის ნაწყმელად და რის გამოც მეფესაც და ქვეყანასაც უყიყმანოდ განიარავენ!..

რუსთ ხელმწიფისგან გამოგ ზავნილმა ოქროს სიმრავლემ და ჩვენებურმა ზვიადობამ აკი ჩემი გამეფებაც აფიქრებინა მამაჩემს!..

კი, კი, ვგრე იყო! რითი ვართ ბაგრატიონებზე ნაკლებიო! მით უმეტეს, როცა დიდი იმპერატორი წყალობას და მფარველობას არ მოგვაკლებს... ოქროსთან ერთად!

რატომ არ უნდა ისარგებლო ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობით? რატომ არ უნდა გამოიყენო ის არეულობა, რაც ჩვენი სუფევს?... აკი ნათქვამია, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. კი, კი, ასეთ იყო, დედაო! ამას პირველად შენთან ვამბობ...

„მოდი-ნახეს“ ალების ის მზაკვრული გეგმაც ხომ მამა-ჩემმა მოისაზრა! აჰა, ვინ წარმოიდგენდა, რო იმ სიმორიდან წამევიდოდა რუსის ჯარი, ჩვენი მეგზურებისგან გეზიმართული, მთელი ღამე ივლიდა მუხლჩაუხრელად და უჩუმრად შემოერთყვმოდა ციხე-სიმაგრეს... რო თქვენს რიგებში შეგზავნილი ჩვენი რამდენიმე მოხხრე მოახერხებდა ქონგურებზე ღამენათევი გუშაგების ჩანაცვლებას – სხვათა შორის, ჩემი გამოჩენა – თქვენთან ვითომ მოსალაპარაკებლად – მათთვის ხომ ნიშანი იყო მოქმედებისა!.. და მერე: ზურაბი რატომღაც დარწმუნებული იყო, რომ... შენ წამოეგებოდი მის ანკესზე... ერთხელ, მახსოვს – თქვა, ჩვენი მოდგმა მიაშიტი, მალემრწმენიაო, ადვილად იჯერებს ღამაზ ტყუილებსო!..

შენმა ძიძიშვილმა და მისმა ბიჭმა მიმაცილეს მაშვინ ჭიმკრამდე და გააღებინეს კარები დარაჯებს, რომ სიმონოვიჩს შემოვძლოლოდი... ვითომ მოსალაპარაკებლად!..

პირველი მსხვერპლიც სწორედ ის უბედურები შეიქნენ – უცაბედად შემოჭრილი რუსი სალდათებისა – მთელი ღამე ბურქებში რომ იყვნენ ჩამალულ-ჩასაფრებული – შესაფერისი ჟამის მოლოდინში!.. ანუ... ელოდებოდნენ კარის გაღებას!

გიგომ ისევ შეისვენა და შემდეგ მძაფრი, ალგზნებული ხმით კვლავ განაგრძო:

– ამ მუხტობის საზღაურად, მე ყმანვილმა კაცმა, მაიორის ჩინი, ოქროს ხმალი, წმინდა ანას ორდენი მეორე და მესამე ხარისხის – მივიღე მაშვინ. მამაჩემს კი ერგო გენერალ-მაიორის ნოდება, 1200 მანეთი დაენიშნა პენსია, ჯამაგირი – ჩინისამებრ, ამას გარდა ზურაბს მიაართვეს წმინდა ანას პირველი ხარისხის ორდენი, სხვა ჯილდოებზე რომ არაფერი ვთქვა!..

ჩვენზე მდიდარი, გალალეული, მთავრობისგან პატივდებული სხვა იმხანად არავინ იყო მთელს იმერეთში – ეს შენც ხომ კარგად გეხსომება, დედაო?... უჩვენოდ თითქოს ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა ცაზე და მიწაზე ჭიანჭველა

ვერ გაივლიდა! რაც მომეპრიანებოდა – ყოლიფერი უნდა მქონოდა და მქონდა კიდევ!.. გადაბმულ ქეიფებში რუსის ოფიცრებთან და მალალჩინოსნებთან დროსტარებაში, განცხრომასა და სიამტკბილობაში ვათენ-ვალამებდი! ქალებს ხომ, უკაცრაული პასუხია და... ცხვირსახოცივით ვიცვლიდი...

შეძენილით ვერა და ველარ ვძლებოდი... სულ უფრო და უფრო მეტი მინდოდა!.. მართლაც კრული ყოფილა კაცის გული, დედაო, ხარბი და გაუძლომელი. ველარ მოვპირე იგი ვერასდიდებით! – გრიგოლი შეჩერდა წამით და ისე ამოიხვნეშა, თითქოს გულ-ღვიძლი თან ამოაყოლაო: – ჩემი ცხოვრების მიზნად იქცა მხოლოდ მოხვეჭა, მოხვეჭა ქონების, სიმდიდრის და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოხვეჭა სახელის – ალექსანდრე მაკედონელივით, მთელ დუნიაში თუ არა, იმ უბადრუკ საბოსლეთში, საცა გინევს ყოფნა, ანუ... პირველობა ყოველგან, ყოლიფერში!

არც ერთი კეთილი საქმე არ მოაგონდება ჩემი არავის. არც ერთი! მე მხოლოდ – როგორც ნელანაც ვთქვი – ჩემთვის მივითლიდი მხოლოდ ყოველიფერს, ჩემთვის, მარტო საჩემოდ და ჩემი... სახლობისთვის!

მე რომ ლხინსა და შექცევასი გახლდი, სხვები – ტიროდნენ! რამდენი ადამიანი გამომწარებია, რამდენი ოჯახი ამიკლია და გამოუბედურებია! მე – არავინ მენალვლებოდა! არავის ვინდობდი!

ჩემი ძმა სიმონიც არ გავიკარე ახლოს, თუმცა მთავრობისგან უკვე შეწყალებული იყო. არც ძმისშვილების დანახვა მინდოდა თვალთი!..

თან... ნიშნს ვუგებდი ჩემს გარშემო სუყველას: აი, შემომხედეთ, ვინა ვართ! რა შეგვიძლია მამა-შვილს-თქვა!.. – გრიგოლს ხმა ჩაუწყდა კვლავ. მერე ისევ განაგრძო მლელვარებით.

– ... მამა რო გარდაიცვალა, თითქოს უფრო გავდიდ-გული კიდევ. უფრო გავმედიდურდი, გავამპარტავნდი! ხო არ გგონიათ, რაიმე დამაკლო ზურაბის სიკვდილმა-თქვა – ვედავებოდი ვილაცყებს გუნებაში! თქვენ იკითხეთ, თქვე უდღეურნო, საცოდავებო, მისდღემში რო ღატაკნი და მშიერ-მწყურვალენი ხართ!.. თქვენ ხო მხოლოდ იმისთვის გაჩნდით, რო მე და ჩემისთანებს ემსახუროთ, ეყმოთ, დაემორჩილოთ, რათა... ჩვენ – რჩეულებმა ბედნი-



მხატვარი მალხაზ იაშვილი

ერად, კმაყოფილად ვიცხოვროთ, რომ ღმერთი, განცხრო-
მასა და ფუფუნებაში დავლით დღენი ჩვენი, ხოლო
თქვენ კი უბადრუკო, თქვენი წუთისოფელი დღედაღამ
უნდა ღვაროთ ოფლი ლუკმაპურისთვის! ასეთია თქვენი
ხვედრი-თქვა! ასეთია თქვენი ბედის განჩინება! – ისევ ჩა-
უნყდა ხმა გრიგოლს:

– ათასში ერთხელ თუ შემახსენებდა თავს „მოდინ-ნახე“
და ისიც მაშინ, როცა კვლავ ნიშნი უნდა მომეგო ვინმეს-
თვის... – თითქმის ჩურჩულთ მარცვლავდა სიტყვებს: –
რამცა სადა გაუმარჯვდეს კაცსა ფიცთა გამტეხელსაო. ჰმ,
რაფერ შეიძლებოდა რუსთაველს არ სცოდნოდა-თქვა,
თუნდაც გიორგი მესამისა და მისი კარის მუხთლობანი! კი,
მცირე გამონაკლისებიც არის ისტორიაში, ვთქვათ, თამა-
რის და დავით აღმაშენებლის სახით, მარა რა მერე, კაცობ-
რიობის მატრიანებში ხომ უმეტესწილად მარულა გაუმარ-
თავს და ზეობს ბოროტება, ძალმომრეობა, სიავე, შური, სი-
ძულვილი, ღალატი და ათასი სხვა უკეთურობა!.. ეს მოშაი-
რეთა სურვილია, მათი ოცნება-თქვა – სიკეთემ გაიმარ-
ჯვოს ბოროტებაზე! მეტი არაფერი!.. სინამდვილეში პირი-
ქითაა ყოლიფერი-თქვა! სწორედ პირიქით!

გიგო ისევ დადუმდა. მერე მისი ბაგე-პირიდან კვლავ
გადმოსკდა სიტყვების ნიაღვარი:

– მე სიკვტილსაც არაფრად ვაგებდი, ოღონდ – სხვი-
სას! ქაიხოსროს, მანამდე კი სოლომონ მეფეს – ტრაპეზუნ-
დში რომ გარდაიცვალა უბატრონოდ – ვაქილიკები გუნე-
ბაში: ხო დაგეყარათ შავი მინა, ხო დაგიბნელდათ მზე? აი,
მე კი – ცოცხალი ვარ, ჯანსაღი, მხნე, მდიდარი, რუსთ ხელ-
მნიფისგან და მთავრობისგან გალაღებული, აღზევებული,
იმპერატორის კარზე მიღებული... მე და ჩემი შთამომავლო-
ბა – უზრუნველყოფილი ვართ და ვიქნებით... სამიდღემჩი-
ოდ!.. – გიგომ იყუნა და მერე ისევ განაგრძო მღელვარებით:
... მახსოვს, სიმონოვიჩმა პირველად რომ მაჩვენა ოქროს
მონეტებით სავსე სკივრი – ესო ხელმწიფე-იმპერატორმა
გამოგზავნა, რათა რუსის მთავრობის ერთგულები დავა-
ჯილდოვოთ... ამდენი ოქროს დანახვაზე სუნთქვა შემიკ-
რა, გამოვშტერდი.

მამაჩემი ზურაბი ყოველთვის მოითხოვდა იმპერატო-
რისაგან ბევრ ფულს დიდებულ თავადთა მოსასყიდად და
აკი ეწეოდა კიდეც სანადელს!..

იმ ოქროთი, სიმონოვიჩის სკივრიდან რომ მერგო, იმ
ჩინ-მედლებით, იმ ოქროს ხმლით – ღალატის საფასურად
რუსთ ხელმწიფემ რომ მიბოძა – თავი მოგვქონდა და ვამა-
ყობდით. გვესახელებოდა!.. კი, კი, გვესახელებოდა ჩვენი
მონური სამსახური! და... განა მარტო მე და მამაჩემი ვიყა-
ვით ასეთი სულმოკლენი?

რუსთ ხელმწიფე რო ჩამევიდა ჩვენში, ერთმანეთს ვე-
ჯიბრებოდით იმიერის თუ ამიერის წარჩინებულები, ვინ
უკეთ გაუგორდებოდა ფეხ-ქვეშ გადამთიელ იმპერა-
ტორს!.. ჩვენ ხო, ოღონდ ჩვენს მეფეს არ დავემორჩილოთ
და – ვის არ დაუდგებთ ყმებად!

ზოგმა რა არ ჩაიდინა, რა არ იკადრა, ნემსის ყუნწში
ძვრებოდა, ოღონდაც... ჩინი მიელო – პოლკოვნიკობა იქნე-
ბოდა ეს თუ გენერლობა. ოღონდ რამეფრად დანინაურებუ-
ლიყო სამსახურში და მზად იყო საკუთარი ცოლი ჩაენვინა
ხელმწიფისთვის, ან – ასული გაებახებინა! კი, იქამდისინ მი-
ვედით!.. იქამდისინ დავეციით!..

ზოგ-ზოგი ნამუსგაქნილი შემორიგებული ტოლს არ
უდებდა ერთმანეთს მთავრობის წინაშე ბეზლობასა და
ქლესაობაში! 20 წლის აჯანყებაშიც სწორედ შემორიგე-
ბულთაგან ბევრმა „გამოიჩინა თავი“ და მოძმეთა სისხლში
გაისვარა ხელი!..

რომელი ერთი ვთქვა – საქმენი ჩვენი „საგმირონი“? ჩვე-
ნი ეშმაკზე სულმიყიდულობა? ჩვენი მუცელმერთობა?
აკი ღმრთისა მიმართ ვილოცოთო – შეიცვალა ჩინის თუ...
ფულის მიმართ ვილოცოთო!..

მერე, დიდი ხნის მერე, სიბერეში, სიმწარე რომ ვნახე
მრავალგზის, მერე მივხვდი, მერე გავიაზრე, მე რეგვენმა,
რას ჩავდიოდით და... ჩავდივართ დღესაც!.. თუმცა, ეგ ჩვე-
ნი სიგლახეები ხომ შენც უკეთ უნყი... დედაო!

– ჩემო გიგო... ზნეობრიობას ყოველთვის უჭირდა, ყო-
ველ დროში... მითუმეტეს, ჩვენისთანა დამონებულ, გაპარ-
ტახებულ ქვეყანაში, სადაც... დიდი ხანია მკვიდრობს ბინი-
ერი, მონური სული!.. სატანა ხომ ამით სარგებლობდა და...
სარგებლობს დღემდინ!

– კი. კი. ასეა, სამწუხაროდ, დედაო! ალბათ კიდეც დიდ-
ხანს გაგრძელდება ეს უკეთურობა, კიდეც დიდ ხანს... ჩვენ-
და საუბედუროდ!

გიგო ისევ დადუმდა. მერე კვლავ წამოიწყა:

– რისი სამშობლო?... რა საზოგადო საქმე და აზრი?..
მხოლოდ პირადი გამორჩენა, პირადი კეთილდღეობა, პირა-
დი დიდება – აი, თავი და თავი ყოველისფერის... კერძობი-
თი სიკეთე ამოძრავებს დიდზე დიდ უმრავლესობას, ჩემო
ბატონო!.. თუმცა... ღვთის წინაშე, ეს ყველაზე ნაკლებად
შენ და შენისთანებზე ითქმის, მარა... საერთო წესს ვერ
ცვლის ცალკეული მაგალითები!..

ამიტომაც იყო, აღარ მწამდა, რო ეს სასტიკი, უღმობე-
ლი, უძლომელი, ბინძური ცხოველი, ადამიანი რო ჰქვია –
ღვთის ხატია!.. ღვთის ხატი რაფერაა ეს ბოროტების სად-
გური, კაცო?..

მიტომაც იყო, ჩუმად, გულში მასხრად ვიგებდი ხოლმე
ქრისტიანულ ზნეობას... სულგრძელობას, მიმტევებლობას,
მოყვასისადმი სიყვარულს – ყოლიფერი ეს უსუსური, უძ-
ლური ადამიანების მოგონილ ზღაპრად მიმაჩნდა...

შენ წელან მონობა ახსენე, დედაო... კი, ხანგრძლივი მო-
ნობა ათახსირებს, რყვინს ადამიანებს, და საერთოდ, ერის
სულს, მარა... საკითხავია, ჩვენ თვითონ... რატომ ვირყვენ-
ბით? რატომ პოულობს სატანა ჩვენს სულში საყრდენს?..
ე.ი. იმთავითვე, დაბადებიდანვე ზის ეს ბინიერება ჩვენში
და იმიტომ!..

ტყუარებში, ადამიანთა საკრებულო რო ჰქვია, ამაოდ
მიმანდა კაცთმოყვარეობის ქადაგება, მოყვასის, მით უმე-
ტეს – მტრის სიყვარულისკენ მონობება! ყოველივე ეს
წყლის ნაყვანა-თქვა! მგლის თავზე სახარების კითხვა-
თქვა! აგერ, ავილოთ ჩვენი ქვეყანა... ქართულად წირვა-
ლოცვასაც გვიშლიან უკვე... ვინ ამოიღო ხმა? ხო გაუჭრუმ-
დით მოძლადეს? ხო შევეგუეთ? ხო მოვიხარეთ კიდეც ერ-
თხელ ქედნი?

ძალა აღმართსა ხნავსო? ტყუილია მაგი. ბეჩავი, უძლუ-
რი და მშობარა კაცის მოგონილია ეს ანდაზა... ჩემო ბატო-
ნო! თავის სიგლახის გამართლება ეგ და... სხვა არაფერი!..

– ყოველივე ეს ჩვენი სამეფოებად დაყოფას და შემდეგ
გათითოკაცებას მოჰყვა, ჩემო გიგო, ურწმუნოებამ, უღ-

ვთოობამ დაგვრია ხელი-თქვა.. ვერა და ვერ გავერთიანდით, ვერ შევიკარით ერთ მუშტად... ვერ გამოვინახეთ საერთო ენა... დავიქსაქსეთ. დავჭყუცმაცდით და ზნეობაც წავვიხდამ ამის გამო! გადავგვარდით, გადავჯიშდით... სხვათა, უცხო თესლთა მიმართ შემწყნარებელნი – უწყალონი, დაუნდობელნი გავხდით ერთი მეორისადმი!.. ჰოდა, მტერიც ყოველთვის სარგებლობდა ამით და... ამჟამადაც ამიტომ მოგვერია! ანუ... ღმერთი შემოგვეწყრა, როგორც ჩანს, ჩვენს უზნეობის, ავხორციობის გამო... ჩემო გიგო!

– მეც მაქა ვარ, დედაო. მეც ამას ვამბობ! ჩვენს გარშემო რაკი ყველა მტაცებელი და ავაზაკი აღმოჩნდა, რაკი საშველიც აღარ გამოჩნდა არსაიდან, ჩვენც, ჩვენც წავიხდით და... დავჭამეთ ერთმანეთი – ოქროს გულისთვის ანუ „კაი ცხოვრებისთვის“ გულმოდგინეთ ვასხით მტრის ნისქელზე წყალი... და... დღესაც გრძელდება ეს ანგარება და სიგლახე!.. უზნეობა და უკეთურება და არა მხოლოდ – ჩვენში! – მთელ დედამიწაზე მასთუა ეს! – კი, კი!.. მთელ ცისქვეშეთში გაიხრწნა ადამის მოდგმა.

მთელ ქვეყნიერებაზეა აღზევეებული ვერცხლისმოყვარეობა, ჩარჩულ-მეგობრული სული, ანუ მამონა, ოქრო გახდა სალოცავი ხატი, ოქრო იქცა კერპათ!.. „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მიცემს ლხენასა, დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქნევს კბილთა ღრჭენასაო“ რუსთველის ეს სიბრძნე საქილიკოდ იქცა აკი!.. ჰოდა, ოქროსადმი გაუმძღვარი სიყვარულის წყალობით, სიძულვილის და შურის გამოისობით – დედამიწის ზურგზე ყველგან დაიჩაგრება-თქვა სიმართლე და პატიოსნება. ადამის მოდგმა მოიპკის იმას, რაც დათესა – უნდარესად კი: ეს განაჩენი მე, მე მეკუთვინა და ჩემნარებს – ასე რომ გვემარჯვება დროის მორგება! მარა... უდანაშაულო, მწინდა, მართალმა ადამიანებმა, მსხვერპლად შეწირულებმა, რა დააშავეს? აი, ესაა გაუგებარი... აი, ესაა აზრმიუწვდომელი ჩემთვის!..

– უფალი თავის რჩეულებს უმზადებს განსაცდელს, იგი ხომ გულთამხილავია!

გიგომ მყისვე შეანყევტინა:

– ჭეშმარიტად, დედაო, ჭეშმარიტად! დროის და ჟამის მიხედვით მიუზღავს ყველას.

თითქოს ვის ან რას უნდა ნაექცია გრიგოლ წერეთელი – ცხოვრების მწვერვალზე რო იყო მოქცეული? მარა... ამ სიბერის ჟამს დამტირებელიც აღარავინ დამრჩა... ხუთივე შვილი რიგრიგობით, უდროოდ მივაბარე მინას, იმ მინას, რომლის შვილები ვართ სუყველანი, ფარისევლურად, სხვათა დასანახად და მოსაჩვენებლად კი – ცრემლებსაც ვღვრიდი... მსახიობობის დიდი ნიჭი აღმომაჩნდა, ჩემდა გასაკვირად, დედაო...

ხო, იმას ვამბობდი... რათ უნდა გამხარებოდა-თქვა მე უგუნურს, საწყალობელს მოძმის სიკვდილი? როცა... მეც დროებით, მხოლოდ დროებითი მდგმური ვარ ამ წუთისოფლის, ამ სააქოსი?... ვითომ ჩვენ, სულ ყველანი, სათითაოდ სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე, რიგში არ ვიდგეთ!.. ვითომ სათითაოდ, ყველას გულზე არ დაგვეყრება შავი მინა და ჭია-ლუა არ შეჭამს ჩვენს უბადრუკ გვამს, მძორად ქცეულს! ანდა, რათ, რისთვის უნდა მძულვებოდით თქვენ და თქვენისთანები – ოცნების გმირები, სამართლიანობის და ჭეშმარიტების ერთგულნი რო იყავით? ან თუნდაც ძე-შეცთომილი ყოფილიყავით?..

იტყვიან, მტრის სიკვდილი უნდა გიხაროდესო, მარა... რომელი მტრის? გარეშის, მომხდურის, მოძალადის, მტაცებლის?... კი, ბატონო, გასაგებია... მარა, თვისის, თანამოძმის, მოყვასის?... – კვლავ ხანგრძლივი პაუზა ჩამოვარდა და მერე: – მე ხო... სიცოცხლე ბევრ ადამიანს გავუმწარე... და ყველაზე უფრო კი – შენ შეგცოდე, დედაო, შენ... გიმუხთლე!.. აი, რა მიკლავს გულს ყველაზე მეტად, აი, რა მიშხამავს სიცოცხლეს! აი, რას ვერ ვპატიობ ჩემ თავს, უფალმა თუნდაც რომ შემინდოს!

კი იცოდა ილუმენიამ, როგორ არა, მის სმენამდეც აღწევდა – თუმც კანტიკუნტად – მშობლიური კუთხის და კერძოდ, ყოვლისშემძლე წერეთლის თავს გადახდენილი ამბები...

უკვე ასაკოვანმა, ორმოცდაერთი წლისამ, თავისაზე ოცდახუთი წლით უმცროსი დიმიტრი ნიჭარაძის ულამაზესი ასული შეერთო ცოლად. ბედნიერი არ აღმოჩნდა ეს ქორწინება. ზედიზედ ოთხჯერ, დაუდგენელი მიზეზით – დაელუპათ ჩვილი ბავშვები. მეხუთე ბავშვზე მშობიარობას თავად მეუღლე გადააჰყვა, ახალდაბადებული ბიჭი კი ცოცხალი გადარჩა, მაგრამ... თექვსმეტი წლისა უბედურმა შემთხვევამ მოულოდნელად იმსხვერპლა: გიმნაზიის შენობის მეორე სართულის კიბეზე ფეხი დაუცდა, ძირს გადმოვარდა – ქვის საფეხურის ძვიდეს თავი დაარტყა... და სული განუტევა.

– ხო, იმას ვამბობდი დედაო, ჩემს ამპარტავნობას საზღვარი რო არ ჰქონდა, იქიდან ჩანს, სანამ ბოლო ნუგეში, ჩემი ზურა არ გამომეცალა ხელიდან, მანამდე ყინჩად მეჭირა თავი! თითქოს დამნაშავე ჩემი საცოდავი მეუღლე იყო, ბავშვები რო გვენაცვობდენ, თითქოს ის, ის იყო ბედნავს! მას, ნათოს მოჰყვა შთამომავლობითი უბედობა!.. არ მინდოდა, ჯიუტად არ მინდოდა თვალი გამესწორებინა სიმართლისთვის...

ილუმენია ანა, იგივე ქეთევანი, მზერადახრილი, გულშეკუმშული უსმენდა თავისი ძველი მოქიშპის და დაუძინებელი მოსისხლე მტრის მხურვალე აღსარებას, მის თვითგვემას თუ თვითგანჯას. თითქოს უდრტვიწველი სიმშვიდით უნდა აღექვა გარდასული, შორეული წლებისგან მოგვრილი ტკივილის განცდა, თითქოს გულგრილადაც კი...

თითქოს სულის სიღრმეში ვერ უნდა შემოაღწია უშორესი წარსულის გახსენებით მოგვრილ სიმწარეს, გიგოს მძაფრი სიტყვებით გაცხადებულს, თითქოს წლებს მანაც თავისი უნდა ექნა, წლებს უნდა გაეხუფებინა, გაექარვებინა უზომო ტანჯვის და უნებლიე დანაშაულის შეგრძნება, ანუ ის იარა, მისი დაჭრილი გული რომ ატარებდა დიდი ხნის განმავლობაში, და რასაც ახლა გიგო წერეთელი ასეთი მღელვარებით, ასეთი სინრფელით, შინაგანი ნუხილითა და შფოთით იგონებდა და... ინანიებდა! მაგრამ... იყო კი ასე?

ჰო, წასულიყო... დროის მდინარებას გაჰყოლოდა თითქოს ყველაფერი ის, რაც მაშინ ეგზომ სასიცოცხლო, მნიშვნელოვანი ჩანდა თანამედროვეებისთვის. და მართლაც: ვის ახსოვდა ახლა სოლომონ მეორე, იმერეთის ანუ დაქუცმაცებული საქართველოს ერთი კუთხის უკანასკნელი მეფე? ან ქაიხოსრო წერეთელი? – მისი მთავარსარდალი, ზურაბ თუ გრიგოლ წერეთლები, ქეთევან აბაშიძე და სხვანი და სხვანი? დრო-ჟამმა, მისმა უღმობელმა სრბოლამ შთანთქა, დავინყების მორევეში ჩაძირა მათი სახელები, ლანდე-

ბად და მოჩვენებებად აქცია ერთ დროს თითქოს ესოდენ გამორჩეული პიროვნებები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ თავის დროზე ცხოვრების ანუ ნუთისოფლის სარბიელზე...

ახლა... ახლა სხვა ზრიალი ისმოდა, ახლა სხვების ჯერი დამდგარიყო, ახლა სხვებს უნდა გაეკვლიათ გზა – მართალი თუ მრუდი ხერხებით, ახლა ამათ მართებდათ ბრძოლა თავის თავის დასამკვიდრებლად ამა ქვეყანასა ზედა – მართებული თუ უმართებულო საშუალებებით და წესებით, ამათ მერე კი – მოვიდოდნენ სხვები და... ასე იქნება დაუსრულებლივ, ქვეყნიერების აღსასრულამდე – ჟამის სრბოლა! ერთადერთი, მუდმივი, წარუვალა რეალობა კი ისაა, რომ, შენ პიროვნულად უნდა წახვიდე ამ საწუთროდან – უფალთან შესახვედრად! აი, ესაა ალბათ ყველაზე არსებითი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი და საგონებელი, ყველაზე უფრო დიდი თავსატეხი და სადარდებელი ამ სამზეოში.

დიახ, წლებს თითქოს უნდა წაეშალათ წარსულის სისხლიანი ნაკვალევი, მაგრამ სინამდვილეში მოხუცებული ილუმენიას გულში კვლავ აზავთებულიყო გარდასულის მეხთატება.

გიგო წერეთელი კი კვლავ განაგრძობდა აღსარებას თუ თვითგვემას დაბეჭილი, ბებრული ხმით, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაუმცხრალი ღელვით და სინანულით. და თვალებიდან მომდინარე სისველეს წამისწამ ფართო ცხვირსახოცით იწმენდა.

ილუმენია ადგა, ბოდიში მოიხადა და სენაკიდან გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ შემობრუნდა. გიგო ისევ ისე იჯდა თავჩაღუნული, მოღვენილი და მაგიდაზე დაწყობილ თავის ხელებს დასჩერებოდა გაუნძრევლად.

ილუმენიამ სთხოვა, სატრაპეზოში წამობრძანებულიყო – ნამგზავრი ხართ, ამხელა მანძილი გამოგივლიათ, ცოტა ნაიხმსეთ, გათბით და დაისვენეთო.

გიგომ თავი ასწია, უსიცოცხლო თვალებით ახედა ილუმენიას:

– დალილი არა ვარ, დედაო... წუხელ სენაკში ფაღავებთან გავათიე ღამე... მანამდე ქუთაისში შევისვენე ნიჟარა-ძებთან... სენაკიდან აქამდე კი – არაა დიდი მანძილი, – შეჩერდა.

ილუმენიამ თავისი გაიტანა. სატრაპეზოში რომ უსხდნენ ტაბლას, გიგოს არაფრისთვის პირი არ დაუკარებია, მხოლოდ ცოტა ღვინო მოსვა რამდენჯერმე. მერე ისევ ისე იჯდა დაღვრემილი, ღრმა ფიქრებში წასული. ორივეს შუა, მათდაუნებურად, შავი ღრუბელივით განოლილიყო ორმოცი წლის წინანდელი სექტემბრის იმ საშინელი, საბედისწერო დღის აჩრდილი.

– ასეთია უღმობელი სინამდვილე, დედაო ქეთევან... – წამოიწყო ისევ გიგომ ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით: – შეძენის და მოხვეჭის ჟინით აღტყინებულს, ამასობაში თვალდახელსშუა გამეპარა წლები, ვითარცა სიზმარი ღამისა... თურმე თვალის ერთი დახამხამება და წამისწამი ყოფილა მართლაც ეს მუხთალი, წარმავალი ნუთისოფელი!.. ამაოება ამაოებათაო... – ამოიგმინა გიგომ, მერე, ძლივს გასაგონად, უფრო თავისთვის განაგრძო: – დღეს არა, ხვალე მოკვდებითო, სოფელი ასრე მქნელიაო, აკი სულმნათმა

რუსთაველმა გვასწავლა! ჰოდა, სად წაუხვალ ამ გარდაუვალობას? სად გაექცევი ამ ჭეშმარიტებას?! მარა... შევისმინე კი რამე თავის დროზე?

დამტირებელი არავინ მყავს-თქვა, ნელან გითხარი, დედაო! – ჭეშმარიტად ასეა! ერთი მდულარე ცრემლი არ დაეცემა ჩემს გვამს, არავის გულს არ დაწვავს სულწაწყმედილი გიგო წერეთლის სიკვტილი...

რა გამევიდა? რისთვის ვიცხოვრე? რისთვის ვინვალე? რათ მინდოდა ამდენი ქონების მოხვეჭა, ოხრათ რო მრჩება ახლა? ვის ვეჯიბრებოდი? რატომ? რისთვის? იმისთვის, რო ბოლოს გამწარებული სიბერე მქონოდა და დავრდომილს და სასონარკვეთილს, ბედისგან ანუ ჩემი უღვთობისგან განწირული, სიკვტილსაც მოვძულებოდი?

– ეჰ, ჩემო საყვარელო, „უკეთუმცა უფალმა არა აღაშენოს სახლი, ცუდად შვრებიან მაშენებელნი მისნი!“ – უნებურად მოწყდა ილუმენიას ბაგე-პირს.

გიგო შეკრთა. ხმა გაიკმინდა და გაფართოებული თვალებით შეაჩერდა ილუმენიას.

ვისგან, უკანასკნელად ვისგან მოისმინა ეს სახარებისეული სიბრძნე გიგომ? ვინ უთხრა იგი ცხოვრების მწვერვალზე მოქცეულს? ან შეისმინა კი ეს შეგონება თუ გაფრთხილება? და საერთოდ:

შეისმენს კი ოდესმე ამ სიბრძნეს ადამის მოდგმა? ხომ არ დარჩება იგი მუდამ ხმად მალაღებლისა უდაბნოსა შინა?

ერთმა ღმერთმა უწყის!..

მოსალამოვდა.

გიგო წერეთელი ილუმენიამ მონასტერში დატოვა – შელაშქრულზე არ ეგებოდა სადმე წასვლა, მითუმეტეს ქუთაისში, იმ სიშორეზე.

არც გიგოს გამოუდვია მაინცდამაინც თავი – ეტყობა, ამდენმა განცდამ, ამდენმა მღელვარებამ ისედაც დაუძლურებული მოხუცი საშინლად მოღალა.

სენაკში მოასვენეს მონაზვნებმა ისე, როგორც ეკადრებოდა საპატიო სტუმარს.

ილუმენიამ კი მთელი ღამე ლოცვებში გაატარა. იგი თავის და გიგოს ცოდვილ სულს ავედრებდა უფალს და ღვთისმშობელს, მოტყვევას და შენდობას სთხოვდა უნებლიე თუ ნებსითი შეცოდებისთვის, აკი ადრეც ლოცულობდა და ზოლმე გიგოსთვის, ისევე, როგორც ყველა იმათთვის, „რომელნიც მძლავრობენ და მყვედრიან მე, ნუ დასჯი ცოდვათა და უსჯულოებათა შინა მათთა ჩემთვის, არამედ მოაქციე იგინი ბოროტისაგან, რომელ აქუნ ჩემდა მომართ და შეინყაღენ დიდითა წყალობითა შენითა“-ო, მაგრამ „მოდინახემი“ დაღუპულ სულთა გამო შეწყალების თხოვნას თავისთვის – დღემდე ვეღარ ბედავდა!

ლოცვასთან ერთად მთელი ღამე ილუმენიას, მისდაუნებურად კვლავ მთელი სიცხადით და მკაფიოდ დაუტრიალდა თვალწინ იმ ტრაგიკული წარსულის სურათები – ყოველი წერილმანითურთ, რომელთაც თითქოს მტვერი უნდა წაყროდა წლების სიმრავლის გამო, მაგრამ თურმე აქამომდე ცოცხლობდა ყოველივე – ნირუცვლელად!

... ნაკვეში ქეთევანი იდგა თვალგადმოკარკლული პოლკოვნიკ სიმონოვიჩის მრისხანე და მძულვარე მზერის ქვეშ,

სიმონოვიჩის, დორბლებს რომ ყრიდა პირიდან, იდგა თავანუელი, ამაყი იერით და... მდუმარებდა!

ქეთევანი დუმდა მამინაც, როცა ბოლოს და ბოლოს შინდაბრუნებულს და ახლობლებით გარშემოხვეულს – შეეძლო ოდნავი შვებით ამოესუნთქა.

ქეთევანი... დამუნჯდა!

რაჭიდან შვილები – ორი 13-14 წლის გოგონა – თეონა და დარია, და 10 წლის დათუნა რომ ჩამოუყვანეს, უხმოდ, უსიტყვოდ ჩაიკრა ისინი გულში და... ხმაგაკმენდილს, ნვეთი ცრემლი არ გადმოუგდია თვალთაგან.

გადიოდა წლები. ქეთევანი ქაიხოსროს და უფროსი შვილის მოლოდინში ყოველ ცისმარე დილით და ღამით, ძილისწინ, ღვთისმშობლის ხატთან დაჩოქილი უხმოდ, სასოებით გულში ლოცულობდა სახეგამტკნარებული, თვალგამშრალი და... მერე – ღრმა ფიქრებში წასული, თითქოს გარე სამყაროდან მოწყვეტილი – სასახლის ბაღში ან აივანზე სცემდა ბოლთას...

და როცა ხუთი წლის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ოდასახლის კიბეზე ამომავალი მეუღლე და უფროსი ვაჟი დაინახა, ჯერ წამით გახედა, მერე: – ხოსია! პაპუნა!-ო, – იკივლა და ადგილს მოწყდა, აქვითინებული ჩაეკრა ქმარ-შვილს მკერდში. დიდმა სიხარულმა ხმა ამოადგმევინა ენაჩავარდნილ, დამუნჯებულ ქეთევანს და... ცრემლებიც მხოლოდ მაშინ წასკდა თვალებიდან...

მერე... ნაენწყვენ ერთმანეთს დღეები, თვეები, წლები, ქეთევანს თალხი კაბა არ გაუხდია, არც სამკაულები უტარებია, არც საზეიმო წვეულებებსა თუ ღვინის დასწრებია, მაშინ რომ ასე მოდური იყო ქართველ თავადაზნაურობაში. როცა ხალხი დამონებულია და გაღატაკებული, როცა ამდენი სიცოცხლე შეენირა ქვეყნის თავისუფლებას, რა დროს ღვინაო – გულში ამოჭრილ ამ შეგონებას ემატებოდა „მოდი-ნახეს“ ციხესთან მომხდარში საკუთარი ბრალეულობის შეგრძნებაც, მისი მუდმივი მგლოვიარობის საბაბი რომ გამხდარიყო. შვილების ქორწილებმაც, ასევე ნათლობა-ძიებებმაც ყოველგვარი ზარ-ზეიმის გარეშე ჩაიარა...

დრო დუნედ, უღიმღამოდ მიედინებოდა ყოველდღიური ოჯახური საზრუნავით დატვირთული. ცოლ-ქმრის ჩაკეტილი ცხოვრება მოულოდნელად ააფორიაქა ჯოხზე დაბჯენილი, დახეიბრებული ბასილიკა ღონდაძის გამოჩენამ.

იმ საბედისწერო დილას, როცა ანაზდეული თავდასხმა მოხდა „მოდი-ნახეზე“ დაჭრილმა ბასილიკამ მაინც მოახერხა თურმე გალაგანის თავზე გაჭრა, ორი საღდათი გადაიყოლა თან და ქონგურიდან გადაეშვა: ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა. მაგრამ, ამჯერადაც, როგორც კრწანისის ომში – სასწაულებრივად გადარჩა. გლეხებმა შემთხვევით იპოვნეს თურმე იგი საშინლად დაღვნილ-დასახინრებული, გადამალეს, ხალხური საშუალებებით უმკურნალეს და თუმცა ხეიბრად დარჩა, სიცოცხლე მაინც შეუნარჩუნეს. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ტრაპეზუნდში სოლომონ II აღესრულა, ხოლო რუსთა მთავრობისგან შემორიგებული ქაიხოსრო წერეთელი ოჯახს დაუბრუნდა, ბასილიკამ გადამწყვიტა, მოენახულებინა თავისი ბატონები...

ეს შეხვედრაც უმძიმესი ტკივილების მომტანი აღმოჩნდა ქეთევანისათვის, თუმცა... ბასილიკა ცოცხალი გადარჩა, მაგრამ... ვაი ასეთ სიცოცხლესო, მწარედ განიცდიდა

„მოდი-ნახეს“ მეციხოვნე და... ქეთევანიც... თავის მდგომარეობას.

მას მერე და მანამდეც... ქეთევანი და ქაიხოსრო, ერთმანეთთანაც კი გაურბოდნენ იმ ავბედითი დღეების გახსენებას...

სოლომონ მეორის გარდაცვალების შემდეგ ქაიხოსრო ვაჟითურთ – უკვე მთავრობისგან შეწყალებული – თუმცა კი დაუბრუნდა თავის სამშობლოს, სახლეულობას, მაგრამ გულჩათხრობილი, დადარდიანებული ქაიხოსრო, ქეთევანივით, თავის სახლ-კარის გარეთ ფეხს არსად ადგამდა, საკუთარ სასახლეში გამოიკეტა და რამდენიმე წელიწადში უცებ, გულის შეტევით გარდაიცვალა კიდეც: ჩუმმა დარდმა, გაცრუებული იმედებით გამოწვეულმა უნუგეშობამ და უსასოობამ – თავისი ქნა: და ეს ჯერ კიდევ ჭარმაგი – მთაკაცი უდროოდ გამოესალმა წუთისოფელს... დაქვრივებულმა ქეთევანმა მცირე ხნის შემდეგ მონასტერს მიაშურა.

... განთიადისას, დედა ელპიტემ ამცნო ძილგატეხილ ქეთევანს, ბატონი გრიგოლი ცუდად შეიქნა წუხელ და მობრძანებას გთხოვთო.

... სენაკში გიგო წერეთელი სიკვდილს ებრძოდა.

ილუმენიამ მონაზვნებს მამა ნიკოლოზის სასწრაფოდ მოყვანა დაავალა, თავად კი გიგოსკენ დაიხარა და ჭირის ოფლით დაცვარულ შუბლზე ხელი დაადო.

თვალამღვრეულმა გიგომ უცებ ხელი დაუჭირა ილუმენიას და ბაგესთან მიიტანა. რალაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ პირიდან დაუნანვერებელი, გაურკვეველი ბგერები ამოსდიოდა მხოლოდ, რომელიც თანდათან ხრიალში გადავიდა...

ილუმენიამ სასწრაფოდ პირფვარი გადასახა რამდენჯერმე, თან განუწყვეტლივ ლოცვებს ჩურჩულებდა, თვალებიდან ღვარად წამოსული ცრემლის ნაკადი კი მომაკვდავს გულ-მკერდს უსველებდა.

– შენი... ცრემლები... დედაო... – უცებ გარკვევით ამოთქვა გიგომ და... ნათქვამს სულიც ამოაყოლა!

ილუმენიამ მიცვალეზულს თვალეხი დაუხუჭა.

გიგოს სახეზე სიმშვიდის იერი გადაკვროდა, ტუჩებს კი – ნეტარი ღიმილი შეყინვოდა.

„მეც მალე მოგყვები, გიგო, შვილო!..“

სასთუმალთან მჯდარი ილუმენია ანა შეურხველად დასჩერებოდა ცხედარს და ისეთი შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს იმ პატარა ბიჭს დასტიროდა ახლა, სამი წლისა რომ ჩაუსვენეს კალთაში ქორწილის დღეს – ძველი წესისამებრ, და... თვალეგაფართოებული აქეთ-იქით რომ ატრიალებდა თავს და ვერაფრით გაერკვია, რა ხდებოდა მის ირგვლივ!

მაშინ ვინ წარმოიდგენდა ამ ანგელოზისსახიან, თმაქოჩორა უმანკო ბიჭუნას რა სასტიკ ხვედრს უმზადებდა თურმე განგება! რომ ათეული წლების შემდეგ დაძაბუნებულ-დალეული, ყველასაგან განკიცხული და დავინწყებული, უჭირისუფლოდ დარჩენილი – სწორედ იმ ადამიანის ხელში დალევედა სულს, ვინც ასე უღმობლად, უმოწყალოდ გასწირა და გაიმეტა თავის დროზე, რომ სწორედ მისგან ნალაღატევი ქალის ცხელი ცრემლი და ლოცვა გაუადვილებდა მარადიულ სამყოფელში გადასვლას.

მართლაც რომ „შეუცნობელნი არიან გზანი უფლისანი!“



ლელა სამნაშვილი

შაშის თაგაში

ნეტარი არის ჭიანჭველა –
 მიაქვს და მოაქვს პურის მარცვალი –
 აშენებს ჩინეთს.

მე კი, დღეებით – შაშს ვთამაშობ –
 ანმყო, წარსული –
 საკუთარ თითებს არ შევარჩინე –

სამ დროდ, სამ მწკრივად ვალაგებ და
 ყველაზე უნინ
 მომავალს ვხარჯავ

და ქვები თითებს განაგებენ,
 და თითებს დასდევს
 პულსი და მაჯა.

ვხედავდე მაინც – მოპაექრეს
 ან „ბონუს“ „დაფნას“.
 მაგრამ იქამდე

აზარტით – ვიცი,
 დაფა უნდა ამოპირქვავდეს.

მომავალში გამოკეტილი

მახეტილად შენს წარსულში –
 გუშინდელიდან დაიწყე და წამიყვანე უკან –
 არც ერთი კუნჭული არ გამომაპარო,
 არც ერთი გზა, არც სახელი –
 წარმოთქმული ოდნავი თრთოლვით,
 სიყვარულით, ზიზღით, სიმშვიდით,
 არც ერთი ხმა, შენს სახელს რომ ჩურჩულებდა,
 არც ერთი ჩრდილი, ბავშვობაში საკუთარ ჩრდილს რომ
 ატოლებდი,

და წლების მერე, სათითაოდ რომ გადაფარე,
 საკუთარი ჩრდილიანად მუჭში შეკუმშე,
 სინათლეებს დაუნყე ძებნა,
 დატოლება – თვალის ჭრილებს, შუბლის ხაზებს –
 თბილ ნაოჭებს და სიტყვებს, სიტყვებს...

წამიყვანე უკან, პირველი ტკივილისკენ,
 სკოლის ეზოში გადატყავებულ თითებისკენ,
 სამშობლოსკენ, რომ შეგეძლო, ამოგეჭრა ბრმა

წაწლავით –

უსაზღვრებო, ბრტყელ ლაზარეთში,
 შენ კი სპაზმებში შეინახე, გამოატარე,
 რადგან იცოდი – ყველა ჩხვლეტა მოდიოდა
 მკერდის არედან. მეც მტკიოდა,
 მაგრამ ისე ყრუდ, რომ შემეძლო მძინებოდა,
 სასთუმალთან ანგელოზი მყოლებოდა
 და სიზმრებით – შენს ანმყოში გამოგეყვანე.

წამიყვანე – უკან, შენი წარსულისაკენ –
 სიყვარულისკენ, სახელი რომ არ დაარქვი
 და ამიტომ, ვერასოდეს გაიმეორებ,
 ვერც ბარათივით წამაკითხებ,
 ვერც ფოტოსავით ვერ მაჩვენებ
 და ვერც ჩემი წარსულიდან გამოყოლილ
 ბარათებში ვერ გამიცვლი. წამიყვანე,
 წამოვუღებ ულამაზეს ეჭვის ყვავილებს,
 სწორედ იმათ, სათითაოდ შენ რომ მაჩუქე.

ის ყველაფერი ჩემგან ისე ცარიელია...
 მახეტილად შენს წარსულში –
 მომავალში გამოკეტილი.

თავის დაღწევა

თუ გინდა თაფლი გადაასხი, თუ გინდა წებო –
 დრო თითებს შორის გასრილდება.
 ეს ჩემი წყალზე სულსწრაფი წლები
 არის სიტყვების გაზიარება –
 თვალებისათვის. თოვლის ნარჩენებს
 დავყურებ, როგორც თაბახის მიმდევრებს.
 მე მიწა სიტყვებს გადავეჩვიო,
 რადგან უბრალოდ – ცხოვრება მიწა –
 სიტყვების მიღმა. კეტავს გონება
 სივრცის ფრიალს სარკმლებს, კარებებს.
 გასაღებების – მეტაფორების –
 ასხმულა იქნებ ერთ დღეს დამებნეს.
 და საიდუმლოც იქნებ დაძველდეს
 და ჰიპერბოლად იქცეს მზის რკალი.
 და დამავინყდეს – ხორცი – ამ ძვლებზე –
 უხორცო მისთვის გადავიკარი.
 თითქოს მახსოვდეს. ხსოვნის ნარჩენებს
 დავყურებ, როგორც თაბახის მიმდევრებს
 და მიწა, სიტყვებს გადავეჩვიო,
 რადგან უბრალოდ, ცხოვრება მიწა.

მარტის წაბრუნვა

რა მაცდურია ფოტოგრაფია –
 როგორ გენევა – საკუთარი სახე ნახო –
 ათი წლის შემდეგ.

გულუბრყვილო ღიმილი აქვთ ახალგაზრდა
მიცვალებულებს –
თუნდ დაღლილებს, თუნდაც თვითმკვლელებს –
გაუსაძლისად ცალკე არიან.
მოხუცებს კი თვალეში ისე ულივლივებთ ძვირფასი
ნისლი –
ფურცელზეც, ქვაზეც – შეგიძლია შეაბიჯო
ხელისცეცებით
და დანმინდო შენი სიმკვეთრე.

ეს საზღვრები ჩემი სხეულის და ღიმილის –
ისე ბასრია –
მემინია შენი მოკვეთის.
როგორ გაგიშვა ისე მშვიდად,
რომ სისხლი არ შემოგეშხეფოს.

ეს წრებრუნვა წლების, დღეების,
სისხლძარღვების, სიყვარულის –
სულ უფრო და უფრო სწრაფია.
როგორ გაგიშვა ისე მშვიდად,
რომ გეგონოს – ესეც არის დიდი წრებრუნვა –
ეს გაშვება, დამშვიდობება.

ამ გაზაფხულზეც
ნატყბილი ტოტის სიცილი –
ისტერიულად ღამაზი და გულუბრყვილოა.
ღამ-ღამობით მალვძებებს და წყალს მაცვლევიანებს.
მგონი, სჯერა, რომ გადარჩება.

კლავიატი

უფალო, როგორ დაადე შენი ბეჭედი ყველას –
რაც ნამდვილია – არის ხრწნადი.
ჩემი თითები ვერ ძერწავენ ვერაფერს, რასაც შეეძლება
ხორცივით ღებობა, ძვალვით დაშლა.
მე ისეთი გულუბრყვილო ვარ, რომ მართლა მჯერა –
შემიძლია ლოცვისათვის ნაბოძები სიტყვებით
ლექსი შემოგბედო. მე ხომ უნდა მეჩურჩულა
გადარჩენისთვის, ღრუბლისა და პურის ბამბით
ამომენმინდა ჭრილობები – თვალის, ტუჩების;
სიყვარული ვნებისაგან გამომენურა.
ამის ნაცვლად – მინის ჭურჭელს, ცელოფნის პარკს,
მუყაოს ყუთს გინვდი გზაზე შენი საკვების

გადასატანად,

შენ კი – ლეშს მუდამ ადგილზე ტოვებ –
აგრძელებ გზას და ნადირობას. შენი ლომი, შენი არწივი
–
ჩემს ნაკვალევზე დაგეშილები – პოულობენ მძივის
მარცვლებს,
დისკის ნამტვრევებს, ლექსებიან, დაჭმუჭნილ
ფურცლებს

და ყნოსავენ ხარბად, ხარბად, და იქნება –
ამ ძებნაში ისწავლონ კიდევ
მოგროვება ამ მარცვლების და მძივად ასხმა,
შენებება ამ დისკების და მოსმენა ფაფრის აშლამდე,

და იქნება კითხვაც ისწავლონ და გაგაოცონ, მონადირე,
როდესაც ერთხელ ჩემს სხეულთან ერთად
ჩემს სიტყვებს მოგიტანენ, შენს რომელიმე
მეტროპოლისში,
უხრწნელი ჯვართის ლაბირინთში,
ადამიანის ხმით გეტყვიან: „უფალო,
როგორ დაადე შენი ბეჭედი ყველას“.

**კურდღლების კუნძული
გრესპოლმენ**

მოდრაობდნენ ძალიან ნელა, თითქოს მუცლად
აჰყოლოდნენ
საკუთარ ჩრდილებს, და ჩრდილოეთის ზაფხულში
ზღვის რკალიდან გაჰყურებდნენ მახლობელ ქალაქს,

და პატარა გემის მგზავრების ფოტოებში
ორმოებს თხრიდნენ ქალაქისკენ,
შიგ უხმაუროდ იყუყუებოდნენ.

ვეება შავი კურდღლები და ერთი კაფე
ყოფნიდა კუნძულს, რომ დღეში ცხრაჯერ
მისდგომოდა ტურისტებით გავსებული პატარა გემი.

ტურისტები უნდოდ უწვდიდნენ სასუნავს,
შავად დახუნძლულ კუნძულს მალე ტოვებდნენ
უცნაური განგამის გრძნობით

და ეს გრძნობა ყოფნიდა კუნძულს,
რომ დღეში ცხრაჯერ მისდგომოდა
ტურისტებით გავსებული პატარა გემი.

„გასულ ზამთარს დახოცეს ყველა –
ვეგეტაციას უქმნიდნენ საფრთხეს“, –
ასე გვითხრა ოფიციალტმა (ახლა კუნძულს კაფელა შერჩა).

ძალიან ნელა ვსვამდით ყავას
და ზღვის რკალიდან გავცქეროდით
კურდღლისყურება შენობებით დახუნძლულ ქალაქს.

ადგილის დედას

რადგან შენ თვითონ მომახატე მხარზე მერცხალი
ნუ გიკვირს წასვლა, ნურც დაბრუნება.
ზოგჯერ მგონია თავი – მეცხვარე –
სიტყვებს გაბარებ თვლით და უწვებლად.
ცარიელი და თავისუფალი –
არა და, მინდა – ქარივით ვქროდე,
ადგილის ღმერთთან ვიყო არადანს
და სივრცე – კაბის ატლასად მქონდეს.
შენგან და შენკენ –
რატომ მენევი,
თუკი ასეთი ლალი გამზარდე?
მე შემიძლია აღარ მოგწერო,

სიტყვებიანად შენში გაგზავდე,
მხრებში ჩაგინყო მხრები და შუბლში –
შუბლი – ცაზეც რომ ფართო მეგონა –
ჩავტეო შენში, დავემშვიდობო
გზების გადაღმა ყველა მეგობარს,
და გავქრე შენში.
მე მსუბუქი ვარ.
ისე მატარებ, თითქოს – გაგეშვი.
და მაპატიე ეს უნებური
ანრილება – მკერდის არეში.

* * *

კარგი რამაა თურმე რუტინა –
გადაქსოვილი გზებად, ბინებად –
ისე უგულოდ, ისე უტვინოდ

და ბუნებრივად მიედინება –
ნაკლს ვერ უპოვნი, თუ უნებურად
სიმშვიდეში არ დაეცა ძაბვა

და მინის ხაოს ტერფზე შეგრძნებით
ქარბორბალების ბზრიალა ძაბრმა
ერთიანად არ ჩაგიპირქვავა.

და მერე უკვე – ყველგან გეძებენ –
ჰაერის გულში, მინის შინელში.
ყველა ფულურო კუნძამდე მოჭრეს.

შენ კი გარბიხარ და საშინელი
ქოფაკებით გიღრღნიან კოჭებს
მათი ეჭვები. ყველგან არიან.

შენ ალბათ ფიქრობ, გავმინიანდი.
მე კი ცოტაც და შუქი გამივა –
მაჯებში, სულმთლად გავინმინდები.

მიცქირე, ვიდრე უხილავი ვარ.

მოლაღატი

პათეტიკაა პოეზია – უკანკალებს თხელი ნიკაპი,
სამყარო ცრემლში ედღაბნება და ჰგონია –
გაჰყურებს ღმერთის კალეიდოსკოპს

მეც თავს ვუქნევ, უფრო მეტიც,
ვაჯერებ რომ შემიძლია
ვარსკვლავები შალის ნაჭრით გავაბდღვრილო,

სიცარიელეს მთელი ღამე ატყვია ჩემი ნათითურები.
ახლომხედველი რომ არ იყოს, სიცრუისთვის შემოიშლებდა.
იქნებოდა შუბლმეკრული – ჩემი ყველა კავალერით.

ეს კი – ისეთი უმწეოა, უკვე არ ვიცი –
მართლა მიყვარს თუ მებრალება.
და თავს ვუქნევ – მთვარე თაფლის ერთი წვეთია –

დაგვეცემა და დაგვახრჩობს სილამაზისგან.
ხოლო ამ დროს ცას მიბჯენილი თვალები
რასაც ელოდებიან, არის მხოლოდ ატომური გაკამკამება.

ბავშვის თვალებს ისე მანათებს,
ტერფქვეშ ჩამდნარი აისბერგიც –
სიყვარულის ახსნა ჰგონია.

არ ვიცი, როგორ მივატოვო, როგორ გადავრჩე,
ვიდრე მართლა დავინახავ, რასაც ეს ხედავს.

თხილისური რიპერდანსი

როგორც მშობლების ცარიელ სახლში –
დღეს ამ ქალაქში –
თინეიჯერი ღმერთი თამაშობს –
ავტომობილებს მუჭით ყრის, ურევს –
ყველა გზაზე და ტროტუარზე,
კორპუსები სასულემდე ამოიშენა.
სურს გამოჩნდეს –
დიდი, უფრო დიდი,
ყველა წარსულ ღმერთზე უფრო მაღალი.

სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია –
ხელის მოსმით აგროვებს ჩრდილებს
და კედლებში მუჭით ყრის, ურევს –
დაე ქუჩებმა იკამკამონ ლაქის გარეშე,
მერე რა, თუკი ცერა თითზე –
ერთი-ორი ათინათიც მიესრისება.

აბა უთხარი – შენ არ ხარ ღმერთი,
პატარა ხარ და ქარაფშუტა,
როგორც ყველა თინეიჯერი.
ცა სახურავებს შორის აღწევს,
შეშფოთებით დაგყურებს უკვე –
ემინია, სასულე არ გადაიკეტო.

იქნებ მდინარე დაგასიზმროს –
წყნარი, წყნარი,
გუდასტერის ხმაზე რომ გარბის.
იქნებ პატარა ანგელოზი დაგასიზმროს,
შეფრენილი ქალის საშოში,
რომელიც მალე დაიბადება.

* * *

მუხლი მაქვს და ფრთა არა მაქვს –
შენს კოშკებში ამოვსახლდე –
კორპუსების კუზებიდან.

თუნდაც ცხვრებმა გადამძოვონ –
სალამურის ძვალი ვიყო –
საძოვარის გულზე მინდა.

თვალს ვერ ვაწვდენ, სულ ერთია –
ქედებს, შენი მეჩონგურე
სულის წანლებს.

სულეთი ხარ – ხევსურეთო –
რა ხანია მეწევი და
ცისკენ მასწრებ.

ძილი ნების

სიცრუეა ძილის ტკბილი ნება
და სიფხიზლის მწარე ნებაც.

მექანიკურ ტკივილებით
იბეჭდება წერილები:

მაპატიე, წყლიან ქალაქს რომ დავეძებ,
როცა შენსკენ სივრცე არის ჩაკეტილი.

აღბათ სჯობდა, ცოდვა მართლა ჩაგედინა,
უფალი ხომ კეთილია.

დაკბენილი, დაკანრული დღეებია.
ეს ზაფხული ლამის სულმთლად შევიძლო.

არ შეშინდე. თუ ბალახის ღერები ვართ,
ცისქვეშეთში – ძილი ყველგან შეგვიძლია.

მაპატიე, წყლიან ქალაქს რომ დავეძებ,
სუფთა ჰაერს რომ დავეძებ, მაპატიე.

სიფხიზლემდე გზაა მხოლოდ დაძინება –
ძილის ნება თუკი მაინც გვაბადია.

ღათვის ზღაპარი

ვინც ბავშვობაში დაიკარგა, იმას რა უჭირს –
ახლა გზასაც და თავსაც პოულობს.

მე კი გზა მუდამ წინ მეწევა, როგორც კაუჭი,
არსად არ მკარგავს და ჩერდება მუდამ დროულად –

ზუსტად იქ, სადაც საჭიროა. თუ გადავურჩი
ამდენ უღრან ტყეს და ამდენ მორევს,

ოდესმე აღბათ ერთიანად მომიტყევეს მუჭში,
ისე დამკარგავს და მომერევა,

შენც ვერ მიპოვნი. ანდაც იქნებ მეც ძველი ტყვე ვარ
სიზმრის, რომელიც ბავშვობაში ხშირად მინახავს –

მურა დათვს სძინავს სპილენძისფერ, შორეულ ტყეში
და თაფლის წვეთად გულში მინახავს.

ყველაზე საიმედო თავშესაფარი

ამ ლექსებში არის ყველაფერი, თითქმის ყველაფერი,
რაც გეუბნება, რომ შენ უსმენ პოეტს – გონიერს, მნიშვნე-
ლოვანს.

ოღონდ არ არის რომანტიზმის მზაობა, სევდის ბაღში
სულის პური გაგინანოლოს (რალა დროსია, აღარც უნდა
იყოს?!). აღარც სიმბოლისტები – ეს არტისტული თვით-
მკვლელები ჩანან, ცისფერ ალზე მეტაფორებს რომ აც-
ხოზდნენ ოდესღაც. აქ არც მოდური (თუ აქტუალური?)
პოსტმოდერნული თამაშებია – მიაბითურად რომ ცდი-
ლობს ბავშვური შთაგონებით მუჭში მოიმწყვდიოს დრო
და სივრცე, დაშალოს და ხელახლა ააწყოს სამყარო.

ცრემლი, მონატრება, გულჩვილობა... ეს ის დაკარგუ-
ლი ჩიტებია, ოდესღაც რომ ყველა სახლის ჭერქვეშ ბუ-
დეს იკეთებდნენ. ამიტომ თვით ნოსტალგიის შეგრძნე-
ბაც კი მკაცრ გადაფასებას იწყებს ლელა სამნიაშვილის
თაობაში.

**რადგან შენ თითონ მიმიხატე მხარზე მერცხალი
ნუ გიკვირს წასვლა, ნურც დაბრუნება.**

აქ გრძნობებისა და ემოციების გამოზოგვა ისწავლეს,

რადგან უახლოესი წინაპრები – დედები და მამები – სასი-
ცოცხლო ენერჯიას კოცონზე წვავდნენ, უმოწყალოდ იფ-
ლანგებოდნენ.

აქ დროს ისეთივე ფასი დაედო, როგორც ვეება კორ-
პუსებით გადაკეტილ ჟანგბადს ქალაქში, რომელშიც „თი-
ნეიჯერი ღმერთი თამაშობს“.

**ეს ჩემი წყალზე სულსწრაფი წლები
არის სიტყვების გაზიარება – თვალებისათვის.
თოვლის ნარჩენებს დავყურებ, როგორც თაბახის
მინდვრებს...**

აქ საუკეთესო ადამიანური რესურსი ისე ინახება თუ
იმალება, როგორც გემის სარდაფებში კონტრაბანდული
ტვირთი.

„ბრმა ნაწლავივით ამოჭრილი სამშობლო“ კი გადიდე-
ბული სურათივით ჰკიდია გულის უკანა კედელზე – ჭირი-
სუფლის ყველაზე საიმედო თავშესაფარში.

მანა ჯონსაძე

როსტომ ჩხეიძე

სიკვდილი თოვლში, ფიფქაბის ცეკვაში

*

კარლ ზელინგის კვირმანობა

ეტყობა, თავისი ეკერმანი ყველა მწერალს უნდა ჰყავდეს.

არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც გოეთე იყო.

თუ გოეთეც ხარ, ამას რა სჯობს, მაგრამ ისედაც ყველა ნამდვილი მწერალი ისეთი მღელვარე და ათასფერადი სამყაროა, მოუწყინრად საკითხავი წიგნი შეიძლება შეიქმნას მათი ზეპირმეტყველებისა და ვითომდა სასხვათაშორისო საუბრების მიხედვით.

ინტერვიუ, დიალოგი, მცირე მემუარული ჩანაწერი, ლიტერატურული პორტრეტი კიდეც სხვაა – თავისთავად ძალიანაც ფასეული, მაგრამ რა შეედრება იმ სულიერი თანაზიარობის ნაყოფს, როდესაც საგანგებოდ ამ მიზნით დაუახლოვდები მწერალს და გამუდმებით მის გარშემო ტრიალებ – რათა ჩაინერო ყველაფერი, რაც სახელდახელოდ და ძალდაუტანებლად მოსდევს ხშირ შეხვედრებსა და გულის გადახსნას.

ასეთ დროს ხომ ისეთი დეტალები შეიძლება ამოტივტივდეს მეხსიერების ყველაზე ღრმა საკუჭნაოდან თუ სულის უშორესი შრეებიდან, მწერალს თვითონაც რომ გადავიწყებოდა და ახლა გაოცებულმაც კი ადევნოს თვალი მათ უეცარ ამოფრქვევას.

„მაგრამ შევაქოთ არა მხოლოდ ის ბრძენი, რომელთა სახელებიც წიგნის ყდაზე თვალს იტაცებს, არამედ ისინიც, ვინც მათ ეს სიბრძნე გამოსტყუა“ – ამ სიტყვებით ბერტოლდ ბრეჰტი დითირამბს შეასხამდა იმ პიროვნებებს, რომელნიც ახერხებდნენ აელაპარაკებინათ გონიერებით აღსავსე ადამიანები და ხან მართლაც ისეთი რამ დაეცდნენინებათ, რაც ბრძენკაცთ მანამდე მკაფიოდ არც გაეცნობიერებინათ, ანდა, ვინ იცის, მტკიცედაც კი ჩამოეყალიბებინათ, მაგრამ ვერ პოულობდნენ ყველაზე შესაფერისსა და მარჯვე ფორმას ამ შეხედულებათა თუ დაკვირვებათა გასაშლელად.

აჰა, ესეც ის ფორმა:

ერთი შეხედვით თითქოსდა უსისტემო მსჯელობა და დროდადრო წამოსროლილი ფრაზები.

სინამდვილეში კი

თავისებურ ძეგლად და ნიმუშად რჩებოდა იოჰან ეკერმანის „საუბრები გოეთესთან“.

ახალ დროში კი კარლ ზელინგის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულებაც უნდა ამოდგომოდა გვერდით იმ კლასიკურ ქმნილებას – „ხეტიალი რობერტ ვალზერთან ერთად“, ქართულ ლიტერატურულ პროცესშიც ჩართული მათი მირიანაშვილის წყალობით.

ვალზერი ვერ შეეტოლება გოეთეს.

მაგრამ თურმე არც მისი ცხოვრების უკანასკნელი ჟამი ყოფილა დასაკარგი – ფსიქიატრიულ კლინიკაში გატარებული წლები, რომელიც ასერიგად შეუმსუბუქა და გაუადვილა კარლ ზელინგმა, კეთილშობილმა, ქველმოქმედმა, ადამიანებზე გადაგებულმა პიროვნებამ, ვისი დახვეწილი გემოვნებაც და ნიჭიერებაც ასე ხელშესახებდად გამოიკვეთა „ხეტიალეზად“ სახელდებულ წიგნში და უშუალოდაცაა აღნიშნული ელიო ფროლინის ბოლოთქმამში.

ვალზერის მწუხარე ბედისწერით დაინტერესებულ კაცს აღარ დასჭირდება სხვადასხვა მოგონებებიდან, ეპისტოლეებიდან თუ დღიურებიდან ამოკრება და შეკონინება მეტ-ნაკლებად მკაფიო სურათისა, რათა თავის დროზე განთქმული შვეიცარიელი მწერლის პორტრეტი გამოკვეთოს. კარლ ზელიგი თვითონვე უყრის თავს ყოველგვარ დეტალსა თუ ფრაგმენტს, ამთლიანებს, შესაფერის ფონსაც წარმოუსახავს და განაზოგადებს მგრძობიარე სულის ტრაგიკულ ხვედრად მოუწყობელ ნუთისოფელსა და კიდეც უფრო მოუწყობელ ქვეყანაში.

ფრანც კაფკას დიდება უკვე დაწყებულიყო და ევროპასა და მსოფლიოსაც გადაწვდენოდა, და ასეთ დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭებოდა, რომ „მეტამორფოზის“ შემქმნელი ალტაცებული დარჩენილიყო რობერტ ვალზერის ნაწერებით. ვალზერის ადგილას ყველა სხვა მწერალი ენერგიულად ჩაეჭიდებოდა ამ ცნობას, არადა, ის საკმაოდ გულგრილად ეკიდებოდა კაფკას ალტაცებულ შეხედულებას მის მხატვრულ ძიებებზე და არც XX საუკუნის ბელეტრისტიკის ერთ-ერთ ბურჯად შერაცხილი ამ გერმანელი მწერლის ქმნილებებით მოხიბლულიყო.

გულწრფელია, ცხადია, როდესაც კაფკას შესახებ ათვალწუნებას გამოთქვამს ზელიგთან საუბრისას, და მადლიერებასაც კი არ განიცდის.

კი მაგრამ, ასე რატომ გაურბის ამ სახელს?

ალბათ იმავე მოტივით, რა მიზეზითაც კაფკასათვის ყოვლად მიუღებელი გახლდათ ედგარ პო. თითქოს გატაცებული უნდა ყოფილიყო მისი ნაწერებით, სხვა თუ არაფერი, სულიერი მსგავსებას უნდა გაება იდუმალი ძაფებით მათ შორის, მაგრამ ეს არ მომხდარა, რადგანაც კომმარული იერი თ ალბეჭდილი მხატვრული სამყაროს შემქმნელი ვერაფრისდიდებით ვერ იტანდა სხვათა კომმარებს – სხვა მწერლებთან დაეძებდა შედარებით ნათელ, მშვიდ, განონასწორებულ გარემოს და არა ფანტასმაგორიულსა და შემადრწუნებელ ხილვებს.

ვალზერიც, ეტყობა, ამასვე განიცდის კაფკას მიმართ – კომმარები თუ თავზარდამცემი ხილვები თავისიც ეყოფა და კაფკას სამყაროდან გამორიდება, გნებავთ გამოქცევა ამიტომაც ურჩევნია.

შედარებით ნათელსა და განონასწორებულს, თორემ არც იდეალური, ყოველმხრივ მონესრიგებული გარემოსი სწამდა რაიმე და თვისტომებს თუ ედავებოდა, უპირველესად სწორედ ამას – გარემომცველი სინამდვილის ზედმეტ გაიდელებასა და ჰიპერბოლიზებას.

შვეიცარიულ ლიტერატურაში ყველა უბედურების წყაროდ ის მიმანჩნია, რომ ჩვენი ავტორები საკუთარ ხალხს ისე საყვარლებად და კეთილებად წარმოაჩინენ, გეგონება ყოველი მათგანი პესტალოცი იყოს. მისთვის და-

უმსახურებელი ქება-დიდებას შესხმა ან ავტორის დამრიგებლური დამოძღვრა, რაც ჩვენი თაობის ლიტერატორებს ახასიათებთ, ჩემზე ხანდახან საზიზღრად მოქმედებსო, – ზელიგს ამჯერადაც დაუფარავად რომ მოახსენებდა საკუთარ თვალსაზრისს, ამ მიდრეკილების საპირისპირო მოვლენად გოტფრიდ კელერს მიიჩნევდა: რა სხვანაირი იყო მაინც, დარწმუნებული ვარ, მასში არამზადაც იყო ჩასახლებულიო.

რასაკვირველია, ეს ფრაზა პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. ვალზერი მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ კელერი უნიღბოდ, გულგადახსნილი წარმდგარიყო თვისტომთა წინაშე და დაურიდებლად ამხელდა საკუთარ თავსაც და მშობლიურ ქვეყანასაც.

ვალზერს ხიბლავდა თავისი წინამორბედის მძაფრი კრიტიციზმი და მიაჩნდა, რომ სწორედ ამ თვალთახედვამ იხსნა კელერი უფსკრულისაგან, სადაც თითქმის ყველა მწერალი აღმოჩნდა მის თანამედროვეთა და თანამემამულეთაგან და ოთახის უსუნო მცენარეებს ამიტომაც დაემსგავსნენ.

მწერლური მოვალეობიდან ყველაზე დიდი გადაცდენა მაინც მსოფლიოს გამომსწორებლისა და მქადაგებლის ტონი გახლდათ, რაც კელერისა და მაიერის შემდგომ შემომჩნეოდა ლიტერატურაში და – ვალზერის რწმენით – ყველაზე დამანგრეველადაც ეს მოქმედებდა ლიტერატურაზე.

გულახდილობა აგულიანებს ვალზერს, კბილი მწარედ გაჰკრას თეოდორ დოსტოევსკისა თუ რაინერ მარია რილკეს, და ერთი-ორი კაციც ზედ მიაყოლოს:

– რილკე და იერემია გოტშელდის „ულის“ ორივე ტომი მოხუც შინაბერებს სანოლთან, ტუმბოზე უწყევიათ. დოსტოევსკის „იდიოტი“, აიხენდორფის მოთხრობა „არარაობის ცხოვრებიდან“ და გოტფრიდ კელერის თამამი ლირიკა მორალისტული, უხეში და მყვირალაა.

გულახდილობა აგულიანებს კბილი მწარედ გაჰკრას ფრიდრიხ ნიცშესაც:

– იმისათვის იძიებდა შურს, რომ არცერთ ქალს არ უყვარდა. არადა, თვითონ იყო სიყვარულის უნარს მოკლებული. ისევე, როგორც ბევრი სხვა ფილოსოფიური სისტემა, ესეც შურისძიებაა დაკარგული ტკბობის გამო.

და ერთხელ კიდევ მიუბრუნდეს:

– გამარჯვებისაკენ მიისწრაფოდა და უსაზღვროდ პატივმოყვარე ადამიანი იყო. თუმცა რაღაც მაცდურიც ჰქონდა. ეს გენიას სჩვევია. ეშმაკი მას სულში ადრევე ჩაუძვრა. არ იყო მართალი და წრფელი ადამიანი. ამქვეყნიური ცხოვრებით უკმაყოფილო ყოველთვის ჯიუტად მაღლა მიისწრაფოდა. მისი მამაკაცური მორალი ქალისათვის აღბათ შეურაცხმყოფელიც იყო. ჰო, ეს უსიყვარულოდ დარჩენილის ვერაგული შურისძიება იყო.

ფროიდისტული სარჩული ამოკელება ნიცშეს ბიოგრაფიასა და ბედისწერას და ის, ვინც უსაზღვრო სინრფეთა და ჭეშმარიტების დაუოკებელი ძიებით გვიხილავს,



მოულოდნელად ცხადდება ყალბ და არა-გულწრფელ ადამიანად მაგრამ აქ ნუ გავუმართავთ დავა-კამათს ვალზერს, ნურც მიკერძოებას ვუსაყვედურებთ, ბოლოსდაბოლოს, ყველას აქვს უფლება საკუთარი თვალსაზრისი გამოთქვას და მემუარული ჩანაწერებიც სწორედ იმითაა ფასეული, განსხვავებულ შეხედულებებს რაც შეიძლება ხშირად თუ ამოვიკითხავთ. რასაც სხვა დროს მოერიდებოდნენ, ამჯერად დაუფარავად უზიარებენ თითო-ოროლა მსმენელს და რჩება ეს თვალსაზრისები ზოგჯერ ახალისის შემსხნელად მკითხველისათვის, ზოგჯერ საგულისხმო ალტერნატივად, ზოგჯერაც ამა თუ იმ პიროვნების ფსიქიკისა თუ ეპოქის თავისებურებათა ამრეკლავად.

აი, თომას მანს ასე მწარედაც ვერ შებედავს, თუმც მისი მოსაზრებანი მთლად სასიამოვნოდ ვერ დაურჩებათ ამ მწერ-

ლის თაყვანისმცემელთ:

– ყველაფერი ახალგაზრდობიდანვე ჰქონდა: სიმშვიდე, უსაფრთხოება, ოჯახური ბედნიერება, აღიარება. ემიგრაციამაც ვერ გატეხა. უცხო მიწაზეც განაგრძობდა წერას, როგორც ბეჯითი მოხელე თავის კანტორაში. რომანი „იოსები და ძმანი მისნი“ მშრალი და გამოფიტულია, მთლად ისეთი ლამაზი არ არის, როგორც მისი ადრეული ნაწარმოებები მის გვიანდელ თხზულებებში უკვე ოთახის ჰაერი შეიგრძნობა. ასე იცის, როცა ავტორი ბულალტერივით მხოლოდ თავის სანერ მაგიდას უზის და წერს. მისი მოქალაქეობრივი მონესრიგებულობა, მისი თითქმის ბუნებისმეტყველებით მსჯელობა, ყოველი დეტალისათვის ზუსტი ადგილის მიჩენა მართლაც მოკრძალებას აღძრავს მკითხველში.

ოთახის უსუნო ყვავილი...

ოთახის ჰაერი...

მის შეგნებაში ორ დაპირისპირებულ პოლუსად რჩებოდა ოთახი და გარესამყარო, რომელიც ყოველი გასეირნებისა თუ ხეტიალისას პირველქმნილებასთან შეხვედრის, პირველხილვის განცდას აღუძრავდა და მისი მხატვრული წარმოსახვებისა და ძიების უმთავრეს საყრდენადაც იქცეოდა.

მოთხრობა „გასეირნება“ ამ სიუჟეტურ ქარგაზე რომ აიგებოდა, თუ როგორ იხილავს მთავარი გმირი (მწერლის ალტერ ეგო) ოთახს მიღმა სამყაროს მრავალფეროვნებას, ეს ვალზერისათვის იქნებოდა არა მხოლოდ მარჯვე კომპოზიციური ხერხის მიგნება, არამედ მისი პიროვნული და შემოქმედებითი არსებობის გულისგული.

ესაა კარი, მის მხატვრულ სამყაროში შესაღწევად.

და მაია მირიანაშვილმაც უპირველესად ეს მოთხრობა ამიტომ შეარჩია რობერტ ვალზერის შემოსაყვანად ქართულ ენობრივ სივრცეში.

„გასეირნება“ თავისებურად ავსებს კარლ ზელიგის ეკერმანულ თხზულებას და ხელშესახებს ხდის იმ პიროვნების სახებას, რომელსაც სეირნობის ჟამს ისეთი გან-

ცდაც უნდა ვიხსენებოდა, თითქოს წინაპართა ჩივილი და ტკივილი მდუმარად იჭრებოდა ყოველი მხრიდან; ღარიბულ სახლებს ისე გულისამაჩუყებლად, აღმაფრთოვანებლად დასთამაშებდა მზის სხივები, თითქოს ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები დაჰფარფატებდნენ თავს; და ღმერთიც, ჩვენი მწყალობელი მამა, აქ, ამ ადგილას ჩამობრძანებულიყო და აქაურობა ციურად მშვენიერი და საუცხოო გაეხადა; წარმოსახვა თვითვე აიძულებდა დაეჯერებინა, რომ მართლა ჩამობრძანებულიყო ზეციდან იესო ქრისტე და იქ, სადაც, ხალხს შორის მიმოდიოდა; სამყაროს კი სული გადაეხსნა და ცდილობდა, ყველას ტანჯვა, იმედაცრუება, ყოველგვარი ბოროტება, ყველანაირი ტკივილი განეეკარებინა.

და კიდევ:

„რასაც ვხედავდი, რასაც აღვიქვამდი, ერთდროულად დიდიც იყო და პატარაც, მნიშვნელოვანიც და უმნიშვნელოც, მოკრძალებულიც და მომხიბლავიც, ახლობელიც და შორეულიც და თან საოცრად საყვარელი, მიმზიდველი, თბილი. ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმა ახალ სიხარულსა და ხალისს მჩუქნიდა. ერთი სიხარული მეორეს მოსდევდა. გარემოს მინდობილი ჰაერში დავფარფატებდი“

რა გასაკვირია ეს შეგრძნებანი, ეს ძალდაუტანებელი გადასვლა სულ სხვა განზომილებაში, როდესაც ანგელოზთა და მამა-ღმერთის სიახლოვეს განიცდი და აღარც იესო ქრისტეს ხორციელი არსებობა გეეჭვება.

ფსიქიატრიულ კლინიკას უკიდურესობამდე გაემძაფრებინა მის არსებაში შემოზღუდული სივრცის სულისშემხუთავი შეგრძნება და არამარტო შინაგანად მიელტვოდა გადაშლილ გარემოს, არამედ მსოფლგანცდაც ასევე მოემართებოდა და, ოთახს ტრაგიკული სულისკვეთებით რომ ალავსებდა, შეხედულებათა ქვაკუთხედადაც მისგან თავდაღწევას აქცევდა.

თუმცა, იმავდროულად, სკეპტიკურად განწყობილიყო იმ მწერალთა მიმართ, რომელთაც თავიანთი პერსონაჟებისათვის ლამის მთელი სამყარო სჭირდებოდათ და ბევრსაც მიედ-მოედებოდნენ, და არც შეგონებას დაიშურებდა: ყოველდღიური სამყარო სივრცე ლამაზი და მდიდარია, რათა მისგან პოეტური ნაპერწკლები გააღვივო.

ასეა თუ ისე, ლიტერატურულ განსჯასა და შეფასებებშიც ძალდაუტანებლად განხედებოდა ეს ხატი – ოთახი, როგორც ცალკეულ მოვლენათა შემორკალულობის, უკიდურესი სივინროვის ყველაზე ზუსტი განმსაზღვრელი.

სამაგიეროდ, გოტფრიდ კელერის ბელეტრისტულ ქმნილებებს ერთხელაც არ ნაეკარება „ოთახის“ ხსენება და, თუმცა ერთი-ორჯერ მის მიმართაც გაიღვებებს არცთუ სასიამოვნო ეპითეტი, ყველაფერს მაინც აღტაცება ფარავს. რობერტ ვალზერს არასოდეს წყინდება მისი ხსენება, როგორც დიდი იდეალისა, და რომანს „მწვანე ჰაინრიხი“ როგორც ახალგაზრდობისას უყვარდა, კვლავაც არანაკლები გატაცებით კითხულობს.

ეჭვიც არ ეპარება, ეს რომანი ყველა თაობისათვის საყვარელ, ძვირფას, არაჩვეულებრივ აღმზრდელობით წინადადარჩებაო. და გამოსდევს ზელიგის ნიგნსაც კელერის ლანდი და, ისეთი შთაბეჭდილებაც დაგრჩება, კომპოზიციური ქარგა მისი სახელის გარშემო ხომ არ არის სულაც გაშლილიო.

რობერტ ვალზერი კი თავისას შესჩიოდა საკუთარ მეურვეს: განა თქვენი აზრითაც დღევანდელი პოეტები ძალზე ყალბნი არ არიან? ეს იმიტომ, რომ თავიანთი გრძნობების გამოხატვისა ეშინიათ! ყოველ ლექსში პოეტის გულისცემა უნდა იგრძნობოდესო.

არც პროზაიკოსებს დაინდობდა: ეს თაობა დედიკოს ბიჭებად მიმაჩნია. წარუმატებლობის ატანა არ შეუძლიათ, შეურაცხყოფილები მაშინვე დედიკოსთან გარბიან, მოთქვამენო.

განცდის სიმძაფრეს მოითხოვდა მწერლისაგან ვალზერი, დაბრკოლებებთან პირისპირ შეხლას და არა გაუბედავ ბუზღუნს, რაც გულუბრყვილო მკითხველის თვალში ლამის კრიტიციზმსაც უტოლდებოდა, სინამდვილეში კი სახელს უტეხდა მართლა კრიტიკულსა და დაუშოშმინებელ პათოსს. ასეთ დროს მასში მეამბოხის ჟინიც იღვიძებდა („ხელოვანს თუ სურს რაიმე საინტერესო შექმნას, საკუთარ თავში დემონსაც უნდა ატარებდეს. ანგელოზები კარგი ხელოვანები ვერასოდეს იქნებიან“) და თვალსაჩინოებისათვის დოსტოვესკის „ემპაქს“ იშველიებდა, სახელდობრ, სტავროგინის ფრაზას: ვფიქრობ, ადამიანები თანდათან ან ანგელოზებად იქცევიან, ან ეშმაკებადო.

ძალიან განიცდიდა, რომ მწერლებს ყველა ჭკუას არიგებდა: პირადად მე ერთი ფუთი რჩევები დამაყარესო.

შესაძლოა ისეთ გუნებაზეც დამდგარიყო, ქოლგა დი-რიფორივით ექნია და თან მსახიობივით წარმოეთქვა სტრიქონები გეორგ ბიუხნერის „დანტონის სიკვდილიდან“: „ვხედავ, საფრანგეთს დიდი უბედურება დაატყდება თავს. ეს არის დიქტატურა, რომელმაც უკვე ჩამოიხსნა ნიღბი და ამაყად თავანუული დააბიჯებს ჩვენს გვამებზე“.

სხვათა შორის, როდესაც რევოლუციის არსისა და რევოლუციონერთა ბუნების ახსნა-გააზრებას მოინდომებდა: გახსოვთ ფრანგი გენერლები? იმედის გაცრუების, შურისა და ჟინით შეპყრობილობის გამო როგორ მოიკლეს თავი, როგორ გაუთავისუფლეს ადგილი ნაპოლეონსა და ერთ მეფეს? იგივე შეიძლება ითქვას სტალინზეც და ჰიტლერზეცო, – ყველაზე სახიერ ნიმუშად სწორედ „დანტონის სიკვდილს“ მოიხმობდა: რევოლუციონერთა ეს ტრაგედია შესანიშნავად აღწერა ბიუხნერმაო.

და მაინც, ყველაზე ძალიან რუსეთის ხსენება ზარავდა და დაბეჯითებით ამიტომაც იმეორებდა: ფრთხილად ვიყოთ, ყველაფერი რუსული მხოლოდ ჭუჭყიან წყალში შეგვიყვანსო.

აღსასრულის შეგრძნება სულ უფრო უმძაფრდებოდა და, გამოვლილ გზას რომ გახედავდა, იმ გარემოებასაც ჩაუკვირდებოდა, თუ რატომ ვერ მოეპოვებინა შესაფერისი წარმატება. მიზეზს იმით ახსნიდა: საზოგადოებრივი ინსტიტუტი საერთოდ არ გამაჩნია. საზოგადოებისათვის თავის მოსაწონებლად არასოდეს მიმსახიობია. ამ გადასახედიდან ნათლად ვხედავ. ყოველთვის საკუთარი შეხედულებით ვიტყვოდი. ვცდილობდი დინებას მივყოლოდიო.

ამ გადასახედიდან ნათლად ვხედავო

აშკარაა, მკაფიოდ ახლავდა აცნობიერებს თავისი ცხოვრების სტილსა და ყაიდას, შეგნებულად კი არ დაპირისპირებია შოუმენურ, ერთგვარად არლეკინურ ნორმებს, მისთვის ეს ბუნებრიობაა და ამ ბუნებრიობას ვერ

ულალატებდა, მიუხედავად იმისა, რომ მის სიტყვებში სტოიციზმთან ერთად სევდა გამოსჭვივის, რა იქნებოდა, მსახიობობის გარეშეც შემძლებოდა საზოგადოებაში ჩემი კუთვნილი ადგილის დამკვიდრებაო.

უფრო ღრმადაც რომ ჩასდევდა მიზეზებს, აღმოაჩენდა, რომ ყველა გულისხმიერი ადამიანი, რომელსაც სჯეროდა, უფლება მაქვს ვალზერი გავაკრიტიკო და ვუხელმძღვანელოო, ჰერმან ჰესეს ფანატიკოსი მიმდევარი გახლდათ:

– ისინი მე არ მცნობენ. მათთვის ერთადერთი რამ არსებობს: ან ჰესესავით უნდა წერდე, ან უნიჭო ხარ და რჩები ასეთად. აი, ასე კატეგორიულად მსჯელობენ. მათ ჩემი შემოქმედების არანაირი ნდობა და ნვდომა არ გააჩნიათ. ამიტომ მოვხვდი ამ კლინიკაში. მათი აზრით, თითქმის ყოველთვის მაკვდა ჰესესეული ნათელი წმინდა სხივი. მართო ამ სხივით შეიძლება ლიტერატურაში ადგილის დამკვიდრება. რომელიღაც გამონათება გმირობის, მოთმინების, რაღაც ამის მსგავსისა მაშინ წარმატებისაკენ კიბეც უკვე ადვილი ასავლელია ჩემში უღმობელობას ხედავენ. ამიტომაც არ აღიქვამენ სერიოზულად.

საზოგადოების ასეთ მორალსა და აღქმაში ხედავდა საკუთარ ბედისწერასაც კი. მკითხველმა საზოგადოებამ განირა იგი ჰესეს გულისათვის, ზურგი შეაქცია მის სტილისტიკას, რადგანაც ჰესეს მხატვრული მანერა გაცილებით უფრო მიმზიდველი იქნებოდა და, თუკი რობერტ ვალზერი გადაკეთდებოდა, მასაც იმასავით აღიარებდნენ.

მაგრამ ვალზერი ვერც საზოგადოებრივ ინსტიტუტს შეიძინდა და ვერც მსახიობობის უნარს გამოავლენდა, და სულიერი ჭიდილი ადრე თუ გვიან ფსიქიატრიული კლინიკის კარს მიაყენებდა.

აღსასრულის შეგრძნება სულ უფრო უმძაფრდებოდაო...

ამიტომაც ჩნდებოდა მის წარმოსახვაში კელერის სიცოცხლის უკანასკნელი ჟამი გულისშემძვრელ სურათად:

– რა სამწუხაროა, რომ გოტფრიდ კელერი ბიდერის სახლში ხაფანგში გამომწყვდეული თავივით მოკვდა.

თუმცა ოთახის სუნთქვა ვერაფრისდიდებით ვერ შეჭროდა შემოქმედებით ძიებებში „მწვანე ჰაინრიხის“ შემოქმედს, მის ბიოგრაფიას მაინც დააჩნევდა მწარე კლანჭს შემოზღუდული გარემო.

ვალზერს იგი მხოლოდ გადაშლილ სივრცეში ემეტებოდა აღსასრულისათვის და ხაფანგში გამომწყვდეული თავის ხატი ამიტომაც აეკვიტებოდა.

ზელიგი ველარ მოითმენდა და ეტყოდა: ხომ ხედავთ, ახლა თქვენი წინაპრისაგან მცირე გამოცდილება მაინც შეიძინეთო.

ის სიცილით დაეთანხმებოდა:

– ჰო, ეგ მართალია, მაგრამ კელერს აღარ სტკივა.

შეება ხომ მაინც ეპოვნა.

სულ უფრო უმძაფრდებოდაო...

ეს განცდა გადმოედებოდა კარლ ზელიგსაც და ბოლო სეირნობებისას უკვე აღარაფერს აღარ ჩაინიშნავდა. ვალზერი კი ნუთისოფელს მარტოდმარტო გამოეთხოვებოდა – გვერდით არ ედგებოდა თავისი კეთილისმყოფელი, ვინც შეეცდებოდა მწერლის ნახეტილება სიკვდილთან შესახვედრად თავისი წარმოსახვით შეეცხო, მის სხეულში ჩასახ-

ლებას მოინდომებდა და შიგნიდან დანახვას ამ იდუმალი პროცესისა, რასაც ჰქვია არამარტო სულიერი, არამედ ლანდშაფტზეც აღბეჭდილი სვლა სიკვდილისაკენ.

აღსასრულს კი მხატვრული შეფერადება სულაც არ დასჭირდებოდა, რადგანაც რეალისტური სურათი თვითონვე აღმოჩნდებოდა შთამბეჭდავიც და სიმბოლურიც, და ძნელად დასაჯერებელიც კი, რომ სინამდვილეში სწორედ ასე მოხდა და ეს სურათი ზელიგის გამოგონილი არ არის ეფექტური ფინალისათვის.

არაფერს მოიგონებდა კარლ ზელიგი.

ამიტომაც არის ასე ფასეული ხეტიალთა ეს რკალი, რომ ყოველივე ზუსტია და შეუფერადებელი. ეს სიზუსტე და პირუთენელობა გახლდათ თავიდანვე მემუარისტის უმთავრესი მიზანიც და უმაღლესი კანონიც, რათა რობერტ ვალზერისაგან არარეალური სახე კი არ შეექმნა, არამედ ამ პიროვნების გამორჩეული ხასიათი და შეხედულებანი შეულამაზებლად წარმოესახა. ზოგიერთ პასაჟს მკითხველი შესაძლოა გაელიზიანებინა კიდეც, ზოგიერთი დეტალის გამოზეურებით კი, ვინ იცის, ვალზერს ჩრდილიც მისდგომოდა, მაგრამ ზელიგი ამ რეალობას წინასწარვე გახლდათ შეგუებული და ბოლომდეც უერთგულა შეუფერადებლობის პრინციპს.

და ამიტომაცაა ათმაგად სახიერი და შემძვრელი ვალზერის ცხოვრებისა და ამ მემუარული წიგნის ფინალი, რომელშიც ჩნდებიან ქალი და ორი ბიჭი, ბედისწერის განაჩენით სამუდამოდ რომ უნდა გადაჯაჭვოდნენ რობერტ ვალზერის სახელს.

ქალი ხეობიდან უნდა გამოვიდეს და, როდესაც ძალლი აფორიქდება და ყეფით გაინევეს ფერდობისაკენ, ბიჭებს სთხოვოს: მიდით, ნახეთ, ნეტა რა გდია რაღაც უცხო და უჩვეულოო. და სკოლის ორმა მოსწავლემ თხილამურებით უნდა გაიკვლიოს გზა.

„მკვდარი, რომელიც იქ, ფერდობზე, ზამთრის ფაფუკი ფიფქების მხიარულ ცეკვაში იწვა, პოეტი აღმოჩნდა. მწერალი, რომელიც ბავშვივით მშვიდი სამყაროსაკენ, სისუფთავისაკენ, სიყვარულისაკენ მიილტვოდა: რობერტ ვალზერი“.

ზერი ინატრებდა ასეთ აღსასრულს – მწერალიც და პოეტური სულის ადამიანიც.

ვალზერს განგებისაგან რგებოდა.

რაც კელერისათვის ემეტებოდა, თვითონ მას მიჰკერძებოდა და ხეტიალის დაუოკებელი ჟინით აღვსილი არც სიცოცხლის უკანასკნელ ნუთებში დაემგვანებოდა ხაფანგში გამომწყვდეულ თავს.

ეფინებოდა ცხედარს ფიფქები სიფაფუკითა და მხიარული ცეკვა-ცეკვით, ეხვეოდა თოვლის სუდარაში და ირეკლებოდა ზეცისაკენ აპყრობილ თვალეში სამყაროს დაბადების სურათები.

სიკვდილშიც არა ჰქონია ბედიო, – ასე დაიტრებდნენ ქართული რომანის პერსონაჟები ერთ-ერთ მთავარ გმირს.

სიკვდილში მაინც ჰქონია ბედიო, – ასე ვალზერს შენატრებდნენ და კრთომითა და სევდით გახედავდნენ თავთავიანთი სიკვდილის აჩრდილს – ვინ არგუნებდათ ასე ადვილად ბავშვივით ლტოლვას მშვიდი სამყაროსკენ, სისუფთავისკენ, სიყვარულისკენ

ემზარ კვიციანი

ივრისპირელი მზაჭაბუკი

*

მირზა გელოვანი

ერთხელ, კარგად მახსოვს, ლადო გუდიაშვილის სიძე, რეჟისორი გურამ მელივა, მეგობრულ სუფრაზე, ჰყვებოდა – მოგეხსენებათ, ჩემი სიმაჟრი, ბატონი ლადო, ცოტა სხვანაირი კაცი იყო. აღსასრულის მოახლოება როცა იგრძნო, შინაურებს მისებურად გალიმებულმა გვითხრა: საფლავში ჩაშვების ნინ ჩემი კუბოს სახურავს მაინცდამაინც მჭიდროდ ნუ დაგმანავთ და ლურსმნითაც ნუ დაჭედავთ, ოდნავ ღრიჭოდ დატოვეთ, იქედან ამოსვლის პატარა შანსი რო მქონდეს, თბილისის უნახავად იმ ქვეყანას დიდხანს ვერ გაეძლებო.

ეს სიტყვები, ჩემს მაგივრად, აჯობებდა მირზა გელოვანს მოესმინა. მას ფუნჯის დიდოსტატის უცნაური დანაბარები სულაც არ გაუკვირდებოდა, როგორც იმ ერთს, ჩარჩოდან ღამით თავდაღწეულს, ვინც „კარტივით გადაშლის მტკაველს“ და ბოლოს, მეტეხის მახლობლად, „გუდიაშვილის ჩქარსირბილს“ გააყოლებს თვალს. მართლაც შნოიანად, დარდიმანდულად კი აქვთ ხელის მტევნები განზე გადანეული, გუდიაშვილის დახატულ, მწვანეზე, მდინარის პირას განფენილ მოქიეფებს.

სურათიდან ამა თუ იმ ფიგურის გადმოსვლა, ცხადია, ახალი ამბავი არაა. გააჩნია, რისი შემძლე ხარ და როგორ ნარმოაჩენ, გამოიყენებ ამ ხერხს თუ ხილვას. მიხეილ ლერმონტოვს აქვს ერთი პატარა, გენიალური მოთხრობა „შტოსი“, რომელიც თავისი პირქუში განწყობილებით, მისტიკური დეტალებითა და ხვეულებით აშკარად მოგვაგონებს ედგარ პოს კომპარულ ნოველებსა და პუშკინის „პიკის ქალს“. ეს დამთრგუნველი მოთხრობა, რამდენადმე, ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, მთავარი გმირის მელანქოლიურობის გამო.

პეტერბურგელი მხატვარი ლუგინი, ქალაქის მიყრუებულ უბანში (ამინდიც ყველაზე უფრო პეტერბურგულია შერჩეული – თვალთ გაუჭრელი ტყვიისფერი ბურუსი), ნესტიან, თოვლჭყაპიან დილით, ეძებს და პოულობს გარდაცვლილი „ტიტულიარნი სოვეტნიკის“, ვინმე შტოსის ცა-

რიელ ბინას, რომელსაც იგი მეეზოვის მეშვეობით ქირობს. ლუგინის ყურადღებას იქცევს ერთ-ერთ კედელზე ჩამოკიდებული პორტრეტი ნაცრისფერთვალეა, ორმოცი წლის კაცისა, რომელსაც ზოლებიანი ბუხარული ხალათი აცვია, ხელში უჩვეულოდ დიდი ოქროს სათუთუნე უჭირავს, თითებზე კი უკიაფებს ნაირნაირი ბეჭდები. ლუგინს მოეწონა იქაურობა, მოსამსახურეს მაშინვე მოატანინა ბარგი და საძილედ ის პორტრეტიანი ოთახი აირჩია.

ლუგინი ბოლო ხანებში დაძაბულად, საარაკო მონდომებით ხატავდა თავისი ოცნების ქალს, ანგელოზური გამომეტყველების ჰაეროვან არსებას (როგორც მერე ცხადი ხდება, გარდაცვლილს). აქაც გაშალა ესკიზები... გმირის ზმანებაში გადასვლა, როგორც ეს სიტყვის დიდ მხატვრებს გამოსდით, ყოველდღე შეუმჩნეველია. შუალდამისას, დაქანცულს, კარის ჭრიალი შემოესმება და ჩვენება ეცხადება. ოთახში შემოდის პორტრეტზე გამოსახული ნაცრისფერთვალეა მამაკაცი, ოღონდ უკვე მოხუცებული; იგივე ზოლებიანი ხალათი აცვია და ახლავს სწორედ ის ულამაზესი ქალი, ვისაც ლუგინი ამდენი ხანია ხატავდა. მდგმური გაოგნებულია.

მოხუცი უბიდან ორ დასტა კარტს იღებს და მაგიდაზე დებს. ვეება, ნაცრისფერ თვალებს მომწუსხველად მიაპყრობს მხატვარს და ფულზე სათამაშოდ დაიყოლიებს (თვით ამ თამაშსაც, საიდუმლოებით მოცული ჩინოვიკის გვარის მიხედვით შტოსი ჰქვია). ლუგინი აგებს. შტოსი მომდევნო დღეებზე უთანხმდება. ლუგინი, შტოსის მხლებელი უმშვენიერესი ქალის კვლავ ხილვის ეშხით, უარს ვეღარ ეუბნება, დათქმულ დროს, ღამდამოხით, ყოველ ხელზე

აგებს, რაც რამე აქვს, ყველაფერს ყიდის, კოტრდება, ეწირება ამ მაცდუნებელ მირაჟს.

ლერმონტოვის „შტოსის“ ზემოთ მოტანილ პასაჟს, ლერმონტოვზევე დანერულ საუკეთესო, დოკუმენტურ მასალაზე აგებულ მოთხრობაში (პოეტზე იშვიათად წამიკითხავს მსგავსი სიძლიერის რამ), ვირტუოზულად იყენებს ბორის პილნიაკი – იგი ჩრდილო კავკასიის ერთ-ერთ სტანიცაში გამწესებულ ლერმონტოვს, ოფიცერთა წრეში, მისი პირით, ოღონდ შეკუმშულად, აამბობინებს მხატვარ ლუგინის ფანტასტიკურ თავგადასავალს, რაც უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს.

ლერმონტოვის ჯადოქრული ხელით მოხაზულ დემონურ გამოცხადებაში უკვე იგრძნობა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვების“ სისხლის გამყინავი სუნთქვა (გავიხსენოთ ივან კარამაზოვის დიალოგი ეშმაკთან), სრულიად აშკარაა ამ მოთხრობის ფაუსტური ხასიათი. დაბნეული ლუგინი, ნუთიერად, კარტის მოთამაშე მოხუცის მხლებელი, ენით აუნერული სილამაზის ჰაეროვანი არსებისკენ გაიხედავს და ეს ნუთი საემარისი აღმოჩნდება, რომ მხატვარს სული ნაეყო.



დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №24

ნიშანდობლივია, რომ მირზა გელოვანის (ისიც ლერ-მონტოვის ხნისა მოკლეს) ბალადაშიც, სურათიდან გად-მოსული ფიგურის წარმოსახვისას კარტია ნახსენები („ერთი კარტივით გადაშლის მტკაველს...“). ეს პოეტის მი-ერ შექმნილი უაღრესად პლასტიკური, ახალი ტიპის პოე-ტური სახეა. კარტთან დაკავშირებულმა ტროპმა შემ-დგომი სრულყოფა ჰპოვა მოგვიანებით, ფრონტზე დაწე-რილ ლექსში, რომელიც მირზამ შოვში გაცნობილ თავის შეყვარებულს უძღვნა („ და როგორც კარტში აგურის ქა-ლებს, გქონდათ ქერა თმა და ყელი ბროლის...“). მოხმობი-ლი მეტაფორის სიახლე და სინატიფე არ არის ძნელი შე-საცნობი.

ალექსანდრ გალიჩზე დაწერილ, სიამოვნებით საკით-ხავ მოგონებაში იური ნაგბინი მსუყედ, ფერადოვნად აღ-ნერს მენწვრილმანე ვაჭრებითა და ათასნაირი საქონლით გადატენილ მოსკოვის ცნობილ ტიშინის ბაზარს და იქ მო-ფუსფუსე ორ, ძველმანებით მოვაჭრე მოხუც, წვეროსან ებრაელზე ამბობს: შაგალის სურათებიდან გადმოსულებს ჰგავდნენო. მსგავსი მაგალითების მოტანა მრავლად შე-იძლება.

„ჩემი ოთახი“ მირზა გელოვანის ერთ-ერთი ყველაზე იდუმალი, დაშიფრული ლექსია, რომელშიც ბევრი რამ არის ჩათქმული და თუ საგანგებოდ დავაკვირდებით, პოე-ტის შინაგანი ბუნების ფარულ მხარეებს გაგვიმხელს. ეს არის მირზას მიერ, სტუდენტობისას, მელიქიშვილის ქუჩა-ზე ნაქირავები პატარა, ქუჩისპირა ოთახი, სადაც ბევრი ახ-ლობელი აკითხავდა.

იშვიათად მომხდარა, რომ თავის მცირე საცხოვრისს ასე ალაღად განდობოდას კაცი, გულის მესაიდუმლედ გა-ეხადოს იგი. სხვანაირად, ალბათ, მიმართვის ტონი არ იქ-ნებოდა ასეთი უშუალო:

ო, რამდენ დღეთა დამღლელი რიგი ვათიე შენთან, ოთახო ჩემო. ცრემლებიც ისე განვიმდა შიგნით, როგორც წვეთები სახურავს ზემოთ.

ვინეკი ცივი სიჩუმის გვერდით, სატრფოს მაგიერ ყინვასთან ვინეკ. და სიბნელეში დაღლილი გედი, ნელ-ნელა ყვავის ბახალად ვიქეც.

ერთ წერილში მირზა ამბობს, რომ მას არავინ გამოუ-ცემს იმ წიგნს, რომლის დაწერასაც აპირებს. ამგვარი აზრი სულაც არ არის გასაკვირი, რეალურ ვითარებას ემყარება. მრავალი ფაქტის მოხმობა შეიძლება იმის ნათელსაყოფად, რომ „კომკავშირელ პოეტად“ მირზა გელოვანის გამოცხა-დება ნამდვილი გაუგებრობაა. ზემოთ მოხმობილ, ძალზე თამამ ლექსში იგი თითქმის ამჟღავნებს თავის რაინდულ, შეურყვნელ სულისკვეთებას, როცა იმავე ოთახს წინასწარ აფრთხილებს:

მოვლენ მაგ ვინრო კედლების ყდაში, გკითხავენ ღამით დაკარგულ ამბავს. მაშინ დადუმდი, ნუ გამცემ მაშინ, ჩემი ლექსების ფარულო სტამბავ.

საბურველი მეტისმეტად გამჭვირვალეა. ამ ოთახის წიგნით ნაკითხვა შეუძლიათ არასასურველ „სტუმრებს“ და ამას რაც მოჰყვება, იოლი წარმოსადგენია. ფინალურ სტროფში თითქმის დაუფარავადაა გაცხადებული, თუ რა აუტანელი ტკივილები ფლეთს გალიასავით ოთახის ბინა-დარს, ახალგაზრდა, სიმართლის ჟინით ანთებულ კაცს, ვი-საც არ დასცალდა ეთქვა თავისი დიდი სათქმელი, მაგრამ ვინაც, დალუპვის შემდეგ, ყველა ჩვენგანის გულში და სამ-შობლოს ხსოვნაში სამარადისოდ დაიდო ბინა, უკვდავებას ეზიარა:

თვითონ იგრძნობენ, ლექსების იქით, ფრაზების იქით ზოგჯერ, რა ხდება, იგრძნობენ, როგორ კვდებოდა იგი, ვინც შემდეგ ყველგან დაესახლება.

წლეულს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გა-მოქვეყნდა ნინო ლედიანის (ახვლედიანის) ძალზე პოეტუ-რი, წმინდა, სულიერად ამამალელებელი მოგონება მირზა გელოვანზე „ასფურცელა და ოქროსთმიანი“. სათაურში ქართული ზღაპრის ჯადოსნურ სამყაროზეა მინიშნება. ას-ფურცელა ჩვენს ფოლკლორში უმცროსი, გასაოცრად მო-ხერხებული ძმაა, ყოველგვარი განსაცდელისგან თავის დაღწევა, დევების, ბნელი ძალების შემუსვრა და გასაჭირ-ში ჩავარდნილთა შეველა რომ ძალუძს. ოქროსთმიანი კი ზღაპრული სილამაზის ქალია, რომლის გულის მოსანდი-რებლად უშიშარი მზეჭაბუკი თავს არ ზოგავს.

მირზა გელოვანმა და ნინო ახვლედიანმა შოვში, 1939 წლის ზაფხულში, გაიცნეს ერთმანეთი და უმაღ დაახლოვ-დნენ; ოთხი თვის მანძილზე ჰქონდათ უფაქიზესი ურთიერ-ობა, მაგრამ იმავე წლის შემოდგომაზე მირზა ჯარში გა-იწვიეს და ბედნიერებაც დამთავრდა. ნინო ახვლედიანი ამაღლელებლად, შესაშური მხატვრული სიმართლით მოგ-ვითხრობს მათი შეხვედრების ნათელ დღეებზე. ეს არის სიყვარულის მარადსახსოვარი, მომაჯადოებელი ჰიმნი, რასაც მკითხველი ყოველგვარი ციტირებისა და გარჩევის გარეშეც იგრძნობს.

შოვშია გადაღებული ერთი მშვენიერი სურათი. მდინა-რის პირზე, ბოგირთან ჩამწკრივებულან მირზა და ყმაწვი-ლი ქალები. მირზა თავშია. გვერდით უდგას მოლიმარი, თეთრკაბიანი ნინო ახვლედიანი, რომელსაც ხელი ხის ტო-ტისთვის ჩაუვლია. ირგვლივ ყველაფერი სიცოცხლით ფეთქავს.

ასევე, შოვშია დაწერილი, უეჭველად ნინო ახვლედიანს ეძღვნება ძალზე დრამატული ლექსი „განშორება“, სადაც საბედისწერო წინათგრძნობით არის ნახსენები „გათიშვის ელდა“ და იქვე ნაღვლიანადაა ნათქვამი: „ეს აგარაკი მხო-ლოდ შენით დამახსოვდება“. ამოხვრასავით მძიმე ბოლო სტრიქონები („მაშინ მიხვდები, იმ ღიმილის ძალას მიხვდე-ბი, მაგრამ გვიან კი, ძალიან გვიან...“) სხვანაირ ნათელს ჰფენს ნინო ლედიანის უმშვენიერეს მოგონებათა ფურ-ცლებს, ჩვენც ბევრ რამეს მიგვახვედრებს. აქედან ამოლე-ბული მოქნილი ფრაზა – „იმ ღიმილის ძალას მიხვდები“ – მუსიკის ტალღასავით გასდევს „ასფურცელასა და ოქროს-თმიანს“ – მირზას გვერდით გატარებული ზაფხულის დღე-ების თვალისმომჭრელ ათინათს...

მირზა გელოვანის პოეზიას უთუოდ ამდიდრებს, თავისებურ იერს ანიჭებს იდუმალების ბურუსში გახვეული, საყვარელი ქალის სახით შთაგონებული, სიმბოლიზმის პოეტიკისაგან (ანდრეი ბელი, ალექსანდრ ბლოკი, გალაკტიონ ტაბიძე...) ოდნავ კვალდამჩნეული, ჯარში განწევამდე დაწერილი ძლიერი ლექსი „მასკარადი“. პირველივე სტროფის მოხმობაც საკმარისია იმის შესაგრძობად, თუ როგორ მომწესხველ, კარნავალურ სამყაროში შეეყვართ პოეტს:

**მსუბუქი ბინდი, თითქოს ჩურჩული,
ფრთხილი ნაბიჯით მომყვა კარამდის.
ბალიდან ლურჯი, როგორც ურჩხული,
მხრებს მიჩვენებდა მე კარნავალი.**

რიტმი თანდათან მძლავრობს, ხურდება და ახალმისულსაც ითრევს ცეცხლოვან, თავბრუდამხვევ წრეში. მგრგვინავი მუსიკის, „ლამაზი კოსტუმების“, „გიჟური ცეკვების“ ფონზე რაოდენი სევდა ახლავს შეყვარებული ყმანვილის სინანულით ნათქვამს:

**მე მაგიჟებდა შენი დასტური,
მაგრამ ნილაბი მიშლიდა ღიმილს.**

რა გულდასაწყვეტია, რომ ამ ნატიფი, მრავლისმეტყველი ხაზის გაგრძელება და განვითარება მომდევნო, ქარტეხილებით, ომის ხანძრით დაბუგულ წლებში მირზა გელოვანმა ველარ შეძლო.

თბილისში დაწერილთაგან უკანასკნელ, ერთ-ერთ უძლიერეს ლექსს კვლავ „განშორება“ აქვს სათაურად და ისიც ნინო ახვლედიანისადმი მიძღვნილი. შოვში ყოფნისას, მირზამ შეყვარებულს მისი თხოვნით შეჭრილი თმა გამოართვა და იმ კულულს ნინოსავე მოქსოვილ პანია ხურჯინში ინახავდა. თბილისიდან გამგზავრების წინ დაწერილ ლექსში სწორედ ეს თმა იგულისხმება:

**ყველა მოკლე და ქერა თმის ნახვით
გამახსენდება თმები – შოლტები.
როგორ არ მინდა, როგორ არ მინდა,
მაინც მივიღვარ, მაინც გშორდები.**

**ასე თიშავდნენ ძველი ზღაპრები
ასფურცელას და ოქროსთმებიანს,
ქარმა დაგლიჯა ყველა აფრები
და შენზე დარღში დამთენებია.**

**მგზავრი ვარ, შენზე ფიქრებს ვუნდები
და აჩრდილებთან თამაშს უვნებელს.
მე დავბრუნდები, ჰო, დავბრუნდები,
მე შენი თმები დამაბრუნებენ.**

სამი წლის მერე, უკვე ფრონტის ხაზზე მყოფი, უსასტიკეს ომში ჩაბმული, დენტით სახეგარუჯული მირზა გელოვანი თავის სატროფოს (სწორედ იგი ჰყავს ამ დიდებულ ლექსში შედარებული კარტის მუყაოზე ყელმოღერებულ „აგურის ქალებთან“) ბოდიშს უხდის, რომ დაბრუნების

იმედი ეკარგება. თითქოს სამწლიანი პაუზა მთავრდება და საკვირველი ბუნებრიობით აღდგენილია, გრძელდება შეწყვეტილი ფიქრი საყვარელ არსებაზე, ოღონდ დარდი გამძაფრებულა, ჯარისკაცს მეტი ნაღველი მოსძალებია, განწყობილება და ჰორიზონტიც ბევრად უფრო მოქუფრულია. აუღელვებლად, მძიმე განცდის გარეშე გაგიჭირდება ბოლო, მესამე სტროფის ნაკითხვა:

**და სადმე ტყვია თუ გააცივებს
გულს საშინელი განადგურებით,
თქვენ მაპატიეთ, ჰო, მაპატიეთ,
დანაშაული არდაბრუნების.**

ერთი თანამედროვე ფრანგი მწერალი ამბობს, სიკვდილთან სიახლოვე ადამიანს გმირად ხდისო. ხოლო გმირად დაბადებულსა და გაზრდილს, როცა იგი ასეთი საფრთხის წინაშე დგას (ამ ლექსის დამწერი კი რამდენიმე წელიწადს ყოველდღე თვალეში შეჰყურებდა სიკვდილს), სიმამაცე უორკეცდება.

მოსკოვში შვებულებით ჩასულ, ნაომარ მირზა გელოვანს (1943) კეთილისმსურველებმა შესთავაზეს იქ დარჩენა და მაშინ მას დალუბვა ასცდებოდა, მაგრამ რაინდული სულის ვაჟკაცმა არ იკადრა თანამებრძოლებთან დაშორება, თავის ნაწილს დაუბრუნდა.

მანამდე, ერთი წლის წინათ, ჯოჯოხეთურ შერკინებაში სასწაულით გადარჩენილმა, ფრონტზევე დაწერა ცეცხლის ლავასავით მღელვარე ლექსი („შენ“), სადაც მირზა ამ ბრძოლის მხილველს მიმართავს: „შენ გახსოვს, ტყვია მე როგორ ამცდა და ამხანაგის გულში გაცივდა“. რანაირად შეიძლებაოდა, ამის დამწერი უსაფრთხოებაზე, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ეზრუნა. შედრეკა, სიღარე მისთვის უცხო იყო, იგი შიშის დათრგუნვაზე ფიქრობდა და, ამიტომაც, ლექსი ასე დაამთავრა:

**სიკვდილისაგან შენ ვერა გიხსნის,
თვითონ სიკვდილი თუ არა სძლიე.**

„ფრონტული ლირიკიდან“ ერთ-ერთი საუკეთესოა სიყრმის მეგობრის, მასზე უფრო უიღბლო, 1942 წლის 17 ოქტომბერს, თანატოლებთან ერთად, ჯალათურად დახვრეტილი გიორგი ძიგვაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, თარიღად 1943 წელი რომ უზის. მირზამ არ იცის ეს საშინელება (იმ ავადმოსაგონარ დღეს გამოზომილად 17 ვაჟკაცი ჩახოცეს, საქართველოს იმედი და მომავალი) და მიძღვნაში ნახსენებია უკვე მოშობილი ადრესატის „მწარე, ქლიკა ენა“. მტერთან შესაბამელად, სასიკვდილოდ გამზადებული მირზა შინ დარჩენილს მოუწოდებს, შენი სიტყვა უნდა ჰგავდეს „ტყვიას, ამ სასტიკ ომში ჩემგან გასროლილს“. იქვე, კვლავ თავის თავზე ამბობს, რომ ასეთი საყვედურის გაკიცხვის უფლება აქვს მას, „ვინც იარაღთან მივიდა ბავშვი და ახლა შუბლზე ითვლის ნაოჭებს“. ვინ დააცადა ენაკვიმატ, ესოდენ ნიჭიერ გიორგი ძიგვაშვილს და ბევრ სხვასაც, სიტყვის თქმა, მამულის სამსახური.

ბრძოლის ველიდან მირზა ყველაზე გულთბილ, ინტიმურ წერილებს სწერდა თინა მაქსიმელიშვილს, რომლის მიმართ, ეტყობა, ღრმა გრძნობა ჰქონდა; მის გაგზავნილ,

კოჯორში დაკრეფილ იებს უბით დაატარებდა (ამას ერთი წერილიდან ვიგებთ). ქალბატონი თინა დღესაც ცოცხალია. იგი მეტისმეტად მძიმე ხვედრის ადამიანი აღმოჩნდა, ბედისწერამ ბევრი სიმწარე არგუნა. სწორედ თინა მაქსიმელიშვილს ეძღვნება ფრონტზე დაწერილი ერთ-ერთი უმშვენიერესი ლექსთაგანი, რომლის რამდენიმე სტროფი აქ უნდა მოვიხმო:

**ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთანმინდაზე ცა დანვა თითქოს,
რომ საქართველო ამ გაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, ნააგავს ხვითოს.**

**რომ ორთაჭალამ ჩაიცვა თეთრი,
რომ შენც ჩაიცვი კაბა ყვავილის,
რომ მტკვარი ოხრავს, როგორც ყოველთვის,
როცა მეტეხის ახლოს ჩაივლის.**

**... ნუხელ ვებრძოდი ცეცხლს და ურაგანს,
და საშინელი ბრძოლების ნისლში
მე მომეჩვენა, სადღაც, ჩვენს უკან,
აღვებული იდგა თბილისი.**

შეუძლებელი იყო, ამ ლექსის დაწერის დროს, მირზა გელოვანს არ ხსომებოდა თბილისში, მეგობრებთან ერთად, 1939 წელს გატარებული ბოლო გაზაფხული, როცა იგი, ლადო ასათიანი, ალექსანდრე საჯაია, ნიკა აგიაშვილი და სხვები სოლოლაკის განაპირას, ბოტანიკურ ბაღში, დასერიანობდნენ, აყვავებულ ბუნებას შეჰხაროდნენ. თავის ბრწყინვალე, ფასდაუდებელ ნიგნში – „ჭაბუკები დარჩნენ მარად“, სადაც არაერთი ეპიზოდი მირზას პიროვნებას გვიხატავს, ბატონი ნიკა მისებურად, სინანულშერეული სიყვარულით იგონებს იმ დაუფინყარ დღეს:

„მაისის დამდეგი იყო, უმშვენიერესი დრო, ყველაფერს სითბო და საამო სურნელება გასჯდომოდა ძვალ-რბილში, მართლაც რა ჟამი იყო, რა გაზაფხული!“

მირზა გელოვანის უკანასკნელ, უძლიერეს ციკლზე, „ომის ლირიკა“, ბევრი დაწერილა და, ამდენად, სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აქ გავიხსენებ მხოლოდ მცირე უსათაურო, დაღუპვამდე ერთი წლით ადრე დაწერილ, გულმისანდო სიმღერის კილოზე განყობილ, ბროლივით გამჭვირვალე, ნატიფ ლექსს, რომელშიც, ღრმა სინანულის გარდა, კვლავ საცნაურია ავის მოლოდინი. ძნელია დადგენა, კერძოდ, ვის მიმართავს მირზა. შესაძლოა ყველა იმ ქალს, ვინც ხანმოკლე არსებობის მანძილზე, სითბო და ალერსი არგუნა (სხვებზე მეტად ალბათ ოქროსთმიანი ნინო ახვლედიანის სილუეტი იკვეთება). ამ ლექსში არ ისმის ტყვიების ზუზუნი, არც ბრძოლის ჟინი იგრძნობა. ეს არის სიკვდილის უცნაური, მშვიდი, ნიავეით მსუბუქი ძილისპირული, რომელიც „აონის“ ავტორმა თავის თავს ჩუმად უმღერა:

**მე მინდოდა იავნანა,
როგორც ნაზი პოემა...
რაც ვერ მოკლა შენმა დანამ,
მოკლა სიმარტოვემა.
ოი, როგორ მედიდური**

**მქონდა გული ბავშვობის,
ოი, როგორ დაგემდურე,
ოი, როგორ დაგშორდი.
და არ ვიცი, იქნებ დაჭრილს
მომწვედეს შენი მარჯვენა
და ელირსოს უხმო აჩრდილს
ქვეყანაზე დარჩენა.**

ლექსის ბოლოს მორიდებით, თავმდაბლურად გამხელილი ნატვრა კი ერთიასად აუსრულდა. ქეშმარიტი, იშვიათი მომხიბლაობის პოეტის არა მარტო „უხმო აჩრდილი“ დარჩა სამზეოზე – მისი ღვთაებრივი სახე და პოეზია ის სულიერი განძია, რითაც მუდამ იამაყებს ქართული მიწა.

არ იქნებოდა მართალი თქმა იმისა, რომ მირზა გელოვანის ფასი ქართულმა მწერლობამ, დღევანდელმა საქართველომ არ იცის. გარდაცვალების მერე, ჩვენში, ერისკაცს, მოღვაწეს, ღირსეულ პიროვნებას უხვად მიაგებენ ხოლმე პატივს. ამ მხრივ, ყურადღება და სიყვარული არც მირზა გელოვანს მოკლებია. ჯანსუღ ჩარკვიანი, ვისაც თვალთ არ უნახავს მირზა გელოვანი, ხშირად ამბობს, ვამაყობ, რომ დედაჩემი გელოვანის ქალი იყო, ამის გამო ჩემი თავი მირზას ახლობლად მიმანიაო. მირზასადმი უამრავი ლექსია მიძღვნილი. მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესო შოთა ნიშნიანის ტკივილიანი რეკვიემია; მან ძალზე ღრმად, მძაფრად შეიგრძნო დანაკარგის მთელი სიმძიმე, სამუდამოდ შეუვსებელი სიცარიელე, რაც მირზა გელოვანის ასე უდროოდ, ტრაგიკულად დაღუპვამ დაგვიტოვა.

სხვა, მომდევნო თაობის კაცი, წლების შემდეგ დამნუხრებული შოთა ნიშნიანი, მეტისმეტად მომრავლებული ნიჰილისტების, მოქილიკეთა მოსაგერიებლად წინასწარ ამბობს, რისი თქმაც უნდა, მაგრამ მას, რაინდული შემართების ჭირისუფალს, არავისთან არაფერი აქვს საბოდიშო, ყოველ სტრიქონს ვაჟკაცის, გმირის შესაფერი მნუხარება მსჭვალავს:

**ჩემი სატკივარი არვინ გამიკილოთ,
არ დარჩეს ხინჯი გულში მიმალული,
მირზა გელოვანი უნდა დავიტირო –
ჩვენი სიამაყე, ჩვენი სინანული.**

განსაკუთრებულად გულშიჩამწვდომი და ამანთებელი თანამოცალმეთა, თვისტომთა გასაგონად ნათქვამი, დაუფინყარ, ახლებურ და შთამბეჭდავ მეტაფორად შეკრული ფინალური სტროფი:

**– ბიჭებო, ბიჭებო, საომარ დაფდაფებს
და საძმო საფლავებს ჩვენ ჩვენი ვუზღაოთ,
მკლავზე დავინვინოთ და სიტყვით დავდაფნოთ
კაპიტნის სამხრებით მოკლული მუზა...**

ნურავინ იფიქრებს, თითქოს ახლობლებმა, თანამედროვეებმა არ იცოდნენ, როგორი სანთელივით წმინდა პიროვნებები იყვნენ მირზა გელოვანი და მისი მეგობრები.

სიცოცხლეში ნატანჯმა, ჯერ კიდევ დაუფასებელმა გაბრიელ ჯაბუშანურმა გულმდულარედ დაიტირა ძვირფასი მეგობრები; მწარე გმინვად, ამოხვრად ისმის მისი მწუხარე სტრიქონები: „ავაჰ, თქვენი ჩქრო რუსთაველზე ველარ ჩაიარს. – ასათიანი, გელოვანი და საჯაია“.

კოტე ხიმშიაშვილის სახელზე გაგზავნილ ბარათში ლადო ასათიანი, გულისამრევი პირმოთნეობისა და სილაჩრის ფონზე, აღნიშნავს მირზას შეუვალ, შეუბღალავ პატიოსნებას, მას გამონაკლისად მიიჩნევს:

„მე მიყვარს პატიოსანი მწერლები. მგონია გამიგებ – რა პატიოსნებაზე ვლაპარაკობ. ეს ის პატიოსნებაა, გრიბოედოვს „ვაი ჭკუისაგან“ რომ დაანერინა და სხვებს მრავალი სხვა. ეს წმინდა ლიტერატურული პატიოსნებაა, რომლისგანაც ძალიან შორს არიან დღეს ქართველი მწერლები, ხოლო ჩვენი მეგობრები – მითუმეტეს. ბოლოსდაბოლოს, ყველაფერზე წერა ხომ არ შეიძლება, კარგი, თუ გინდა წერე ყველაფერზე, მაგრამ ეს პატიოსნება, მწერლის პატიოსნება, პატიოსნება დანახულის გადმოცემაში არ უნდა დაკარგოს კაცმა! ეს შეიძლება ყველა ჩვენგანს აკლდეს, შეიძლება ზოგიერთებს გვექონდა კიდევც, მაგრამ გვერდს ვუვლიდით „თავის ატკივებას“. კარგად გაიგებ, რა პატიოსნებაზეც ვლაპარაკობ და სწორედ ამ პატიოსნებისთვის მაგონდება მე ახლა ჩვენი მირზა გელოვანი, მარტოდმარტო ცივ რუსეთში...“

ლადო ასათიანი თვითონაც მირზასავით მარტოსულად გრძნობდა ხოლმე თავს და, ილია ჭავჭავაძის ცნობილი ლექსის პერიფრაზის სახით, ნიკა აგიაშვილს თავის გულისტკივილს ატყობინებდა ქუთაისიდან: „კაცი არა მყავს, რომ ვუთხრა სიტყვა, გამიგოს, შვება მაგრძნობინოს“.

ყველაზე მეტ სულიერ სიახლოვეს თვით მირზაც ლადოსთან გრძნობდა, მართლაც რომ ძმებავით ერთმანეთთან შეთვისებულები. თიანეთში, მშობლებთან ჩასული, დალილობისგან ჩაძინებული და ახალგამოღვიძებული მირზა დედამისს ეუბნება: „უცნაურია, სიზმარი ვნახე: ვითომ მე და ლადო ასათიანი ცხვრები ვიყავით და სამსხვერპლოზე დასაკლავად მოგვერეკებოდა ვიღაც მრისხანე, ხელკომბლიანი მწყემსი“ (თეიმურაზ მაღლაფერიძე, ცხრა-კარა, გვ. 45).

რამდენი განუხორციელებელი ოცნება ჩაიტანეს საფლავეში განუყრელმა, დროის უკულმართობით დაშორიშორებულმა მეგობრებმა. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ახლობელთან გაგზავნილ წერილში ლადო ასათიანიც უცნაურ სიზმარს ახსენებს და იქვე მირზა გელოვანის ფანტასტიკურ სურვილებსაც იგონებს:

„სიზმარში ვნახე ფიორდები. ეს, კნუტ ჰამსუნის რომანებს რომ ვკითხულობდი, იმის გამოა. რატომ ვერ უნდა ვნახო ცხადად იბსენის, გრიგის, ამუნდსენის და ნანსენის ქვეყანა? მირზა გელოვანმა მითხრა ერთხელ: ინდოეთში დიდებულ რაჯასავით ვიმოგზაურებდი სიამოვნებით, სპილოებით ვეფხვებსა და მარტორქებზე ვინადირებდი, ჰიმალაის უმაღლეს მწვერვალებს თვალს შევაველებდი შორიახლოდანო. მე კი მენატრება ვნახო პარიზი, რომი, საბერძნეთი, ესპანეთი... ჩამოვივლიდი ჩაილდ ჰაროლდივით“.

ამ წერილის დაწერიდან გავიდა რამდენიმე თვე და თავდახრილი, დამწუხრებული გიორგი ლეონიძე ქლექისგან

დამდნარი ლადო ასათიანის კუბოსთან იდგა. მან იცოდა, ასიათასობით ქართველი ვაჟკაცი რომ ჩანვა ქერჩის ნახევარკუნძულზე, ახლობელთაგან დაუტირებელი და რამდენადაც უნდა გვეხამუშოს, განსვენებულს ნუგეშის სიტყვები უთხრა, რადგან სამშობლოში სიკვდილიც სანატრელი გამხდარიყო:

„– ბედნიერი ხარ, გულზე საქართველოს მიწა რომ გაცვივა და შენს თბილ სამარეს ნათესავები და ტოლ-ამხანაგები დასტირიან. რამდენი შენი საყვარელი ამხანაგის ძვლები დნება ახლა უკუბოოდ და უსამაროდ ბრძოლის ველზე. განა რამდენ შინმოუსვლელს დაიტირებენ ასე, შენსავით!“ (თეიმურაზ მაღლაფერიძე, დასახ. წიგნი, გვ. 258).

ერთი წლის მერე, ბელორუსიის მიწაზე, დასავლეთ დვინის გადაღახვისას, სწორედ ასეთი მწარე ხვედრი ერგო მირზა გელოვანს, ვისაც ლადო ასათიანი თავის ძმად თვლიდა.

(ცალკე აღნიშვნის ღირსია მირზა გელოვანის საკვირველად გაბედული წერილი, რომელიც მას 1939 წლის დეკემბერში ხარკოვიდან გამოუგზავნია სიყრმის მეგობრის, პოეტ გიორგი კალანდაძისათვის. აქ ისეთი შინაგანი თავისუფლება ჩანს, ბარათი გარკვეულ, სხვაგვარად მოაზროვნეთა აღმწუსხველ ორგანოებს რომ ხელთ ჩავარდნოდათ, მის დამწერს უთუოდ სოლჟენიცინის ბედი ელოდა, ციხე და გადასახლება არ ასცდებოდა.

ასეთივე თამამი და კიდევ უფრო სახიფათოა ის ბარათი, რომელიც ზუსტად ორი წლით ადრე, ავადსახსენებელი ოცდაჩვიდმეტი წლის დეკემბერში, მირზას ძმად შეგულვებული შოთა რევიშვილისთვის მიუწერია. იგი თავის ადრე ხსენებულ წიგნში თითქმის მთლიანად გამოაქვეყნა ნინო ხოფერიამ, რაც მის სანაქებო ალღოზე მეტყველებს. განსვენებული შოთა რევიშვილი, ჩემი სტუდენტობის უსაყვარლესი ლექტორი, გამოჩენილი გერმანისტი, დიდი მადლიერებით უნდა მოვისხენით, სამაგალითო გამბედაობა რომ გამოიჩინა და შთამომავლობას შეუნახა ძვირფასი წერილი, საიდანაც მირზა გელოვანის უაღრესად რთული, არასწორზაზოვანი და კრისტალურად წმინდა პიროვნება სულ სხვანაირად წარმოგვიდგება.

ჯარში წასვლის წინ (საქართველოში ყოფნის ბოლო სურათი სწორედ მაშინ გადაიღო) დალონებულ მირზას ერთი მეგობარი ქალისთვის ეთქვა – ვატყობ, სამშობლოში ჩემი ფეხის დასადგმელი ადგილი არ არის და შევეცდები, თავი სადმე სხვაგან გამოვავლინო.

უთუოდ მაღლობის ღირსია თავის დროზე ცნობილი ლიტერატორი ნიკოლოზ მიქავა, ვინც მირზას რამდენიმე იშვიათი წერილი და სხვა მასალებიც შეინახა. მისი პუბლიკაციიდან (მნათობი, 1965, 5-6) უნდა მოვიტანო ერთი წერილის ნაწყვეტი, შემადრწუნებელი დოკუმენტი, რაც ისევ მირზა გელოვანის კეთილშობილებასა და რაინდულ ბუნებაზე მეტყველებს:

„ვზივარ სანგარში და ვწერ წერილს. სიცივესაც კი არ ვგრძნობ და, საზოგადოდ, არაფერს არ ვგრძნობ... გასული წლის შემდგომზე ჩვენი ნაწილები უკან იხვედნენ... და აი: მალე იაროსლავიცკი გავლისას მე ვნახე: ყუმბარის ძალას მავთულზედ შეეგდო კაცი. კაცი ეკიდა მავთულზედ და არავის მოსდიოდა აზრად, ჩამოესხნა, მიწაზე დაედგა მისი ჰაერში ნანამები, ჰაერში გაცივებული გვამი. პისტოლეტის

მესამე გასროლით გავწყვიტე ერთი მავთული და ის ჩამოვარდა...“

ვინ იცის, რამდენ ასეთ საშინელებას გადაეყარა იგი ყუმბარებით გადათხრილ ომის გზებზე.

ძლიერ, გამთოშვე ქარში, მორიგეობისას, ქვემეხის ლაფეტზე დაუნერია ვილაცის მიმართ საყვედურიანი, სიამაყით აღსავსე უბრალო და მართალი სტრიქონები, რომელსაც მისსავე „ფრონტულ ლირიკაში“ უნდა მოექებნოს ადგილი:

**შეხედეთ ჩემ გულს, ათასგზის ნაგმობს,
ქარმა, ლამემ და სიცივემ აცრა.
თქვენ რალაც სუფთა ყვავილზე ამბობთ,
ჩემი უსიტყვო ცრემლების ნაცვლად.
მე მხოლოდ მახსოვს ქარი ულხინოდ
მიაქანებდა ბედს, უპატრონოს,
თქვენ უსირცხვილოდ, ო, უსირცხვილოდ,
ჰო, უსირცხვილოდ სტყუით, ბატონო!
ხომალდი ჩემი ტალღებს ქაფიანს,
არც შველას სთხოვდა, არც სთხოვდა შეხლას...
მე მაქვს უბავშვო ბიოგრაფია
და ერთადერთი ამით ვარ ქვეყნად.**

გამოთქმა „უბავშვო ბიოგრაფია“, ზოგ სხვა რამესთან ერთად, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ადრე დაბრძენებულ ყმანვილკაცს პატარაობა გაუხარელი ჰქონდა (დალხინებულად არც მერე უცხოვრია), თორემ მირზა გელოვანმა არავიზე ნაკლებად იცოდა, რომ პოეტად დაბადებულთა უმრავლესობა ღრმა სიბერემდე ინარჩუნებს ბავშვურ ბუნებას და, სამყაროს დაუჩლუნგებელი აღქმის წყალობით, ბავშვადვე რჩება.

ამდენი ტანჯვის უდრტინველად გადამტანს, მკერდი ტყვიანე ჰქონდა მიშვერილი. ძილი არ იცოდა და მოსვენება. ამ დროს, თბილისში, მყუდროდ მოკალათებულებმა, იმის ღირსი არ გახადეს, პოეტის გულის სისხლით დაწერილ ლექსებს მზის სინათლე ეხილა. კანტიკუნტად თუ დაუბჭდავდნენ და იმასაც შეკრეჭილ-დამახინჯებულს. ეტყობა, სამაგიეროს უხდიდნენ, ჯარში განვევამდე, მწერალთა კავშირში, 1939 წლის 25 სექტემბერს, საქართველოს მწერლების მეორე ყრილობაზე, უმაგალითოდ გაბედული სიტყვა რომ წარმოთქვა და პლაკატური ლექსების, იდეურობას ამოფარებულ უნიჭო პანეგირიკთა ავტორებს ბდღვირი ადინა.

აქაურ მწერალ ჩინოვნიკთა უსულგულობაზე დაუფარავად სწერდა თავის დას, რუსუდანს: „წუთუ არ ეყოთ ჩემ ლექსებს სიმართლე, რომ არცერთი მათგანი არ დაბჭდილა აქამომდე? ან იქნებ ჩემს თბილისელ მეგობრებს არ ეყოთ სიმართლე?“

ტყუილია ის ამბავი, თითქოს მირზას ჩვევად არ ჰქონდა, არ უნდოდა ერთხელ დაწერილის გასწორება. თავად არაერთგან აღნიშნავდა, რომ აპირებდა ფრონტზე დაწერილის სრულყოფას, მაგრამ აღარ დასცალდა. ეს სურვილი აშკარად ჩანს იმავე რუსუდანისადმი მიწერილ 1943 წლის ბარათში:

„გიგზავნი ხუთ ლექსს, რა თქმა უნდა, არა მაქვს დრო და შესაძლებლობა, მიცვე ამ ლექსებს ის სახე, რომელიც

მქონდა განზრახული მათი დაწყებისას, მაგრამ მე მიემედება, რომ მკითხველი (მიუხედავად ლექსების სისუსტისა), გაიგებს გრძნობას, რომელმაც დამაწერინა ისინი“.

თბილისში იმჟამად ორად ორი სამწერლო ორგანო არსებობდა („ჩვენი თაობა“ ომის დაწყებისთანავე დაიხურა); 1937 წლიდან 1946 წლამდე „მნათობს“ ალიო მირცხულავა რედაქტორობდა, „ლიტერატურულ გაზეთს“ კი იმავე ოცდაჩვიდმეტი წლიდან 1943 წლის ოქტომბრამდე შალვა რადიანი ედგა სათავეში (იგი ომიდან დაბრუნებულმა გიორგი ნატროშვილმა შეცვალა). არც „მნათობსა“ და არც „ლიტერატურულ გაზეთს“, წესით, არ უნდა გაძნელებოდა, ფრონტის ხაზიდან გამოგზავნილი, მირზა გელოვანის ლექსების გამოქვეყნება.

ჯოჯოხეთურ პირობებში, ქარცეცხლში წლობით ტრიალს ოდნავადაც არ გაუუხეშებია მირზას სული, ზემგრძნობიარე ბუნება. მის იდეალად კვლავ ვაჟას სამყარო რჩებოდა და გონების თვალს არ სცილდებოდა „გველისმჭამელის“ გენიალური პასაჟები. ასე რომ არ ყოფილიყო, სანგარში ჩამუხლული, როცა ტყვიები თავზე გადასდიოდა, ვერ დაწერდა: „მაქვს მინდიასებრ ბრძენის მოთმენა, სისხლის ღამე და სისხლის ლოგინი... მაქვს სიყვარული – იების სუნთქვა...“

შინაგანად მაინც შეძრული იყო, რომ ლექსების საწერად დრო აღარ რჩებოდა, თუმცა ცხოვრებისეულ გამოცდილებას (რამდენი ჩანაფიქრის განხორციელება აღარ დასცალდა!) უხვად იძენდა. ეს წინააღმდეგობრივი ნუხილი, ჩანს, დალუპვამდე ცოტა ხნით ადრე, 1944 წლის 13 მარტის ჩანაწერში: „ომი ჰკლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს. გული ჩემი უცვლელია, თუმცა ნერვები და სული გამიმავრდნენ, გამოიცვალნენ“.

ყველაფრიდან ჩანს, სიყრმიდანვე როგორი მგრძნობიარე, მისანდო გულის პატრონი იყო მირზა გელოვანი. თავში აღვნიშნეთ, რა კეთილი როლი შეასრულა სამწერლო ასპარეზზე მის გამოსაყვანად უფროსი თაობის დიდად პატიოსანმა პოეტმა გრიგოლ ცეცხლაძემ. თეიმურაზ მაღლაფერიძის მეტად სასარგებლო, მართალ წიგნში საკმაო ადგილი ეთმობა გრიგოლ ცეცხლაძესთან ჭაბუკი მირზა გელოვანის ურთიერთობას. მოგანილია მირზას რამდენიმე ბარათი. ერთ მათგანში (1935 წლის 18 თებერვალი), თბილისში ყოფნის დროს გაცნობილ გრიგოლ ცეცხლაძეს იგი წერს:

„ბიძია გრიგოლ!

თიანეთიდან გწერთ.

მინდა ცალმხრივად მაინც გაგაცნოთ ჩემი ლექსების წყებას და გავიგო თქვენი შეხედულება მათზე.

შეიძლება არა ღირს, რომ ვწერო?

შეიძლება ჩემს ლექსებში გამოდის ტლანქი ხუმრობა მხოლოდ?

არ ვიცი!

მე ამას ვერ ვგრძნობ, თქვენ კი შეგიძლიათ მიმითითოთ ამაზე სამართლიანად.

მაშინ მე დავეთხოვები ლექსების წერას, თუმცა ძალიან ძნელი იქნება ეს.

.....

აღბათ გავლენებიც მაქვს პოეტების და მინდა თქვენ მიმითითოთ ამაზე.

მე მხოლოდ პოეზიის ბავშვი ვარ ჯერჯერობით, მაგრამ არცერთი ლექსი არ დამინერია ნაძალადევად.

დანარჩენი ლექსებიც ამ ლექსებს ემთხვევიან. აზრები შეიძლება ყველა დასაწვავი იყოს.

არ ვიცი!

თქვენ გეცოდინებათ და მომწერეთ!

მირზა (რეზო) გედეონის ძე გელოვანი“.

დავაკვირდეთ, როგორი კრიტიკულია მირზა თავისი თავის მიმართ, მაგრამ, ამასთანავე, არც იმის გაბედულად აღნიშვნაც ავინყდება, რომ სიყალბე, ხელოვნურობა მის ბუნებას ვერ ეთავსება („არცერთი ლექსი არ დამინერია ნაძალადევად“).

მალე მასვე ატყობინებს სხვა წერილში: „ამჟამად ვწერ ვაჟა-ფშაველას ცხოვრების პროზას და ვაგროვებ მის დაუბეჭდავ ლექსებს“. რამდენის მთქმელია ყმანვილი მირზას ლიტერატურულ ინტერესებზე თუნდაც ეს ერთი წინადადება. ეგებ როგორმე მოიძებნოს, სად შეიძლებოდა გამქრალიყო აქ ნახსენები პროზაული ტექსტი?

ერთგან მირზა ბატონ გრიგოლს იმასაც სწერს, რომ რამდენიმე თვის წინათ დაწყებული მასწავლებლობა მიუტოვებია, რადგან პედაგოგობა მისი საქმე არ იყო („მე და – პედაგოგი? ვის გაუგონია?“) და იგი „დეზერტირი მასწავლებლების“ სიაში შეუტანიათ. ამის გამო გაგულსებულია: „არა მგონია რომელიმე დროში ამაზე მეტი სისულელე მომხდარიყოს. განა ძალით პედაგოგობა შეიძლება?“

1935 წლის ზამთარში გაგზავნილ წერილზე მეტად პოეტური, ალტაცების გამოხატველი მინაწერია: „აქ საკმაოდ დიდი თოვლია და გაცინებული ვიძახი: უდაბნო, უდაბნო!“ რა სხვანაირი ექსტაზია! ასეთ ფრაზას ჩვეულებრივი მოკვდავი ვერ დანერს.

ზედმეტია თქმა იმისა, რომ მირზა გელოვანის ლიტერატურული მემკვიდრეობა მხოლოდ ლექსებით არ შემოიხსავლება. შემოქმედის მძლავრი ნიჭით არის აღბეჭდილი მისი პროზაული ქმნილებებიც. მოთხრობაში „ცხენენჯი“ ალაგ-ალაგ, მართალია, იგრძნობა კონსტანტინე გამსახურდიასა და დემნა შენგელაიას თემატიკა და ინტონაციები, მაგრამ ეს ოდნავ შესამჩნევი გავლენები მალევე დასძლია და სხვაგან („დილა“, „სიზმარი“, „სამხედრო შოფრის დღიურიდან“) აშკარად ჩანს ავტორის სადა, გამოკვეთილი სტილი, თავისთავადობა და ყოველგვარი საფუძველი გვაქვს განვაცხადოთ – რომ დასცლოდა, მირზა გელოვანი, უსათუოდ, დიდ პროზასაც შექმნიდა. ამასვე გვაფიქრებინებს ფრონტიდან დებისა და მეგობრებისადმი გამოგზავნილი მისი მშვენიერი წერილები, რომელთა გულმოდგინედ შეკრება, დალაგება და საჭირო კომენტარებით ცალკე გამოცემა კარგი საქმე იქნებოდა. მაგალითად, ინგლისელები წიგნად სცემენ ხოლმე ჯონ კიტსის რჩეულ კერძო წერილებს და, საერთოდაც, როცა ამგვარ მასალას ლიტერატურული ღირებულება აქვს, ასეთი რამ ყოველმხრივ გამართლებულია. მირზა გელოვანის ჩვენამდე მოღწეული წერილების ნაწილი წინამდებარე კრებულშიც იბეჭდება.

აქვეა მირზას ახლო მეგობრების წერილები და მოგონებები, პოეტის სახეს, მის მიერ განვილილ სასახელო გზას ცოცხლად რომ წარმოგვიდგენენ. ვფიქრობ მკითხველს, ქართული პოეზიის ქომაგებსა და მოყვარულებს სევდანარევ სიხარულს მოგვრის ნიკა აგიაშვილის, ვახტანგ ჭელი-

ძის, ვახტანგ ბენუკელის, ნინო ახვლედიანის, თინათინ ოჩიაურის, ნათელა ბერძენიშვილის, დოდო ხიმშიაშვილის, პოეტის დის, როენა გელოვანის, თეიმურაზ მაღლაფერიძის და სხვათა თვალთ დანახული მირზა გელოვანის ესოდენ ძვირფასი ხატი.

ენით ვერ გამოითქვამს, როგორ მენანება მისი დაუხარჯავი, ტყვიების ნიაღვრისა და გაუნელებელ ცეცხლში დაბუგული ყმანვილკაცობის ულამაზესი წლები, უეცრად დანაცრებული სიცოცხლე, რომელიც დიდად წაადგებოდა, სხვაგვარ ელვარებას მისცემდა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას.

სიკეთის გამომასხივებელ, ღიად დარჩენილ თვლებში უცხო ქვეყნის ცამ ჩახედა და მანაც გაიზიარა უიღბლო თვისტომთა, სისხლით ნათესავთა სავალალო ხვედრი; არათუ შინ დაბრუნება, ქართულ მინაში დამარხვაც არ ელირსა, რაზედაც მწარედ გოდებდა ასათიანის ახალგაქრილ სამარესთან გიორგი ლეონიძე.

ეს მართლაც ჩვენი უძველესი და ერთი ძირითადი სატკივართავანია, რის მიმართაც გულგრილები ვერასოდეს გავხდებით. ასე რომ არ იყოს, დარწმუნებული ვარ, არც ეს სიტყვები დაინერებოდა: „... ქართველთა მცირერიცხოვნება ასმაგად და ათასმაგად ამწვავებს ტკივილს და უთუოდ ჩაგვაფიქრებს, რომ ყოველი სამარის გათხრა ჩვენთვის გაცილებით ტრაგიკულია, ვიდრე ძღვევამოსილი სახელმწიფოს შვილთათვის“ (როსტომ ჩხეიძე, ქალდეას მონატრება, 2002, გვ. 114-115).

საბოლოოდ, მინდა გავიხსენო მირზა გელოვანის მცირე უსათაურო, დაცემამდე ცოტა ხნით ადრე, ბრძოლის ველზევე დაწერილი, ერთ სხეულად ჩამოსხმული, მკვრივად ნაქანდაკევი, ბზარდაუმჩნეველი ლექსი, რომელიც, ერთდროულად, აღსარებაცაა და ფიციც, მისი სამშობლოს, საქართველოს გასაგონად ნათქვამი. იგი სხვებს არაფრით ჰგავდა, ყველაზე მძიმე, განსაცდელით დანაღმულ ნუთებშიც ასეთადვე დარჩა. ეს არ გახლავთ მედიდურობა, თავის მოწონება, უტყუარი, შეუღამაზებელი ავტოპორტრეტი. რა ძალა და წარმოსახვის როგორი ლაღი უნარი უნდა ჰქონოდა პოეტს, რომ ღამის წყვდიადის ნაირფერად დამსერავი „სასიკვდილო ტყვიების ფარფატი“, სიცოცხლის მომსერელი უსაშინელები მოვლენა, „ბავშვის თვლებით“ მაცქერალს, „უცოდველ მშვენიერებად“ დაენახა და გარდაესახა. იშვიათი ნიჭის თვისებაა და ყველაზე ძნელია, უკიდურესობამდე უბრალო სიტყვებს იყენებდე და სასაუბრო კილოთი დიდ, ჭეშმარიტ პოეზიას ქმნიდე, წარმოუდგენელი ტკივილით ნამოზ ლექსს ათასების გულებისკენ უკვალავდე გზას:

**იქ სადაც სხვები ქვებს დაემსგავსნენ
სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში,
მე არ ვკარგავდი სიმალეს ჩემსას,
რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში.
და სასიკვდილო ტყვიების ფარფატს,
ღამეში განვიღი ცეცხლის ენებად,
მე ვუცქეროდი, როგორც სანახავს,
როგორც უცოდველ მშვენიერებას.
ხანძრებს, ღამეთა კალთაზე გაშლილთ,
გზებზე ჩახერგილ ღამეთა ლოდებს.**

მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის, რომელიც ასე გიყვარდა ოდეს.

ლექსის მთავარი ძარღვი ფეთქავს სტრიქონებში, სადაც პოეტის ხმა ურყევად დაჯერებული და მლელვარეა: „მე არ ვკარგავდი სიმაღლეს ჩემსას, რომელიც ოდეს გიყვარდა ჩემში“. შეუძლებელია, მირზა გელოვანის პიროვნება და ქმედება მხოლოდ წარსულით („ოდეს“) შემოიფარგლოს და განისაზღვროს; იგი ეკუთვნის საქართველოს დღევანდელობასაც და კიდევ უფრო მეტად – მის მომავალს, რასაც სიცოცხლე შესწირა. იგი, კარგა ხანია, მარადისობის ბინადარია, მარადისობას კი ღირებულებათა და ადგილთა ცვლა არ უყვარს, მუდამ ინარჩუნებს თავის სი-

მაღლეს და იმ სიმაღლიდან დანახული დრო უძრავია, დინებას, წარმავლობას არ მორჩილებს.

ჩემი მიზანი მხოლოდ ის არ იყო, „ადრე ნასული კაცის“ წმინდა ხსოვნისათვის პატივი მიმეგო, წერის დროს სულ მქონდა და ახლაც მაქვს რწმენა, რომ ეს კრებული, მირზა გელოვანის ცხოვრების წიგნი, დღევანდელ მკითხველს ახლებურად, სხვა კუთხით დაანახვებს ივრისპირელ მზეჭაბუკს, ხოლო ათიოდე წლის შემდეგ, დაბადების მეასე წლისთავზე, მისი სახელი კიდევ უფრო მეტად გაბრწყინდება და ამაღლდება.

28 სექტემბერი, 2007 წელი
ალავერდობა

ნათელა არველაძე

**მათი სატი
სამუოპლო იყო!..**

სამშაბათს, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების მორიგ თავყრილობაზე მისულს, როსტომ ჩხეიძე ეშმაკური ღიმილით შემხვდა, დანანებით და ერთგვარი ინტრიგის გაელვებითაც მითხრა: ნახეთ, სოსომ არ დაგინდოთ და მაინც გაგკენწლათო, თან მზერა სოსო ჭუმბურიძისკენ გააპარა. უეცრივ გამიელვა საუკუნეებით ნანრთობმა სიბრძნემ: ღმერთო, შენ დამიფარე მეგობრებისაგან, მტრებს კი თავად გავეუსწორდებიო. სოსოს ხმა ჩამესმა: „არაფერი ისეთი არ მომხდარა, სპექტაკლზე შთაბეჭდილება გამოვაქვეყნე და გაცემა ვერ დაფვარე, თქვენი რეცენზია ამდენ ხანს რომ არ გამოჩნდა“. ამოვისუნთქე. ამ გაუტანელსა და ლალატთან დროებაში, ნამდვილად ველარ გავეუძლებდი ისეთი ახლობლის შემოტევას, სოსო რომ არის ჩემთვის. მერე მისი ჩინებული სტატია წავიკითხე. მართლაც, გულისტკივილით წერს ჩემი მეგობარი: „ხომ ვამბობდი, რომ საჭირო და აუცილებელია პატრიოტული სპექტაკლები! – მითხრა თეატრმცოდნე ნათელა არველაძემ, ვინც ამას, წლების განმავლობაში, მართლაც, დაულალავად მოგვიწოდებდა, თეატრებს, რეჟისორებს მოუწოდებდა, ქართულ სცენას თავის უპირველეს დანიშნულებას შეახსენებდა.

ალვნიშნავ, პროფესიონალის ხმა რომ გაიგონო, ტრიბუნა უნდა არსებობდეს, საიდანაც სპეციფიკურ ანალიზსა და ობიექტურ, დასაბუთებულ შეფასებას გამოხატავ. წინათ ასეთი სამი ტრიბუნა მქონდა: ჟურნალ-გაზეთები, ტელერადიო გადაცემები, ჩვენი კავშირის გამგეობის პლენუმები, ან სეზონის შემაჯამებელი ფორუმები. მიუხედავად იმისა, რომ ახლა ჟურნალ-გაზეთების ბუმი საქართველოში, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, პროფესიონალის შეფასებას იშვიათად შეხვდებით. ჯერ ერთი იმიტომ, რომ პროფესიონალიზმისაგან გაუცხოების დრო-ჟამი დაუდგა ქართველობას; მეორეც – ახლა სენსაციურ სტატიებს უფრო მიელტვიან მასმედიის მესვეურნი. ეტყობა, მკითხველის „დაკვეთა“ ასეთი. რაც შეეხება ტელერადიო გადაცემებს, ასეთი შემეცნებითი პროგრამები აღარ გვხვდება, პრემიერის თაობაზე ჟურნალისტები თუ მოამზადებენ სამწუთიან საინფორმაციო სიუჟეტს, ეგ არის და ეგ. ხოლო ჩვენი კავშირის მესვეურნი ირწმუნებიან – თეატრებს აღარ აინტერესებთ თეატრმცოდნეების მოსმენა, ამიტომაც აღარ ვაწყობთ სპექტაკლების განხილვებს, სეზონის შემაჯამებელ პლენუმებსო (თანაც ფინანსურ ასპექტზე ამახვილებენ აქცენტს!). სამწუხაროდ, ახლა პრესის წარმომადგენლები აღარ გიკვეთავენ რეცენზიებს, ჟურნალისტები თავად წერენ და თანაც წერენ ყველაფერზე, უმეტესად, ყველაფერზე ერთნაირად! მეტისმეტად განვიცდი გაზეთი „თბილისი“ რომ აღარ გამოდის. მისი ერთგული ავტორი ვიყავი და სოსო ჭუმბურიძეს, როგორც რედაქტორს, ხშირად ესმოდა ჩემი ხმა. ჟურნალი „ხელოვნება“ დაიხურა და ამდენად, შესაბამისი დარგის სპეციალისტები ვეღარც სპეციფიკურ საკითხებს განვიხილავთ. ამის თაობაზე, უთუოდ, ღირს დაფიქრება და მსჯელობა.

ერთი კი მიკვირს: ჯერჯერობით, ვერსად ვიხილე ქალბატონი ნათელას რეცენზია „ქაქუცა ჩოლოყაშვილზე“. სხვათა შორის, არც სხვა ცნობილ თეატრმცოდნეთა ხმა ისმის“ (როგორ უყვარდათ, როგორ ომობდნენ და როგორ კვდებოდნენ საქართველოში, ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“, 2007, 21, გვ. 2).

ჩამოვწერე მიზეზები და თავს გამოვუტყდი, არც ასე შავადაა საქმე... ქართული ანდაზისა არ იყოს, თუ გული გულობსო... მივხვდი, რომ მთავარი მიზეზი სულ სხვაა. წმინდა პროფესიული, სპეციფიკური ხასიათის პრობლემებზე ახლა არ მინდოდა საუბარი, იმიტომ კი არა, სათქმელს თავს ვერ მოვუყრიდი, ან თეატრი ვერ გამიგებდა (მადლობა ღმერთს, თეატრისა და კრიტიკოსების ტრადიციული და ჩვენში წინათ აგრერიგად დამკვიდრებული და-

სოსო ჭუმბურიძის გამოწვევას უპასუხოდ ვერ დავტოვევ, თანაც ნამდვილად არ მეპატიება ამდენხანს რომ არ შევეხმიანე თეატრსა და მკითხველს. თავდაპირველად

პირისპირება, წარსულს ჩაჰბარდა!), არამედ იმიტომ, რომ თავად პატრიოტული სპექტაკლის რეპერტუარში გამოჩენა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტია და სანახაობის სხვადასხვა ასპექტზე მსჯელობა ამჯერად ზედმეტად მივიჩნიე. სხვაგვარად კი ვერ მოვიქცეოდი. ისევ დუმილი ვამჯობინე. სოსო ჭუმბურიძის გამონკვევამ კი გადაწყვეტილება შემაცვლევინა. მეოთხე ხელისუფლება ვართო – ტყუილად ხომ არ იჩემებენ ჟურნალისტები, მათ მოსაზრებას ანგარიში უნდა გავუწიო, მით უფრო მის საუკეთესო წარმომადგენელს!

რაც უნდა მკაცრი იყოს კრიტიკოსი თეატრის ნამუშევრის შეფასების დროს, ფაქტს ვერსად ნაუხვალ. ფაქტია, რომ სპექტაკლი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, ჩვენი სათეატრო ცხოვრების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა; ფაქტია, რომ დადგმას მასურებელი მიეძალა, ვით „დაჭრილი ირმების გუნდი“ წყაროს ანკარას. სიამაყეს ვერ ვფარავ – თურმე ქართველ კაცში არ გამქრალა ის სანუკვარი, ხელისხელსაგომანებელი და უწმინდესი გრძნობა, სამშობლოს სიყვარული რომ ჰქვია. ფაქტია, რომ მსახიობები უდიდეს სიამეს გრძნობენ, როცა ამ წარმოდგენას თამაშობენ. ასეთ ნუთებში თითოეული მათგანი თავს მიიჩნევს იმ შეთქმულების მონაწილედ! აი, ამ პატრიოტული ვნებათაღელვის გაღვივებისთვის, ამ პათოსის წარმოჩენისათვის, ამ პოზიციის გამხელისათვის უდიდესი პატივისცემით ვარ განმსჭვალული მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელობის, დამდგმელი გუნდისა და მთლიანად დასისადმი.

და მერე, როდის გაისმა თეატრის „ეს ხმა ტკბილი“! მაშინ, როდესაც ეროვნულმა ნიჰილიზმმა ასე ძლიერად დაგვრია ხელი. მაშინ, როდესაც „პროვინციულ ფაშიზმად“ გამოცხადდა ეროვნული სულისკვეთებით აღვსილი მოძრაობა საქართველოში. მაშინ, როდესაც მსოფლიო მოქალაქეთა მოდურმა ამბიციამ, ლამისაა შეინიროს „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“. მაშინ, როდესაც ენა წახდა, ენა შეირყვნა და ერმაც ასე საგანგაშოდ იცვალა ზნე თუ ფერი

და კიდევ „ჯეობარების“, „ამტანების“, „უკანასკნელი გამირების“, „კომედი შოუს“, „ლამის შოუს“, სხვადასხვა მდაბალი გემოვნებისა და კინი ზნეობრივი კრიტიკიუმების სანახაობათა კულტივირების დროებაში, იქნებ გამოვცაცოთ მასურებელი თანამედროვეობის მონსტრს – ტელევიზიის ამგვარ პროგრამებს! ხალხის მასობრივი ზომბირების, გონის დაჩლუნგების, გემოვნების დამცრობის, ზნეობის მორყევის საშუალებებს, რომელთა მომძლავრებას შორს გამიზნული გეგმები აქვს, ძალზე მძიმე შედეგი კი მოჰყვება უახლოეს პერიოდში – ამის გაცნობიერებაც მეტად საგულისხმოა და თეატრის ხელმძღვანელებს ამ მძიმე ტვირთის ზიდვაც შეაძლებინებს თავისი მისიის პირნათლად აღსრულებას. ამაზე მიუთითებს ფაქტი, რომელიც ძალზე ჯიუტია: კვირა საღამოს, 21 ოქტომბერს, სპექტაკლის სანახავად მისულს, რეჟისორის თანაშემწე, ქალბატონი ნათელა შალიკაშვილი გამესაუბრა, სიხარულისაგან უბრწყინავდა თვალები: „მიხარია, როცა ამდენ მასურებელს ვხედავ. სულ ანშლა-

გია. ტაში დიდხანს არ წყდება. განსაკუთრებით ახალგაზრდები აქტიურობენ. ასე იყო რუსთაველიც, ბათუმშიც, სადაც ვუჩვენეთ სპექტაკლი. ხოლო, რაც ხდებოდა თელავში, ამის გადმოცემა შეუძლებელია. შენობამ მასურებელი ვერ დაიტია, ფეხზე იდგნენ, პირდაპირ იატაკზე ისხდნენ, სცენის წინ მუხლებზე იდგნენ, ტაშით ეგებებოდნენ ყოველ პატრიოტულ რეპლიკას, ტაშით აცილებდნენ მსახიობებს, ქვითინებდნენ, ტიროდნენ... პატრიოტთა დახვრეტის ეპიზოდის დროს, უკვე ზღაოდა დარბაზი. მერე მთელი დარბაზი წამოიმართა და ოვაციას ბოლო არ უჩანდა“

ფაქტი, რომელიც ძალზე ჯიუტია: სპექტაკლის პრემიერა ითამაშეს 2007 წლის 31 მაისს, 21 ოქტომბერს კი – ოცდამეორედ გაისმა სცენიდან ქვემარტი პატრიოტის, სიმონ ბაგრატიონის – დიმიტრი ტატიშვილის უბრალოებით აღმომსკდარი, მაგრამ ძლიერად განცდილი, სიტყვები: „თუ ჩემი სამშობლო უნდა დაიღუპოს, ვალდებული ვარ, მეც მისი ბედი გავიზიარო“. ტაშმა იქუხა ძალუშად.

22 ანშლაგი. დარბაზში 480 ადგილია. ამრიგად, დღეისათვის უკვე 10 560 ადამიანმა იხილა სპექტაკლი. თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ ფეხზეც მრავლად დგანან მასურებლები, მაშინ უფრო მეტს უნახავს დადგმა, უფრო მეტს განუცდია ამბავი „შეფიცულ ძმათა“, უფრო მეტი შეძრულა მათი სულისკვეთებით. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ სპექტაკლში დაკავებულია 39 მსახიობი, უნდა ითქვას, რომ დასის უმეტესი ნაწილი სცენიდან ლიად, საჯაროდ, გულწრფელად ქადაგებს სამშობლოს სიყვარულის სწორუპოვარი ვნების სიდიადეს. 39 მსახიობი რამდენიმე საათის მანძილზე ხდება იმ რაინდული გამონათების მონაწილე, რომელთა სისხლშიაც იყო განზანდილი ქართველთა დროშა (ვიზიარებ როსტომ ჩხეიძის მოსაზრებას!), და რომლის თანამოაზრენიც ხდებიან უკვე XXI საუკუნის აქტიორები. ეს სანახაობა ამ ნიშნითაც დაამწვენებს მარჯანიშვილის თეატრის ისტორიის ბოლო ორ ათეულ წელს, თემურ ჩხეიძის („ჰაკი აბა“) და დავით ანდლუღაძის („გრაალის მცველი“) სპექტაკლებთან ერთად.

39 მსახიობი რამდენიმე თვის მანძილზე, სპექტაკლის მზადების პერიოდში, უღრმავდებოდა, უკვირდებოდა, ეცნობოდა არაერთ ისტორიულ წყაროს 1924 წლის აჯანყების პერიოდზე; იმეორებდა, იხსომებდა, გულით აღმოსთქვამდა პატრიოტული ვნებათაღელვით აღვსილ ტექსტს, იზიარებდა გურამ ქართველიშვილის მეტად ღირებულ პოზიციას, უღრმავდებოდა საქართველოს ისტორიის სისხლიანსა და ტრაგიკულ, ამასთანავე, ტაბუირებულ, პერიოდს. ახლა კი, პრემიერის შემდეგ, 39 არტისტი ასეთი სიამაყითა და სიღარბაისლით ამცნობს საზოგადოებას თავისი ერის ჭრილობას, საკუთარ სისხლ-ხორცულ ნაწილს, საკუთარი გონითა და გრძნობით გამოძერწილ პერსონაჟებს. პრემიერამდე რამდენიმე თვე და პრემიერის შემდეგ, მარჯანიშვილის თეატრში დულს სამშობლოს ხვედრზე ღრმად მოფიქრალ და სამშობლოს კეთილდღეობისათვის უანგაროდ თავდადებულ პატრიოტ-

თა ვნებათაღელვა, ამ დუღილის სტიქიაშია დანთქმული მაყურებელიც. აი, ეს ფაქტია უაღრესად საგულისხმო. ამიტომაც გადაიფარა სხვა ყოველი საკითხი და სპეციფიკური ხარვეზი.

და კიდევ, რამდენიმე თვე პრემიერამდე და ახლა, პრემიერის შემდეგ, სცენიდან ჩაგვესმის ძარღვიანი, კდემით აღსავსე და თრთოლის მომგვრელი ქართული სიტყვა, მაღლიანი ქართული სალიტერატურო ენა! 39 მსახიობმა გაიმდიდრა ლექსიკა, 10 560-ზე მეტი მაყურებელი ეზიარა ამალღებულ, სულში ჩამწვდომ, ომახიან, მოღულუნე ქართულ ენას. და რაც მთავარია, გაგვახსენეს არა მარტო როგორ იბრძოდნენ, როგორ უყვარდათ, როგორ კვდებოდნენ საქართველოში, არამედ ისიც, როგორ საუბრობდნენ, როგორ მეტყველებდნენ, როგორ უმხელდნენ ერთმანეთს გულისნადებს საქართველოში. რამდენიმე საათი, თითქოს, ჩემი სიყმანვილის ქალაქში აღმოვჩნდი, იმ დროებში „გადავსახლდი“, როდესაც დედა-დედეები, მამა-პაპები ჯერ კიდევ ბობოქარი, მჭექარე, დარბაისლური, მოშაირე, ტკბილხმოვანი, მდიდრული და მრავალგვარი ქართულით მეტყველებდნენ... და არ ისმოდა გაველურებული, გაპირუტყვებული, ნამუსახდილი ენა, მდორე მეტყველება, გაღარიბებული ლექსიკა მხოლოდღა შორისდებულებს, ჟარგონს, ქუჩურ გამოთქმებს, უწმანურ სლენგს

შეტოვებული ქართული ენა – ძალზე მძიმე მოსასმენია! და სპექტაკლის მსვლელობისას კიდევ უფრო შემძრა ქუჩიდან შემოყოლილმა აგრესიულმა შორისდებულებმა, აგრესიულმა სლენგმა, შმაგმა და აქამდე გაუგონარმა – ჩემი დედა!.. ამ წარმოდგენამ კიდევ ერთხელ, მწვავედ და გულსაკლავად დაგვაფიქრა ამ მხრივაც დეგრადირებულ ჩვენს ყოფაზე!

მიმაჩნია, რომ მეტისმეტად ღირებულია და პრინციპულად მნიშვნელოვანია ავტორისა და რეჟისორის – გურამ ქართველიშვილისა და ლევან წულაძის – მიერ რუსეთისა და სხვა ჩვენი მეზობელი ქვეყნის წარმომადგენელთა საქართველოსადმი დამოკიდებულების ქვეშაირიტი არსის წარმოჩენა, მათი ნამდვილი გეგმის მხილება და ფაქტების ინტერპრეტაცია. რუსი პოლკოვნიკი – თემურ კილაძე და გეო სუმიჩი – დავით ხურცილავა არა

მარტო ეპოქის „სუნთქვის“ მიმანიშნებელი პერსონაჟებია, არამედ სხვადასხვა რანგის ნიღაბი – სიმბოლოები. ერთი – ვერაგული გეგმის გამჭრიახი ორგანიზატორია, მეორე – ვერაგული გეგმის ოსტატური შემსრულებელი. თუკი ამ დუეტს მათ ხმაზე მომღერალ ადგილობრივ უჯიშო კალესაც, მარლენ ეგუტიას ჩინებული შესრულებით, დავუმატებთ, აკაკი მესაბლიშვილის ხელმოცარულ გენერალსაც გავიხსენებთ, უთუოდ, დავრწმუნდებით ვისი ხელით, გულით, გონით არის ნაქსოვი ის ბადე, რომელშიც ქართველობა ასე დაუნდობლად გაება და უკვე მესამე ასწლეულია თავი ვერადავერ გამოუხსნია; თავისივე უნიათობით, თავისივე დარდიმანდული წინდაუხედავობით, თავისივე გვარტომელთა გამყიდველობით, თავისივე წინამდგომთა ეგოცენტრიზმით თავი ვერადავერ დაულწევია იმ მარყუჟისათვის, რომელიც მოშვებული კია, მაგრამ თავს არ ანებებს და ბედი მღევარივით ასდევნებია.

ამ სანახაობის პერსონაჟებს პოზიციის მიხედვით დავაჯგუფებდი: პატრიოტები და მათი გულმხურვალე თანამოაზრენი; ჯალათები და მათი თანამზრახველნი; ევროპელი გულდინჯი შემფასებელნი. ჯალათები უფრო გამოკვეთილნი აღმოჩნდნენ, შემფასებლები – უფრო რიტორიკულნი, ხოლო შეთქმული რაინდების სასცენო ამბავი უფრო მეტად ყმანვილკაცურ

ონავრობაზე აქცენტირებული. ჩემი ფიქრით, დრამატურგს ისტორიკოსმა სძლია და ლიტერატურული პირველწყაროს მთავარ მოქმედ პირად იქცა ეპოქა, ყოფა, დეტალები, ვიდრე ხასიათი – ნიღბების გამოძერწვისათვის წინაპირობის შექმნა. საგა – ასე განსაზღვრა თეატრმა ნაწარმოების ჟანრი. თავიდანვე მიუთითა – ეს თხრობაა იმის თაობაზე, რაც გადახდა საქართველოს საუკუნის წინათო. ასეთ ჟანრს, თხრობას, სამწუთიანი ეპიზოდების გათამაშებას, რა თქმა უნდა, სცენაზე თავისი არსებობის უფლება აქვს, მაგრამ სცენა ხომ პრინციპულად განსხვავდება ეკრანისაგან, სპექტაკლი – კინოფილმისაგან, თხრობა მოქმედების თაობაზე – თავად მოქმედებისაგან. როგორც სპეციალისტი, აღზრდილი ვარცოცხალი სასცენო ქმედების ენაზე. ამ სათეატრო ენის მოტრფიალე გახლავართ და, შესაძლოა, ამიტომაც მეზამუშა თავად ამბის გათამაშების სახეობა. არ ვგულისხმობ თამაშის წესს, სათეატრო ესთეტიკას, გამოსახვის ფორ-



ნიკა თავაძე – ქაქუცა ჩოლოყაშვილი (გურამ ქართველიშვილი, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“)

მებს, მივუთითებ ილუსტრაციის ხერხს. თავად ილუსტრაციაა ჩემთვის ნაკლებად საინტერესო, ამიტომაც ვამჯობინე დუმილი. კარგად გამოიგებს ლევან წულაძე, ისიც ხომ ამ ენაზეა აღზრდილი და ძალიან კარგად ესმის, რომ თეატრში მოსულ საზოგადოებას მაყურებელი ჰქვია და არა მსმენელი. გულს ფიანდაზად ედება სცენიდან მოსმენილი რეპლიკები, მაგრამ ამ რეპლიკების მიღმა არსებული პროცესის, პერსონაჟთა ურთიერთდაპირისპირების, ბრძოლის მკაფიო კარდოგრამის საყურებლად მოვდივართ თეატრში და არა უამრავი ეპიზოდისათვის თვალის მისადევნებლად. ამ ერთ სანახაობაში უამრავი პერიფერიული ამბავია თავმოყრილი, თითოეული მათგანი ცალკე სპექტაკლის დადგმას რომ ითხოვს. ამ ერთ სანახაობაში უამრავი დინებაა გაერთიანებული, თითოეული ცალკე კალაპოტს რომ ითხოვს, ცალკე ამბად რომ შეიძლება გათამაშდეს სცენაზე. თუნდაც, სოციალ-დემოკრატიებისა და ბოლშევიკების ურთიერთშეთანხმებული მოქმედება ილიას წინააღმდეგ. ეს პრობლემა, ჭეშმარიტად, ხერხემალი და უმთავრესია აღნიშნული ეპოქისა, მაგრამ ეს არ შეიძლება ერთ-ერთი, ეპიზოდური, სიმრავლეში გასხლექტილი ამბავი აღმოჩნდეს. ორიოდ რეპლიკით ძნელია ხასიათი შეიქმნას, მით უფრო ეპოქის ძირითადი ტრაგედიის, აქამდე გაუხსნელი მკვლელობის, არსი წარმოაჩინონ მსახიობებმა. მართალია, დავით დვალის ვილიცა და ვაჟა გელაშვილიც ცდილობენ თავი დაამახსოვრონ მაყურებელს, მაგრამ სცენას თავისი დაუნერვლი კანონი აქვს და მისი ხელყოფა ნიჭიერ მსახიობსაც კი გაიმეტებს ხოლმე.

მომავალ შეამბოხება სცენაზე გამოჩენას, თავიდანვე დაჰყვა მაყურებლის მიამიტური ნდობაცა და გულფიცხი სიხარულიც. როგორც ჩანს, საზოგადოებას მოენატრა რაინდების ხილვა სცენაზე (ცხოვრებაშიც!), ნოსტალგია გაუმძაფრდა ადამიანური გრძნობების, ურთიერთობების, სურვილების, სილაზათის მიმართ. მსახიობები ბუნებრივი, ლაკონური, სხარტი გამოსახვის ფორმებით აღწევენ პერსონაჟთა წარმოსახვას და ფონს უქმნიან მთავარ მოქმედ პირს. ვფიქრობ, მათი ამბის გადმოცემას უფრო შთამბეჭდავს გახდიდა პირველი ნაწილის შეკვეცა და შემდგომი პერიოდის მნიშვნელობის მასშტაბურად წარმოდგენა. ჩემი უშუალო წინაპრები კარგად იცნობდნენ ამ პატრიოტებსაც და თვითმხილველნი იყვნენ იმ პერიოდის ქართველებისა. მათი ნაამბობიდან ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი, საერთოდ ეს თაობა, უეცრივ დავაჟაკაცდა, პირტიტველა ჭაბუკები უეცრივ იქცნენ დაბრძენებულ, დაუმორჩილებელ, თავდადებულ მამულიშვილებად, რაინდებად, მებრძოლებად. მათ შორის, მართლაც, გამორჩეული განსაზღვრებით თავად ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ორგანული სიღინჯე, შინაგანი სისასე და შეფასებათა სიზუსტე ახასიათებს გია ბურჯანაძის თამაშს, რაც იდუმალებისა და დამაჯერებლობის საბურველს ჰმატებს კოტე აფხაზს. ილიას დისწული იმითიც ჩამოჰგავს ბიძას, რომ უნარი შესწევს შეუცდომლად ამოიცნოს ქაქუცაში ქახოსრო და ურყევად სწამდეს ტყვია რომ არ ეკარება რჩეულს. ასე მგონია, გია ბურჯანაძის ბუნებრივი სიმტკიცით ნათქვამი ეს სიტყვები იქცა ნიკა თავაძის მიერ

განსახიერებელი ქაქუცა ჩოლოყაშვილის როლის მარცვალი. ყალბი პათოსისა და მოჭარბებული მგრძობელობის გარეშე თამაშობს ორივე მსახიობი, მათი ურთიერთობა იდუმალებისა და შინაგანი სხივმოსილებით გათამაშდა სცენაზე და მხოლოდ აქ და მხოლოდ მათში განხორციელდა რიტუალის გრძნეული და ბუნებრივად ამალღებული სულისკვეთება. ჩემი ფიქრით, მათში ორგანულად გაერთიანდა რეალობა, ნამდვილობა, იდეა და იმედიანობა, საზოგადოების მისწრაფებაც მამულისათვის ჭეშმარიტად, უანგარო მებრძოლთა, ბუნებრივად გამორჩეულთა (და არა მამლაყინწურად გაფხორილ და კოთურნებზე შემართულ), რაინდთა, ეროვნულ გმირთა აღორძინებაზე. ესეც საზოგადოების დაკვეთა მგონია და თეატრმა ამ ასპექტითაც გაავიჩინა მეტად მნიშვნელოვანი საფიქრალი.

უთუოდ, საგანგებო აღნიშვნას ითხოვს ბატალური სცენების სახიერი გადაწყვეტა, სიმულტანური ხერხის ორგანული გამოყენებაც. აქ ბუნებრივი აღმოჩნდა ილუსტრაციული გადაწყვეტა და რწმენა გამიჩნდა, რომ შესაძლებელია ჩვენი წარსულის ისტორიული ჟამიანობის, ქართველი ერის ბრძოლას საკუთარი ისტორიული მისიის განხორციელებისათვის, სასცენო ინტერპრეტაციის ორგანული, ლაკონური, სახიერი ფორმა გამოეძებნოს. მაინც იმედიანი შეძახილით ვამთავრებ ჩემს მონოლოგს, ვინძლო რაიმე სასარგებლო ამოკითხოს დამდგმელმა გუნდმა. და რომ ეს წარმოდგენა მეტად ღირებული მოვლენაა ჩვენი აწინდელი სათეატრო ცხოვრებისა, ადასტურებს ის ფაქტიც, რომ მოხდა, თითქმის, უპრეცედენტო შემთხვევა – ჟურნალმა „ჩვენი მწერლობა“ სივრცე უკვე მესამედ დაუთმო სტატიას ამ წარმოდგენაზე. როსტომ ჩხეიძის მეტად საგულისხმო წერილს „სამშობლოდან“ „ქაქუცა ჩოლოყაშვილამდე“ („ჩვენი მწერლობა“, 2007, 18) მოჰყვა სოსო ჭუმბურიძის აღნიშნული სტატია. ახლა კი ჩემს წაწერს გაეცნობა მკითხველი. ქართულმა მწერლობამ ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი ქართული თეატრის წინაშე.

ახლა მთავარი სათქმელი მსურს აღმოვთქვა, ის შინაგანი მონოლოგი, ის ფიქრი მინდა გავაცნო მკითხველს, სპექტაკლიდან რომ გამომყვა: თუ გვიანდა საბოლოოდ არ აღიგავოს პირისაგან მინისა ქართული ენა და ქართველი ერი, თუ გვიანდა მსოფლიო თანაცხოვრება გავამდიდროთ კიდევ ერთი ინდივიდუალური ფერით, ეროვნული ტრადიციებითა და კულტურით, თუ გვიანდა მსოფლიო რუკას შემოვრჩეთ, როგორც სახელმწიფო, ერი, ღირსეულ წინაპართა შთამომავალი ღირსეულ მოქალაქეთა კრებული, ჭეშმარიტად და არა მოჩვენებითად უნდა მივიღოთ მამაპაპათა მონოდებას – ჩემი ხატია სამშობლო, სახატე ჩემი ქვეყანა! როცა საქმით და არა მხოლოდ სიტყვით იქნება ჩვენი ხატი სამშობლო, მაშინ შევძლებთ გადავარჩინოთ ჩვენი მომავალი და მთელი ქვეყნის, ანუ მთელი მსოფლიოს თანაცხოვრების მრავალხმიანობას შევეურთოთ კიდევ ერთი უნიკალური ხმა. ამ ხმით ნამღერ მელოდიად აღვიქვი სპექტაკლი და ამიტომაც სძლია ჩემში მოქალაქემ კრიტიკოსს.

ნიჭი, პროფესიონალიზმი, ოსტატობა

*

მანანა გეგეჭკორს
ესაუბრა
ნიელი ჭანკვეტაძე

ქართული სასცენო ხელოვნება მუდამ მდიდარი იყო ნიჭიერი ადამიანებით. ეროვნულ თეატრს ჩინებული მსახიობები არასოდეს აკლდა. მაგრამ მათ შორისაც გამოირჩეოდნენ თავიანთ საქმიანობაზე სერიოზულად დაფიქრებული პროფესიონალები. ნარმატებებისა და აღიარების მიუხედავად, ისინი მიღწეულს არ სჯერდებიან და სულ ცდილობენ ახალი, უფრო და უფრო რთული შემოქმედებითი ამოცანები დაისახონ და გადალახონ.

სწორედ ასეთია მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძე, რომელსაც სულ ახლახან დაბადების დღე ჰქონდა, საიუბილეო თარიღი. იგი საჯაროდ არ აღნიშნულა. მართალია ქალბატონებს ასაკს არ ეკითხებიან, მაგრამ დაბადების დღის მილოცვა უდავოდ საჭიროა. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი სიამოვნებით ვულოცავ ნინელი ჭანკვეტაძეს – დღეს უკვე ქართული თეატრისა და კინოს სახელგანთქმულ მსახიობს.

მასთან დაუსრულებლად შეიძლება ისაუბრო ხელოვნებაზე, თეატრზე, მსახიობობაზე. არაერთხელ შევხვედრივარ, არაერთხელ გვილაპარაკია. ასე მგონია, თითქოს კარგად ვიცნობ. თუმცა მასთან ყოველი შეხვედრა მისი შემოქმედების ახალ-ახალ მხარეს ხდის ფარდას. ერთმანეთს შენობით მივმართავთ. არც ჩვენი საუბრის დროს მინდა დავარღვიო ურთიერთობის ეს ფორმა. ნინელი ჭანკვეტაძეს მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტში შევხვდი. აქ იგი სამსახიობო ჯგუფს ხელმძღვანელობს.

– ნინელი, პედაგოგიკა შედარებით ახალი საქმეა შენთვის თუ უკვე გაქვს გარკვეული გამოცდილება?

– არა, ახალი არ არის. რამდენიმე წლის წინათ, როდესაც კინომსახიობთა თეატრის რეკონსტრუქცია მიმდინარეობდა, კულტურის ინსტიტუტში რეჟისორმა სანდრო მრეველიშვილმა მიმინვია მსახიობის ოსტატობის პედაგოგად. I და II კურსელებს ვასწავლიდი. შემდეგ რემონტი დამთავრდა. თეატრში მუშაობა განახლდა. თავისუფალი დრო ცოტა მქონდა. გარდა ამისა, ვიფიქრე, რომ III და IV კურსებზე სტუდენტებთან სპექტაკლები უკვე რეჟისორმა უნდა დადგას. ამის გამო პედაგოგიკას ჩამოვშორდი. ამ რამდენიმე თვის წინათ, ქალბატონმა ნანა თუთბერიძემ – მასმედიისა და საზოგადოებრივი კომუნიკაციების ინსტიტუტის ხელოვნების ფაკულტეტის დეკანმა – სამსახიობო ჯგუფის აყვანა შემომთავაზა. სიამოვნებით დავთანხმდი. ვცდილობ, სტუდენტებს ვასწავლო ის, რაც ჩემმა დიდმა პედაგოგმა, მიხეილ თუმანიშვილმა მასწავლა არა მარტო სტუდენტობის ხანაში, არამედ შემდგომაც – ჩვენი მრავალწლიანი შემოქმედებითი ურთიერთობისას. ვფიქრობ, მსახიობი თავისი ხელობის საიდუმლოებებს I-II კურსზე

ეუფლება. მერე ყოველი მათგანი შეთვისებულს სხვადასხვანაირად იყენებს. II კურსზე პირველი სტუდენტური სპექტაკლის დასადგმელად ალბათ რეჟისორს მოვიწვევთ. თუმცა პიესას თვითონვე შევარჩევ, როგორც ჯგუფის ხელმძღვანელი. ჯერ მხოლოდ დავინწყე ეს საქმე. ვნახოთ, რა გამოვა.

– ბოლო წლების ქართულ თეატრში ამკარად გამოიკვეთა ერთი საგულისხმო ტენდენცია, რომელიც დღითიდღე სულ უფრო და უფრო იკიდებს ფეხს. ეს არის ე.წ. „ანტრეპრიზის“ პრინციპი: თეატრი სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად იწვევს სხვა დასის მსახიობს. არსებობს მთლიანად ამ პრინციპით მომუშავე თეატრები. თუმცა არც სახელმწიფო თეატრები ამბობენ უარს ანტრეპრიზაზე. ვერ დავიჯერებ, რომ ისეთ მსახიობს, როგორც ნინელი ჭანკვეტაძეა, ამგვარი მიწვევა არ ჰქონია.

– ცხადია, მქონია, თანაც – არაერთი. მაგრამ ბატონი მიშას სიცოცხლეში ამაზე არც მიფიქრია. მას არ მოსწონდა, როდესაც მისი თეატრის მსახიობებს სხვაგან იწვევდნენ. თანაც კინომსახიობთა თეატრში სამუშაო არ მაკლდა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე შემთავაზებაზე მაინც მწყდება გული. როდესაც ქალბატონი სოფიკო ჭიაურელი კოტე მარჯანიშვილის ლეგენდარულ „ურთელ აკოსტას“ ალადგენდა, ივლითის როლი შემომთავაზა, თემურ ჩხეიძემ – ჯულიეტა შექსპირის „რომეო და ჯულიეტას“ სატელევიზიო ვერსიაში. ყოველთვის ვოცნებობდი მემუშავა ისეთ რეჟისორთან, როგორც ბატონი თემურია, მაგრამ მაშინ უარი ვთქვი. მართალია, შემდეგ მის ორ სატელევიზიო დადგმაში ვითამაშე – მიხეილ ბულგაკოვის „მოლიერსა“ და სპექტაკლში „ეს არ უნდა მომხდარიყო“, რომელიც ჩემი თანაკურსელების – თინა ჭაბუკიანის, ნინო შარაბიძისა და ნოდარ ბეგიაშვილის სადიპლომო ნამუშევარი იყო, თემურ ჩხეიძე კი – მისი ხელმძღვანელი. მაგრამ მაინც გული მწყდება.

III კურსზე ვსწავლობდი, როდესაც რეჟისორმა ცოტნე ნაკაშიძემ ნინიკოს როლი შემომთავაზა ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია.“ სპექტაკლი უკვე კინომსახიობთა თეატრის რეპერტუარში იყო, როდესაც რეჟისორმა გიორგი კახაბრიშვილმა ამ ნაწარმოების საფუძველზე სატელევიზიო დადგმის განხორციელება გადაწყვიტა. ნინიკო იქაც მე უნდა მეთამაშა, ოღონდ არა ჩემს თეატრალურ პარტნიორ, მსახიობ ზაზა მიქაშავიძესთან, არამედ რეზო ჩხიკვიშვილთან ერთად. იმხანად ლაშა თაბუკაშვილის პიესა რუსთავის თეატრშიც იდგმებოდა. მასში მთავარ როლებს ეკა ქუთათელაძე და რეზო ჩხიკვიშვილი თამაშობდნენ. ორივე სპექტაკლს დიდი წარმატება ჰქონდა. თვითონ ლაშას, აგრეთვე ჩემთვის უაღრესად საპატივსაცემო ადამიანებს, ქალბატონ მედეა ჯაფარიძეს და ბატონ რეზო თაბუკაშვილსაც უნდოდათ, რომ სატელევიზიო სპექტაკლში ნინიკო მე მეთამაშა. მაგრამ მე უარი ვთქვი. ჩავთვალე, რომ ეს იმ თეატრალური ჯგუფის ლალატი იქნებოდა, ვინც ეს წარმოდგენა შექმნა.

მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ, კინომსახიობთა თეატრის მიმართ ჩემი უზომო ერთგულების მიუხედავად, ანტრეპრიზაში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტე. ბუნებრივია, იმ შემთხვევაში, თუ საინტე-

რესო სამუშაოს შემომთავაზებდნენ. რამდენიმე ხნის წინათ ოთარ ეგაძის წინადადებით, თეატრალური სარდაფის ერთ საინტერესო პროექტში უნდა მეთამაშა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი არ განხორციელდა. საქმე ისაა, რომ სპექტაკლზე ზაფხულის თვეებში უნდა გვემუშავა და სექტემბერში გამოგვეშვა. მე კი ეს არ შემეძლო. ზაფხული ჩემს ცხოვრებაში მთლიანად ჩემს შვილს ეკუთვნის. სულ ახლახან რეჟისორმა დათო დოიაშვილმა მიმიწვია მუსიკისა და დრამის თეატრში. წინასწარ არ მინდა იმის თქმა, რა მასალაზე ვიმუშავებთ, მაგრამ ამჯერად აუცილებლად დავთანხმდები.

– ჩემზე უკეთ მოგეხსენება და საკუთარი სამსახიობო პრაქტიკა ალბათ ხშირად გახსენებს იმ ქვემარტივებას, რომ არტისტის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე დამოკიდებული პროფესიაა. რეჟისორმა უნდა ავირჩიოს, ის როლი მოგცეს, თვითონ რომ სურს. ბევრი რამაა დამოკიდებული პარტნიორზე; იმაზე, რას ჩააცმევს შენს პერსონაჟს მხატვარი, როგორ მუსიკას დაწერს კომპოზიტორი, როგორ აგაცეკვებს ქორეოგრაფი... ეს მეტნაკლებად ყველა იმ შემოქმედს ეხება, ვინც ანსამბლურ, სინთეზურ თეატრალურ ხელოვნებაშია ჩართული, როგორც სპექტაკლის შემქმნელი. მსახიობი მათ შორისაც კი ყველაზე დამოკიდებულ ფიგურად გამოიყურება. და მაინც, მინდა გკითხო – სად არის ამ არაჩვეულებრივად წარმტაცი, ბევრისთვის საოცნებო პროფესიის დამოუკიდებლობა?

– დიახ, მსახიობის პროფესია უამრავ სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ბედმა უნდა გაგიღიმოს და ნიჭიერმა რეჟისორმა კარგ პიესაში საინტერესო სამუშაო მოგცეს. როლი შენს ასაკსა და შემოქმედებით უნარს უნდა შეესაბამებოდეს. შინაგანად შენც მზად უნდა იყო ამ წარმოდგენაში მონაწილეობისათვის და შენი პარტნიორებიც. კიდევ მრავალი ვითარების აღნიშვნა შეიძლება. მაგრამ ყოველივე ეს ეხება სპექტაკლზე მუშაობის სარეპეტიციო ხანას. ამ დროს მსახიობი რეჟისორს თავს ვერ მოახვევს როლის საკუთარ კონცეფციას, თავის მოდელს. რეჟისორის ჩანაფიქრს უნდა მიჰყვე. საუკეთესო შემთხვევაში რეჟისორისა და მსახიობის შეხედულებები იმ სცენურ მხატვრულ სახეზე ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს. რეჟისორმა უნდა აგიხსნას და გაგაგებინოს, რა გააკეთო. არტისტმა კი იპოვოს სცენაზე გათამაშებული მოვლენისა და გმირის ხასიათის გამომხატვის ხერხები, ანუ – როგორ აკეთებ.

თეატრის ერთ-ერთი უპირატესობა კინოსთან შედარებით ისაა, რომ სცენაზე თამაშისას დამოუკიდებელი ხარ. სწორედ ამის გამო მიყვარს ეს პროფესია. იქ, სცენაზე შენ ხდები ყველაფრის ბატონი-პატრონი. დამოუკიდებლად უნდა მიიღო ყოველნუთიერი გადაწყვეტილებები: როგორ შეასრულო სამსახიობო ამოცანა, როგორ შეაფასო პარტნიორის ესა თუ ის საქციელი, საუკეთესოდ გამოიყენო იმპროვიზაციის საშუალება; გაითვალისწინო, სად არის მთავარი შენი პერსონაჟი და სად – პარტნიორი, თან არ დაივიწყო რეჟისორის ჩანაფიქრი, ზუსტად შეასრულო მიზანსცენის ნახაზი... თუ ყოველივე ეს მუდამ გახსოვს და თამაშის დროს ითვალისწინებ, მაშინ შეიძლება მოხდეს სასცენო სასწაული – დაიბადოს ახალი თეატრალური

პერსონაჟი, რომლის ხილვა სიამოვნებას მიანიჭებს მაყურებელს, შესრულება კი – მსახიობს.

– შენი გარეგნული მონაცემებიდან გამომდინარე, თითქოს უფრო მეტად ლირიკულ-დრამატული ხასიათის გმირი ქალები უნდა გაგეცოცხლებინა სცენაზე. მიუხედავად ამისა, შენს შემოქმედებაში ე.წ. სახასიათო, მსუბუქი იუმორითა თუ კომიზმით შეფერილი პერსონაჟები ჭარბობენ.

– ეს პროცესი ინსტიტუტიდან დაიწყო. მიხეილ თუმანიშვილი უმთავრესად ამგვარ სამუშაოს მაძლევდა. შეიძლება ამის გამო იმ წლებში რაღაც დავკარგე კიდევ, თუნდაც ის როლები, რომლებსაც ამ ასაკში ვეღარ ვითამაშებ – ნორჩი, მომხიზვლელი გოგონები, რომლებსაც იმჟამად დიდი სიამოვნებით და, ვფიქრობ, ადვილადაც განვასახიერებდი. ერთადერთი გამონაკლისი იყო ნინიკო („დარაბებს მიღმა გაზაფხულია“). ბატონი მიშა ყოველთვის გრძნობდა იმის საშიშროებას, რომ რეჟისორები არასწორად გამოიყენებენ ჩემს ლირიკულ თუ დრამატულ მონაცემებს, მეტისმეტ ექსპლოატაციას გაუნევენ მათ. ჩვენი დიდი პედაგოგი ხელობას გვასწავლიდა, პროფესიის საიდუმლოებებს გვაზიარებდა, იმისათვის გვამზადებდა, რომ განსხვავებულ რეჟისორებთან სხვადასხვა სახის მასალაზე მუშაობისას სრულად გამოგვევლინა ჩვენი ნიჭი და ოსტატობა. მას განსაკუთრებით უყვარდა არტისტი, რომელიც რეჟისორის ნების უსიტყვო შემსრულებელი კი არა, მისი თანამოაზრე იქნებოდა სპექტაკლის შექმნის პროცესში. გვიჩვენებდა, მაქსიმალურად გამოგვეყენებინა ჩვენი აქტიორული შესაძლებლობანი, განსაკუთრებით სახასიათო რეპერტუარში.

სულ გვეუბნებოდა: ახალგაზრდობა და სილამაზე წარმავალია, ხელობას კი აუცილებლად უნდა ფლობდე, თქვენი საქმის ოსტატები უნდა იყოთ, ყველა ასაკში საინტერესონი მაყურებლისათვის. ამას კი მხოლოდ მაშინ მიაღწევთ, თუ მკვეთრ ხასიათებზე იმუშავებთო.

ვფიქრობ, ეს შეგონება ჩინებულად შეისისხლხორცა ყველა მისმა ქვემარტივმა მონაფემ, მათ შორის – მეც.

ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. სპექტაკლში „ზაფხულის ღამის სიზმარი“ ჰერმის ვითამაშობდი – ე.წ. ლირიკულ პერსონაჟს. მაგრამ მასშიც თავიდანვე ვეძებდით მკვეთრ სახასიათო ნიშნებს. რეპეტიციების დროს, ბატონი მიშას მოთხოვნით, სათვალე მეკეთა. მაშინ არ მესმოდა, რისთვის იყო ეს საჭირო, მაგრამ მაინც დავთანხმდი. პირველ სპექტაკლებზეც კი სათვალე მეკეთა. მერე მოვიხსენი, მაგრამ სათვალეანი ადამიანის შინაგანი მდგომარეობის შეგრძნება დამრჩა. ასეთი ჰერმია ცოტა სასაცილოც იყო. მისი ეს მხარე კიდევ უფრო გავაძლიერე იმით, რომ უჩვეულოდ დიდცხვირა, მაღალ და ფართოქუსლიანი, მამაკაცური ყაიდის ფეხსაცმელი ჩავიცვი. ამის გამო ჰერმია უცებ თანამედროვე „ხულიგან თინეიჯერს“ დაემსგავსა, ღრუბლებიდან ძირს დაეშვა და ძალიან მიწიერ, რეალურ პერსონაჟად იქცა. ფეხსაცმელმა გმირის პლასტიკაც შეცვალა, სიარულის მანერა. ასეთი ჰერმია ჩემთვისაც საინტერესო იყო.

– დღეს ნინელი ჭანკვეტაძეს უკვე ისეთი მდგომარეობა აქვს მოპოვებული ქართულ თეატრალურ სივრცეში, რომ თვითონვე შეუძლია აირჩიოს მისთვის სა-

ინტერესო პიესა, როლი, და რეჟისორს მისი დადგმა შესთავაზოს. ოდესმე ხომ არ გისარგებლია ამ მდგომარეობით?

– არა, ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში არ მომხდარა. არ დაგიმალავ, იყო ერთი როლი, რომლის თამაშიც ძალიან მინდოდა. როდესაც მიხეილ თუმანიშვილმა თავის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლში „ჩვენი პატარა ქალაქი“ როლები გაანანილა, მეგონა, რომ მთავარ ახალგაზრდა პერსონაჟ ნესტანს მე მათამაშებდა. მაგრამ რეჟისორმა გადაწყვიტა, რომ ნესტანის დედის, ქეთევანის როლი მოეცა ჩემთვის. გული დამწყდა. რაღაც შინაგანი პროტესტის გრძნობა დამეუფლა. თუმცა ბატონი მიშასათვის არაფერი მითქვამს. როგორ ვაფუბებდავდი! რეპეტიციები რომ დაიწყეთ, ქეთევანის სახეზე მუშაობა გამიჭირდა. ჩემთვის სულ ნესტანს ვთამაშობდი, ისე ჩემად მიმაჩნდა ეს პერსონაჟი. მაგრამ სარეპეტიციო პროცესში არავის არაფერი შეუმჩნევია. ამასობაში წარმოდგენის გამოშვების დროც დადგა. კოსტიუმის საბოლოო მორგების მომენტს ხელოვნურად ვწელავდი. მხოლოდ პრემიერის წინა დღეს ჩავიცვი, თმის ვარცხნილობაც ვიპოვე და სათვალეც გავიკეთე. უცებ ვიგრძენი, როგორია ეს ქალი. ჩემი ქეთევანი იმ დღეს დაიბადა. ახლა იგი ჩემი უსაყვარლესი გმირია. ძალიან მსიამოვნებს მისი თამაში. ნესტანი კი მაშინ შესანიშნავად განასახიერა ნინო ბურდულაძემ. მხოლოდ პრემიერის შემდეგ ვაფუბილე ჩემს მასწავლებელს სიმართლე. მკითხა, რატომ ადრე არ მითხარიო? მე შენთვის უჩვეულო სამუშაო მინდოდა შემომეთავაზებინა და ამიტომ გათამაშე უფროსი ქალის, დედის როლიო.

ამ ამბის შემდეგ საკუთარ თავს ფუჭი ოცნება ავუკრძალე. რა როლსაც გაძლევენ, ის უნდა გახდეს შენთვის საოცნებო. ამ ასაკში უკვე გარკვეული ხასიათის როლებს ვეღარც ვითამაშებ. უფრო მეტიც – რაც მითამაშია, იმის ვიდეოფირზე ალბეჭდვაც კი ყოველთვის არ ხერხდება. ეს თავისებურად ტრავიკული მომენტი მსახიობის პროფესიაში მუდამ არსებობს.

– ამასთან დაკავშირებით მინდა გკითხო იმ სპექტაკლის შესახებ, რომელიც მიხეილ თუმანიშვილის განუხორციელებელ ოცნებად დარჩა, თუმცა მისი დადგმა თითქმის ბოლომდე იყო მიყვანილი. ეს არის ანტონ ჩეხოვის „ალუბლის ბაღი.“ დიდ ხელოვანს არ დასცალდა ამ წარმოდგენის დადგმა. მაგრამ არსებობს მისი

არაჩვეულებრივი სარეჟისორო ექსპლიკაცია და, რაც მთავარია, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ სპექტაკლზე მუშაობდნენ. მაშინ ანია უნდა გეთამაშა, ახლა – რეჟისორ გიორგი მარგველაშვილის მიერ კინომსახიობთა თეატრში დადგმულ „ალუბლის ბაღში“ მის დედას, რანევესკაიას თამაშობ. მასსოვს, მიხეილ თუმანიშვილის გარდაცვალების შემდეგ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ სპექტაკლის მისი ვარიანტი თავისებური სახით გათამაშებულიყო სცენაზე.

– იმ ვარიანტის დასრულება მხოლოდ ბატონ მიშას შეეძლო. იგი სპექტაკლს უწყვეტ რეპეტიციებზე კრავდა, საბოლოო სახეს ანიჭებდა. ვერცერთი სხვა რეჟისორი, ამ შემთხვევაში, ასეთ რამეს ვერ გააკეთებდა. „ალუბლის ბაღის“ I მოქმედება მთლიანად მზად იყო, ასევე – II და III მოქმედების უმთავრესი სცენები. IV მოქმედება კი პირველი სამის აკინძვის შედეგად გამოიკვეთებოდა. ჩვენი მასწავლებლის გარდაცვალების შემდეგ, სწორედ ამ სახით გვინდოდა სპექტაკლის თამაში მაყურებლის წინაშე ერთჯერადად, ექსპერიმენტის სახით. ამ აქციას სრულფასოვანი წარმოდგენის პრეტენზია არც ექნებოდა. ეს უნდა ყოფილიყო თავისებური რეპეტიციის მონახაზი. მაშინ ძალიან მინდოდა, რომ ჩვენი ნამუშევარი ამ სახით მაინც გვეჩვენებინა.



ნინელი ჭანკვეტაძე – რანევესკაია (ანტონ ჩეხოვი, „ალუბლის ბაღი“)

ბატონ მიშას ამ ქვეყნიდან წასვლასთან ერთად ხომ ჩვენი „ალუბლის ბაღიც“ კვდებოდა. ვფიქრობ, რომ ეს თეატრალური აქცია მაშინ სწორედ ასე გახშიანდებოდა, იმდენად მძაფრი იყო იმ დროს ყოველი ჩვენგანის სათქმელი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა.

– როდესაც გიორგი მარგველაშვილის მიერ დადგმული ვოდევლის „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“ პრემიერის შემდეგ შენთან მოსალოცად შემოვედი, მაინცდამაინც კარგ გუნებაზე არ იყავი და თქვი, დღეს სრულფასოვანი სპექტაკლი არ გინახავსო. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა, მაგრამ მივხვდი, რომ როლზე მუშაობა დასრულებული არ გქონდა. ორი თვის შემდეგ ისევე ვნახე წარმოდგენა. აშკარა იყო, რომ სცენურ სახეზე მუშაობა გრძელდებოდა. ჩვენს წინაშე გაცილებით უფრო სრულყოფილი, მრავალმხრივი და საინტერესო პერსონაჟი გაცოცხლდა, ვიდრე პრემიერაზე. მიუხედავად იმისა, რომ მისმა ხილვამ ძალიან დიდი სიამოვნება მომანიჭა, ეს ამბავი მაინც არ გამკვირვებია, რადგან ყველა ჭეშმარიტი პროფე-

სიონალი როლზე მუშაობას პრემიერის შემდეგაც აგრძელებს.

– ძალიან გამიხარდა, როდესაც გიორგი მარგველაშვილმა ელისაბედის როლი შემომთავაზა. რეპეტიციების პროცესში პარუნ ოსეფას რამდენიმე შემსრულებელი შეიცვალა. ბოლოს გოგა პიპინაშვილმა დაიწყო მუშაობა. დანარჩენებს სარეპეტიციო პროცესის გარკვეული ეტაპი გავლილი გვქონდა. რეჟისორის თავდაპირველი ჩანაფიქრით, სპექტაკლის პერსონაჟები მარიონეტებს უნდა მოგვავიწყებინებინ. დასაწყისში ასე ვმუშაობდით. მაგრამ, როდესაც გოგა პიპინაშვილი შემოგვიერთდა და არაჩვეულებრივად რეალური, კოლორიტული ტიპის თამაში დაიწყო, თან – შესანიშნავად, საჭირო გახდა თამაშის მისეულ მანერაზე, ამგვარ გრძნობათა ბუნებაზე გადართვა. ეს პრემიერამდე კარგად ვერ მოვასწარი. შემდეგ კი შევეცადე შემეცვალა არა გმირის ხასიათი, არამედ, უფრო მეტად – გარეგნობა და სცენაზე მისი არსებობის მანერა, თამაშის ხერხი.

– არ შემიძლია რამდენიმე სიტყვა არ ვთქვა არაჩვეულებრივი ნიჭიერებითა და ოსტატობით შექმნილ ამ ბრწყინვალე სცენურ სახეზე, რომელშიც ახალი, უჩვეულო კუთხით გამოვლინდა ნინელი ჭანკვეტაძის სამსახიობო ტალანტი. გიორგი მარგველაშვილმა სწორად ამოიცნო მის ბუნებაში ჩაბუდებული არაჩვეულებრივი სახასიათო მონაცემები და მათ სრული გასაქანი მისცა. სცენაზე მისი ცნობა გაგიჭირდება: ჩასუქებული, ნელ-ნელა გამართულ-გაჯგამიული ხანშიშესული ქალბატონი, სახის სულელური გამომეტყველებით ქათამს რომ მოგვავიწყებს. საოცრად ზუსტადაა დაჭერილი პერსონაჟის ხასიათი, მისი შინაგანი მდგომარეობა, რომელიც საუბრის თავისებურ მანერაში, მეტყვევლ პლასტიკასა და მიმიკაში მულავენება. დამაჯერებელია მისი ქცევა ყველა სიტუაციაში, მაშინაც კი, როდესაც, ანერვიულებული, მარაოს ქნევას თავის სინქრონულ მოძრაობას აყოლებს. ანდა, როდესაც „სიცოცხლესთან მისი გამომშვიდობება“ უნებურად ცეკვაში გადადის. თვითონვე უკვირს, ეს რა მემართებაო. ასე გგონია, რა ვითარებაშიც უნდა „ჩასვა“ ეს პერსონაჟი, საკუთარ სახესა და ხასიათს არ დაკარგავს, ისე ფლობს სხეულსა და ხმას, ბრწყინვალე პარტნიორთან შეხმატკბილებული, საოცარი შინაგანი თავისუფლებით აღწევს სამსახიობო იმპროვიზაციის სასწაულებს.

დრამატული თეატრის მსახიობის პროფესია უმაცურებლად აზრს კარგავს. იგი, ფაქტობრივად, მაცურებლისთვის არსებობს. არტისტიც ხშირად არის თავისი კოლეგების შემოქმედების მაცქერალი და შემფასებელი. რის ნახვა სურს თანამედროვე ქართული თეატრის სცენაზე მის ერთ-ერთ მაცურებელ ნინელი ჭანკვეტაძეს?

– დღეს ყველაზე მეტად ახალი შემოქმედებითი იდეა და მისი გამოხატვის ორიგინალური თეატრალური ხერხები მაკლია. ჩვენს თეატრში არაჩვეულებრივი მსახიობები მუშაობენ, თავისი საქმის გამოცდილი პროფესიონალები. უდავოდ საინტერესო რეჟისორები დგამენ სპექტაკლებს, მ.თუმანიშვილის შემოქმედებითი მეთოდის ერთგულნი – გიორგი მარგველაშვილი, ნუგზარ ბაგრატიონი, ქეთი დო-

ლიძე. მათთვის თანამოაზრე არტისტი სარეჟისორო კონცეფციის უმთავრესი გამომხატველია. მაგრამ მაინც, ბატონი მიშა ცოცხალი რომ ყოფილიყო, მას აუცილებლად ახალი მხატვრული იდეა ექნებოდა, მისი გამოსახვის საუკეთესო, უჩვეულო ხერხებს იპოვიდა, მსახიობებს მოულოდნელ, საინტერესო ამოცანებს დაუსახავდა. ის ხომ შემოქმედებაში ძალიან ახალგაზრდა იყო.

„ალუბლის ბაღის“ რეპეტიციებზე გვეუბნებოდა: ისეთი სპექტაკლი მინდა შევქმნა, სადაც მსახიობს მიზანსცენებს მე კი არ დავუდგამ, არამედ მოვლენის არსს ავუსხნი, ეპიზოდს დავუმუშავებ და არტისტი თვითონვე მიაგნებს გმირის შინაგანი მდგომარეობის, უმთავრესი სათქმელის საუკეთესოდ გამომხატველ მიზანსცენასო. არ ვიცი, რა გამოვიდოდა აქედან, მაგრამ დიდ რეჟისორს ასეთი ჩანაფიქრი ჰქონდა.

ყველაფერი, რაც ვთქვი, ჩემი, როგორც მაცურებლის სურვილების შესახებ, ეხებოდა თეატრალური ნაწარმოების მხატვრულ ფორმას. რაც შეეხება შინაარსს, მაინცდამაინც არ მიზიდავს სცენაზე მხოლოდ სადღეისოდ აქტუალური, საჭირობოროტო, საგაზეთო თუ სატელევიზიო რეპორტაჟის მსგავსი პიესების ნახვა. მირჩევნია ვიხილო მარადიული თემები, რომლებიც ყველა დროის ადამიანებს ანუხებდათ. მნიშვნელოვანი პიროვნული და მოქალაქეობრივი სათქმელი მალევეებს არა მხოლოდ როგორც მაცურებელს, არამედ დიდ სტიმულს მაძლევს, როგორც მსახიობს.

– უკანასკნელ ხანს ქართველი ტელემაცურებელი ხშირად გხვდავს ისეთ ვითარებაში, სადაც მკვეთრად, მკაფიოდ და პრინციპულად გამოხატავ შენს პოზიციას ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე რთული, დრამატული საზოგადოებრივი პროცესებისა და მწვავე პრობლემების მიმართ. ზოგიერთები ამას მსახიობის პოლიტიკაში ჩარევას უწოდებენ. თუმცა მიმაჩნია, რომ ეს ასე არ არის. სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლო ისეთ მდგომარეობაშია, რომ პოლიტიკური მოვლენები უმჭიდროესადაა დაკავშირებული საზოგადოების ზნეობრივ მდგომარეობასთან. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არის არა პოლიტიკური, არამედ მორალური, მოქალაქეობრივი პოზიციის გამოხატვა.

– ახალგაზრდობაში ვფიქრობდი, რომ ჩემს პიროვნულ სათქმელს სპექტაკლებში გამოვხატავდი. ეს საკმარისად მიმაჩნდა. ახლა ასე აღარ ვფიქრობ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ყოველი ჩვენგანის საქმიანობაში შემოჭრილი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი პრობლემები ამ საქმიანობის განხორციელებაში უკვე ხელს გვიშლის, საშუალებას აღარ გვაძლევს, სრულფასოვნად შევასრულოთ ჩვენი პროფესიული მოვალეობა. დღეს საკმარისი აღარ არის მარტო სპექტაკლში გამოხატო შენი სათქმელი. თუ სცენიდან სიკეთისა და სიყვარულისკენ მოუწოდებ, ცხოვრებაში კი ყველანაირ უზნეობაზე თვალს ხუჭავ, ეს ამორალურია. მაშინ ამაზე ლაპარაკის უფლება აღარც სცენიდან გაქვს. ეს უფლება უნდა მოიპოვო, თორემ მაცურებელი აღარ მოგისმენს, აღარ გენდობა, აღარ დაგიჯერებს. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან პასუხისმგებელი ვარ ჩემი წინაპრების, ჩემი შვილისა და ჩემ თანამედროვეთა წინაშე.

ჯეკ რიჩი

გამო გაუგო

– დარწმუნებული ვარ, რომ სოსისი წარმოადგენს კაცობრიობის ყველაზე კეთილშობილ გამოგონებას, – ჩაილაპარაკა ჰენრი ჩენდლერმა. – ხოლო ბუტერბროდად თუ მოგანვდიან, არა მარტო ნოყიერია, არამედ ძალზე პრაქტიკულიც. ადამიანს შეუძლია საკვების შთანთქმა უგულისყუროდ – შეუძლია გაზეთი იკითხოს ჭამის დროს, ტელევიზორს უყუროს ანდა რევოლვერი ჩაიბლუჯოს ხელში. ელექტროსაათი კედელზე უჩვენებდა პირველის თხუთმეტ წუთს; ჩენდლერისა და ჩემს გარდა კანტორაში კაცის ჭაჭანება არ იყო.

ჩენდლერმა ჩაკბიჩა ბუტერბროდი, ლუკმა კარგად დაღეჭა და გადაყლაპა. მერე კი გაიღიმა.

– მისტერ დევის, თქვენ და ჩემი ცოლი ძალიან გაუფრთხილებლად იქცეოდით; ძალიან გაუფრთხილებლად მეთქი, და ეს ახლა ხელს მაძლევს. რა თქმა უნდა, ყველაფერს ისე მოვანჯობ, რომ ყველამ იფიქროს თქვენზე, თავი მოიკლაო. მაგრამ თუნდაც პოლიცია არ დაკმაყოფილდეს ამგვარი განმარტებით და დაეჭვდეს, მკვლელობა ხომ არ არისო, მოტივს ვერ იპოვიან. კაცმა რომ თქვას, ჩვენ ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებს, თუკი არ ვიგულისხმებთ იმ ფაქტს, რომ თქვენ დამიქირავეთ... დანარჩენ ოც კაცთან ერთად.

შეჟრიალებული თითები საწერი მაგიდის კიდეზე დაუშვი.

– სულერთია, თქვენი ცოლი მაინც მიხვდება. უსათუოდ წავა პოლიციაში.

– ეგრე გგონიათ? ვეჭვობ, ვეჭვობ. ქალს ბევრი რამ შეუძლია ჩაიდინოს თავისი საყვარლის გულისათვის... როდესაც ცოცხალი ჰყავს. მაგრამ თუკი მკვდარია, ნურას უკაცრავად! ქალები, მისტერ დევის, წარმოუდგენლად პრაქტიკულნი არიან. გარდა მაგისა, ელენი მხოლოდ დაეჭვდება, ქმარმა ხომ არ მომიკლა საყვარელიო, მაგრამ ამაში სრულიად არ იქნება დარწმუნებული. და ეს გაურკვეველობა, სხვა ყველაფერთან ერთად, ხელს შეუშლის და ვერ გაახსენებს გზას პოლიციის უბანში. საკუთარ თავს ეტყვის, ამასთან სავსებით გონივრულად, ჩემი საიდუმლოს გამჟღავნება არაფერად არა მჭირდებაო. თანაც, არაა გამორიცხული, რომ მერე, ჩემს გარდა, კიდევ ათიოდე კაცი აღმოჩნდეს, ვისაც სწყუროდა თქვენი გასტუმრება იმქვეყნად.

ჩემს ხმაში მკაფიოდ აჟღერდა სასოწარკვეთა.

– პოლიცია ყველაფერს შეამონმებს. გამოირკვევა, რომ თქვენ აქ დარჩით, მაშინ როდესაც ყველამ დატოვა აქაურობა.

ჩენდლერმა თავი გააქნია.

– არა მგონია. არავინ იცის, რომ აქ ვიმყოფები. სხვებთან ერთად გავედი, დაბრუნებისას კი ზუსტად ვიცოდი, რომ თქვენს გარდა კანტორაში აღარავინ იყო, – ოდნავ გაცმაცუნა ტურები. – მისტერ დევის, ჩემი აზრით, ყველაზე გონივრული იქნება, რომ მოგკლათ სადილობის დროს. პოლიციას ძალზე გაუჭირდება იმის დადგენა, თუ ვინ სად იყო

მაშინ. ადამიანები ჭამენ, აქეთ-იქით დაფუსფუსებენ, საყიდლებზე დადიან, მერე კი ისევ სამსახურში ბრუნდებიან. ჰოდა, პრაქტიკულად შეუძლებელია დაადასტურო... ანდა უარყო... მათი მტკიცებანი იმის თაობაზე, თუ სად იმყოფებოდნენ სინამდვილეში. – მან ხელი გაიშვირა ყავისფერი ქალაღის პაკეტისკენ. – ჩვეულებრივ მე ვსადილობ ხოლმე აქედან შორიანხლოს მდებარე კაფეში. მაგრამ იმათ რიცხვს არ მივეკუთვნები, ვინც ამასხოვრდებით ანდა ვის არყოფნასაც ყურადღებას აქცევენ. მისტერ დევის, ორი კვირის განმავლობაში ველოდი იმ წუთს, როცა თქვენ დაყოვნდებოდით სამსახურში დანარჩენთა წასვლის შემდეგ. – მან გაიღიმა. – და აი, დღეს დილით შევნიშნე, რომ სადილი შინიდან მოიტანეთ კაბინეტში. ეტყობა, გადაუდებელი საქმე გაქვთ და სასადილოდ წასვლისათვის არა გცალიათ!

ტურები გავილოკე.

– დიახ, ეგრეა.

ჩენდლერმა ბუტერბროდის ზედა ნაწილი ასწია და იქიდან თავგამოყოფილ ორ მომცრო სოსისს მიაჩერდა.

– ადამიანის სხეულის რეაქცია ძალზე უცნაურია ხოლმე. მე მესმის, რომ სტრესულ სიტუაციებში – მწუხარებისას, შიშისას, განრისხებისას – კუჭი აჭუჭყუნდება ხოლმე. მისტერ დევის, სწორედ ამნუთას სასტიკად მომივიდა. – მან გაიღიმა. – თქვენ მართლა არა გნებავთ ჭამა? ბოლოს და ბოლოს, ეს ბუტერბროდი ხომ თქვენია.

პასუხი არ გამიცია.

ჩენდლერმა ქალაღის ხელსახოცით მოინმინდა პირი.

– თავისი ევოლუციის ამ ეტაპზეც ადამიანს კვლავინდებურად სჭირდება კვება. ამასთან, იმ ადამიანის თვალსაზრისით, რომელიც ჩემნაირი მგრძობელობით გამოირჩევა, გურმანს ძალზე ბევრი რამ უშლის ხელს, რომ თავისი ჩვევები შეინარჩუნოს. როდესაც ჩემს თვალწინ ძვეს დაბეგვილი კატლეთი, შიშის გარკვეული დოზით ვეკარები. იცით თუ არა თქვენ, რომ როგორც კი კბილებს ჩავასობ რომელიმე ხრტილში, ისეთი ძრწოლა მიპყრობს, რომ პირი მეკუმება? – მან ყურადღებით შემომხედა. – თქვენ, ალბათ მთლად ნორმალური ადამიანი არა გგონივართ, როდესაც ძალმიძს ამგვარ წუთებში საჭმელზე ვილაპარაკო? – ჩენდლერმა თავი დააქნია, თითქოსდა თავის ნათქვამს ეთანხმებოდა. – თვითონ არ ვიცი, აგერ ამნუთას რატომ არ დაგახალეთ ტყვია. ეგებ იმიტომ, რომ ასეთი წუთები მხიბლავს და მათი გახანგრძლივება მნადია? ანდა, შესაძლოა, უბრალოდ იმიტომ, რომ მძულს ფინალური შესტი? – მხრები აიჩეჩა. – მაგრამ მაშინაც კი, იგი მართლაც რომ მძულდეს, გარწმუნებთ, მაინც გადავდგამ ამ უკანასკნელ ნაბიჯს.

ქალაღის პაკეტს თვალი მოვწყვიტე და მივაშტერდი სიგარეტის კოლოფს, მაგიდაზე რომ იდო.

– იცით თქვენ, თუ სად იმყოფება ამჟამად ელენი?

– თქვენ რაო, გამომშვიდობება გნებავთ? თუ უნდა აიძულოთ, რომ განზრახული გადამათქმევინოს? მომიტევეთ, მისტერ დევის, მაგრამ არაფერი გამოგივათ. ხუთშაბათს ელენი თავის დასთან გაემგზავრა ერთი კვირით.

სიგარეტს მოვუკიდე და მაგრად მოვქაჩე.

– არ მანუხებს, თუკი მოვკვდები. პირიქით, ნორმალური ურთიერთობა მაქვს სამყაროსთანაც და მის ბინადრებთანაც. მან ოდნავ დახარა თავი. ჩანს, მთლად რიგიანად არ ესმოდა ჩემი.

– ეს უკვე სამჯერ მომხდარა, – ვთქვი მე. – სამჯერ... ელენამდე იყო ბეატრისი, ხოლო ბეატრისამდე – დოროთი. მას უეცრად გაელიმა.

– დროის მოგება გნადიათ? ეს ვერ გიშველით, მისტერ დევის. მე ჩავვცივთ გარეთა კარი ტალანში. თუკი ვინმეს მოეპრიანება, პირველ საათზე ადრე დაბრუნდეს – რაც პირადად მე ძლიერ მეეჭვება – სულერთია, აქ ვერ შემოვა. და თუკი გაჟინიანდება და კარზე ბრახუნს ატეხს, უბრალოდ ტყვიას დაგახლით და უკანა კარიდან დავითესები.

თითები, მაგიდაზე რომ მენყო, კიდევაც გამოიფლიანდა.

– სიყვარული და სიძულვილი მუდამ გვერდიგვერდ დადიან, ჩენდლერ, და ამას სხვებზე იოლად დავამტკიცებ. როდესაც ვინმე მიყვარს – ანდა მძულს – ბოლომდე ვიმოქმედებ. – ჩემს სიგარეტს დავხედე.

– დოროთი მიყვარდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ მასაც ვუყვარდი. დაქორწინებას ვაპირებდით. ყოველ შემთხვევაში, მე ამას ვგულისხმობდი. და ვემზადებოდი. მაგრამ უკანასკნელ მომენტში განმიცხადა, არ მიყვარხარ და არც არასდროს მიყვარებიხარო.

ჩენდლერმა გაილიმა და ისევ ჩაასო კბილები ბუტერბროდს.

რამდენიმე წამით ტრანსპორტის ხმაურს მივაყურადე, ფანჯრის მიღმა რომ ისმოდა.

– არ გახდა ჩემი, მაგრამ სხვისიც არ უნდა გამხდარიყო.

– ჩენდლერს შევხედე. – და მოკვალი.

ჩენდლერმა თვალები დაახამხამა და მომაშტერდა.

– ნეტავი ყოველივე ამას რისთვის მიაშობოთ?

– განა სულერთი არ არის თქვენთვის? – ისევ მოვქაჩე სიგარეტი. – მოკვალი, მაგრამ ჩემი სიძულვილისთვის ეს არ კმაროდა. ჩენდლერ, გამიგეთ? არ კმაროდამეთქი. მძულდა, ნამდვილად მძულდა. ვიყიდე დანა და ზეინკლის ხერხუნა. და როდესაც ვიანგარიშიე, რომ ტომარა საკმარისად იყო გატენილი ქვებით, მდინარეში გადავისროლე.

ჩენდლერი გაფითრდა.

საფერფლეში სიგარეტის ნამწვავს შევხედე.

– ორი წლის შემდეგ კი ბეატრისი გავიცანი. გათხოვილი იყო, მაგრამ ვხვდებოდით და ვყვარობდით ერთმანეთს. მთელი ექვსი თვე. მეგონა, რომ მასაც ისევე ვუყვარდი, როგორც მე მიყვარდა. მაგრამ როდესაც ვუთხარი, ქმარს გაეყარე... და ჩემთან იყავი-მეთქი... მან გაიცინა. წარმოგიდგენიათ? გაიცინა!

ჩენდლერმა უკან გადადგა ნაბიჯი.

ვგრძნობდი, როგორ მასკდებოდა ოფლი პირისახეზე.

– ამჯერად დანა და ხერხუნა აღარ მეჭაშნიკებოდა. ისინი არ გამოდგებოდნენ ჩემი ჩანაფიქრის შესასრულებლად. – ოდნავ გადავიხარე წინ. – ღამე იყო, როდესაც ტომარა კატებთან მივათრიე. მთვარიანი ღამე იყო. მე კი ვიდექი და შევეყურებდი, როგორ ღრღნიდნენ, გლეჯდნენ ხორცს და თვითეული მათგანი თავის რიგს ელოდა.

ჩენდლერს თვალები გაუფართოვდა.

ნელა წამოვდექი. მაგიდის კიდეზე დატოვებულ ბუტერბროდს შევხეე, მერე ზემოთა პურის ნაჭერი ოდნავ ავნიე. და გავილიმე.

– ჩენდლერ, დამარილებული შაშხი, – ჩავილაპარაკე. – აქ მოაქვთ მუყაოს პატარა კოლოფებით. თქვენ ეს იცოდით? მუყაოს პატარა კოლოფებით-მეთქი: სულ ორმოცდაათი კოლოფია, თითო ლირს ოთხმოცდარვა ცენტი.

ბუტერბროდი ადგილზე დავდე.

– იცით თუ არა თქვენ, რომ სოსისის დამტენის სამსახური ჯდება ოცდაათთმეტი დოლარი?

თვალი ავარიდე ჩენდლერს და გავილიმე.

– ჯერ უნდა განსაზღვროთ, სად არის კარგი ხორცი და სად – ისე რა; სად არის ქონი და სად – ხრტილი. მერე ხორცი მოაშორეთ ძვლებს და ბოლოს დაჭრათ სათანადო ნაჭრებად.

თვალი თვალში გავუყარე ჩენდლერს.

– ჩენდლერ, შენი ცოლი შენს მიტოვებას არც აპირებდა. მე კი უბრალოდ მეთამაშებოდა. მიყვარდა ის და, იმავდროულად, მძულდა. უფრო მეტადაც კი მძულდა, ვიდრე ვინმე სულიერი მთელი დედამიწის ზურგზე. და გამასხენდა კატები, როგორ ტკბებოდნენ ისინი ყოველი ლუკმით...

შეძრწუნებულ თვალებში შევხედე ჩენდლერს.

– აბა, მითხარი ერთი, როგორ ფიქრობ, სად არის ახლა ელენი?

მერე გავუნოდე სანახევროდ შეჭმული ბუტერბროდი.

დაკრძალვის შემდეგ ელენს მივეხმარე, მანქანამდე რომ მისულიყო. როდესაც მარტონი დავრჩით, მომიბრუნდა.

– დარწმუნებული ვარ, ჰენრი არც კი დაეჭვებულა ჩვენს ურთიერთობაზე. აზრზე ვერ მოვსულვარ, რისთვის დასჭირდა თავის მოკვლა, თანაც – საკუთარ კაბინეტში.

მანქანა სასაფლაოს კარიბჭიდან გამოვიყვანე და გამეილიმა.

– არ ვიცი, ძვირფასო. ალბათ, შეჭამა რამე.



მხატვარი კარლო ფაჩულია

ირაკლი ბათიაშვილი

დროის გამოცანა

ჩვენ ვილაპარაკებთ სივრცე-დროის არაჩვეულებრივ გაგებაზე. სახელდობრ ეს უკანასკნელი არ არის ჩვეულებრივი სამყარო-ველდლიურობაში ჩართული ადამიანისა და აგრეთვე „ტრადიციული“ მეცნიერისათვის. საქმე ეხება სულ სხვა რეფლექტიურ ცნობიერებას, ვიდრე ესაა ბიზნესმენის, მინათმოქმედის თუ ფიზიკოსის მიერ სივრცისა და დროის „აღქმა“. ნუ გვეგონება, თითქოსდა აქ ადგილი აქვს რაღაც თავისუფალ მხატვრულ-ფილოსოფიურ ბელეტრისტიკას. პირიქით, ჩვენი მსჯელობები ემყარებიან უადრესად მკაცრ მეცნიერულ საფუძველს, ვინაიდან ისინი ამოიზარდნენ ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიისა და მ. ჰაიდეგერის ექსისტენციალური ონტოლოგიის უმნიშვნელოვანესი ასპექტებიდან. მაშასადამე, გარკვეულწილად მოგვიწევს უკვე გაკვალული მარშრუტით სიარული, თუმცა საკუთარი იმპროვიზაციით და ამ გზაზე უთუოდ „შეგვხვდები“ და აღმოვაჩინებ რაღაც ახალს.

სივრცე-დროის ეს გაგება თავს გვაუწყებს ისე და ისევე ყოველდღიურ ცხოვრებაში ცალკეული გაეგებების სახით, თანაც ამა თუ იმ ინტენსივობითა და სიცხადით: ზოგჯერ გამოანათებს და უყურადღებოდ მსწრაფლადვე გაქრება... ზოგჯერ კი გვსურს ერთგვარად ხელი ჩავავლოთ მას, რათა უკეთ გავითვალსაზიროთ, მაგრამ ის მაინც გასხლტება ხოლმე... რა არის იგი? როგორ მივუდგეთ მას? მასში უცნაურად გამოსჭვივის თავად ყოფიერების მთლიანობა: დიახ, თითქოს ყოფიერების ფენომენს „გვიმხელს“ სივრცე-დროის ეს უჩვეულო ცნობიერება, თითქოს რაღაც სანყისი იდუმალება გამოკრთება აქ ჩვენ წინაშე და სწორედ, იგი მძლავრად გვიხმობს ფილოსოფიური შემეცნების განხორციელებისაკენ!

მოდით, უპირველეს ყოვლისა, გავიხსენოთ დროის შინაგანი ცნობიერების შესახებ ჰუსერლისეული გამოკვლევების არსებითი მომენტები. ამისათვის კი, აუცილებელია, ჯერ ჩვენი რეტროსპექტიული მზერა მივმართოთ ფენომენოლოგიის ისეთი საკვანძო თემისაკენ, როგორცაა მოძღვრება მეტოქის შესახებ და მოკლედ განვიხილოთ მისი უმნიშვნელოვანესი ასპექტები. რატომ? იმიტომ, რომ ეს მეთოდი არის ერთადერთი „გასაღები“ ნებისმიერი ფილოსოფიური პრობლემისა და მათ შორის დროის პრობლემისაკენ. საკუთრივ ფენომენოლოგიური ანალიზისა.

ჰუსერლის ე.წ. რედუქციის მეთოდი არის გზა სრულიად ახალი ცოდნითი ველისაკენ და იგი გულისხმობს ჩვენთვის ჩვეული ნატურალური განწყობის „გამორთვას“. რას ნიშნავს ეს? საჭიროა ჯერ აღვწეროთ, თუ როგორ ხედავს სამყაროს და თავის თავს ის ადამიანი, რომელიც აღნიშნული განწყობის მქონეა. ამ აღწერას ნათელი და შეკუმშული სახით ჰუსერლი იძლევა ნატურალური განწყობის გენერალურ თეზისში. იგი შემდეგს გვეუბნება: მე ვპოულობ ჩემ წინ მუდმივად სახეზე მყოფ დროულ-ვრცელ სამყაროს, რომელსაც თავად განვეუთვნებ და რომელსაც განვეუთვნებთან სხვა ადამიანებიც, ისეთივე სახით მიმართულნი სამყაროზე, რო-

გორც მე. ამ სამყაროსეულ სინამდვილეს ვპოულობ, როგორც სალი მე, უწყვეტად მთლიან გამოცდილებაში და ვიღებ მას ისე, როგორც იგი წარმომიდგება ანუ მუწყოფიერ სინამდვილეს.

დიახ, ამ განწყობაზე დამყარებული ადამიანის სალი ყოველდღიური ცხოვრება და ყველა პოზიტიური მეცნიერება. როდესაც სამსახურში ვმუშაობ, ვჭამ, ფეხბურთის მატჩის შედეგი მიხარია, მონინააღმდეგეც ცეცხლს ვუშენ თუ გენეტიკური კვლევებით ვარ დაკავებული, მუდმივად ძალშია ნატურალური განწყობა, რომელიც გამსჭვალავს ჩემ ყველა პრაქტიკულ თუ თეორიულ ცხოველქმედებას. მაგრამ ფენომენოლოგიის საკუთრივ ველში შესვლა ინყება სწორედ ამ განწყობის „გამორთვის“ ოპერაციით. რაში მდგომარეობს იგი? ეს არ ნიშნავს გენერალური თეზისის უარყოფას და მაშასადამე, მასში გამოხატული პოზიციის შეცვლას ნეგაციით ან კიდევ ვარაუდით და ა.შ. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ გამოვრთავთ მას და ე.ი. მოვაქცევთ რაიმენაირი გამოყენების გარეთ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ჩვენ ვახდენთ გენერალური თეზისის განლირებულებას და ბრჭყალებში ჩასმას. ამ „მანიპულაციას“ ჰუსერლი ეპოქედ მონათლავს, ვინაიდან იგი გვევლინება თავის შეკავებად იმ ნებისმიერი სახის მსჯელობისაგან, რომელიც რაიმენაირი პოზიციის მქონეა გენერალური თეზისის მიმართ. აღნიშნული ოპერაციის შედეგად ჩვენ წინაშე იხსნება კვლევის სრულიად ახალი და უნიკალური ასპარეზი, სახელდობრ, წმინდა ცნობიერების სფერო. სწორედ მის ფარგლებში ფენომენოლოგი განიხილავს, თუ როგორ წარმოიქმნება და კონსტიტუირდება ნივთები თავისი საზრისეული სტრუქტურებით ცნობიერების შესაბამის ინტენციონალურ აქტებში. მაშასადამე, მას საქმე აქვს ე.წ. ფენომენებთან, ანუ იმასთან, რაც თავის თავს თავისივე თავის მეშვეობით აჩვენებს. რა არის ეს უკანასკნელი? როგორც უკვე ზემოთ მივანიშნეთ, ესაა ნივთისა და ინტენციონალური აქტის მთლიანობა. წმინდა ფენომენოლოგიური და არა ნატურალური განწყობის პირობებში მე არც პრაქტიკულად ვსარგებლობ ნივთებით, არც ექსპერიმენტულად ვსწავლობ ამ უკანასკნელთ, როგორც რაღაც თავისთავად არსებულ ობიექტებს, არც ჩემ სუბიექტურ წარმოდგენებად მივიჩნევ მათ და ა.შ.; მე მხოლოდ და მხოლოდ აბსოლუტურად ნეიტრალურად განვიხილავ და ვიკვლევ ნივთების მოცემულობას და კონსტიტუირებას ცნობიერების სათანადო აქტებში.

საჭიროა აქვე მივუთითოთ, რომ ფენომენოლოგია განსხვავებით ფსიქოლოგიის, ფიზიკისა თუ ბიოლოგიისაგან, ეიდეტურ მეცნიერებათა კლასს განეკუთვნება, რაც გულისხმობს შემდეგს: იგი არის არა მეცნიერება ფაქტებსა და რეალობებზე, არამედ არსებებზე (ჭყსენ), და მაშასადამე, მათემატიკის, გეომეტრიის, ლოგიკის მსგავსად მას საქმე აქვს აპოდიქტური სიცხადის მქონე ჭეშმარიტებებთან. ფაქტობრივი ყოფიერი ხომ შემთხვევითია. იგივე ითქმის ბუნების კანონებზეც, რომლებიც ამგვარ შემთხვევითობათა ფაქტიურ ნესრივებს გამოხატავენ: მათი აუცილებლობა და საყოველთაობა ყოველთვის რელატიურია. გამომდინარე აქედან, „ეპოქეს“ შედეგად მოპოვებულ სფეროში ფენომენოლოგი განიხილავს არა ფაქტობრივ ფენომენებს, არამედ მათ არსებებს (ჭყსენ). რა თქმა უნდა, ფენომენოლოგი ამოდის იქიდან, რაც ფაქტობრივად ეძლევა, კერძოდ აი, ეს ინტენციონალური განცდები და მათში გაცხადებული საგნები. მაგრამ მისი მიზანია, მათი წმინდა არსებისეული სტრუქტურების შემეცნება და არა ფაქტობრივი მახასიათებლებისა. იგი იკვლევს

ვთქვათ, არა აი, ამ ფაქტობრივ აღქმასა და მასში მოცემულ ფაქტობრივ, რეალურ ნივთს, არამედ აღქმასა და მასში კონსტიტუირებული ნივთის წმინდა არსებებს და არსებისეულ მთლიანობას.

„ახლა ვიხედები ფანჯარაში და მზარავს ეს სურათი: შუადღისით ჩამონოლილი სიბნელე, საშინელი გრიგალი...“ – ფენომენოლოგს არ აინტერესებს, არსებობს თუ არა აღნიშნული ვითარება, სახელდობრ, ეს კლიმატური ცვლილება თავისთავად ან კიდევ მხოლოდ სუბიექტური წარმოდგენის სახით. იგი ვალდებულია თავი შეიკავოს ასეთი ტიპის მსჯელობებისაგან. მის ამოცანას არ შეადგენს არც ამ ვითარების მეტეოროლოგიური ფაქტორებისა და პარამეტრების დახასიათება და არც თავისი განცდების, როგორც ადამიანური ორგანიზმისათვის კუთვნილი ფსიქო-ფიზიოლოგიური პროცესების და რეაქციების ანალიზი. იგი არც გეოფიზიკოსია და არც ფსიქოლოგი თუ ფიზიოლოგი. იგი მხოლოდ და მხოლოდ აღწერს, თუ როგორ წარმოიჩინდება და კონსტიტუირდება ამ „საზარელი“ ამინდის არსება (ჭესენი-ი) საკუთარი აღქმის შეძრწუნების, გაფიქრების და სხვა ინტენციონალური აქტივების არსებისეულ მთლიანობაში. თუმცა მას იგივე მეთოდოლოგიური მიდგომით შეუძლია განიხილოს ამ ამინდის მოცემულობა და კონსტიტუირება, როგორც „წმინდა წყლის“ გეოფიზიკური მოვლენისა, ე.ი. მეცნიერული შემეცნების ობიექტისა, ისე, რომ თავად არც ამტკიცოს და არც უარყოს მისი რეალობის თავისთავადობა.

როდესაც ვსაუბრობთ ფენომენოლოგიურ მეთოდზე, საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ უმნიშვნელოვანეს ვითარებას, რომ ბრჭყალებში ჩასმის ოპერაციას ანუ რედუქციას ექვემდებარება ე.წ. ფსიქიკური რეალობაც, რომელიც ნატურალურ განწყობაზე დაფუძნებული ჩვენი ყოველდღიური შეხედულებისა და ფსიქოლოგიური მეცნიერების თანახმად ადამიანის ანუ რეალური ანიმალური არსების კუთვნილებას წარმოადგენს; კერძოდ, იმ არსების, ვინც გარკვეული ანატომიური, ფიზიოლოგიური განსაზღვრულობის მქონეა, ემორჩილება ბუნების, ისტორიის კანონზომიერებებს, გარემოს ფაქტორებს და მოკლედ, ჩართულია, როგორც ერთ-ერთი ყოფიერი სხვა მრავალთა შორის, სამყაროს საერთო მიზეზ-შედეგობრივ ჯაჭვში. ამიტომ ნატურალური განწყობის გამორთვა აუცილებლად გულისხმობს იმასაც, რომ ფენომენოლოგიური შემეცნების მიღმა რჩება აგრეთვე ადამიანურ თუ ცხოველურ ორგანიზმზე „მიმაგრებული“ ფსიქიკური შრეც. ამ უკანასკნელს შეიძლება სწავლობდეს სხვადასხვა მეთოდებით ბიჰევიორისტი, განწყობის თეორიის მიმდევარი, ფსიქონალიტიკოსი თუ კოგნიტივისტი, მაგრამ არა ფენომენოლოგი.

დაიხ, ბრჭყალებში ჩასმის ოპერაციას არ ექვემდებარება წმინდა ცნობიერების ანუ ტრანსცენდენტალური სუბიექტურობის რეგიონი, რომლის ინტენციონალურ აქტივობაშიც წარმოიჩინდება და დგინდება ნებისმიერი საგნობრიობა სამყაროსეული მთლიანობის ფონზე, და ამიტომ სწორედ იგი და მხოლოდ იგი თავისი წმინდა ეთიკური შინაარსით განეკუთვნება ფენომენოლოგიური კვლევის საკუთრივ სფეროს.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ფენომენოლოგიური მეთოდი გულისხმობს ე.წ. ფიზიკური ანუ კოსმოლოგიური დროის გამორთვასაც, ვინაიდან იგი გენერალურ თეზისში აღწერილი ვითარების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ესაა გაზომვადი დრო, რომლითაც ვოპერირებთ სხვადასხვა მათემატიკური გათვლების გასაკეთებლად: ვთქვათ, სხეულის სიჩქარის თუ აჩქარების, ტალღების გავ-

რცელების კანონზომიერების, რაღაც პროცესის ინტენსივობის და სხვა პარამეტრების დასადგენად. კოსმოლოგიური დროის „ბრჭყალებში ჩასმა“ ნიშნავს შემდეგს: მე, როგორც ფენომენოლოგი, ნაიფურად აღარ ვამტკიცებ მის რეალურ არსებობას; არც პრაქტიკულად ვიყენებ მას ყოველდღიური ცხოვრებისეული გრაფიკის შესამუშავებლად, რაღაც გეგმების დასაწყობად და ა.შ. ფენომენოლოგიური კვლევის პროცესში მე ხომ ჩვეული, ნატურალური განწყობა გამორთული მაქვს და შესაბამისად, ჩემთვის ამ ტიპის დრო არც თეორიულად, არც პრაქტიკულად აღარ მნიშვნელოვანია.

მაგრამ ფენომენოლოგიური მეთოდის განხორციელების შედეგად რედუქციის მიღმა რჩება დროის სრულიად უნიკალური, არაორდინარული სახეობა და მისი რელევანტური ცნობიერება, რომელსაც ჰუსერლი დროის შინაგან ცნობიერებას უწოდებს. იგი აღნიშნავს, რომ ეს დრო არ იზომება საპირისპიროდ კოსმოსურისა: იგი არ იზომება არავითარი მზის მდგომარეობით, არავითარი საათით, არავითარი ფიზიკური საშუალებით... რა არის იგი? როგორ აღვწეროთ და გადამოვცემოთ მას?

ტექსტებში დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგისადმი ე. ჰუსერლი დეტალურად აანალიზებს და ნათელს ჰყვენს აღნიშნულ საკითხს. იგი სვამს კითხვას: როგორ ხდება შესაძლებელი რაღაც უწყვეტ ცვლილებათა მსვლელობის, მაგალითად, მელოდიის მთლიანობის აღქმა? მელოდია ხომ არ არის ჯამი ცალკეულ თვალსაჩინოებათა, ვინაიდან ბგერათა თანმიმდევრობა, ე.ი. გაშლა-განვითარება თვალსაჩინოდ მოცემულია ერთიან (დროში ხანიერ) აქტში. ცალკეულ ბგერებს და ბგერათწარმოქმნებს, ცხადია, განსაკუთრებული აქტები შეესაბამებათ, მაგრამ არსებობს ერთი აქტიც, რომელიც მოიცავს მთელ ამ შინაარსობრივ ერთიანობას. დაიხ, ჩვენ სწორედ, რომ აღვიკვამთ ანუ „ცოცხლად“ განვიცდით მთელ მელოდიას და არა მხოლოდ მის ნაწილებს, და მამასადამე, დროში განფენილ პროცესს უშუალოდ ვწვდებით, როგორც თავად მოცემულს და აწმყოს.

ჰუსერლი გვიჩვენებს, რომ რაღაც მდინარეების აღქმაში იმავდროულად ფიგურირებს წარსულის თვალსაჩინოებაც: „... ხდომილების, ცვლილების, ქმნადობის აღქმის შესახებ ვლაპარაკობთ იქ, სადაც აწმყო ყოფიერებასთან ერთად გარკვეული სახით განვიცდით წარსულს და სწორედ ისე, რომ განვიცდით, მოცემულს მთლიანად მოიცავს თავის თავში საგნობრივი კუთვნილების ერთიანობა...“ როდესაც ვუსმენ მელოდიას, ყოველ მომენტში აღვიკვამთ აწმყოში მოცემულს, ანუ აი, ახლა აღქმულს იმასთან ერთად, რაც აი, ახლახან უკვე წავიდა. მამასადამე, წარსულის და აწმყოს ამ ერთიანობას მე თავად აწმყოში განვიცდი. ჰუსერლი მკაცრად განასხვავებს წარსულის ამ უშუალო „ცოცხალ“ განცდას მისი რეპროდუქციისაგან: მე ვიხსენებ რაღაც ბგერას ანუ კვლავ აღვადგენ მას და ე.ი. საქმე მაქვს მხოლოდ და მხოლოდ მის რეპროდუქციასთან. მაგრამ, მეორე მხრივ, აი, ეს ტონალობა, რომელმაც ახლახან გაიჟღერა და მის ნაცვლად ამჟამად უკვე ახალი ჟღერს, მეძლევა არა, როგორც რეპროდუქცია, არამედ, როგორც თავად განცილილი და ეს განცდა უშუალოდ თან-ერთვის ახლა მჟღერი ტონალობის აღქმას – იგი მისი შემადგენელი მომენტია.

და ყოველივე ამასთან ერთად, დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური ანალიზი ამჟღავნებს კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს: ვუსმენ რა მელოდიას და აღვიკვამ რა აი, ამ ბგერათწარმონაქმნს, ჩემი ცნობიერება იმავე

დროულად მიმართულია „ნინ“-აც და ე.ი. თავისი მოლოდინის ინტენციონალობაში უშუალოდ წვდება, უშუალოდ „ეხება“ რაღაც გარკვეულ თუ გაურკვეველ ახლახან მომავალს. სახელდობრ, ეს მოლოდინი შეიძლება იყოს გარკვეული და თვალსაჩინო, თუ კი ჩემთვის მელოდია კარგად ნაცნობია და შეიძლება იგი ატარებდეს ჯერ-კიდევ გაურკვეველი ახლახან მომავალი ტონალობის განცდის ხასიათს, თუკი, რა თქმა უნდა მელოდია უცნობია. მაშასადამე, ჰუსერლის სიტყვებით, რომ ვთქვათ, დროით ველს აქვს აგრეთვე მომავალიც, რომელსაც უბრალოდ კი არ წარმოვისახებათ, არამედ უშუალოდ ვწვდებით და ეს აქტიც მიმდინარე აღქმის განუყოფელი მომენტია.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ „აღქმის მოცემულობა აუცილებლად დროითად განელილია და არა უბრალოდ დროითად წერტილოვანი“, ხოლო „მელოდიის აღქმა არის დროითად გაფართოებული, თანდათანობით და უწყვეტად თვითგანშლადი აქტი, რომელიც მუდმივად აღქმას და ამ აქტს აქვს მუდამ ახალი და ახალი „ახლა“-ს პუნქტი“ და მასში საგნობრივად მოცემულია რაღაც ტონალობა, როგორც ახლა-მჟღერი, აგრეთვე რაღაც ტონალობა, როგორც ახლახან-ჩავლილი და რაღაც (უცნობი თუ ნაცნობი) ტონალობის შესაძლებლობა, როგორც ახლახან-მომავალი.

დასკვნის სახით ვიტყვით შემდეგს: ფენომენოლოგიურ ანალიზს არაფერი ესაქმება ე.წ. ობიექტურ ანუ ფიზიკურ დროსთან. მაგრამ ამის გამო შეცდომაში ნუ შევალთ და ნუ ვიფიქრებთ, თითქოსდა მისი განხილვის საგანს შეადგენს ფიზიკური დროის სუბიექტური განცდის თავისებურებანი, რასაც იკვლევს ფსიქოლოგია და რაც, მაგალითისათვის, გამოხატულია „დროის ემოციონალური დეტერმინაციის“ კარგად ცნობილ კანონში. ფენომენოლოგს საქმე აქვს იმ პირველად, საწყისობრივ ცნობიერებასთან, სადაც დრო გვეძლევა სუფთა სახით ანუ კერძო-მეცნიერული თუ მსოფლმხედველობრივი გადამუშავებისა და „ქიმიური“ მინარევების გარეშე. ნატურალური და მასზე დაშენებული საბუნებისმეტყველო აზროვნებისთვის დრო მხოლოდ და მხოლოდ ახლა-მომენტების თანმიმდევრობაა, მათი „ჯერ-მერე“-ა, რისი ნივთობრივი რეპრეზენტაციაც არის საათი. ფენომენოლოგია კი გველაპარაკება ერთგვარ დროით ველზე, რომელშიც ანმყო განფენილია თავის უშუალო წარსულთან და მომავალთან ერთად და ეს ევიდენტურად გვეძლევა აღქმაში. ამ ველს შეუძლია სულ უფრო და უფრო გაფართოვდეს (ანუ მის ჰორიზონტს შეუძლია სულ უფრო და უფრო შორის გადაინოს, როგორც წარსულის, ასევე მომავლის მიმართულებით) იმისა და შესაბამისად, რაც უფრო „შორს“ გადაინევს ჩვენი რეპროდუქციულ მესხიერების და წარმოსახვითი მოლოდინის თვალსაჩინო.

დიახ, ფენომენოლოგია აუქმებს რა დროის ტრადიციულ პარადიგმას, გასაოცარი მეცნიერული სკრუპულოზურობით გზას უკვალავს სრულიად ახალ გაგებას და ეს ალბათ, მხოლოდ დიდი პროცესის დასაწყისია. ჰუსერლმა მიაგნო ისეთ რამეს, რაც შეიძლება დიდი შემეცნებითი სივრცეების გახსნის მომასწავებელი აღმოჩნდეს. ამიტომ მისი მონაპოვარი დროის პრობლემატიკაში ჯერ კიდევ ძალზედ ფართო კვლევებს ელის.

თავის მოხსენებაში „დრო და ყოფიერება“, რომელიც ჰაიდეგერმა ნაიკითხა 1962 წელს ფრაიბურგის უნივერსიტეტში (რაც არ უნდა აგვერიოს მისი ცნობილი ნაშრომის სათაურთან „ყოფიერება და დრო“), იგი წერს: დრო ჩვენთვის ცნობილია ჩვეული, გავრცელებული წარმოდგენების და შე-

ხედულებების საფუძველზე, მაგრამ როგორც კი შევეცდებით მისი საკუთრივი არსის ცხადყოფას, ის უმალ უცნობი აღმოჩნდება. კერძოდ, საჭიროა მოვემზადოთ იმ ვითარებისათვის, რომ დროის საკუთრივი არსის განსაზღვრებას ვერ მოვახერხებთ მისი საყოველთაოდ მიღებული და დამკვიდრებული მახასიათებლების მეშვეობით. ჩვენ შევეჩვიეთ, რათა დრო – ანმყო, წარსულის და მომავლის ერთიანობა – წარმოვიდგინოთ და გავიაზროთ „ახლა“-დან გამომდინარე. აღნიშნულთან დაკავშირებით ავტორი იხსენებს არისტოტელეს, რომელიც დროის ტრადიციული ნატურალური და ფიზიკური გაგების ერთ-ერთი ფუძემდებელია. სტაგირელი მიუთითებდა შემდეგს: ის, რაც ნამდვილად მყოფობს ანუ არის დროის მხრიდან, მხოლოდ ყოველი „ახლა-მომენტი“, დანარჩენი კი, სახელდობრ, წარსული და მომავალი რაღაც არარსებელია, თუმცა მთლად არარაობასაც მათ ვერ ვუნოდებთ, თითქოსდა მათ აკლიათ არსებობა და ეს უკმარისობა გამოიხატება ტერმინებით: „უკვე არ“ და „ჯერ-კიდევ არ“. მაშასადამე, არისტოტელეს მიერ დანახული დრო წარმოადგენს „ახლა-მომენტის“ თანმიმდევრობას, რომელთაგან ყოველი მათგანი ჩნდება რა, მსწრაფლადავ ქრება „აი, უკვე ახლახან ნამყო“-ში ვინაიდან მის ადგილს იკავებს „აი, სულ ახლა მომსვლელი“ მომენტი. „ახლა“, რომელიც მოდის, რომელიც სახეზეა და რომელიც ჩავივლის ანუ თანმიმდევრული ტემპორალური მომენტების მწკრივი – ასეთი დრო გვაქვს მხედველობაში, რომელსაც ვზომავთ და გამოვთვლით. ჰაიდეგერის თქმით, ჩვენ უშუალოდ და ხელშესახებად აღვიქვამთ ე.წ. გაზომვად დროს, როდესაც ხელში ავიღებთ, დავხედავთ საათს და ვამბობთ: ახლა 20 საათი და 50 წუთია. მაგრამ სინამდვილეში ვერსად ამ საათში – ვერც მის მექანიზმში, ვერც მის ციფერბლატზე – დროს ვერ ვიპოვით. აგრეთვე ჩვენ ვერ ვიპოვებთ მას ვერც თანამედროვე ტექნიკურ ქრონომეტრებში.

სად არის დრო? სვამს კითხვას ავტორი. იგი მოგვანოდებს მეტი წინდახედულებისაკენ, რათა სკრუპულოზურად, მიმოწვლილივით ჩავაკვირდეთ იმას, რაც თავს გვიჩვენებს, როგორც დრო. ესაა, უპირველეს ყოვლისა, ანმყო, ოღონდ არა „ახლა-მომენტის“ აზრით, არამედ თანდასწრებულად-ყოფნისა. ანმყო ის, რაც გვესწრება: აი, ეს სიმღერა, რომელიც მესმის; ჩემი შვილი, სამზარეულოში რომ საუზმობს; ნაცლის მიმდინარე სამიტი, რის შესახებაც ინფორმაციებს ვიღებ ტელევიზიით, პრესით თუ ინტერნეტით; უამრავი მოვლენა, პროცესი დედამიწაზე, მზის სისტემაში, ჩვენ გალაქტიკაში თუ სხვა გალაქტიკებში, რომელთა ირგვლივაც რაღაცეები ვიცი და უსასრულოდ ბევრი რამ კი – არა. ეს ყველაფერი ანმყოშია, ახლაა ანუ თანდასწრებულა. ჰაიდეგერი ამბობს, რომ ანმყო თანდასწრებულად-ყოფნის აზრით არ განისაზღვრება „ახლა-მომენტიდან“. პირიქით, ეს უკანასკნელი უნდა განესაზღვროთ პირველიდან. რას ნიშნავს თანდასწრება? იგი მესხება მე ანუ ადამიანს; იგი შემხვედრად გამოწვევლია ჩემკენ! ადამიანი – შეპყრობილი, დაუფლებული თანდასწრებულად-ყოფნით, ისე, რომ იგი იღებს მას, როგორც ერთგვარ ძღვენს – აღიქვამს არსებულს (ე.ი. ნივთებს), რაც მოცემულია თანდასწრებულად-ყოფნაში. ადამიანი აღმოჩნდებოდა ყოფიერებასთან მისასვლელი ველის გარეთ ანუ აღარ იქნებოდა საკუთრივ ადამიანი, რომ არ ყოფილიყო იგი ძღვენის ასეთი მიმღები – ამ საოცარი და იდუმალი გამოთქმებით აღწერს ჰაიდეგერი ანმყოს, როგორც თანდასწრების ფენომენს.

მაგრამ ასევე მუდმივად ჩვენთან, შეხებაშია არ-ყოფნა ანუ დაუსწრებლობა: რალაცა თავს გვახსენებს და ჩვენთან იმყოფება, როგორც სწორედ უკვე-არ-მყოფი, უკვე-არ-დამსწრე, ე.ი. იგი თავის დაუსწრებლობაში მინც თანადამსწრეა! რალაცა უკვე განხორციელდა და წავიდა და აი, ამ სახით იგი კვლავ შეხებასა და თანყოფნაშია ჩვენთან. წარსული არ არის ის, რაც უბრალოდ ამოვარდა მორიგი „ახლა-მომენტიდან“, „გადაგორდა“ და გაქრა: უკვე-არ-ანმყო, ე.ი. უკვე განხორციელებული მინც გვესწრება და იმყოფება ჩვენთან განსაკუთრებული სახით.

და იგივე ვითარებას აქვს ადგილი მომავალთან დაკავშირებით: მომავალი ანუ ჯერ-კიდევ-არ-ანმყო გვეხება, გვენდება თავისი დაუსწრებლობით. რალაცა ჯერ-კიდევ-არ-არის ანმყოში – იგი გვაკლია, ჯერ არ გვესწრება და სწორედ ამ სახით თანამყოფობს ჩვენთან. მაშასადამე, თუ კარგად ჩავუკვირდებით დაუსწრებლობის ფენომენს, იქნება იგი წარსული თუ მომავალი, მასში დავინახავთ დასწრებულად-ყოფნის წესს, ოღონდ რომელიც არ ემთხვევა უშუალო ან-მყოსათვის დამახასიათებელ დასწრებულად ყოფნას – წერს ჰაიდეგერი. შესაბამისად, ყოველგვარი დასწრებულად ყოფნა არ არის ანმყო: ჩვენ გვეხება თავისი დასწრებით ანმყოც, წარსულიც და მომავალიც, და ე.ი. სამივე ერთად თანამყოფობის ჩვენთან – აი, ესაა ჰაიდეგერის ამ რთული ფილოსოფიური ანალიზისა და განსჯის სრულიად გასაოცარი, არა-ორდინარული დასკვნა. ჩვენ-თან-არის ანუ გვენრება ის, რაც ანმყოშია ე.ი. ახლაა, მაგრამ ჩვენ-თან-არის ანუ გვესწრება ისიც, რაც გვაკლია, ე.ი. რაც ჯერ-არ-არის და რაც უკვე-აღარ-არის!

დასწრებულად-ყოფნის, ე.ი. თანამყოფის ეს განფენილობა ანმყოსა, წარსულსა და მომავალში წარმოაჩენს იმას, რასაც ჰაიდეგერი უწოდებს სივრცე-დროს. ეს უკანასკნელი ნიშნავს იმ ღიაობას ანუ გამოწვევას, რომელიც გამოსჭვირავს, გაიხსნება დროის ამ სამი განზომილების ურთიერთგანფენაში. სწორედ აღნიშნული ღიაობა მოიცავს თავის თავში ჩვენთვის ჩვეულ სივრცეს, მაგრამ თავად იგი წინარესივრცეულია. ყოველდღიური ცნობიერებისა და ფიზიკისათვის ცნობილი სივრცის წარმოდგენა და გააზრება შესაძლებელია მხოლოდ ამ სანყისი ღიაობის მოცემულობის საფუძველზე. მაშასადამე, დრო არის სინამდვილეში სივრცე-დრო. იგი, ჰაიდეგერის თქმით, ჩვენ უკვე გვესმის რა, როგორც ახლა-მომენტიდან თანმიმდევრობა, არამედ ყოფიერების აღნიშნული განფენილობა. შესაბამისად, იგი წინარე-ქრონომეტრიულიცაა ანუ მას ადგილი აქვს დროის ყოველგვარ ათვლამდე თუ გაზომვამდე და მისგან დამოუკიდებლად. პირიქით, ე.წ. დროითი სიდიდეებით ოპერირება შესაძლებელია მხოლოდ ამ სანყისობრივი სივრცე-დროის საფუძველზე, რომელიც ყოველდღიურ და მეცნიერულ ცნობიერებას მივინყებულები და იგნორირებული აქვს.

დროს, როგორც განფენილობას, ჰაიდეგერი გამოხატავს შემდეგი სიტყვებით: „მომახლოვებელი სიახლოვე“. რატომ? იმიტომ, რომ იგი აახლოებს მომავალს, წარსულს და ანმყოს ერთმანეთთან და იმავდროულად აშორებს მათ ურთიერთისაგან. მართლაცადა, წერს ავტორი, მას უჭირავს წარსული გახსნილად, მაგრამ უარს ეუბნება ანმყოდ-ყოფნაზე; მას უწინრავს მომავალი ასევე გახსნილად, მაგრამ უარს ეუბნება ანმყოდ-ყოფნაზე. მომახლოვებელ სიახლოვეს აქვს უარის თქმის, უკუგდების ანუ დაშორების ხასიათი. დიას, სიახლოვე და სიშორე სწორედ ის უმნიშვნელოვანესი კატეგორიებია,

რითაც აღინერება დროისა და შესაბამისად, ყოფიერების ადამიანისათვის თვითგაცხადება. დროში განფენილი არის-ი უახლოესია ჩემთვის – იგი მოწოდებულია ჩემზე და უშუალოდ მეხება; მაგრამ იმავდროულად იგი უსასრულოდ დაშორებულია და ამ შორეთში თითქოსდა ვიკარგები. აღნიშნულთან დაკავშირებით გვახსენდება მაისტერ ეკჰარტის საოცარი მსჯელობები ღმერთის, ე.ი. ყოფიერების სიახლოვისა და სიშორის შესახებ, რაც სრულებითაც არ არის შემთხვევითი, ვინაიდან შუა საუკუნეების ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედებამ დამდვილად სერიოზული ზეგავლენა მოახდინა ჰაიდეგერის ფილოსოფიაზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ დროის ჰაიდეგერისეული გააზრება უშუალოდ ამოზრდილია მისი მასწავლებლის – ე. ჰუსერლის – შესაბამისი კვლევებიდან. როგორც წერს გ. მარგველაშვილი, „დროის შინაგანი ცნობიერების ფენომენოლოგიური გაგება ჰაიდეგერმა რამდენიმე დამატებითი განსაზღვრებით შეავსო და განავრცო იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყოფიერების ცნობიერების (Seinsbewußtsein) ეგზისტენციალურ-ონტოლოგიურ ცნებად“.

თუ კი კარგად ჩავუკვირდებით იუნგის კვლევა-ძიებებს, აუცილებლად დავინახავთ, რომ აქ მოცემულია კერძო-მეცნიერული წინაპირობები დროის სრულიად ახალი გაგების ფორმირებისათვის, ოღონდ მის თეორიაში სერიოზული კორექტივების შეტანის შემთხვევაში. სახელდობრ, იუნგი მინც ფსიქოლოგიზმის ტყვეობაში იმყოფებოდა, რამაც განსაზღვრა მისი ზოგიერთი არაადეკვატური და უკრიტიკოდ შემუშავებული სქემა და დასკვნა, რასაც ფენომენოლოგიური ობიექტური (ე.ი. სუფთა) ანალიზი პრინციპულად ვერ მიიღებს. მიუხედავად ამისა, დიდი შევეცარიელი ფსიქოლოგის მეცნიერული მონაპოვარი საოცრად მდიდარი მასალაა სწორედ დროის ფენომენოლოგ-მკვლევარისათვის. მოდით, კონკრეტულად განვიხილოთ ყოველივე ზემოთ თქმული. სად და როგორ ფიგურირებს დროის ფენომენი იუნგის თეორიაში? ავიღოთ მისი ცნობილი ნაშრომი „მიდგომა არაცნობიერებისადმი“, სადაც მეორე თავი დასათაურებულია ასე: „წარსული და მომავალი არაცნობიერში“. ავტორი გვეუბნება, რომ არაცნობიერი წარსულის სათავსოცაა და მომავალი სიტუაციების და იდეების გენერატორიც სახელდობრ, ისევე, როგორც წარსულში გაცნობიერებული შინაარსი უწინარდება ხოლმე არაცნობიერში და იქ ინახება, ასევე ახალი შინაარსიც, რომელიც მანამდე არასდროს არ გაცნობიერებულა ჩაისახება ხოლმე მასში. შესაბამისად, არაცნობიერიდან შეიძლება ამოტივტივდნენ ადრე გაცნობიერებული შინარსები მოგონებების, პათოლოგიური სიმპტომების თუ სიზმრისეული სიმბოლოების სახით და ამასთან ერთად, მისგან შეიძლება აღმოცენდეს სრულიად ახალი ანუ ჯერ-კიდევ-არ-განხორციელებული ვითარებების გამომხატველი პერცეპციები თუ აზრები – აი, ამ აღმოჩენამ, იუნგის აზრით განაპირობა მისი ინოვაციური მიდგომა ფსიქოლოგიაში.

მაგრამ მინც უმთავრესი სიახლე და ქვაკუთხედი აღნიშნული თეორიისა არის მოძღვრება არქეტიპების შესახებ. რაში მდგომარეობს იგი? მოკლედ, რომ ვთქვათ საქმე ეხება ერთგვარ არქაულ ნაშთებს ჩვენ ფსიქიკაში ანუ იმ პრაფორმებს, რომელთა არსებობაც გამომდინარეობს არა ინდივიდის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილებიდან, არამედ საერთოდ ადამიანური გონების პირველყოფილი, თანდაყოლილი და ინსტიქტური წყაროებიდან. იუნგი წერს, რომ თუ კი ადამიანური სხეული წარმოადგენს ორგანოთა მთელ მუზე-

უმს, რომელსაც „ზურგზე მოკიდებული“ აქვს ევოლუციის ხანგრძლივი ისტორია, იგივე ითქმის ჩვენ გონებაზეც. სახელდობრ, იგი თავის თავში ატარებს არქაული ადამიანის კოლექტიური ფსიქიკის მთელ წინარეისტორიულ და არაცნობიერ განვითარებას. „უსაზღვროდ ძველი ფსიქიკური სანყისი წარმოქმნის ჩვენი გონების საფუძველს ზუსტად ისევე, როგორც ჩვენი სხეულის აგებულება განეკუთვნება ძუძუმწოვართა საერთო ანატომიურ სტრუქტურას“. მაშასადამე, არქეტიპები ის პირველყოფილი კოლექტიური ხატებია, რომლებშიც არქაული ადამიანის ინსტიქტები, იმპულსები თუ მიდრეკილებები ვლინდებოდა სიმბოლოების სახით და მთელ ამ სამუშაოს ფსიქიკა აწარმოებდა მხოლოდ არაცნობიერად. მოცემული მეცნიერული მსჯელობების საილუსტრაციოდ იუნგს მოჰყავს სხვადასხვა შესანიშნავი მაგალითი და ახლა გვსურს გავიხსენოთ ერთ-ერთი მათგანი. კერძოდ, ავტორი აღწერს ელგონის მთის აფრიკული ველური ტომის რელიგიურ რიტუალს: ყოველ დღით გარიჟრაჟზე ისინი გამოდიან თავიანთი ქობმახებიდან და სუნთქვას უშვებენ ან აფურთხებენ საკუთარ ხელისგულზე, რომლებსაც შემდგომ ინვდიან ამომაგალი მზისაკენ. სწორედ ეს უკანასკნელი არის მათი ღმერთი – მუნგუ. იუნგის კითხვაზე, თუ რას გულისხმობდა აღნიშნული ქმედება და თუ რატომ ასრულებდნენ მას ისინი, ისინი სრულიად დაიბნენ. ერთადერთი, რაც მათ უპასუხეს იყო შემდეგი: „ჩვენ ამას ყოველთვის ვაკეთებდით“. დიდი შვეიცარიელი ფსიქოლოგი თავისი ანალიზით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხელისგულზე დაფურთხება თუ დასუნთქება და შემდგომ ხელის განზიდვა ამომაგალი მზისაკენ იყო სავსებით გარკვეული, ოღონდ ლატენტური საზრისის მატარებელი – ეს ადამიანები თავის სულს სთავაზობდნენ მუნგუს, ვინაიდან სუნთქვა და ფურთხი მათ ქმედებაში „სულიერი ნივთიერების“ (სუბსტრატის) აღმნიშვნელი იყო. მაგრამ ყოველივე ამას, ე.ი. მითითებულ საზრისს ისინი ვერ აცნობიერებდნენ ვერც ახლა და ვერც შორეულ წარსულში. რატომ? იმიტომ, რომ ესაა არქეტიპული შინარსის მქონე საზრისი, რომელიც წარმოადგენდა პროდუქტს ამ აფრიკელთა უძველესი წინაპრების კოლექტიური ფსიქიკის არაცნობიერი მუშაობისა. დიახ, არქაული ადამიანის კოლექტიურმა გონებამ არაცნობიერად აწარმოა ეს სახე-სიმბოლოები: სუნთქვა, ფურთხი, როგორც სული; ხელისგანოდება, როგორც სულის შეთავაზება და შესაბამისად, მთლიანობაში აწარმოა მათგან კონსტრუირებული რიტუალური ქმედება. და დღევანდელი ელგონის მთის აფრიკელიც ისევე აგრძელებს ამ უკანასკნელის შესრულებას და ე.ი. მის ქმედებას განსაზღვრავს წარმოჩენილი არქეტიპული შინარსები, თუმცა მათ მნიშვნელობას იგი კვლავ ვერ აცნობიერებს.

მაშასადამე არქეტიპები ჩვენი ფსიქიკის სიღრმეში მყოფი „ნალექია“. მაგრამ იგი არ უნდა გვეგონოს პირადად ჩემი, ან შენი, ან ვილაცის საკუთრება ანუ ინდივიდუალური ცხოვრებისეული გამოცდილების შედეგად მიღებული და შენახული რამ. ეს არის არქაული ადამიანური გონების ევოლუციის კვალი ჩვენში,

თანაც წარუშლელი პროდუქტი, რომელიც ახლა უკვე ცივილიზებულ ადამიანის ფსიქიკის კოლექტიური არაცნობიერის ფენას შეადგენს. ამიტომ არქეტიპები ინდივიდუალურ სულში ჩაბუდებული კოლექტიური გონების ნაშთია და ამდენად იგი ყველა ჩვენთაგანისთვის საერთოა. მათი სახით ჩვენ არაცნობიერად ვატარებთ საკუთარ თავში უძველეს წარსულს და ისინი სიმბოლოების ფორმით ვლინდებიან ადამიანის სიზმრებში, ფსიქიკურ დაავადებებში, წარმოდგენებში, შემოქმედებაში, მითებში, რელიგიურ კულტებში და ა.შ. სიღრმის ფსიქოლოგიის ამოცანაა სწორედ ამ სიმბოლოთა მაქსიმალურად ობიექტური გაშიფვრა. დიახ, უძველესი წარსული თვლემს ჩვენი სულის სიღრმეებში და იგი დრო და დრო ამოხეთქავს და შემოიჭრება ხოლმე ანმყო ცხოვრებაში ისე, რომ ვერც ვხვდებით ამას. ამგვარად, იუნგის თანახმად, ადამიანში მოცემულია, როგორც პიროვნული არაცნობიერი კომპლექსები, რომლების მისი ინდივიდუალური ისტორიის, ე.ი. მისი წარსულის გამოსახველნი არიან და რაც ფროიდის ფსიქოანალიტიკური კვლევის დიდი მიგნებაა, ასევე ე.წ. კოლექტიური (ანუ საზოგადოებრივი) კომპლექსები, რომლებსაც არქეტიპული ხასიათის ისტორია აქვთ. „მაგრამ მაშინ, როდესაც პიროვნული კომპლექსები ახასიათებენ მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის თავისებურებებს, არქეტიპები ქმნიან მითებს, რელიგიებს და ფილოსოფიებს, რითაც ახდენენ ზემოქმედებას მთელ ხალხებზე და ისტორიულ ეპოქებზე...“

და ახლა საჭიროა ყურადღება შევაჩეროთ იმ უკიდურესად მნიშვნელოვან მომენტზე, რომელიც ადრე მივუთითეთ: სახელდობრ, იუნგი აღნიშნავს, რომ არაცნობიერი ფსიქიკური თავის თავში ატარებს არა მხოლოდ წარსულს, არამედ მომავალსაც. სწორედ ამით აიხსნება, მისი აზრით სიზმრების გარკვეულწილად პროგნოსტიკური, ე.ი. წინასწარმეტყველური ხასიათი. ამასთან დაკავშირებით ავტორი ჰყვება მეტად საინტერესო ფაქტს საკუთარი გამოცდილებიდან: ერთ-ერთ მის კოლეგას შეეყარა სასიკვდილო ანთება – ფლემონა. ამ ადამიანის ყოფილმა პაციენტმა, რომელმაც არაფერი იცოდა თავისი ექიმის ავადმყოფობის რაობის შესახებ, იხილა სიზმარი, სადაც ექიმი დაიღუპა ძლიერ ცეცხლში. ვიმეორებ, რომ მან არაფერი იცოდა, გარდა იმ ვითარებისა, რომ მისი ექიმი ავად იყო და ჰოსპიტალში იმყოფებოდა. სამი კვირის შემდეგ იუნგის კოლეგა გარდაიცვალა. რით აიხსნება მეცნიერულად ეს მოვლენა? ავტორი იძლევა ამის სიღრმის-

ფსიქოლოგიურ ახსნას და ამტკიცებს შემდეგს: როგორც რაციონალური აზროვნება ლოგიკური ანალიზის გზით ამუშავებს თავის საგანს და აკეთებს გარკვეულ დასკვნებს, მათ შორის პროგნოზებს, ასევე არაცნობიერი ფსიქიკური აწარმოებს ფარულ სამუშაოს არქეტიპული ფორმების და არა ცნებების მეშვეობით. პაციენტის წინასწარმეტყველური სიზმარი სწორედ ამაზე მეტყველებს: მისმა არაცნობიერმა ფსიქიკურმა „გადადღეჭა“ ის სიტუაცია, რაც დაკავშირებული იყო ექიმის ავადმყოფობასთან, ე.ი. გადაამუშავა იგი

კვირას, 16 დეკემბერს
ლიტერატურულ არტ კაფე
„ქარავანში“
გაიმართება
მაია სარიშვილის
ახალი პოეტური კრებულის
პრეზენტაცია
დასაწყისი 15 საათზე
ფურცელაძის 10

არა ანალიტიკურად, არამედ ინსტიტუტურად; არა ისეთ ცნებებში, როგორცაა ვთქვათ „პნევმონია“, „ციებ-ცხელები“, რომელსაც სპეციალისტი გამოიყენებდა ამ ავადმყოფობის დახასიათებისას, არამედ არქეტიპულ ხატოვან ფორმებში, როგორცაა „ცეცხლი“ და ყოველივე ამის საფუძველზე გააკეთა ინტუიტიური წვდომა რაღაც მომავალი ტრაგიკული ფინალისა. დიახ, მომავალი დაკავებულია ჩვენი არაცნობიერი თავისი სიზმრებით, არანაკლებ ვიდრე ჩვენი სალი გონება თავისი მსჯელობებით, გათვლებით თუ დასკვნებით; ოღონდ სიზმრებში ყოველივე გამოხატულია სიმბოლოების სახით – ასე ფიქრობს იუნგი.

მოდით ეხლა შევაჯამოთ ზემოთ თქმული და გავაკეთოთ სათანადო დასკვნები იმის თაობაზე, თუ რა სახით ფიგურირებს დროის ფენომენი იუნგის თეორიაში და რა არის აქ მისაღები ფენომენოლოგიური თვალთახედვისთვის და რა – მიუღებელი. შვეიცარელი ფსიქოლოგის გენიალური მეცნიერული ანალიზი გვიჩვენებს, რომ წარსული და მომავალი რეალობები ისევე თან ახლავს ადამიანს, როგორც აწმყო. ოღონდ, მისი აზრით, ისინი თან გვახლავს, რამდენადაც „დავანებულნი“ არიან ჩვენი ფსიქიკის ე.წ. „ქვესკნელში“. წარსული ჩემთანაა იმიტომ, რომ იგი ჩემშია ანუ ჩემი არაცნობიერი ფსიქიკის სათავსოშია შენახული: კერძოდ, შედარებით ზედა შრეებში მოთავსებულია ინდივიდის საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების მნიშვნელოვანი კომპონენტები, ხოლო ძალზედ ღრმად კი – კოლექტიური არქაულ-ისტორიული ნაშთები. მომავალიც ჩემთანაა იმიტომ, რომ ფსიქიკა ფარულად „ჩანასახით“ ატარებს ხოლმე თავის ნიაღში მომავლის „ღირებულ“ სიტუაციას თუ შემთხვევათა ინსტიტუტურ განჭვრეტებს. დიახ, იუნგს ჰქონდა ღრმა-მეცნიერული ინტუიცია ადამიანის ფსიქიკის აქტივობაში დროის სამი განზომილების უცნაური ურთიერთგამსჭვალვის თაობაზე, მაგრამ ამ დიადი ინტუიციის ექსპლიკაციისთვის მან შეიმუშავა საკმაოდ ბანალური ფსიქოლოგისტური სქემა ფროიდის ტრადიციის შესაბამისად: მან ფსიქიკა წარმოადგინა რაღაც უშველებელი სათავსოს მსგავსად თავისი მიწისზედა და მიწისქვეშა სართულებით. აღნიშნული სქემიდან გამომდინარე წარსული პერონანს გამსჭვალავს, ვინაიდან იგი მისი სულის მიწისქვეშა სართულებზე დევს და ინახება არქეტიპების თუ კომპლექსების სახით; გარკვეულწილად იგივე ითქმის მომავალზე. მაშასადამე ფროიდის და იუნგის საოცარი მიგნება იმის თაობაზე, რომ წარსული სპონტანურად აქტივიზირდება, ე.ი. ილვიძებს ადამიანში ყოველგვარი ცნობიერი ნებელობითი ძალისხმევის გარეშე და თავისით „ამოდის მზის შუქზე“ სიზმრებში, ნევროტულ სიმპტომებში თუ მითიურ სახეებში, ანუ იგი შემოდის აწყობი რეალობაში და განსაზღვრავს მას, თეორიულ ახსნას ჰპოულობს ამ ხელოვნურ ფსიქოლოგისტურ სქემაში. ეს უკანასკნელი გვარწმუნებს თითქოსდა წარსული ილვიძებს და ცოცხლდება, ვინაიდან იგი ჩემ არაცნობიერშია შენახული და სწორედ იქიდან ამოტივტივდება ხოლმე ჩემი აწმყო ქცევების თუ განცდების ზედაპირზე. მაშასადამე, იუნგმა მაინც ვერ დაუშვა თავის აზროვნებაში, რომ ადამიანი-სათვის წარსული და მომავალი შეიძლება აწყობი თანაარსებობდეს არა-სუბიექტიური ფორმით. სახელდობრ, მან ვერ დაუშვა შემდეგი: ის, რაც იყო და იქნება შეიძლება თავად გააქტიურდეს და შემოიჭრას ჩემ აწყობი ცნობიერი ცხოვრებაში, სწორედ, რომ თავად და არა იმიტომ, რომ იგი „შეჭურთულია“ და დაკონსერვებულია ჩემი სულის რომელიღაც სართულის რომელიღაც თაროზე.

საიდან ამოვდივართ, როდესაც ვაკრიტიკებ ამ სიღრმის-ფსიქოლოგიური თეორიის გარკვეულ ასპექტებს?

ვმოდრაობთ რა ფენომენოლოგიური კვლევების თანმიმდევრული გზით, სრულიად ვთავისუფლდებით ფსიქიკის ფიზიკალური გაგებისაგან და კერძოდ, მას ვახასიათებთ არა როგორც რაღაც „მრავალსართულიან შენობას“, არამედ, როგორც ცნობიერების ერთ მთლიან სფეროს. ამ უკანასკნელს აქვს თავისი ზედაპირის განათებული, ნაკლებად განათებული და ჩრდილოვანი მხარეები და ამასთან ერთად სრულიად ბნელი „შიგთავისი“, რომელსაც არაცნობიერს ვუწოდებთ. მაშასადამე, აბსოლუტურად არაადექვატურია, რომ არაცნობიერი ფსიქიკური გავიანზოთ ინდივიდუალური თუ კოლექტიური კომპლექსების „დიდი სათავსო“ სახით. იუნგის ფსიქონალიზის მეცნიერული შედეგებიდან გამომდინარე საჭიროა გავაკეთოთ სხვა სახის დასკვნები: არაცნობიერ ფსიქიკურს ახასიათებს ერთგვარი განწყობები (პთყაროდენრეციტ), დისპოზიციები, მიმართულობები წარსულის უძველესი ბაზისური სიტუაციური სქემებისაკენ. ეს უკანასკნელი ანუ ე.წ. არქეტიპები ინახებიან თავად ყოფიერების წარსულ განზომილებაში და არა ჩვენი ფსიქიკის არაცნობიერი სარდაფის ერთ-ერთ სართულზე. დიახ, სწორედ, რომ ყოფიერების ერთიან დროით ველშია შემონახული ჩვენი არქაული წარსული თავისი პრაფორმებით. ისინი „ილვიძებენ“ და იძვრებიან რა თავად ყოფიერების ნიაღიდან, უნებურად შემოიჭრებიან ხოლმე ჩვენში და გამოუწვევენ სხვადასხვა ფსიქიკურ პროცესებში, ქცევებსა თუ ავადმყოფობებში. (თუ როგორ შემოიჭრება წარსული აწმყო სიტუაციაში, ამის ბრწყინვალე ილუსტრაციაა ფრენსის კოპოლას ფილმი „ნათება“). სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ „მიდგომა არაცნობიერისადმი“–ში იუნგი იძლევა არქეტიპის იმდაგვარ განმარტებას, რომელთანაც სრულ თანხვედრაშია ჩვენი მსჯელობები – სახელდობრ, იგი მიუთითებს შემდეგს: არქეტიპი არსებობს არა მზა, დასრულებული ხატ-სიმბოლოს ანუ წარმოდგენის სახით ადამიანის არაცნობიერში, არამედ მხოლოდ, როგორც ამ უკანასკნელის ინსტიტუტური ტენდენცია, მიდრეკილება მათი წარმოქმნისაკენ. მაგრამ ეს აბსოლუტურად მართებული განმარტება თითქოსდა ამოვარდნილი, განცალკევებული რჩება იუნგის საერთო ნააზრევში და მთლიანად მისი თეორია კი ეფუძნება ტიპიურ ფროიდისტულ სქემას, რომლის მიხედვითაც არაცნობიერი წარმოდგენილია არქაული კომპლექსების სათავსოს სახით. კერძოდ, როდესაც საქმე ეხება პასუხს არსებით კითხვაზე, – სად ინახება ეს არქაული პრაფორმები, რომელთა გაცოცხლებისკენაც ახასიათებთ ჩვენ არაცნობიერ ფსიქიკურს ინსტიტუტური დისპოზიციები – სიღრმის ფსიქოლოგიური თეორია ცხადად გულისხმობს, რომ ეს „სად“ ისევე და ისევე ჩვენშია და მისთვის აბსოლუტურად უცნობია წარსულის ის ონტოლოგიური გაგება, საითკენაც გზა ფენომენოლოგიურმა მეთოდმა გაკვალა.

იუნგი იხსენებს საინტერესო შემთხვევას თავისი ცხოვრებიდან: ერთი პროფესორი მივიდა მასთან სრული პანიკის მდგომარეობაში, ვინაიდან მას მოულოდნელი ჰალუცინაციები „ესტუმრნენ“ და ამიტომ ჩათვალა, რომ ავად იყო. ექიმმა თაროდან გადმოიღო ოთხასწლიანი სიძველის წიგნი და აჩვენა პაციენტს მისი ჩვენებების გრაფირებული გამოსახულება. „ნუ დედავთ საკუთარი ნორმალურობის თაობაზე, ხომ ხედავთ მათ იცოდნენ თქვენი ჩვენებების შესახებ ჯერ მარტო 400 წლის წინათ!“ – დაამშვიდა დიდმა ფსიქონალიტიკოსმა პროფესორი. როგორ განვმარტოთ ეს შემთხვევა? იგი ნამ-

დვილად მიგვიითობს, რომ რალაც უძველესმა არქეტიპულ-მა სახეებმა გაიღვიძეს და გამოჟონეს მე-20-ე საუკუნის ვილაც პროფესორის ჰალუცინაციებში, ხოლო მანამდე კი ოთხასი წლის წინათ, ვილაცის მიერ გრავირებულ გამოსახულებებში და უცნობია, თუ კიდევ როდის, რამდენჯერ და როგორ იჩინეს მათ თავი. აღნიშნული შემთხვევის ასეთი სიღრმისეული გაშიფვრა კარგად მეტყველებს იუნგის გენიალობაზე, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელი იქნებოდა მისი შემდგომი ახსნა ფსიქოლოგიური სქემით: სახელდობრ, შვეიცარიელი ფსიქოლოგისათვის პროფესორის ხილვებში ამოყვინთეს იმ არქეტიპულმა სახეებმა, რომლებიც მისივე ფსიქიკის კოლექტიურ არაცნობიერ შრეში იყვნენ დავანებული; ჩვენთვის კი არქეტიპულმა ფორმებმა გაიღვიძეს თავად ყოფიერების ლატენტურ ველში, საიდანაც შემდგომ გამოჟონეს ჰალუცინაციებში, ისევე, როგორც მანამდე 400 წლის წინ თავი იჩინეს გრავიურებში.

„დრო – რთული რამეა, იგი ყოველთვის თავგზას მიბნევს“. – ამბობს ცნობილი საქსოფონისტი ჯონი კორტასარის მოთხრობაში „მდევარი“, სადაც, მართლაც, გახსნილია დროის შინაგანი, სრულიად „უჩვეულო“ ცნობიერების ცალკეული ცოცხალი პლასტები და ალბათ, სწორედ ამიტომაც შემოვიდა იგი ასოციაციურად ჩვენ თვალსაწიერში. აქ ლაპარაკია რალაც სხვა დროის განცდაზე, ვიდრე ყოველდღიურად ცნობილი ქრონომეტრიული მდინარეა, რომელსაც დიდი ჯაზმენი არეულ-დარეულად, ნახევრად ჰალუცინაციური აზრთა ნაკადის სახით ცდილობს, რათა გადმოსცეს და გაუზიაროს თავის მეგობარს. ჯონი ისვენებს თავის ბავშვობას, როდესაც დრო მისთვის ჯერ კიდევ წუთების, საათების და დღეების ჩვეული თანმიმდევრობა იყო: სახლში ჩემთან რა ხდებოდა ეშმაკმა უწყის, მხოლოდ ვალეებზე და ჰიპოთეკებზე ლაპარაკობდნენ... მოხუცი დედა თმებს იგლეჯდა, როგორც კი მამა სიტყვას დაძრავდა ხოლმე ჰიპოთეკაზე და ყველაფერი ჩხუბით მთავრდებოდა: სულ ჩხუბი ერთი მეორეზე... შემდეგ კი ლოცვები. ამიტომ სახლში დრო მიედინებოდა და მიედინებოდა! მუსიკამ კი გამოიმტაცა ამ დროიდან, უფრო სწორედ კი სულ სხვა დროის ნაკადში გადამისროლა...

რალაც უცნაური გრძნობა: რაც იქნება, ის უკვე იყო და ახლა არის – აი, რას გულისხმობდა ჯონი, როდესაც ერთხელ ცინცინატში მან უცებ შეწყვიტა რეპეტიცია, გაბრაზებულმა გაარღვია ჰაერი მუშტით და წამოიძახა: „მე ხომ ეს უკვე დავუკარი ხვალ“. დიახ, აქ სახეზეა დროის ცნობიერება, რომლისთვისაც წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად „არის“ ანუ თანამყოფობს ახლა. საუბარი აღარაა მოსაწყენ თანმიმდევრობაზე, სადაც, ჯონის თქმით, ზეგ ეს ხვალის მერეა, ხვალ კი – დღეის მერე და ა.შ. საუბარია დროზე, სადაც ხვალ, დღეს და გუშინ მოცემულია აი, ახლა, როგორც რალაც, ერთიანი განფენილობა და ეს ყველაფერი მარად „არის“. სწორედ ამას გამოთქვამს ჯონი ისევ და ისევ აწეწილ-დაწეწილი, ლოგიკურად დაულაგებელი ფრაზებით, როდესაც ჰყვება: ხოლო შემდეგ თავად დაეიწყე დაკვრა, თვალები დავხუჭე და გავფრინდი... მე კი თითქოსდა ვიყავი ჩემ გვერდით და ჩემთვის არ არსებობდა არც ნიუ-იორკი, არც, რაც მთავარია, დრო... არ არსებობდა არავითარი „შემდეგ“... რალაცა წამით იყო მხოლოდ „ყოველთვის“. საინტერესოა საღ გონებაზე მყოფი ადამიანის რეაქცია ჯაზმენის ამ „ბოდვებზე“. აი, რას გვეუბნება მისი მეგობარი ბრუნო: მე გამოვსახავ სახეზე ღიმილს, ვგრძნობ რა, რომ იგი რალაცაში მართალია, მაგრამ

ყველაფერი ეს უმაღლესად უკვალოდ, როგორც კი ქუჩაში აღმოვჩნდები და ჩავყვინთავ ჩემ ყოველდღიურ ყოფაში. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ადამიანი რალაცას ხედება დროის შესახებ – რალაც სულ სხვა „სუბსტრატს“ დალანდავს, რალაც დროის სხვა ცნობიერება იწყებს მასში პულსაციას, მაგრამ შემდეგ იგი კვლავ უბრუნდება თავის ბუნებრივ განწყობას – ყოველდღიური ცხოვრების რიტმს და მის ადექვატურ ცნობიერებას – და მყისიერად „ორთქლდება“ დროის ეს შინაგანი ცნობიერება; უფრო მეტიც იგი უკვე „გამოფიზიკებულია“, საღ აზრზე მოსულმა კაცმა შეიძლება ჰალუცინაციად ჩათვალოს.

ეს თავისუფალი გადახვევა ფენომენოლოგიური მკაცრი ანალიზის გზიდან შემთხვევით არ გავაკეთეთ, ვინაიდან ზოგჯერ მწყობრი ლოგიკური მსჯელობები მანაც ვერ იძლევიან ხოლმე სასურველ ეფექტს, კერძოდ, ამა თუ იმ ფილოსოფიური ფენომენის ჯეროვანი „რელიეფური“ ხედვის მოპოვებას, რაც შეიძლება უცებ უკეთ იქნას მიღწეული, რომელიც მხატვრული ნაწარმოების ენის მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაშიც კორტასარის „მდევარი“ არანაკლებ მძლავრად აღვიძებს ჩვენში დროის სრულიად არაორდინარულ ცნობიერებას, ვიდრე აქ წარმოდგენილი მეცნიერული ანალიზის მეთოდი.

ახლა კი დავუბრუნდეთ ფენომენოლოგიური განხილვების ველს და საბოლოოდ შევაჯამოთ ჩვენი მედიტაციები სივრცე-დროის შინაგანი ცნობიერების თაობაზე. მაშ, რას გვეუბნება ამ უკანასკნელის ობიექტური, დენატურალიზებული აღწერა? მოდით, ამოვიდეთ იქიდან, რაც ფაქტობრივად მეძლევა:

„სახლში ვზივარ და ჩემ ცოლთან ერთად ტელევიზორს ვუყურებ; მიდის პირდაპირი რეპორტაჟი ბესლანში ტერორისტების მიერ სკოლის დაკავებისა და მძევლების აყვანის შესახებ. ეს ხდება ახლა!“ – ასე განვიცდი ამჟამად მოცემულ სიტუაციას. ჩემთვის ყოველდღიურად ჩვეული დროის გაგება ნიშნავს შემდეგს: ეს არის ახლა ე.ი. ამა და ამ წლის, ამა და ამ თვის, ამა და ამ დღის, ამა და ამ წუთისა და წამზე. კერძოდ, აღნიშნული სიტუაცია მოცემულია დროის რალაც აღრიცხვად ახლა-მომენტში, რომელიც უწყვეტად მიდის და იცვლება სხვა ახლა-მომენტით: ვთქვათ, „კარებზე ბრახუნის იმისი!“, შემდეგ კვლავ იცვლება სხვა ახალით და ა.შ. დრო არის ეს უწყვეტი თანმიმდევრობა – ამბობს ჩემი ნატურალური განწყობის მქონე ცნობიერება. ამ უკანასკნელისთვის, იქნება იგი ბიზნესმენის, ფიზიკოსის თუ მეტაფიზიკოსის ცნობიერება, მყოფობს ის, რაც ახლა არის; ხოლო წარსული, რაც უკვე აღარ-არის და მომავალი, რაც ჯერ-კიდევ-არ-არის, უბრალოდ არ-არსებული რამაა და ისინი შეიძლება მყოფობდნენ მხოლოდ სუბიექტის ფსიქიკაში, სახელდობრ მის მეხსიერებასა და მოლოდინებში. აი, სწორედ ამ ინსტიტუტით ჩვეულ და მყარ პარადიგმას არღვევს ფენომენოლოგიური მეთოდის შედეგად მოპოვებული „ახალი ცნობიერება“: კერძოდ, ამჟამად მოცემულ სიტუაციას მე ვაცნობიერებ, როგორც „ჩართულს“ სივრცე-დროის ერთიან განფენილ ველში, რომელიც გარშემოწერილია სამგვარი ჰორიზონტით: აწმყოსი, წარსულის და მომავლის. ჰორიზონტი ნიშნავს უსასრულოდ გადანევად საზღვარს, და მამასადამე, ეს ველი უსასრულოდ გაფართოებადა ჩემ ინტენციონალურ თვალსაწიერში. ყოველივე ის, რაც ამჟამად არის, რაც უკვე-აღარ-არის და რაც ჯერ-კიდევ-არ-არის თანამყოფობს ამ ველში, სწორედ, რომ ახლა, როდესაც სახლში ვზივარ და ტელევიზორს ვუყურებ.

დიახ, მასში თანამყოფობს სამყაროს მთელი ყოფიერება, რომელიც ჩემი კონკრეტული პერსონის ყოფნასაც გულისხმობს, და თანამყოფობს თავისი უსასრულო წარსულით, მომავლით და აწმყოში გახსნილი უსასრულო სივრცით. ყველაფერი რაც იყო, არის და იქნება ერთიანად არის ახლა – აი, ესაა სივრცე-დროის ფენომენოლოგიური ცნობიერება. სწორედ აქედან ამოდის ყოფიერების სანყისობრივი განცდაც: მე განვიცდი რაღაც სხვას, ვიდრე ჩემი ნატურალური გონებისათვის ცნობილ არსებებს, რეალობებს თუ იდეალობებს და ე.წ. სამყაროსეულ მთლიანობას...

სამყარო ყოფიერთა ტოტალობაა, ე.ი. ერთობლიობაა ყოველივე იმის, რაც რეალურად არის.

ეს რაღაც სხვა კი „მელოდიის უცნაური“ მთლიანობაა, რომელშიც ერთიანად განფენილი უკვე-აღარ-არსებული,

ჯერ-კიდევ-არ-არსებული და ამჟამად-არსებული თანამყოფობენ აწმყოში.

ამ რაღაც სხვასთან შეხება იწყება და მთავრდება კითხვით: რა ხარ შენ ყოფიერებავ? დიახ, სწორედ ამ კითხვით შევდივარ მასთან კონტაქტში და ყოველთვის მხვდება დუმილი. ესაა მისი პასუხი. თითქოსდა უნდა კანით შეიგრძნო ამ დუმილის საოცარი გულგრილობა, რათა პირისპირ დადგე მის წინაშე და თუნდაც მომენტალური გაელვებების სახით გაიცხადო იგი.

და ამ სტატიას დავასრულებ ჰაიდგერის ცნობილი სიტყვებით: „მოვა კი განჭვრეტა იმის, რაც არის?

აღმოვჩნდებით კი ჩვენ, გაცისკროვნებულნი რა ამ განჭვრეტით, ისე დაუფლებულნი ყოფიერების სინათლის მიერ, რომ უკვე აღარ გამოვიდეთ მისგან?“

თეატრალური სინაქსი

ქეთევან დავლაძე

აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად

20 ნოემბერს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში პრემიერა შედგა: „Private lives“, რომელიც დაიდგა ამერიკელი დრამატურგის ნოელ ქაუარდის პიესის მიხედვით. ქართულად თარგმნა თეა კალანდიამ. წარმოდგენა ერთმოქმედებიანია. კონსულტანტი – ლევან ნულაძე, რეჟისორია რამაზ ზურაბაშვილი.

ახალგაზრდა რეჟისორმა საფუძველი ჩაუყარა თეატრში ორიგინალურ წამოწყებას, რომელსაც სახელად დაერქვა ექსპერიმენტალური ლაბორატორია. როგორც თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლევან ნულაძემ აღნიშნა სპექტაკლის დაწყებამდე, პიესის არსი ჯერ მათთვისაც არ ყოფილა გაცნობიერებული. საერთოდ ლაბორატორიამ კი ხელი უნდა შეუწყოს ახალგაზრდა რეჟისორების დაოსტატებას შემდგომ შემოქმედებით გზაზე.

ამერიკული პიესა „Private lives“ წარმატებით იდგებოდა როგორც ბროდვეიზე, აგრეთვე ლონდონსა და სხვა თეატრებში.

რამაზ ზურაბაშვილმა სპექტაკლში თავისი სათქმელი თქვა იმ გაუქუღმართებულ და რწმენადაკარგულ ურთიერთობებზე, რომელიც ბოლო წლებში თავს ჩვენც დაგვატყდა.

ეს ერთგვარი არის „ხულიგნური სპექტაკლია“, აღნიშნა ლევან ნულაძემ, ჩვენ რწმენა დაკარგეთ, საით მივუქანებით საბოლოოდ, აღარ ვიცით, აღარ არსებობს სიყვარული, ჩვენ მხოლოდ ილუზიას ვიქმნით მასზე. ადამიანი ვერც კი ასწრებს გარკვევას, თუ რისთვის იცხოვრავ. სწორედ ეს იყო რეჟისორისთვის მიზეზი, რათა ყველა პერსონაჟი დაეხოცა და მოქმედება სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის გადაეტანა.

პიესა გაფრთხილებასავითაა იმ რწმენადაკარგული თაობისადმი, სადაც დავინწყებულა მარადიული ფასეულობანი, მათთვის აღარ არსებობს სიყვარული, ის მხოლოდ გართო-



სცენა სპექტაკლიდან „Private lives“

ბაა. გასაკვირი არც ის ფაქტია, რომ ბატონმა რამაზმა პიესა საკუთარი ინტერპრეტაციით მიიტანა მაყურებელთან.

სპექტაკლმა ცხადყო და მაყურებელმაც კარგად გააცნობიერა ის ფაქტები, რაც პიესაში ხდება, თუ რა საფრთხის წინაშე ვართ ჩვენ, გრძნობადაკარგული თაობა. ეს ნათლად დაგვანახა როგორც რეჟისორმა, აგრეთვე მთავარმა მოქმედმა გმირებმა: ირმა ბერიანიძემ – ამანდა, ზაზა იაკაშვილმა – ელიოტი, თამარ ბუხნიკაშვილმა – სიბილა და ნიკა კუჭავამ – ვიქტორი.

„ზედმეტად თავისუფალი ქალი მიუღებელია საზოგადოებისათვის“, მიმართავს ელიოტი ამანდას, ის კი პასუხობს: „ზედმეტად თავისუფალი ქალი მიუღებელია მამაკაცისთვის“, რომ ჩვენს პირად ურთიერთობასთან საზოგადოება არაფერ შუაშია და რომ ჩვენ ვართ იმ ჩაკარგული ფასეულობების ნგრევის მიზეზი. სწორედ ამ ორმა გმირმა დაგვანახა, რომ სიყვარული, რწმენა მართლა დაკარგა ადამიანმა და, რაც დავგრჩა, ეს ილუზიაა.

დასასრულ ოსკარ უაილდის სიტყვებს მოვიშველიებ: „თუ ხელოვნების ნაწარმოები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაშინ ის ახალი, რთული და სასიცოცხლო რამ ყოფილა, მანამდე შეგვიძლია მიუტევოთ ადამიანს, რომელიც სასარგებლო საგნებს ქმნის“.

„ხულიგნურმა პიესამ“ თავისებური ექსპერიმენტებით მაყურებელს სიამოვნება მიანიჭა, ხოლო ბევრი ჩააფიქრა.

ეკა ბუჯიაშვილი

გიორგოზისთვის მზა

*

გალაკტიონის დღე ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში

– თუ რაიმე დიდი მონაპოვარი აქვს ბოლო ხანს ჩვენს კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებას, ერთ-ერთი უმთავრესი „გალაკტიონოლოგიაო“, – თქვა **როსტომ ჩხეიძემ** ლიტერატურის ინსტიტუტში, გალაკტიონის დაბადების დღის (17 ნოემბერი) აღსანიშნავ სხდომაზე და ამ ციკლით გამოცემული სამი კრებულიც გაიხსენა, თვით-კმარ ღირებულებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ნიმუშად იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ასეთი გამოცემა თავისი მიზანდასახულობითა თუ აღნაგობით.

ბატონი როსტომის თქმით, ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან ეს საქმე თეიმურაზ დოიაშვილს ეთავა და იმ სამი წიგნით ისე მალლა აენია გალაკტიონოლოგიის თამა-სა, ძნელიც კია მისი შენარჩუნება.

– თუმცა მოვალენი ვართო, – აღნიშნა მან და საზოგადოებას ამცნო, რომ მზადდება მეოთხე კრებული, რომელიც, სავარაუდოდ, ორ წელიწადში გამოიცემა.

თემურ დოიაშვილის შემოქმედებიდან კი ბატონმა როსტომმა მნიშვნელოვან სიახლედ ლიტერატურული დეტექტივის შექმნის ცდა წამოიწია და არცთუ შემთხვევით:

– ჩემი აზრით, მეცნიერული თხზულება უნდა იკითხებოდეს ისე, როგორც მხატვრული. ეს ხელს არ უშლის მკაცრი მეცნიერული კანონის არსებობას.

თავის დროზე პავლე ინგოროყვამ რამდენიმე თხზულება შექმნა ამ ჟანრში. თამაზ ნატროშვილისთვის ნიშანდობლივი ეს სტილი ბატონი თემურის შემოქმედებაშიც საინტერესო სიახლედ წარმოჩინდა. შემთხვევით არ ვახსენე ეს ჟანრი, რადგან მგონია, რომ მისი დღევანდელი მოხსენება სწორედ ამ ყაიდისა იქნებაო.

თეიმურაზ დოიაშვილმა წარმოადგინა მოხსენება ციკლიდან „გალაკტიონი და ილია“. ილიას პიროვნებისა და პოეზიის გალაკტიონისეული რეცეფციის ფონზე მან ამომწურავად გააანალიზა ლექსი „ილიას მოტივი“. მომხსენებლის აზრით, გალაკტიონის დამოკიდებულება ილიასადმი არ თავსდება „გავლენისა“ და „ათვისების“ ცნებებში, რეალურად, – დინამიკაში, – ეს არის დაპირისპირება, დაძლევა და ბოლო ეტაპზე – სრული იდენტიფიკაცია.

„ილიას მოტივი“ გალაკტიონის მიერ 1940 წლით არის დათარიღებული, რაც თეიმურაზ დოიაშვილმა არ გაიზიარა.

ლექსის ტრაგიკული ტონალობა არ შეესაბამება ამ ქრონოლოგიურ კონტექსტს: ილია უკვე რეაბილიტირე-

ბულია, გალაკტიონი – რეპრესიას გადარჩენილი, სახალხო პოეტი და ორდენოსანი. გარდა ამისა, ლექსი პირველად დაიბეჭდა 1948 წელს ანუ დაწერიდან რვა წლის შემდეგ, თანაც მარინისტული თემატიკის კრებულში „ზღვა ახმაურდა“, რომლის სივრცეში „ილიას მოტივის“ შეტანა მეტად პირობითია.

ილიას სახის შექმნისას გალაკტიონი, როგორც თვითონვე მიუთითებს ლექსში, მემუარული წყაროთი სარგებლობს, კერძოდ, არტურ ლაისტის მოგონებით ილიაზე. საგულისხმო ის არის, რომ მიუხედავად წყაროს ციტირებისა, ლაისტის მონათხრობი და გალაკტიონის ვერსია არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან: მემუარისტი ილიას გვიხატავს, როგორც წუთისოფლის წარმავლობაზე დაფიქრებულ მოხუცს, სიმღერის ყურადღებიან მსმენელს და არა მომღერალს და ფანდურზე დამკვრელს, როგორც ეს გალაკტიონთანაა.

მომხსენებლის მთელი შემდგომი მსჯელობა, რომელიც მოკლებული არ იყო დეტექტივის ელემენტებს, მიეძღვნა შექმნილი კოლიზიის გახსნას: რატომ ჩაენაცვლება რეალურ ფაქტებს პოეტის წარმოსახვა, მით უფრო, ციტირების სრული ილუზიის ფონზე?

თეიმურაზ დოიაშვილის დაკვირვებით, მართალია, გალაკტიონი ლაისტს დაშორდა, მაგრამ მას სიმართლის საკუთარი წყარო ჰქონდა – ილია ჭავჭავაძის ლირიკა, მისი ლექსები, სადაც ილია პოეზიის მიზნად სიმღერას აცხადებს, მომღერლის ამპლუაში გვევლინება („გვგალობ და ვგალობ“, „მაშინ ვიმღერ“). ფანდურზე მოჟღერუნე ილიას ხატიც მისი პოეტური იდეალის – მეფანდურის – ანალოგია.

უფრო მნიშვნელოვანია სხვა მომენტი: გალაკტიონმა ლაისტის „ციტირებისას“ ლექსში შეიტანა ორი მოტივი – უმადურებისა და „ერთადერთი იმედის“ მოტივები, რომელთაც ეს წყარო არ იცნობს. ამ „პოეტური თვითნებობის“ სათავეც ილიას პოეზიაა, მისი ლექსები „ჩემო კალამო“ და „წუხილი“, სადაც იხატება მარტოსული, მომღერალი და სიმღერით ნუგეშდებული შემოქმედის სახე.

ილიას არატრადიციული წარმოსახვა, რაც „ილიას მოტივშია“ მოცემული, სრულიად შეესაბამება გალაკტიონის ესთეტიკურ იდეალს, რის საფუძველზეც ხდება ლირიკული გმირის – ილიას და მთხრობელის – გალაკტიონის იდენტიფიკაცია. იდენტიფიკირება აზრობრივი პარალელიზმით არის წარმოდგენილი: ორივე პოეტისათვის ერთადერთი გზა და იმედი არსებობს – სიმღერა, შემოქმედება, „პოეზია – უპირველეს ყოვლისა“!

თეიმურაზ დოიაშვილმა ლექსის სტრუქტურული ორგანიზაციის პრინციპსაც მიაქცია ყურადღება. ლირიკული გმირის შემოყვანით გალაკტიონმა მოახდინა სათქმელის ობიექტივაცია და ერთდროულად – მისგან დისტანცირება, ხოლო საკუთარი პოზიცია თანაგრძნობის ფორმით გამოხატა. ილიას სახე თითქოს დოკუმენტური ნიალიდან ამოიზრდება, – ეს ობიექტურობის შთაბეჭდილებას ქმნის! – რეალურად კი ლირიკული გმირის მონოლოგში გალაკტიონს საკუთარი განცდები და კონცეფცია შეაქვს.

თეიმურაზ დოიაშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ შეფარული იდენტიფიკაცია ილიასთან, განწირულების,

უმადურობისა და პოეზიის, როგორც „ერთადერთი იმედის“, მოტივები, შესაძლოა, ახალი წინამურის მათემატიკა – გალაკტიონის ლექსი გამოძახილია რაღაც რეალური კრიზისული მდგომარეობისა.

დასკვნით ნაწილში მომხსენებელმა ის გარემოებანი მოხაზა, რამაც გალაკტიონს უკიდურესად ტრაგიკული ლექსი „ილიას მოტივი“ დაანერინა. მისი აზრით, გალაკტიონმა ლექსის დათარიღებისას მიმართა ქრონოლოგიური მისტიფიკაციის ჩვეულ ხერხს, როგორც კონტექსტის შეცვლის, პიროვნული რეაქციის შენიღბვის საშუალებას – „ილიას მოტივი“ დაწერილია არა 1940 წელს, არამედ გამოქვეყნების ახლო ხანებში – 1947 წელს.

ომის შემდგომი წლები უმძიმესი პერიოდია ზოგადად ინტელიგენციისა და პირადად გალაკტიონის ცხოვრებაში. ზედიზედ გამოქვეყნებული პარტიული დოკუმენტები იდეოლოგიის სფეროში განსაკუთრებით გაუსაძლის ვითარებას უქმნიდა ე.წ. დეკადენტურ-ფორმალისტური წარსულის მქონე პოეტებს. იდეოლოგიური ტერორის გლობალურ ატმოსფეროში ქვეყნდება კოლეგა პოეტის დასმენის თანადი წერილი გალაკტიონზე, მას უარს ეუბნებიან სახელმწიფო (სტალინურ) პრემიაზე, „ქებათა ქების“ ავტორი დასახელებულიც კი არაა ოფიციალურ მოხსენებაში, 40-იანი წლების ლირიკის მიღწევებს რომ ასახავს. გალაკტიონის გარემო იქმნება სრული გამოუვალობის, განწირულებისა და გარდაუვალ დანაშაულის სიტუაცია და იწერება „ილიას მოტივი“ – ლექსი-ანდერძი, გედის სიმღერა, სადაც ის შთამომავლობას უბარებს, რომ იგი კოლექტიური და ინდუსტრიული მარშების პოეტად ვერ აქციეს, რომ ბოლომდე შეინარჩუნა წმინდა პოეზიისადმი ერთგულება, პოეზია იყო მისი უკანასკნელი და „ერთადერთი იმედი“.

არსებობს გალაკტიონის ჩანაწერი, რომელიც მოწმობს, რომ პოეტი შეუმცდარად აცნობიერებდა მიმდინარე დისკუსიების ფარულ მიზანს – ე.წ. „შენიღბული მტრების“ გამოვლენის მზაკვრულ გეგმას, რასაც შესაბამისი რეპრესიული აქტები მოჰყვებოდა-ხოლმე.

ილიას სიმბოლურ სახეს, მომხსენებლის საბოლოო დასკვნით, გალაკტიონის ლექსში ორმაგი დატვირთვა აქვს: ოფიციალურად აღიარებული ილია, ვითარცა ხალხურობის ემბლემა, ფარია გალაკტიონისათვის, მის შინაგან რეცეფცივაში კი ილია სულიერი წინაპარია, სიმბოლურ-პარადიგმული სახეა ჭეშმარიტი პოეტისა, ვისთვისაც პოეზია უმადლესი ფასეულობაა.

აკაკი ხინთიბიძე:

– ჩვენმა თაობამ გალაკტიონის თვითმკვლელობის დღე – 17 მარტი გაითავისა. მაშინ ჩვენ ერთგვარი ფიცი დავდეთ, რომ ყოველ წელს, ამ დღეს მთანმინდაზე შევიკრიბებოდით და ღირსეულ პატივს მივაგებდით მის სსოვნას.

ახლა გალაკტიონის დაბადების დღეს აღვნიშნავთ. საინტერესო მოხსენება მოვისმინეთ, პროფესიონალური. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ რუსთაველის შემდეგ ჩვენ ილიაზე დიდი პიროვნება არ გვყოლია, მაგრამ თუ გალაკტიონმა თავიდან ბარათაშვილი და აკაკი უფრო გაითავისა, ეს იმიტომ, რომ მათი შემოქმედება პოეზიაა, ილია კი მხოლოდ პოეტი არ იყო ჩვენი ერისათვის.

რამდენიმე თვეა ვმუშაობ გალაკტიონის თხზულებათა ერთტომეულზე, რომელსაც სათაურად „ეფემერა“ დავარქვი – მგონი კარგად უნდა შეესაბამებოდეს მის პოეზიას. საერთოდაც ეს თემა ხომ ასე ნიშანდობლივია გალაკტიონის შემოქმედებისათვის.

ლექსები დავალაგე არა ქრონოლოგიურად, არამედ თემატური პრინციპით და დავყავი 12 რკალად.

თავდაპირველად 700 ლექსი შევკრიბე, მერე ექვსასამდე შევამცირე. თანაც ალიტერაციულადაც ხომ კარგად ჟღერს – ექვსასი ლექსი.

კრებულს ერთვის ბიბლიოგრაფია, რომელიც 60 ერთეულს შეიცავს.

გალაკტიონი უდიდესი მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. მის თვითმკვლელობამდე გაია მარგველაშვილმა გამოაქვეყნა კრიტიკული წერილი, რომელშიც ის წერდა, რომ გალაკტიონის პირველი კრებული ბანალური რამ იყო, „არტისტული ყვავილები“ კი ფრანგული სიმბოლიზმის მიბაძვა.

ცხადია, ის წაიკითხავდა ამ წერილს და თავის კვალს დააჩნევდა მის სულს“

კომუნარების ბალი.


დგას გალაკტიონი.

გარემო მანანწალა ბავშვები ახვევია.

მისი ცხოვრების ასეთი წამიც შეჩერებულა კადრზე და დარჩენილა მარადისობაში.

ეს სურათი შიო მღვიმელის ოჯახში ყოფილა შენახული. გალაკტიონს მისთვის უჩრქებია, როგორც ბავშვების მესაიდუმლე პოეტისათვის.

ამ ფაქტს სხდომაზე ბატონი **ემზარ კვიციანიშვილი** იხსენებს და ამბობს:



თიმიურაზ დოიაშვილი

– გალაკტიონზე წიგნის დაწერა ამ ხუთი წლის წინათ გადავწყვიტე. ესეებიც დავწერე მაშინ. რამდენიმე მიმართულებით შეიძლება მისი პოეზიის კვლევა. საინტერესოა, ვთქვათ, ბლოკისა და გალაკტიონის შეპირისპირების თემა ბოჰემასთან დაკავშირებით; ან: ნავის მეტაფორა მის შემოქმედებაში... მაგრამ ახლა მინდა ერთი ძირითადი ხაზი გამოვყო მკვეთრად: ბავშვები გალაკტიონის შემოქმედებაში. განუსაზღვრელი იყო მისი თანაგრძნობა მიუსაფარი ბავშვების მიმართ

და ბატონ ემზარს არაერთი საინტერესო მაგალითი მოჰყავს ამ ციკლიდან.

ბატონ **ლევან ბრეგაძეს** თანამედროვე სუნთქვა შემოაქვს სხდომაზე – იგი იმის ნიმუშებს გვაცნობს, თუ როგორ არის წარმოდგენილი ქართული ლიტერატურა უცხოეთში „ვიკიპედიაში“. თან გახარებულია, რომ ინტერნეტსაიტებზე უკვე ქართულენოვან შრიფტებს ვხვდებით: ეს ჩვენი ენის პოპულარიზაციას ნაადვებავს.

ბატონი ლევანის თქმით, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ ჯერჯერობით ხარისხია დაბალი.

– რუსთაველი, მაგალითად, კარგად არის წარმოდგენილი, აი, გალაკტიონის შესახებ კი რალაცები მოვინიშნე, გარკვეული ნიუანსები დასაზუსტებელია, თარიღები არეულია. ამას ლიტერატურულმა საზოგადოებამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. წიგნსაც კი სასოებით უნდა მოვეპყრათ, როგორც წყაროს, მითუმეტეს „ვიკიპედიას“ მეტი სიფრთხილე სჭირდება, რადგან თავისუფალი ენციკლოპედიის ამ საიტით ცნობები საერთაშორისო ასპარეზზე გადისო.

ეს ლექსი გალაკტიონის ცხოვრების ბოლოს დაუწერია. ბატონი **თამაზ ვასაძე** კი ამჯერად სწორედ მას გამოარჩევს განსახილველად:

– დიდი პოეტის სიცოცხლის ბოლო ხანა ის პერიოდი, როცა ცხოვრება მთელი თავისი უბადრუკობით შემოდის მის შემოქმედებაში.

თუ ნიკშეს ცნობილ კლასიფიკაციას მოვიშველიებთ, გალაკტიონი ის პოეტი იყო, რომელმაც ყოფიერებას აპოლონური საბურველი გადააფარა (თუმცა კი დიონისურიც ყოველთვის იგრძნობოდა მასში), ოღონდ, საბოლოოდ, როცა ეს ფარდაგი გადაიხსნა, ცხოვრება სიშიშვლე და უბადრუკობა აღმოჩნდა.

ლექსი „საგურამო“ სწორედ ამ თვალსაზრისითაა საინტერესო – ღრმა და მწარე, რალაცნაირი ირონიული დაფიქრებით ცხოვრების გზაზე.

ლექსი ილიას თემაზეა და ბატონ თემურ დოიაშვილის მოხსენებას ეხმიანება.

კითხვები, რომელიც ამ პოეტურ სტრიქონებში ასოციაციების შესახებ ჩნდება, ეპოქას უკავშირდება. დაშიფრული ლექსია და თუ ამას არ გავშიფრავთ, ბევრი რამ – უწინარესად კი მთავარი სათქმელი – დაიკარგება, – თქვა ბატონმა თამაზმა და რამდენიმე ნიმუში მოიყვანა ასახსნელად. მაგალითად: კედლიდან მოცქერალი ჩინგიზხანისა და ნერონის სახეები, რომელთა მიღმაც, მისი აზრით,

პოეტი საბჭოთა რეჟიმის დიდი ბელადების პორტრეტებს გულისხმობდა.

თემურ დოიაშვილი:

„– გალაკტიონს აქვს სტრიქონები, რომელთა მიხედვითაც კედლიდან უცქერს ექვსი პოეტი, როგორც მხსნელები. აქ კი მას მკვლევები ევლინებიან. ალუზიურად მკვეთრი დაპირისპირებაა. ამ თემას კვლევა და გავრცობა სჭირდება“.

ზაზა აბზიანიძე:

„– როგორი პარადოქსია და ეპოქის ცინიზმი ის, რომ როცა გასული საუკუნის „ჩინგიზხანები“ და „ნერონები“ ანათემას გადაეცემოდნენ, სამხატვრო კომბინატთან არსებული საგანგებო ჯგუფის წევრები მათ პორტრეტებს სასწრაფოდ გადახატავდნენ ხოლმე. მაგალითად, ცნობილია, რომ გალაკტიონად მალენკოვის პორტრეტი გადაუხატავთ.

რამდენი რამ შეგიძლია თქვა ამ ერთი ფაქტითაც კი იმ დროზე“.

ლევან ბრეგაძე:

„– ფრთიანი გამოთქმების კრებულები რომ გამოდის ხოლმე, მაშინვე დიდი ინტერესით ვნახულობ. პარადოქსია პირდაპირ: არის რუსთაველის და კიდევ ჩვენი „ჩინგიზ-ხანის“ – სტალინის ფრაზები.

განა ესეც დროის ცინიზმი არ არის?“

ბატონი **თამაზ ვასაძის** მოხსენებამ შეკრა სხდომა, რომელიც ილიასა და გალაკტიონის თემით დაიწყო და ამავე საკითხების მიმოხილვით დასრულდა.

თემურ დოიაშვილის მოხსენებით ლიტერატურული დეტექტივის ჟანრს მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუში შეემატება.

სიმბოლური კი იმ შეკრებაზე სხვაც ბევრი რამ იყო.

აი, თუნდაც ის, რომ ათწლეულებმოყრილი ბატონი აკაკი ხინთიბიძე დეკლამაციის საოცარი ოსტატობით გვიკითხავდა გალაკტიონის ლექსებს:

„ატმის რტოო, დალაღლო რტოო“

ან: „მზეო თიბათვისა, მზეო თიბათვისა“

თითქოს გალაკტიონის სულის ლაბირინთებში გვა-მოგზაურებდა.

იმ იდუმალ განზომილებებს გვაზიარებდა.

გარეთ გიორგობისთვის სუსხიანი დღე იდგა.

ლიტერატურის მუზეუმში კი გალაკტიონის მზე გვიფარავდა თავისი ფრთებით.

განმარტება

ჩვენი ჟურნალის წინა, 24-ე ნომერში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული სტატიის „**კნუტ ჰამსუნი და ქართული მოდერნიზმი**“ ავტორია **ოლიკო ჟღენტი**

ირმა ყველაშვილი

გამეორება და მისი რიტმი

*

ზღაპრის ხერხი რევაზ ინანიშვილის მოთხრობაში

იმ მრავალ მხატვრულ ხერხთაგან, რომლებიც ხალხური პოეზიისა და პროზის ნიმუშებში ნაირნაირი სახითა და ფორმითაა გავრცელებული, უპოპულარესი მხატვრული ხერხია გამეორება.

„გამეორება ფოლკლორული ესთეტიკის არა მარტო გარკვეული საყრდენია, არამედ ზეპირი შემოქმედების მნიშვნელოვანი მექანიზმიც“.

ხალხურ შემოქმედებაში გამეორების ტენდენციას გრიგოლ კიკნაძემ „ფიქსირებული ფორმის გამეორება“ უწოდა და მიიჩნია, რომ ყველაზე მეტად იგი „ნაკლებად კონტროლირებულ მეტყველების პროდუქტიაში, ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშებში უნდა გამოჩნდეს“.

მისი სიხშირის ერთ-ერთი განმსაზღვრელი თვით ფოლკლორის თავისებურებაა. ზღაპარი „იმეორებს მარადიულგამეორებას, მარადიული სწრაფვის და შეცდომის, მარადიული იმედგაცრუების და გამარჯვების ამბავს. რაც მთავარია, იგი მარადიულ უბრალოებას, მარადიულ სიმშვიდეს და ერთიანობას იმეორებს. სწორედ ეს მარადიული გამეორება აფუძნებს ზღაპრის, მითის და სხვა არქაული ზეპირი სტრუქტურების ურყევ კომპეტენტურობას“ (მანანა კვაჭანტირაძე). მუდმივი გამეორება თხრობის რიტუალის თანმზღებია, რადგანაც მთქმელიც და მსმენელიც ორივე მთხრობელია.

ამ ხერხს ხშირად ვხვდებით რევაზ ინანიშვილის მოთხრობებშიც, სადაც შესამჩნევია ფოკლორული ტექსტებისათვის ნიშანდობლივი სიტუაციური და დიალოგური გამეორებანი.

სიტუაციური გამეორება როგორც ზღაპარში, ასევე ინანიშვილის პროზაშიც ზოგჯერ პირდაპირაა გადმოცემული, ზოგჯერ კი ტრანსფორმირებული სახით.

მოთხრობებში გამოყენებული სიტუაციურ-დიალოგური გამეორებანი სხვადასხვა მიზანს ემსახურება, უმეტესწილად კი პერსონაჟთა სახეებისა და ხასიათების გამოხატვას.

პერსონაჟის სახის გამომხატველია სიტუაციური გამეორება მოთხრობაში „გუთნის სალესავი“.

მოთხრობა მოხუც პაპაზე გვიამბობს, ძალიან ყოჩაღ პაპაზე, რომელსაც თავისი ბავშვობიდან ყველაზე მეტად გუთანზე მეხრედ ნასვლა დაამახსოვრდა.

პაპას სიყოჩაღე რამდენიმე სიტუაციაში მეორდება:

„... დაუძახა პაპას მოხუცმა გუთნისდედამ მოკაუჭებულ თითით.

– მოდი აქ, შვილო, შენ ყველაზე ყოჩაღი ხარ! – მისცა ერთი, მოგრძო ქვა და თავზე ხელი გადაუსვა, – აგერ, ქვემოთ, ობოლ თელასთან რომ გუთნეულია გამოშვებული, ხომ ხედავ? ჩადი და ეს გუთნის სალესავი იმათ გუთნისდედას მიეცი. ნათხოვარი გვაქვს და სირცხვილია, დროზე რომ არ დავაბრუნოთ.

პაპა მართლა ძალიან ყოჩაღი ბიჭი იყო. შეიძლო ის ქვა მხარზე და სულ სირბილ-სირბილ ჩაუტანა ობოლ თელასთან გამოშვებული გუთნეულის გუთნისდედას“.

ობოლ თელასთან მდგარი გუთნეულის გუთნისდედა კი უკან გამოატანს სალესავს.

თავისმა გუთნისდედამ უფრო დიდი ქვა მოუძებნა პაპას და ახლა ის გაატანა „მოვალესთან“. პაპას ძალიან ემძიმა ქვა, მაგრამ არ შეიმჩნია და წელში გალუნულმა წაღება გადაწყვიტა.

მხოლოდ ერთი შემთხვევით რომ გადმოცემულიყო პერსონაჟის სიყოჩაღე, იმდენად დამაჯერებელი ალბათ არ იქნებოდა. სიტუაციის გამეორებით გმირის თვისება მკვეთრად გამოიხატა. ასევე საგულისხმოა, რომ სიტუაციურმა გამეორებამ, სიუჟეტის განვითარებას და ფინალის ლოგიკურობას შეუწყო ხელი; მოთხრობის დასასრულს მწერალი გუთნეულისათვის შრომის პროცესის აუცილებლობას გამოკვეთს:

„– დააგდე შვილო ეგ ქვა და ამოდი აქ...“

– ძალიან ყოჩაღი ბიჭი ხარ და დღეის ამას იქით ცოტა ფხიზლად იყავი, უნდა იცოდე, რომ გუთანს სალესავით არ ლესავენო“.

რევაზ ინანიშვილმა სიტუაციურ გამეორებას მიმართა პერსონაჟის სახის მკვეთრად წარმოჩენისათვის, რაც ესოდენ ნიშანდობლივია ხალხური ზღაპრისათვის („გველის ძმობილი“, „მზის ქალი“, „ფისასოს ზღაპარი“, „სიზმარა“), ხოლო მოთხრობის დასასრულში იგივე მხატვრული ხერხით ამკვეთრებს ძირითად იდეას: „გუთანს სალესავით არ ლესავენო“.

ანალოგიური სიტუაციების რამდენჯერმე გამეორებით მწერალმა ორ მნიშვნელოვან გარემოებას გაუსვა ხაზი. მხოლოდ ერთი შემთხვევა რომ გვეკონოდა გუთნის სალესავის წაღებისა, პაპას სიყოჩაღე მკვეთრად ვერ გამოიხატებოდა და ვერც ძირითადი აზრი იქნებოდა გადმოცემული ასე შთამბეჭდავად.

მწერალი სიტუაციურ გამეორებებს მიმართავს თხზულებაშიც „კაცები“.

მოთხრობა ორ პატარა ბიჭზე – გოგიასა და ბახაზე გვიამბობს, რომლებიც ხევს გაღმა-გამოღმა ცხოვრობდნენ.

ერთ დღეს მათი დედები ქალაქში გაემგზავრნენ და ბიჭები მამებს დაუტოვეს.

სამუშაოდან დაბრუნებულ მამა-შვილს შორის დიალოგი იმართება:

„– წავიდა დედაშენი? – იკითხა გოგიას მამამ.

– ჰო, წავიდა, – მიუგო გოგიამ.

– რა არი, წავიდა დედაშენი ქალაქში? – იკითხა ბახას მამამაც.

– წავიდა, მამ რა! – მიუგო ბახამ.

„წადი, ბახას მამას დაუძახე, მამამა ჩვენსა გადმოდი-
თქო, – უთხრა გოგიას მამამისმა.

– ბახაც წამოვიდეს?

– წამოვიდეს, მამ!

სწორედ ამ დროს ბახასაც ასე ეუბნებოდა მამამისი:

– წადი, გოგიას მამას უთხარი, ახლავე ჩვენსა გადმო-
დი-თქო.

– გოგიაც წამოვიდეს?

– წამოვიდეს, აბა, შინ რა უნდა გააკეთოს!

ბავშვები შუა გზაში შეხვდნენ.

გაოცებულებმა მამების
დანაბარები გადასცეს ერ-
თმანეთს და უკან გაბრუნ-
დნენ:

„უთხრა გოგიამ, რაც და-
ებარებინა ბახასთვის მამა-
მისს, ბახამაც ასევე – რაც
დაებარებინა გოგიასთვის
მამამისს.

– თფუიო! – წამოიძახა
გოგიას მამამ. – მე ხომ გით-
ხარი, ის გადმოვიდეს-მეთქი.
წადი, ახლავე და ეგრე უთხა-
რი, შენ გადმოდი-თქო, გეს-
მის?!

– თფუიო! – ბრაზობდა
ბახას მამაც. – მე ხომ გითხა-
რი ბიჭო, ის გადმოვიდეს-
მეთქი. წადი და უთხარი, შენ
გადმოდი-თქო.

სიტუაცია კვლავ მეორდება. ბიჭები ისევ შუა გზაში
შეხვდებიან ერთმანეთს.

„– ი! – ისევ გაუკვირდა გოგიას.

– ე! – დაალო პირი ბახამ.

– რაო?

– შენ რაღაო?

– მე ვერ გადმოვალ, მამაშენი გადმოვიდესო, მამაჩემ-
მა.

– მამაჩემმაც, მამაშენი გადმოვიდესო“.

დიალოგები ერთნაირად ფორმდება. მათ აზრობრივი
ფუნქცია ეკისრებათ. დიალოგებს და მოქმედებებს იმეო-
რებენ მამებიც.

მამები გაოცებულნი დარჩნენ ბიჭების მიერ უკან მო-
ტანილი ამბებით და ერთმანეთის დაპატიჟება თვითონვე
გადაწყვიტეს... და ისინიც შუა გზაში შეეჩვენნენ ერთმა-
ნეთს.

„– რატომ არ მოსდიოდი, ჰა? – ჰკითხა ბახას მამამ გო-
გიას მამასა.

– შენ რატომ აღარ მოსდიოდი?

– ბიჭო, – თავი გვერდზე გადასწია ბახას მამამ, – რაღა
შენი წყალწყალა ღვინით გავიწყობოთ, ჩემი კარგისა დავ-
ლიოთ, არა სჯობია?

– ხა-ხა-ხა! – იცინის გოგიას მამა. – ჩემი ღვინოა წყალ-
წყალა? ჩემი? წამო, ძმაო, ეგ წყალწყალა გერჩივნოს შენს
ჭარხლის წვენით გასქელებულსა“.



რეზო ინანიშვილი უფლისციხეში. 12.VII.1964

მამებმა ბრიგადირს მიმართეს გასარკვევად, ვისი ღვი-
ნო სჯობდა. ბრიგადირმა ორივესი დაინუნა და თავისთან
შეიპატიჟა. მამებმა მის აივანზე მოიკალათეს. დაღონე-
ბულმა ბიჭებმა კი სახლისკენ მოკურცხლეს.

მოთხრობაში მსგავსი სიტუაციები სიტყვიერადაც ერ-
თნაირად ფორმდება. ერთხელ გამართული დიალოგის
რეპროდუქცია ხდება. ანალოგიურ შემთხვევებს ვაწყდე-
ბით ზღაპრებში: „ვინც საქმე გააკეთა პურიც იმან ჭამოს“,
„სიზმარა,“ გამეორებულ დიალოგებს ზღაპარში აზრობ-
რივი ფუნქცია ეკისრება. მთქმელი საგანგებოდ ამახვი-
ლებს ყურადღებას გარკვეულ სიტუაციაზე და შეგნებუ-
ლად რამდენჯერმე იმეორებს, რათა ის მსმენელის გონე-
ბაში ჩაბეჭდოს და ფინალი ამით უფრო ლოგიკური გახა-
დოს.

მოთხრობაში „კაცები“
გამოყენებული გამეორება
მნიშვნელოვნად ემსგავსება
ზღაპარში გამოყენებულ
ფორმას. მწერალი დიალო-
გურ გამეორებებს იდეის-
თვის მიმართავს, ეს იდეა კი
მოთხრობის დასასრულში
ცხადდება. ანალოგიურ სი-
ტუაციებს არსებითად შინა-
განი შეპირისპირების ფუნ-
ქცია ეკისრება და ამით ლა-
იტმოტივი უკეთ წარმოჩნდე-
ბა.

ფინალით იხსნება გამეო-
რების ფუნქცია და მოთხრო-

ბის დასასრული მეტად ლოგიკურია, მოთხრობის ფინალი
დედობის უპირველესობას ცხადყოფს:

„ეეხ, კარგები არიან მამები, ღონივრები, მხიარულები
– არც ლექსის არცოდნაზე გაგებრაზდებიან, არც ტალა-
ხიანი ფეხებით შინ შემობოტებაზე მოიშლიან ნერვებს დე-
დებივით, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ამათი ანაბა-
რა, მამების ანაბარა, რომ დასტოვო ქვეყნიერება, ალბათ,
თვალსა და ხელს შუა დაეფუშებათ ყველაფერი, თანაც
ისე, რომ ვერაფერს შეამჩნივენ და თუნდაც შეამჩნიონ,
არც ამაზე შენუხდებიან დიდად...“

ამიტომ იყო, რომ მამების მოსასვლელ გზაზე უფრო
ხშირად თივთიკის თეთრი, ფუმფულაქუდიანი დედები
ჩნდებოდნენ, ტკბილად, ლამაზად ილიმებოდნენ პომადით
ოდნავ შენითლებული ტურჩებით და ასევე ღიმილით უჩი-
ნარდებოდნენ სიბნელეში“.

ხალხური შემოქმედებისთვის ნიშანდობლივ მხატ-
ვრულ გამეორებებს რეზო ინანიშვილი შეგნებულად მი-
მართავს, ამით მოთხრობის ძირითად იდეას უკეთ გამოკ-
ვეთს და მეორეც – ნაწარმოებს ტრადიციულ, ხალხისთვის
საყვარელ ფორმას ანიჭებს.

სიტუაციურ გამეორებას ვხვდებით მოთხრობაში
„გუგა და ბუბა“. თხზულებაში სიტუაციები ზუსტად ერ-
თნაირად არ ფორმდება, მაგრამ აზრი, მდგომარეობა ერ-
თი და იგივეა. ფრაზები სხვადასხვა ტრანსფორმაციით
მეორდება.

გუგა და ბუბა ძმები არიან, ერთი რვა წლისაა, მეორე შვიდის, როცა სკოლაში მიდიან, გუგა მარჯვენა მხარეს ამოუდგება დედას, ბუბა მარცხენა მხარეს. ბავშვებს ერთნაირი კითხვები აწუხებთ:

„– დედა, ასწევს იაპონური ამნეკრანი ათსართულიან სახლს თავისი მაცხოვრებლებით? – კითხულობს გუგა.

ბუბა პასუხს არ აცდის დედას, ის უფრო აღელვებული კითხულობს:

– ტროლეიბუსი და ავტობუსი რომ დაეჯახნენ ერთმანეთს მთელი ძალით, რომელი გადაბრუნდება პირველად, ტროლეიბუსი თუ ავტობუსი?”

ორივე ბავშვს უცნაური ფანტაზია აქვს. სკოლაშიც ორივეს კლასი მეორე სართულზეა, ერთი დერეფნის თავშია, მეორე ბოლოში. გუგასაც ხატვა უყვარს, ბუბასაც.

გუგა სულ სპორტსმენებს ხატავს, ბუბა ომებს, გუგას ნახატები მშვიდია, ბუბასი კორიანტელს ჰგავს. ძმები ხშირად ჩხუბობენ: „ხან ერთია ძირს, ხან მეორე, ხან ერთის კენესა-ხრიალი ისმის, ხან მეორის; გამოენთება დედა, დაუშენს ცოცხის ტარს, ცოცხის ტარი მწვავეა, ბუბა საპირფარეოში შეასწრებს, გუგა სააბაზანოში.

* * *

მაგრამ დიდხანს არასოდეს გრძელდება ასეთი შუღლები, ... მერე კვლავ ერთად არიან.

* * *

„ოი, ეს როგორ დაგვაინყდა! გუგა და ბუბა რომ წაიჩხუბებინან, ხომ ისე ჩანს, დასაკლავად გაიმეტებენ ერთმანეთსო, გამოენთებათ დედა და თუ გუგას მოიმწყვდევს, ბუბა ეხვეწება, – მე მცემე, დედიკო, მაგას თავი გაანებე და მე მცემე, დედიკოო. თუ ბუბას უნდა მოუწიოს ღრიალი, მაშინ გუგას აქვს განუული ყელი – მე მცემე, გენაცვალე, დედაო!”

მოთხრობაში მწერალი გამეორებას მიმართავს სიუჟეტის ბუნებრივი განვითარებისათვის და ძირითადი იდეის გამოკვეთისათვის; ის, რაც ერთი ძმისთვის არის მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი, ასევე ნიშანდობლივია მეორისთვისაც. ამ საკითხის მკვეთრ გამოხატვას, მწერალი სიტუაციის გამეორებით ახდენს. ის რაც ახასიათებს გუგას, ანალოგიურია (ოღონდ ტრანსფორმირებული სახით) ბუბასთანაც. ძმები ერთმანეთს ემსგავსებიან. მიუხედავად ჩხუბისა, მათ მაინც უსაზღვროდ უყვართ ერთმანეთი. სიტუაციის რამდენჯერმე გამეორებით ბიჭების ფსიქოლოგიური პორტრეტი მკვეთრად იხატება. ბუბას და გუგას არსებობა ცალ-ცალკე წარმოუდგენელი ხდება. მოთხრობის ძირითადი იდეა მკვეთრდება: – გუგა და ბუბა არ შეიძლება ერთმანეთს დამორდნენ!

... და აი, ერთ დღეს გუგა ავად გახდა. მაღალი სიცხით დედამ სანოლში დაანვინა, ბუბა კი გააფრთხილა, ახლოს არ მიეკაროო; „ბუბას კიდევ რა გააფრთხილება დაიჭერდა – იდგა და თვითონაც გაცივებული, გვერდით ხეხავდა გუგას სანოლს, გამოაგდებდნენ, ისევ მასთან იყო”.

ბუბა ყოველთვის იმას ამბობდა, იმას აკეთებდა, რასაც გუგა, ოღონდ ცოტა თავისებურად. ბუბა თითქოს გუგას ორეულია. გუგას აზრებს და მოქმედებებს ყოველთვის შე-

საბამისი გაგრძელება ჰქონდა ბუბას წყალობით.

ამიტომაც ძმები უერთმანეთოდ ვერ ძლებენ.

მათი ერთად ყოფნის აუცილებლობას და ჰარმონიას, თხზულებაში მკვეთრად გაესვა ხაზი სიტუაციური გამეორებებით და ფინალში გაცხადებული აზრი, რომ ერთი ძმისთვის უმნიშვნელოვანესია მეორე ჰყავდეს კარგად, უფრო ლოგიკურია.

გამეორების მხატვრული ხერხის გამოყენებისას რევაზ ინანიშვილი მეტად ორიგინალურია მოთხრობაში „მატარებლობა”. ამ უსიუჟეტო ნაწარმოებში მთელი დატვირთვა გამეორებას ეკისრება. დიალოგური გამეორება ახდენს როგორც ექსპრესიულობის ამაღლებას, ასევე ემოციურ ტონსაც ამკვეთრებს და მოთხრობის ესთეტიკური მხარე ძლიერდება.

მოთხრობა სამი, ოთხმოც წელს გადაცილებული მოხუცის ერთი ჩვეულებრივი დღის პატარა მონაკვეთზე გვიამბობს:

შარაგზის პირას ჩამომჯდარ მოხუც ოლას მისივე ხნის ნუცა ეძახის:

- „– ოლაა! ოლაა!
- მოდი, გოგო, მოდი.
- მანა ხარ, გოგო?
- აქა ვარ, აქ, მოდი”.

ანალოგიური დიალოგი უერთდება მოხუცებს მათზე ორი წლით უფროსი ფეფელოც.

- „– მანდა ხართ, გოგოებო?
- აქა ვართ, აქა”.

მოვიდა, მოფაჩუნდა ფეფელო და ისიც სკამზე ჩამოჯდა. სხედან”.

ამგვარ გამეორებას ხშირად ვხვდებით ზღაპარში (მაგ. „იერუსალიმის მიმავალი მელა”) გამეორების ამ თავისებურ ხერხს ფიქრია ზანდუკელმა პირობითად გამეორება პლუსით უწოდა – „ყველა შემთხვევაში სიტუაცია, დიალოგები იდენტურია და ფაქტობრივად ახალი პერსონაჟის შემოყვანას ემსახურება ე.ი. სიტუაცია შეიცვალა, ძველს პლუს კიდევ დამატებით ერთი ახალი პერსონაჟი.

ანალოგიური შემთხვევები შეინიშნება ძალიან ბევრ ზღაპარში”.

მოთხრობაში „მატარებლობა” გამოყენებული გამეორება ემსგავსება ზღაპარში არსებულ ამავე სახის გამეორებას, მისი მიზანიც ახალი პერსონაჟის შემოყვანაა.

მოთხრობა მთლიანად გამეორების მხატვრულ ხერხზეა აგებული –

სკამზე ჩამომსხდარ მოხუცებთან მათი შვილიშვილები: გაა, გელა, ზურა მივიდნენ, ეცნენ დედაბრების ჯობებს:

- თქვენი ცხენები გვათხოვეთ.
- გამოსტაცეს ჯობები, გადასხდნენ ზედ და დაემუნენ ხევისკენ.
- ზურა!
- გელა!
- გაა!

ბიჭები უკვე ხევში იყვნენ ჩამალულნი. დარბოდნენ რიყეზე, დაჭენაობდნენ, დაჭიხვინებდნენ, ყალყზე აყენებდნენ ცხენებს, ერთმანეთს აჯახებდნენ, ტლინკებს ისროდნენ.

- გია!
- გელა!
- ზურა!

ამაოდ ეძახდნენ დედაბრები. გელა, გია და ზურა ნაკალოვრებისკენ მიჭენაობდნენ”. ეს სიტუაცია რამდენჯერმე კიდევ მეორდება მოთხრობაში.

რევაზ ინანიშვილმა შესანიშნავად გამოიყენა ხალხური შემოქმედებისთვის სპეციფიკური მხატვრული ხერხი. გამეორებამ რიტმულობა შესძინა მოთხრობას. შეიქმნა პროზაული რიტმი. ასეთ შემთხვევებს ფოლკლორისტიკასა და ლიტერატურათმცოდნეობაში „ერთი ამოსუნთქვით წარმოთქმის“, ან „ერთი ამოძახილის“ მომენტს უწოდებენ. ს.ლაზუტინი ამის შესახებ წერს: „პროზაული რიტმი იქ-

მნება მსგავსი გამეორებებით ან ერთმანეთთან ძალიან დაახლოებული სინტაგმებით, რომლებიც წარმოიქმნებიან ერთნაირი ინტონაციით და ერთმანეთისაგან გამოიყოფიან პაუზით”.

მოხუცების მიერ ერთი და იგივე დიალოგის რამდენჯერმე გამეორებით ნაწარმოებში ჰარმონიული რიტმი შეიქმნა, რომელმაც მოხუცების ერთი ჩვეულებრივი დღე ესთეტიზმით აავსო და თვითონ ავტორიც ალაფრთოვანა: - „რალაც უხაროდა ნამით ჩქაფზე შემდგარ ჩემს სულსაც”.

რევაზ ინანიშვილი მეტად ორიგინალურად ითავისებს ზეპირსიტყვიერებიდან მომდინარე შემოქმედების მხატვრულ სახეებსა და ფორმებს, და ქმნის შესანიშნავ, ლამაზ, სათნოებით სავსე პატარ-პატარა ნიმუშებს.

უცხოური ნოველა

ნაჯიბ მაჰფუზი

ორი ნოველა

პილპილი

ყავახანაში „ბედნიერება“ ბევრი რამაა საყურადღებო. მათ შორის, პილპილიც – თორმეტიოდე წლის ბიჭი. სინამდვილეში ტაჰა ჰქვია, მაგრამ ყველასთვის პილპილის სახელითაა ცნობილი. დილიდან დაღამებამდე აქეთ-იქით დაქრის ნაკვერჩხლებით ნარგილეებისა და ყალიონებისთვის. მეტსახელები უმიზეზოდ არ წარმოიშობა. ბიჭს შეეფერება მისი ახალი სახელი. ფუტკარივით ფუსფუსა და მოძრავია, ყოველთვის მზადაა აქტიური მოქმედებისათვის და, როგორც კი დაუძახებენ, იქით მიჰქრის. მთელ დღესა და ნახევარ ღამეს ისე ატარებს, არა ჩერდება და მისი ხმაც გამუდმებით ისმის. უკვე ერთი წელია, ყავახანაში მუშაობს დღეში ერთ კირშად, თუ არ ვიგულისხმებთ ყალიონსა და ორ ფინჯან ჩაის, რომელსაც დილით და ნასადილევს სვამს.

პილპილი ძალიან კმაყოფილია: იგი ხომ დამოუკიდებლად დგას ფეხზე, კვირაში შვიდ კირშს შოულობს და დღეში ერთხელ მოზრდილივით ეწევა ჰაშიშს. ამის გაფიქრებაზე გული ყოველთვის სიამაყით და ბედნიერებით ევსება. მოუთმენლად ელის იმ წუთს, როდესაც ყავახანის პატრონი ცეცხლისა და წყლის გარდა ნარგილეებისა და ყალიონების ჩამორიგებასაც ანდობს. მაშინ მოსამსახურე ბიჭის რანგიდან ერთბაშად უმცროსი ოფიციანტის თანამდებობამდე ამაღლდება. და ვინ იცის, სადამდე ავა წარმატების კიბეზე. მანამდე კი, ვიდრე მომავლის ზეციურ სიმაღლეებს მიაღწევდეს, ხმას ავარჯიშებს, ხმამაღლა გამოუქაშუება ხოლმე კლიენტებს: ქალაქის ყავახანაში ძლიერი ხმა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ოპერაში.

ყველაზე მეტად პილპილს სტუდენტების ჯგუფი აოცებს, რომელიც აქ საღამოობით, ლექციებისაგან თავისუფალ დროს ან არდადეგებზე იკრიბება. ჩვეულებრივ ისინი დარბაზის ერთ კუთხეში განმარტოვდებიან ხოლმე, წარდს


თამაშობენ, საუბრობენ ან კამათობენ, თან ნელ-ნელა წრუპავენ ჩაისა და ლიმონათს. და თუმც ტანისამოსით ყავახანის უღარიბესი კლიენტებისაგან არ გამოირჩევიან – ისეთივე ჯილბაბები აცვიათ, ზოგს კი კაბკაბი – ხისძირიანი ფეხსაცმელიც, მაგრამ განათლება მათ გარშემოცოფთა და საკუთარ თვალშიც წონას მატებთ. როდესაც ისინი თავიანთ კუთხეში დასხდებიან, ერთ-ერთი, ჩვეულებრივ, რომელიმე საღამოს გაზეთის კითხვას იწყებს ხმამაღლა, დანარჩენები ჩუმად უსმენენ. შემდეგ ცხარედ კამათობენ და ნაკითხულზე მსჯელობენ.

ერთ საღამოს პილპილმა ყური მიუგდო მათ საუბარს და თავისდა გასახარად აღმოაჩინა, რომ ესმის, რაზეც ლაპარაკობენ. იმ დღეს გაზეთში ერთი დიდმოხელის სასამართლოს შესახებ გამოქვეყნდა სტატია. მას მექრთამეობაში სდებდნენ ბრალს. სტუდენტებმა, როგორც ყოველთვის, ჯერ უსიტყვოდ მოისმინეს სტატია, შემდეგ აზრები გაუზიარეს ერთმანეთს.

- ეს იშვიათი გამონაკლისია! – განაცხადა ერთ-ერთმა. – წმინდა წყლის შემთხვევითობაა, რომ სამართლიანობის ქალღმერთის რისხვამ ვიღაცას უწია. უმეტესად მას თვალში ახვეული აქვს, ვერ ხედავს, ვის აქვს საცხოოდ საქმე. მეორე, უფრო რადიკალურად განწყობილმა, სიტყვების ფრთხილად შერჩევა რომ არ სურდა, დასძინა:

- ეს სენი მარტო მოხელეებს არ შეყრია, ზოგიერთსაც უფრო ზევითაც. ხომ იცით, ვისაც ვგულისხმობ. ამ ქვეყანაში სამართლის სასწორი კარგად რომ მუშაობდეს, ციხეები აივსებოდა, სასახლეები კი დაცარიელდებოდა!

ამ დროს რამდენიმე კაცი ერთდროულად აყვირდა, სტუდენტები იქ მყოფთ უკვე არავითარ ყურადღებას აღარ აქცევდნენ, ერთმანეთს სხვადასხვა პირთა დასახელებას არ აცლიდნენ, ყველა ცოდვაში ადანაშაულებდნენ. სასწრაფოდ იხსენებდნენ რომელიმე ცნობილი ადამიანის



ნორვეგიული პირთა

ბიოგრაფიის დეტალებს, ყვებოდნენ გამოძალვისა და ძარცვის მეთოდებზე, რომელთა საშუალებითაც დააგროვეს მათ ქონება. სააშკარაოზე გამოჰქონდათ მათ კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა საიდუმლოებანი, თანაც ისეთი გათვითცნობიერებულნი ჩანდნენ, თითქოს იმ მოხელეთა პირადი მდივნები ან მრჩეველები ყოფილიყვნენ.

ყოველი მათი ბრალდება შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „იცით, როგორ გამდიდრდა“ – აქ მორიგი მალაქტიტულოვანი ადამიანი სახელდებოდა.

ბრალდების კამპანია კარგა ხანს გაგრძელდა, ბოლოს ერთ-ერთმა მრისხანე დასკვნა გამოიტანა:

– ამ ქვეყანაში ქურდობა სავსებით ნებადართულია!

პილპილი ძალიან დაინტერესა სტუდენტების ნათქვამმა. თუმცა ისინი ბევრ მისთვის უცნობ სიტყვასა და ძნელ გამოთქმებს იყენებდნენ, მაინც მხიარული თანაგრძნობითა და გამგებანობით ადევნებდა გონების თვალს მათი ცხარე დისკუსიის მსვლელობას. განსაკუთრებით მოეწონა ის, რომ თურმე ყველანი ქურდების ქვეყანაში ცხოვრობენ და ქურდობა სავსებით ნებადართული საქმეა. იგი ხომ თვითონაც ზუსტად ასეთი იყო, აკვინდან მშობლების მაგალითი ედგა თვალწინ. დედა, ფინიკების გამყიდველი ქალი, თავისუფალ დროს სხვის ქათმებზე ნადირობას უთმობდა, მამის საყვარელი საქმიანობა კი პანტალონებისა და პერანგების ანაპვნა იყო, რომელიც სახურავებზე გაეფინათ გასაშრობად. ისე სუდანური პილპილით ვაჭრობდა. თუმცა თითოეული მათგანი თავისი საქმის საუკეთესო მცოდნედ ითვლებოდა, ულევნი ხრიკი და ხერხი იცოდნენ, ოჯახი მაინც არ მდიდრდებოდა

ეს დღე ისე არ დასრულებულა, როგორც პილპილს უნდოდა. როდესაც გვიან საღამოს შინ დაბრუნდა, უფრო სწორად, ოთახში, სადაც მისი ოჯახი შეყუჟულიყო, დედას ჯერ არ ეძინა. დაღონებული, მხრებჩამოყრილი, მორჩილი სახით იჯდა, გარშემო მტირალი ბავშვები ეხვია. პილპილის შეშინებულ სახეს რომ შეხედა, დედა შეკითხვას აღარ დაელოდა და თქვა: „პოლიციელებმა მამაშენი წაიყვანეს“. პილპილი უმალ მიხვდა ყველაფერს. იგი უფროს დას მიუბრუნდა, მან კი უამბო, რომ მამას რაღაც ტანსაცმლის ქურდობაში დასდეს ბრალი და განყოფილებაში მიაბრძანეს. შემდეგ დასძინა: „რამდენიმე თვეში ან შესაძლოა რამდენიმე წელიწადში გამოუშვან“.

ბიჭი მამას იშვიათად ხედავდა. უკვე ეძინა, როდესაც მამა შინ ბრუნდებოდა, დილით კი, ყავახანაში რომ მირბოდა, მამას ჯერ ეძინა. მიუხედავად ამისა, ძალიან განიცდიდა. მერე უცებ სტუდენტების ნათქვამი გაახსენდა და დედას დაუნყო ახსნა, რომ მათი ქვეყანა სულ ქურდებისაგან შედგება და ქურდობა სავსებით ნებადართულია. მაგრამ ქალმა ყური არ ათხოვა. პილპილი მაინც აგრძელებდა თავისას, ყვებოდა, რაც ყავახანაში მოისმინა. მამის დედამ უყვირა, გაჩუმდით და სილა გააჩნა.

დილით პილპილმა თითქოს განახლებულმა გაიღვიძა – წინა დღის ამბები სულ დაავიწყდა. ფართო ნაბიჯით, უდარდელად გაემართა ყავახანისაკენ. მართლაც, რა მოხდა. პირველად კი არ სვამენ მამას ციხეში!

არაბულიდან თარგმნა
მაია ანდრონიკაშვილმა

საბედნიეროდ, მარტონი არ აღმოვჩნდით ამ განსაცდელში. აკი გვიხმო კიდეც მოსათათბირებლად თავისთან ა.მ. ბატონმა, როგორც ჩვენი სახლის უძველესმა ბინათმფლობელმა. ათამდე ვიყავით მასპინძლის – ა.მ. ბატონის ჩათვლით. იგი, გარდა იმისა, რომ უხუცესი იყო, ჩვენზე მდიდარიც გახლდათ და მალალი თანამდებობაც ეკავა. კრებას არავინ აკლდა. ან ვინ დააკლდებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა ჩვენს სახლებში ვირთხების მოსალოდნელ შემოსევას და მათ მიერ ჩვენი უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ხელყოფას. მასპინძელმა სერიოზულობით აღსავსე ხმით დაიწყო: „მოგესხენებათ“ და დაიმონმა პრესა, რომელიც არაერთგზის იტყობინებოდა ვირთხების ურიცხვი რაოდენობით შემოტევისა და მათი საზარელი გამაჩანაგებელი საქმიანობის შესახებ. ოთახის ყოველი კუთხიდან გაისმა შეძახილები:

- ნარმოუდგენელია, რასაც ამბობენ!
 - ნახეთ სატელევიზიო რეპორტაჟი?
 - ჩვეულებრივი ვირთხები კი არ არიან; კატებსა და ადამიანებსაც კი ესხმიან თავს.
 - რამეს ხომ არ აზვიადებენ?
 - არა, არა, სინამდვილეში საქმე ბევრად უარესადაა.
- შემდეგ ა.მ. ბატონმა მისთვის ჩვეული სიდიდითა და სიმტკიცით ბრძანა:

- ყოველ შემთხვევაში, როგორც ბატონმა გუბერნატორმა დამარწმუნა, მარტონი არა ვართ.
- სასიამოვნოა ამის შეტყობა!
- ისღა დაგვრჩენია, ზუსტად შევასრულოთ განკარგულებები, უშუალოდ ჩემგან იქნება ისინი მომდინარე თუ ხელისუფლებისაგან.

ერთ-ერთ ჩვენგანს აზრად მოუვიდა ეკითხა:

- ყველაფერ ამას დიდი ხარჯი დასჭირდება? სჯულის კანონი მოიშველია:
- ალაჰი მხოლოდ შეძლებისამებრ გვაკისრებს.
- მთავარია, მთლად წელში არ გავწყდეთ.
- მამინ ბრძნულ ნათქვამს დაესესხა:
- არ დაიძლევა ბოროტება მასზე დიდი ბოროტებით.
- ამის პასუხად შესძახეს:
- ალაჰის ნებით, თქვენს გვერდით გვიგულეთ!
- ჩვენც თქვენთან ვართ, მაგრამ სულ მთლად ჩვენს იმედადაც ნუ იქნებით, თვითონაც მიდექ-მოდექით, დაინყეთ თუნდაც იმით, რაც თავისთავად ცხადია, – ბრძანა ა.მ. ბატონმა.

- გონივრულია, მაგრამ რაა ეს „თავისთავად ცხადი“?
- თუნდაც მამაპაპური ხაფანგებისა და სანამღავეების მოძიება!
- მშვენიერია!
- საჭიროა, რაც შეიძლება ბევრი კატა იყოს კიბის უჯრედში, ბაქანსა და ბინებშიც, თუ პირობები იძლევა ამის საშუალებას.

– კი მაგრამ, რომ ამბობენ, ნორვეგიული ვირთხები თვითონ ესხმიან თავს კატებსო?

– მაინც არ გვანყენდა კატა. დავბრუნდით, ჩვენ-ჩვენს ბინებში შემართულნი და მტკიცე გადანყვეტილებით აღსავსენი. მალე ვირთხებზე

ფიქრმა უკან მოიჭოვა ყველა ჩვენი სადარდელი. ხშირად სიზმრებში გვეცხადებოდნენ და საუბარიც მეტწილად მათ შეეხებოდა. ასე რომ, ვირთხა გახდა ჩვენი ცხოვრების უპირველესი საზრუნავი. შევუდექით დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებას და ველოდით მტრის გამოჩენას. ზოგი ამბობდა, ცოტა ხანილა დარჩაო, სხვების აზრით, ერთ დღესაც ჩაგვიქროლებს ვირთხა თვალწინ, რაც იმის მაუწყებელი იქნება, რომ განსაცდელი თავს დაგვატყდა. ამასთან, ვირთხების მომრავლების შესახებ იყო ურთიერთსაინანააღმდეგო ვარაუდები. ერთნი ფიქრობდნენ, რომ ეს გამოიწვია ქალაქების დაცარიელებამ სუეცის არხზე მოსახლეობის აყრის შედეგად, მეორენი იხრებოდნენ მაღლივი კაშხლის უარყოფითი გავლენებისკენ. იყო აზრი, რომელიც გამობდა სახელმწიფო მართვის სისტემას. ბევრიც ამაში ალაპის რისხვას ხედავდა თავის მონათადმი, რამეთუ მათ გადაუხვიეს მის მიერ ნაჩვენები ჭეშმარიტების გზიდან.

ჩვენ კი თავს არ ვზოგავდით, უკლებლივ ყველა, სანაქებო კეთილგონიერებით ზუსტად ვასრულებდით ნაკისრ ვალდებულებებს. და აი, მომდევნო შეკრებაზე მის ბინაში ბრძანა ღირსეულმა ა.მ. ბატონმა, ალაპიმიც ჰვარავიდე მას!

– დიდად მამა იმის ხილვამ, უსაფრთხოების რა ზომებიც მიგიღიათ. ჩვენი სახლის სადარბაზოში ხომ კატების მოზღვავებაა! არაფერია, თუ ვინმემ მათი გამოკვების თაობაზე დაინუნუნა. ეგ რა მოსატანია უსაფრთხოებისა და სიმშვიდისათვის ბრძოლის გზაზე?!

მერე კმაყოფილებით აღსავსე მზერა მოგვაპყრო და იკითხა:

– საინტერესოა, რა ხდება ხაფანგებში?

ერთ-ერთმა ჩვენგანმა, და იგი ღირსეული მეოჯახე იყო, უპასუხა:

– ჩემთან ერთი გასაცოდავებული ჩვენი მშობლიური ვირთხათაგანი მოემწყვდა.

– რა სახეობისაც უნდა იყოს ვირთხა, იგი მავნებელია. დღესდღეობით კი ჩემთვის მთავარია დაგარნმუნოთ, რომ უფრო მეტი სიფრთხილეა საჭირო, როდესაც მტერი კარს მოგვდგომია. მალე დაგვირიგებენ ახალ დაღერდილ სანამლავს, რომელიც დაიდება შესაბამის ადგილებში, როგორცაა, მაგალითად, სამზარეულო. მხოლოდ დიდი სიფრთხილე გვმართებს ბავშვების, შინაური ფრინველებისა და ცხოველების გამო.

მართლაც გაკეთდა ის, რასაც დავგებინა, და ვალიარეთ, რომ ჭეშმარიტად მარტონი არა ვართ ამ ბრძოლაში, და მადლიერებით აღვივსენით ჩვენი ენერგიული მეზობლისა და დიდებული გუბერნატორის მიმართ. ბევრი სახლავორთო კი დაემატა ჩვენს ყოველდღიურ ჭაპანს. ამასთან, შეცდომებიც იქნა დაშვებული, – თავიდან ვერ აიცილებ მათ. ერთ-ერთ ბინაში კატა დაიღუპა, მეორეში – ქათამი დაიტირეს. სამაგიეროდ, ადამიანთა მსხვერპლი არ ყოფილა.

დრო გადიოდა. დაძაბულობისაგან ნერვები დაწყვეტაზე გვექონდა. მოლოდინი გულზე ლოღვივით გვანავა. ვნატრობდით, მოსახლენი მომხდარიყო, ოღონდ მოლოდინში ნუ ვიქნებოდით.

ერთ დღესაც, ავტობუსის გაჩერებაზე მეზობელი მომიახლოვდა და მეუბნება:

– დანამდვილებით გავიგე, ვირთხებმა გაანადგურეს მთელი სოფელი თავისი სავარგულებიანად.

– გაზეთებში ამაზე არაფერია!

დამცინავად შემომხედა და აღარაფერი უთქვამს. მე კი წარმოვიდგინე, ქვეყანა დაუფარავს ვირთხებს, არც თავი უჩიანთ, არც ბოლო. ხალხი აყრილა და ბრბოები უგზო-უკვლოდ დაძრწიან გაუდაბურებულ დედამინაზე. ო, ღმერთო ჩემო,

ნუთუ შეიძლება ეს მოხდეს? თუმცა რაა ამაში შეუძლებელი? განა ოდესღაც წარღვნისას არ გამოგზავნა უფალმა ფრინველთა გუნდები? ნუთუ უარს იტყვის ხალხი ყოველდღიურ ბრძოლაზე და ცეცხლს მისცემს, რაც აბადია? გაიმარჯვებს თუ დადგება აღსასრული?

მესამე კრებაზე ა.მ. ბატონმა, რომელიც კმაყოფილი ჩანდა, დაიწყო:

– გილოცავთ, ბატონებო! მუშაობა მთელი ძალითაა გაჩაღებული. რა მოსატანია ის უმნიშვნელო ზარალი, სალაპარაკოდაც რომ არ ღირს და, ღვთის ნებით, აღარც განმეორდება. ჩვენ ისე დავხელოვნდებით ვირთხებთან ბრძოლაში, რომ მომავალში შესაძლოა სხვებმაც მოგვმართონ დახმარებისთვის. ბატონი გუბერნატორიც ფრიად კმაყოფილია.

ერთმა ჩვენგანმა თავს ნება მისცა დაეჩივლა:

– ნამდვილად, რომ ჩვენი ნერვები... მაგრამ ა.მ. ბატონმა შეაწყვეტინა: – ჩვენი ნერვები?! ჩრდილს ნუ მიაყენებთ ჩვენს წარმატებას უაზრო სიტყვით! – როდის დაიწყება ვირთხების შემოსევა?



მხატვარი ბადრი გავნიძე

– არავის შეუძლია გადაჭრით თქმა, თან ამას არც აქვს მნიშვნელობა; ჩვენ ხომ მზად ვართ ბრძოლისათვის!

და წამიერი დუმილის შემდეგ გააგრძელა:

– ახალი ინსტრუქციები განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ისინი ეხება ფანჯრებსა და კარებს, და საერთოდ ნებისმიერ ლიობს, კედელში იქნება ეს თუ სხვაგან. ჩარაზეთ ფანჯრები და კარები, საგანგებოდ შეამონმეთ კარის ქვედა ღრეჭოები და თუ აღმოჩნდა ოთახში შემავალი ნაპრალი, უკნიდან ააფარეთ ხის ნივნივა, მთლიანად რომ ამოქოლოთ. დილით, დალაგების დანწყებისას, გააღეთ ერთი ოთახის ფანჯრები. ერთი კაცი გვის, ხოლო მეორე, ჯობნომარჯვებული, უთვალთვალავს. შემდეგ იხურება ფანჯრები და გადადიხართ მეორე ოთახზე იმავე წესით. დასუფთავების დამთავრებისას ბინის ყოველი კუთხე-კუთხული საიმედოდაა დახშული.

გაოგნებულებმა გადავხედეთ ერთმანეთს. გაისმა ვილაცის ხმა:

– შეუძლებელია ასე გაგრძელდეს.

– და მაინც, უდიდესი სიზუსტით უნდა შეასრულოთ, – დაბეჯითებით განაცხადა კაცმა.

– ციხის საკანშიც კი არის...

მყისვე გადაჭრით შეანწყვტინა:

– ჩვენ ომში, ე.ი. საგანგებო მდგომარეობაში ვართ. არა მხოლოდ დარბევა გავგავლებს მუსრს, არამედ, ღმერთმა დაგვიფაროს და, ეპიდემიებიც. ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ.

ასე მორჩილად ვაგრძელებდით ნაბრძანების შესრულებას. შეჭირვებულნი და გულშეღონებულნი ვიხრჩობოდით უბედურების მოლოდინის ჭაობში. ნერვები იმდენად დაიძაბა, რომ გადაიზარდა ყოველდღიურ მწვავე კონფლიქტებში ოჯახის უფროსს, დიასახლისსა და შვილებს შორის. ნორვეგიული ვირთხა თავისი მსუქანი სხეულით, გრძელი უღვაშითა და ავისმომასწავებელი გაყინული მზერით ბოროტების ვარსკვლავად გვექცა და ჩვენს წარმოდგენებსა და ხილვებში დათარეშობდა, სიზმარსა თუ ცხადში გველანდებოდა. სხვა აღარაფერზე აღარც ვლპარაკობდით.

უკანასკნელ შეკრებაზე ა.მ. ბატონმა მოგვმართა:

– ხალხო, ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება შეამონმოს შენობები, ბინები და სათავსოები, სადაც საფრთხეა მოსალოდნელი. ამასთან, არავითარ დამატებით ხარჯებს ეს არ მოითხოვს.

სასახარულო ამბავი იყო. საყოველთაო კმაყოფილებით შევხვდით მას და იმედი მოგვეცა, რამდენადმე შეგვიმსუბუქებოდა ტვირთი, რომელიც მძიმედ გვანვა გულზე. და, აი, ერთ დღესაც კარისკაცი გვეუბნება, რომ ინსპექციის წარმომადგენელმა დაათვალიერა შენობა, კიბის უჯრედი, სახურავი, გარაჟები და კარგად ენიშნა, ყოველ ფეხის ნაბიჯზე კატების ხროვა რომ ხვდებოდა, მოუწოდებდა უფრო მეტი სიფრთხილისკენ, რომ უმაღლვე ეცნობებინათ, თუ სადმე ნებისმიერი ვირთხა გაიჭაჭანებდა, ნორვეგიული იქნებოდა ის თუ ეგვიპტური.

შეკრებიდან ერთი კვირა იქნებოდა გასული, ჩემს ბინაში ზარი დაირეკა. კარისკაცმა გვაუწყა, ინსპექტორია მოსული და დათვალიერებას ითხოვსო. არ იყო შესაფერი დრო, – ჩემს ცოლს ეს-ესაა დაემთავრებინა სადილის მომ-

ზადება. მაინც სასწრაფოდ გავეგებე მოსულს. აღმოვჩნდი შუახნის ჩასუქებული, ხშირულვაშიანი კაცის წინაშე. მისი კვადრატული სახე მოკლე, მიჭყლებილი ცხვირითა და გაყინული მზერით კატის სახეს მოგაგონებდათ. ცალკებად მივესალმე. „მართლაც რომ საუკეთესო არჩევანია“, გავიფიქრე ჩემთვის თითქმის სიცილში გადასული ღიმილით და შემოვუძეხი. შეუდგა სათაგურების, სანამ-ლაგების, ფანჯრებისა და კარების თვალიერებას, თან კმაყოფილი იქნედა თავს. თუმცა, როდესაც სამზარეულოში ლითონის უწვრილესი ბადით აჭედილი პატარა სარკმელი დაინახა, მტკიცედ მოჭრა:

– დახურეთ ფანჯარა!

ჩემმა ცოლმა დააპირა გაეპროტესტებინა, მაგრამ არ აცალა:

– ნორვეგიული ვირთხა მავთულს ღრღნის.

როდესაც დარწმუნდა, ჩემი ბრძანება შესრულებულიაო, მიყნოს-მოყნოსა საჭმლის სუნი და განაცხადა, დიდად მოსაზნონაო.

– დაგვეწვიეთ, – მივიპატიჟე.

– მხოლოდ უღირსი თუ იტყვის უარს გულითად მინვევაზე.

მყისვე გავუშალეთ სუფრა მხოლოდ მას ერთს, ვარწმუნებდით, ჩვენ უკვე ვისადილეთო. ისე მიუჯდა მაგიდას, თითქოს საკუთარ სახლში ყოფილიყო, და ყოველგვარი მორიდებისა და მოკრძალების გარეშე, საოცარი სიხარბით ეძგერა საჭმელს. თავაზიანად გავერიდეთ. თუმცა ცოტა ხნის შემდეგ შევნიშნე, თვალებს აცეცებდა, თითქოს რალაცას ეძებდა. მივედი და, თეფშს რომ ვუცვლიდი, გამაოგნებელი ცვლილება შევნიშნე მის გარეგნობაში. შეცბუნებული ყურადღებით დავაცქერდი და მომეჩვენა, რომ მისი სახის გამომეტყველება კატას კი არა, ვირთხას უფრო მოგაგონებდათ, თანაც საკუთრივ ნორვეგიულ ვირთხას. გამოვბრუნდი. თავბრუ მეხვეოდა. ცოლისთვის არაფერი მითქვამს, რაც ვნახე. ვთხოვე კია, მისულიყო, დაეხედა სტუმრისთვის. წავიდა და ერთი-ორი წუთის შემდეგ დაბრუნდა გაფითრებული, ფართოდ გახეილი თვალებით მომაშტერდა და დაბნეულმა წაილულულა:

– დაინახე მისი სახე? თან როგორ ჭამდა?!

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე.

– მართლაც საოცარი რამაა, ძნელი დასაჯერებელია, – დაიჩურჩულა.

კვლავ დავეთანხმე და გაოგნებული ვიქნევი თავს. ერთხანს ასე დარეტიანებულები ვიყავით. გონს მოვეგეთ, როდესაც ოთახიდან მისი ხმა მოგვესმა:

– დიდებულია, – რიხიანად წარმოთქვა კმაყოფილმა.

გაცვივდით მისკენ, მაგრამ კარში გავგასწრო და მხოლოდ მის ზურგსა შევასწარით თვალი, მხრების თამაშით რომ მიდიოდა. თუმცა რალაც წუთას გამოგვხედა და ნორვეგიული ღიმილი გვესროლა.

ჩვენ კი ვიდექით მიხურულ კარს უკან და გაშტერებული შევჩერებოდით ერთმანეთს.

არაბულიდან თარგმნა
ლია რუსხაქია

ბედნიერება პოეტისა

ოციოდე წლის წინათ მოსკოვის ლიტერატურულ ჟურნალში გამოქვეყნდა ბორის პასტერნაკის კერძო წერილები. ერთ-ერთ მათგანში პოეტი თავის მამიდაშვილს, ცნობილ მეცნიერს ოლგა ფრეიდენბერგს სწერდა: „გარდა ამისა, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ისე მივეჩვიე ჯანმრთელობასა და იღბალს, რომ ბედნიერებას უკვე ვთვლი ჩემი არსებობის აუცილებელ და მუდმივ კუთვნილებად“.

განსაკუთრებული არაფერი მოხვედრიათ თვალში ამ წერილიდან, გარდა მისი თარიღისა – 1946 წლის 13 ოქტომბერი. ერთი კრიტიკოსი ქალბატონი დააცხრა ამ თარიღს და მარტივი არითმეტიკული ოპერაცია ჩაატარა: ორმოცდაექვსს გამოაკლო ხუთი და მიიღო ორმოცდაერთი ანუ 1941 წელი! როგორაო, შეპკივლა შემოთავაზებულმა და აღმოჩნდა – პოეტის „ბედნიერების ხუთწლედ“ დიდი სამამულო ომის წლებს ემთხვევაო?! სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მილიონობით ადამიანთა სისხლი იღვრებოდა და გაუგონარი მკრეხელობაა, იმ დროს ბედნიერად ჩათვალო თავიო!

ცენზორის დაუნდობელი ლუპით შეიარაღებულ კრიტიკოს ქალბატონს მხედველობიდან გამორჩა (გაგანია „პერესტროიკის“ ჟამს!), რომ საბჭოთა მოქალაქე ბორის ლეონიდოვიჩ პასტერნაკი, მოსკოვიდან იძულებით ევაკუაციაში, რეგულარულად მორიგეობდა ცხრასართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავზე, რათა ჩაეკრო გერმანელთა თვითმფრინავებიდან ჩამოგდებული ფუგასური ბომბები; მწერალთა ბრიგადის შემადგენლობაში ფრონტზეც გამგზავრებულია და თავისი შთაბეჭდილებანი მხატვრულ ნარკვევებში აუსახავს. ომის თემაზე შექმნილ მის ლექსებს ბეჭდავდნენ გაზეთები „პრავდა“, „კრასნი ფლოტი“, „ტრუდი“... მეტი რაღა უნდა მოსთხოვო დიდებულ პოეტს, რომელიც თავისი ასაკისა (51 წლის იყო 1941-ში) და ბავშვობაში ტრავმირებული ფეხის გამო, ცხადია, მოქმედ არმიაში განწვევას არ ექვემდებარებოდა (სამედიცინო კომისიამ პირველი მსოფლიო ომის დროსაც დაინუნა).

რაც შეეხება ბედნიერებას, იმ კრიტიკოს ქალბატონს, ეტყობა, არც სმენია ის ბედნიერება, რომელსაც გულისხმობდა პოეტი. ეს ღვთაებრივი ბედნიერება არაფერს ეპუებოდა – არც სისხლისმღვრელ ომს და არც ნამღეკავ წარღვევებს.

1946 წელს, ახმატოვასა და ზოშჩენკოს განქიქების პერიოდში, რასაკვირველია, პასტერნაკსაც არ ასცდენია რისხვა კრიტიკისა. ერთ-ერთი ვერდიქტი ასე ჟღერდა: „უიდეო და აპოლიტიკური პოეზია პასტერნაკისა იდეალად ვერ გამოადგებათ დიდი რუსული პოეზიის მემკვიდრეებს“.

იმ შემოდგომაზე პასტერნაკი სწერდა ლადო გუდიაშვილს: „ხდებოდა გარკვეული ლიტერატურული მიწისძვრა. ნიადავი ზანზარებდა და მსაყვედურობდნენ, რატომ არაფერს არ იმჩნევ, ნელგამართული დაიარები და ძირს არ ეცემიო“.

შემოქმედებითი შრომა ამხნევებდა, სწორედ იმხანად „ექიმ ჟივავოს“ წერას

შეუდგა და ბედნიერი იყო!

1948 წელს სწერდა ოლგა ფრეიდენბერგს:

„წლიდან წლამდე კატორღელივით ვშრომობ და თქვენ ყველანი – ჩემი ახლობლები გულამოსკვნით მეზრალებით. ასე მგონია, რომ ჩემს ირგვლივ ყველა უბედურია და მხოლოდ მე ვაძლევ საკუთარ თავს იმის ნებას, რომ ვიყო ბედნიერი და მეჩვენება, თითქოს ყველას კისერზე ვაჯდე. და მართლაც სიგიჟემდე, წარმოუდგენლად ბედნიერი ვარ ცხოვრებასთან კავშირის აშკარა და უკიდევანო თავისუფლებით“.

1952 წელს სწერდა ნინო ტაბიძეს:

„მე ჩემი ჯიშით ვირის მუშა ვარ და მხოლოდ მუდმივად დაძაბულ ძალმის ცხოვრება. აგერ ახლახან ჩავათავე სანქარო სამუშაო, ერთი-ორი დღეა აღარაფერს ვაკეთებ, ამიტომაც მოშლილად ვგრძნობ თავს და მეზიზღება საკუთარი არსება“.

სამინლად ბედნიერი ადამიანი ვარო, ხშირ-ხშირად არწმუნებდა თავის საყვარელ მამიდაშვილს და ოლგა ფრეიდენბერგიც კვრდა უკრავდა: „შენ მართლაც ბედნიერი უნდა იყო, კმაყოფილი უმაღლესი და ერთადერთი კმაყოფილებით, რომელიც არსებობს ამქვეყნად“.

შემოქმედებითი შრომით უსახ-

ღვროდ გადატვირთული სრულიადაც არ ელტვოდა ასკეტურ ცხოვრებას. საქვეყნოდ ცნობილია, რომ არც სიყვარულს გაურბოდა და არც სხვა სიამეთ. მაგრამ უპირველესი ბედნიერება საწერ მაგიდასთან ელოდა. ზამთრობით, პერედელკინოში ხელს არავინ უშლიდა. გააერთიანეს სააგარაკო სახლი, ლიტფონდისგან იჯარით რომ ჰქონდათ აღებულ-ი. „სახლი გადაკეთდა და სასახლედ გადაიქცა“, – სწერდა ფრეიდენბერგს 1954 წელს. ნყალსადენი! აბაზანა! გაზი! სამი ახალი ოთახი!.. და ამ უჩვეულო ფუფუნებით გამონვეული შეცბუნება: „მეწოთირება ცხოვრება ამ ბინაში. ჩინით არ მეკუთვნის, მრცხვენია ამ უზარმაზარი კაბინეტის კედლები, პარკეტის იატაკი და ცენტრალური გათბობა. მე ვმუშაობ. მე არ მეხერხება დასვენება, განცხრომა“.

უხაროდა თავისი შრომა, რომელიც ანიჭებდა უდიდეს ბედნიერებას. უხაროდა სხვისი გამარჯვებანი და სხვის ბედნიერებასაც თავისად მითვლიდა. უკვე სიცოცხლის მიწურულში სწერდა ჩუქურთმა გუდიაშვილს:

„მე მიყვარს თქვენი სახლი იმიტომ, რომ მამათქვენს თავის ბუნებრივ ვალად მიაჩნია, ყოველ ცისმარე დღეს, დილიდანვე შეავსოს იგი საქმითა და თავისი ნათელმზილველი სულის ქმედებით, ისევე როგორც სხვები ყოველდღე სადილობენ ანდა სძინავთ ღამით, ანდა ზამთარში ლუმელით ათობენ ბინას. აი, ამიტომ მიყვარს თქვენი ოჯახი და არა იმიტომ, რომ ამ ქვეყანაზე არსებობს მეგობრობა და საზეიმო სუფრები თუ სადღეგრძელოები“.

ბედნიერებას მას უმაღლავდნენ, ბედნიერება მან ლექსებს მისცაო...



ბორის პასტერნაკი

რა ეხართუბათ
დეფექტორებს

„დეფექტორი“ ინგლი-
სურში ნიშნავს განდგომილს,
დეზერტირს და, უფრო ხში-
რად, იმ კაცს, რომელიც თა-
ვის სამშობლოს ღალატობს

და უცხოეთში პოულობს თავშესაფარს. დეფექტორებად,
ძირითადად, სპეცსამსახურთა თანამშრომლებს ნათლავენ.

ამ ცოტა ხნის წინათ რუსულ პრესაში გამოქვეყნდა
ცნობა, რომ პოდმოსკოვიეში, ყუკოვკის აგარაკზე, თავის
სახლის პარმადიდან გადმოვარდა ედვარდ ლი ჰოვარდი და
კისერი მოიტეხაო.

დაღუპული ამერიკელი იყო ცენტრალური სადაზვერ-
ვო სამმართველოს ყოფილი ოფიცერი, რომელმაც თავის
დროზე „კაგებეს“ გადასცა საბჭოთა კავშირში მოქმედ სა-
იდუმლო აგენტთა სია, ჯიბეში გვარიანი თანხა ჩაიყაჭა და
როდესაც ჩავარდნის საფრთხე დაემუქრა, დიპლომატიუ-
რი ბაგაჟით 1985 წელს მოსკოვში ჩამოაბრძანეს.

როგორც აღნიშნავენ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-
დეგ ჰოვარდი თამამგარე მდგომარეობაში აღმოჩნდა,
ძალზე იშვიათად თუ აკითხავდნენ კონსულტაციისათვის,
ბოლო წლებში კი მისი ერთადერთი და განუყრელი მეგო-
ბარი გამხდარა ალკოჰოლი. შედეგმაც აღარ დააყოვნა.

ჰოვარდის მეზობლად ცხოვრობდა მეორე ამერიკელი
დეფექტორი – აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების მე-6
ფლოტის ყოფილი ოფიცერი გლენ სოუტერი, რომელიც
ხუთი წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურებოდა
„კაგებეს“ და 1986 წელს საბჭოთა კავშირს შეაფარა თავი.

სოუტერი მალე მიხვდა, რომ საბჭოთა სინამდვილე
საგრძნობლად განსხვავდებოდა მისი ილუზიებისგან.
სხვას რომ თავი დაეანებოთ, პენსიაზე გასულ ჯაშუშს გა-
ცილებით ნაკლებს უხდიდნენ, ვიდრე მოქმედ ჯაშუშს. იგი
გალოთდა და მძიმე ალკოჰოლური დეპრესიით შეპყრო-
ბილმა 1989 წელს თავი მოიკლა.

სახელგანთქმული ოლეგ გორდიევსკი, ერთდროულად
ორ ბატონს რომ ემსახურებოდა, აქეთ – საბჭოთა „კაგე-
ბეს“ და იქით – ბრიტანულ „ინტელიჯენს სერვისს“, ამტკი-
ცებს: „ამჟამად მსოფლიოს დაზვერვათა შორის არსებობს
უთმქმელი, ჯენტლმენური შეთანხმება. უკვე კარგა ხანია,
რაც დეფექტორებს არც იტაცებენ და არც ხოცავენ. დან-
ყებული 60-იანი წლებიდან „კაგებეს“ საზღვარგარეთ აღა-
რავინ მოუკლავს“.

თავად გორდიევსკი თურმე სრულიად მარტოდმარტო
ცხოვრობს. ცოლი გაეყარა (სახელად ლეილა ჰქვია, ნეტა
ქართველი ხომ არ არის?), ქალიშვილებს მამასთან ურთი-
ერთობა არა სწადიათ. 1985 წელს ინგლისში გადახვენილ

„კაგებეს“ ყოფილ პოლკოვ-
ნიკს იქაურმა თავდაცვის
სამინისტრომ დაუნიშნა პენ-
სია (30 ათასი დოლარი). სა-
სამართლოს გადანყვეტი-

ლებით, ამ თანხის ნახევარს ოლეგი უხდის ყოფილ მეუღ-
ლეს, ალკოჰოლით თრგუნავს მოწყენილობას და დროდად-
რო, როდესაც გათამამდება ხოლმე მორიგი საჯაშუშო
სკანდალი (მაგალითად, შარშან – „ლიტვინენკოს საქმე“) ადგილობრივ ტელეარხებს ინტერვიუს აძლევს. გვარიან
ჰონორარს უხდიან. ასე რომ, არცა შია და არცა სწყურია,
მაგრამ წყეული ნოსტალგია დეფექტორებსაც შეეყრებათ
ხოლმე

ინგლისში, გორდიევსკის გარდა, მისი ყოფილი კოლე-
გებიც დასახლებულან.

მაიორ ბუტკოვს ტურისტული ფირმა დაუარსებია,
კლიენტთაგან ფული მოუქუჩებია და მიმალვა უცდია. და-
აკავეს და თაღლითობისათვის სამწლიანი პატიმრობა მიუ-
საჯეს.

უკეთესად აწყობილა პოლკოვნიკ მიტროხინის ცხოვ-
რება. თავის პატარა ბაღში ვარდები მოჰყავს და ჰყიდისო.

რამდენიმე წლის წინათ შეერთებულ შტატებში ტრაგი-
კული და, იმავდროულად, სკანდალური ამბავი მოხდა. 46
წლის ლიტველმა ემიგრანტმა ალგირდას ბრაზინსკასმა
სიმთვრალეში ატეხილ ჩხუბში დანით მოკლა თავისი მამა –
პრანას ბრაზინსკასი. შეგახსენებთ, რომ 1970 წელს სწო-
რედ ამ ბრაზინსკასებმა განახორციელეს უალრესად სა-
რისკო ჩანაფიქრი – საბჭოთა კავშირის ისტორიაში პირვე-
ლი წარმატებითი გატაცება სამოქალაქო თვითმფრინავი-
სა; გზაში სიცოცხლეს გამოასალმეს სტიუარდესა ნადეჟ-
და კურჩენკო, რომელმაც გმირ მამა-შვილს წინააღმდეგო-
ბა გაუწია.

თურქეთიდან ამერიკაში ჩასულ ბრაზინსკასებს პოლი-
ტიკური თავშესაფარი დიხსაც უბოძეს, მაგრამ დოლარები
თავზე არ დაუყრიათ. გამოხდა ხანი. დაიშალა საბჭოთა
კავშირი, ლიტვამ დამოუკიდებლობა მიიღო, ბრაზინსკასე-
ბი კი სამშობლოში რატომღაც არ დაბრუნებულან. ეტყო-
ბა, გაუტკბათ ამერიკა. უმცროსი ბრაზინსკასი, წლების
მანძილზე, თავს ირჩენდა მამის პენსიით და სწორედ პენ-
სიის მორიგი გაყოფისას ამტყდარა საბედისწერო დავა.

მამისმკვლელმა ბრაზინსკასმა მამის პენსიაც დაკარგა
და თავისუფლების სიმბოლოდ შერაცხულ ქვეყანაში პი-
რად თავისუფლებასაც გამოესალმა. ამასთან ერთად, რაც
ყველაზე სამწუხაროა, ჩირქი მოსცხო საბჭოთა დისიდენ-
ტთა უმნიკვლო იმიჯს.

„აზიის ბუქერის“ პირველი მფლობელი გახდა 61 წლის ჩინელი
მწერალი-დებიუტანტი ცზიან რონგი რომანით „მგლის ტოტემი“.

აღნიშნული პრემია გადაეცემათ ავტორებს აზიიდან, რომელ-
თა ნაშრომებიც თარგმნილია ინგლისურად, მაგრამ არ გამოქვეყ-
ნებულა. გამარჯვებული რომანის ავტორს გადაეცემა 10 000, ხო-
ლო ამ ნაწარმოების მთარგმნელს – 3 000 დოლარის ჩეკი.

„მგლის ტოტემი“ ჩინეთის ერთ-ერთი უნივერსიტეტის პენსი-
აზე გასული პოლიტიკონომიის მასწავლებლის – ცზიან რონგის
პირველი წიგნია. მასში მოქმედება შიდა მონგოლეთის სტეპებში
ვითარდება კულტურული რევოლუციის ფაშს.

„თაიშის“ ცნობით, „მგლის ტოტემი“ ჩინეთში 2004 წელს
გამოქვეყნდა. სანყისი ტირაჟი ძალზედ მცირე იყო ჩინური ბაზ-
რისათვის – სულ რაღაც 20 000 ცალი. მაგრამ რონგის რომანი
ძალიან სწრაფად გახმაურდა ჩინელ ინტელექტუალთა წრეში
და საოცარი პოპულარობა მოიპოვა. ამ დროისათვის წიგნის
ოფიციალური ტირაჟი 2 მილიონს აღწევს. არანაკლებ 20 მილი-
ონისა კი ჩინეთში გაჯეჯილებულმა „პირატულმა სტამბებმა“
გამოსცეს.

ბრიტანეთში წიგნის გამოსვლა გასაყიდად 2008 წლის მარ-
ტისთვისაა ნავარაუდები.